ISSN 0132-6023

# ცისკარი

5

1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნუ მწერ

ნუ მწერ, რომ ბალში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წაავავს ხვითოს.
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც
ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და
ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადლაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა
თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი
ხვითოს.
ნუ მომწერ... ისიც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვილაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვს გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად,—
გეტყვი, რომ მოველ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე
გამარჯვების.

მირზა გელოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

334

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

5

მაისი

1985

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## დიადი გამარჯვების 40 წელი

3. სევერიან ისიანი, ვლადიმერ უბილავა, კოლა აფციაური — ლექსები
5. ვანო ჩხიკვაძე — ჩიტები ზამთარში. რომანი.
55. გიორგი ქავთარაძე — ლექსი.
55. გივი თათეიშვილი — ლექსი.
56. სოლომონ სამხარაული — პელოს ხიზანი. მოთხრობა.
75. თენგიზ კოზერიძე — ლექსი
75. ალექსი ნამორაძე — ლექსი
76. სულიკო დიასამიძე — ლექსი

## პოეზია და პროზა

77. ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები
81. ბორენა ჯაჭვლიანი — ლექსები
84. გურამ კაპანაძე — მოთხრობები
96. გენო კალანდია — ლექსები
100. ნოდარ ჯალაღონია — ლექსები
102. გულიკო დოლიძე — ლექსები
103. მამუკა დოლიძე — მოთხრობები
116. შაქრო სამადაშვილი — სათნოება. მოთხრობა
120. ლერი ალიმონაკი — ლექსები
123. იმედა არაგული — ლექსები
125. დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები

## დიადი გამარჯვების 40 წელი

126. ვახტანგ ჭიჭინაძე — ბერლინის შტურმი
140. ხვთისო არჩემაშვილი — ბოლშევიკური პრესის ისტორიის ფურცლები
146. დავით გოგოჭური, ივანე ლიქოკელი — სამამულო ომი ქართულ ხალხურ პოეზიაში
150. გიზო ნიშნიანიძე — გმირი ქალაქების ქართველი გმირები

## რეცენზია

157. ნინო ქაჯაია — „ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი“

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუბლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სევერიან ისიანი

### გაანადგურე!

სისხლით და ოფლით მთები დავძარით,
ქვეყნად ჩაგრულებს შვება ვარგუნეთ,
მტერმა დაანთო ომის ხანძარი, —
გაანადგურე!

გახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
ლაჟვარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მნგრეველი, —
გაანადგურე!

ბევრი სისხლია ჩაბნელებული,
სისხლი ჩამოსწვეთს დამსკდარ
აგურებს.
ხმალამართული ყაჩაღის გული, —
გაანადგურე!

თუ არ შემუსრე მტერი — მტარვალი,
ქვეყნად წყვდიადი დაისადგურებს.
გაანადგურე ქვეწარმავალი, —
გაანადგურე!

---

## ვლადიმერ უბილავა

### გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა

ტანზე მოისხამს რუსულ ფარაჯას
და ფრონტზე ვაჟკაცს მისდევს ვაჟკაცი,
ძმებო, ჩვენ მამულს ვყავდეთ დარაჯად
ხიშტებისა და ხმლების კაშკაშში.
რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები;
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები!

ვინ მოინდომა აკლება მისი!
ვინ მფგვისია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები!
გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა,
ტყვიას ტყვიაში აჯენს ვაჟკაცი,
იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშტის და ხმლების კაშკაშში.

1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლა აფციაური

## სამშობლოს!

ნეტარ ვეღარა გნახავა
ჩემო სამშობლოვ, ტიალო,
ტყემლიანაის ჭალებო,
ხახაბნის მთებო ტყიანო.

შენ, გუდამაყრის არაგვო,
ხევებო კალმახიანო,
თქვენი ჩხრიალი მომესმის,
ძილი სულ მიკრთებიანო.

თეთრი არაგვის სათავევ,
მთიულეთს გეძახიანო,
ბავშვობის მეგობარი ხარ,
დიდველის აღმართიანო.

მაღალწლის მთაო, მაღალო,
ნისლები გეხვევიანო,
გზოვნის წვერი და სალაღო,
ორნივ შენ დაგნატრიანო.

სადა ვარ გადმოკარგული,
დარდი ვის გავუზიარო.

დავყურებ შავი ზღვის ტალღებს,
საზარლად ღელდებიანო,
თავს აწევს შავი ღრუბელი,
დღისითაც ბნელდებიანო.

კარგია სწორებთან ლხინი,
ერთად რომ დასხდებიანო,
იტყვიან სადღეგრძელოსა,
თან ტკბილად იმღერიანო.

დრონი გაივლის მღელვარე,
ღრუბელნიც დაცხრებიანო,
აღშფოთებული მდინარე
ზოგჯერ სულ დაშრებიანო.

მსოფლიოს წესი ეს არის —
ერთმანეთს მოხვდებიანო,
იბანებიან სისხლითა
და ისევ მშვიდდებიანო.

განა ომების დამწყებნი
ამ ქვეყნად დარჩებიანო?
ბუნების კანონი არის —
ისინიც გასწყდებიანო.

გადიქცევიან მიწადა
გრძნობები გაქრებიანო,
ახირებული სურვილნი
ამაოდ დარჩებიანო.

განვლიან საუკუნენი,
ახლა სხვა გაჩნდებიანო,
იმათაც შემოწმებენ
მიწიდან ამოთხრიანო.

რაც მოდის წარმავალია,
ხენიც კი ბერდებიანო,
მე კი სამშობლოს ტრფიალი
სამარეს ჩამყვებიანო.

შევეხვეწები სწორებსა, —
ვინც კიდევ დარჩებიანო,
არ დაივიწყონ რომელნიც,
ამ წარღვნას მოჰყვებიანო.

ისევ შენ, ჩემო სამშობლოვ,
მთა ტყეო, ლაზათიანო,
დედის გაშლილი კალთა ხარ,
გული შენსკენა რბიანო.

რაც გავიხარე შენგნითა,
მე ისღა შემრჩებიანო,
რომ მოვკვდე უცხო მხარესა,
მიწას არ მომაყრიანო.

ფეოდოსია.
1942 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

# ჩიტები ზამთარში

რომანი

მე არ შემეძლო ამ სულშიჩამძრომი მზერის ატანა, ან უნდა გამეტეხა, ანდა კუდამოძუებული გავპარულიყავ.

თავი ავწიე, ორი მზერა ერთმანეთს შეეჯახა, ნაპერწკლები გაყარა, მაგრამ არც ერთი არ ვუთმობდით — აქეთ მე გავკერპდი, იქით — სოფელი...

დედა-შვილი ვეღარ დავინახე.

წისქვილისაკენ დავეშვი...

ღარი გადაკეტილი იყო. წყალობა ტირიფებშუა ძელსკამზე იჯდა და კოვზს თლიდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, შვილო... ჩამოჯექი... მოიცა, გადავყარო, — ხელი მოუსვა სკამზე დაყრილ ნაფოტებს.

— საფქვავი შემოგლევია.

— შემომლევიაო... ორი დღეა კაცი-შვილს არ შემოუხედავს. რა იშოვეს ისეთი, პურს აღარ აცხობენ? — შეატრიალა კოვზი და მუშტრის თვალით გახედა, — ცოტა კიდევ უნდა ავიღო... სხვა თუ არაფერი, გამოვყრუვდი. ამ თაგვებმა მაინც იცოდნენ ლაპარაკი... ეგრე მომრავლდნენ, სამი ხაფანგი ვეღარ აუდით.

— კატა უნდა გაიჩინო.

— ხო მყავდა, მაგრამ შეაშინეს თუ რა იყო, იმის დაჭერილი თაგვი ვერ ვნახე, სულ ხელებში შემომკნაოდა... ერთი გაბრიაანთ უნდა ვენათხოვრო, ისეთია თურმე, ვირთხებსაც კი არ ეპუება.

— მართლა? — უფრო მეწისქვილის გულის მოსაგებად გავიკვირვე.

— მაშა, ძაან სახელგავარდნილი ყოფილა სათაგვეთში... აბა, ნახე, როგორია? — ამაყად გამომიწოდა ნახელავი.

მართლა ლამაზი იყო, თხელი, მსუბუქი.

— თელაა, ისე გაილევა — ბზარი არ გაუჩნდება. საერთოდ კი, კაკალი სჯობია, თუ გინდა ჯამი ან სანაყი გამოთალო...

— პატიოსან ხალხს გაუმარჯოს! — მენავთე კოლამ ტომარა ჩამოიღო და შესასვლელთან მიდგა, — ამის პატრონი დედაც, ჩამწყვიტა წელი.

— შეუჩვეველი ხარ და არ გიხამს, — თვალი ჩამიკრა წყალობამ, — დროგი რა უყავი?

— დროგმა მოგჭამა ჭირი, — ჩამოჯდა ხვნეშით. — ცხენმა ფეხი მოიტეხა და მე ხო ვერ შევებმევი... მაინც ჩემი სიკეთე ვერავის დავანახვე და ირბინონ ახლა ქალაქში ნავთისთვინა, რაც უნდათ, ქნაან...

— ძაანაც ნუ გაატრიზავებ, შენამდე რა, უნავთოდ ვიყავით? შევუთვლით ურია ისაკასა და თუ ქვემოსოფელში დააქვს, ჩვენთანაც მოიტანს.

— კაი მელასაც დაიჭერთ, — გაბრაზდა კოლა, — ეგრე გაგყვლეფავთ რო...

— შენ რა, გვაკლებდი?

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეჩქარება, კაცო, რა დროს კოვზების თლაა, — სიტყვა ბანზე აუგდო, — დროთი, უნდა წავიდე.

— თავიდანვე ეგრე გეთქვა, — გაიცინა მეწისქვილემ და წამოდგა.

— მე გამოვუშვებ, რა! — შევეხვეწე.

— გამოუშვი, ოღონდ ფრთხილად, ფეხი არ აგისხლტეს.

თვითონ ტომარა შეათრიეს, მე კი წისქვილის უკან, ღარის ყელს ჩაფარებული ფიცარი ამოვაძრე.

იხუვლა წყალმა და ბორბლის ფრთებს ფეთიანივით დაეტაკა. წყლის ხმაურს დოლაბის ყრუ ხრიგინიც შეერია.

ჩავცუცქდი, ტალახიანი ხელები ჩავიბანე და... თითქოს ვიღაც მიყურებსო. ავხედე, — ცხენი არ წამომდგომია? დასახარჯი უკვე დაეხარჯა და დამცხრალიყო, მშვიდი თვალებით მიყურებდა.

მოვეფერე.

— მაშ მზე გიყვარს, ცხენო, ძალიან გიყვარს?.. რად მიმალავ, მე ხომ ვნახე, როგორ ეფერებოდით ერთმანეთს... მერე ალბათ შენ შვილს შეუყვარდება, აი, იმ სულელ, მოხტუნავე კვიცს. მერე... — ყაყაჩოს ფურცელზე წითლად დაცურებული ჩემი ცრემლი გამახსენდა და ხმა ველარ ამოვიღე.

გუშინ მძიმე დღე მქონდა.

— თქვენ ვინა და ჩვენ ვინაო, საიდან სადაო, ფეხი გაიხმოს, თამრიკოს შორიახლო არ ვნახო, თორე მამას ვეტყვი და წიწილასავით შემოაკვდებაო! — იცოფებოდა თამრიკოს დედა.

— რა დროს მაგათი ეგეთებია, ბავშვებია, გულისყურში რათ აგდებ, სირცხვილია! — ხმას უწევდა ბებიაჩემიც.

— აბა, მეველეს კითხე.

— მეველემ რა იცის, იმ დასაბრმავებელმა.

— ბულულში ერთად ისხდნენ, თანაც შიგნითა, არც კი ჩანდნენო, — თავისივე სიტყვებმა უფრო გაამწარა ლობეს მომდგარი ქალი, — ვაი, ვაი, ვეტყვი მამასა, ვეტყვი და ვაი მაგის ტყავსა...

— მერე და რათ მიჰყვებოდა, თქვენ ჯერ თქვენი დაიჭირეთ და ისე მელაპარაკეთ... ხო არ გგონიათ, გულზე დავარდად მეხატებით...

ბრძოლა ჯერჯერობით ორმხრივი მუქარით დამთავრდა, თუმცა ახლავე იგრძნობოდა, რომ ძალები აშკარად უთანასწორო იყო...

— რა მკითხე, ცხენო?.. ბულულში იმიტომ შევძვერით, რომ წვიმამ მოგვისწრო, თორემ აბა, იქ რა გვინდოდა... პირველად ვაკოცეთ ერთმანეთს, ოღონდ ისე ფრთხილად, ისე ფრთხილად, რომ გული აგიკანკალდებოდა... ყაყაჩოს ფურცელი სველი და თბილი იყო... ვაკოცე და თითქოს ბულულს ცეცხლი წაუკიდესო — დაფეთებულები გამოვცვივდით... მოვრბოდით წვიმაში და ორივენი ვტიროდით... იქნებ ვიცინოდით?.. არ მახსოვს.

ესენი კიდევ, „თქვენ ვინა და ჩვენ ვინაო!"... გესმის, ცხენო, გესმის?.. რა იციან, ღამე რომ დავწვები, ტუჩებზე თითს ვისვამ და ხელახლა ვგრძნობ ყაყაჩოს სველი ფურცლის სითბოს და სიტკბოს... ამას ხომ მაინც ვერ წამართმევენ!

ცხენმა თავი მაღლა შეაგდო, — რა თქმა უნდაო...

— წყალობა, ეს ცხენი ანდროსია, არა?

— ჰო!

— რა კარგი რამეა, — მოგვიახლოვდა მენავთე, შემოუარა და ხარბად შეათვალიერა, — კარგი რამეა, — გაიმეორა და მუცელზე ხელი მოუთათუნა.

თითქოს ეკალს გამოედოო, ცხენი განზე გახტა.

— ოო, რა ფიცხია! — ვერცხლის კბილები გამოაჩინა კოლამ.

სულ ნავთში მოპარული ფულით ჩაისვაო, — ბებიაჩემი ამბობს.

— ასე უპატრონოდ რად დადის.

— ვინ არის მაგის მომვლელი, ანდრო ჯავრობს, გაველურდა, ისეთი ცოფიანია, ვერ შემიბამს და ვერც შევმჯდარვარ, რამდენი ცხენი გამოვიცვალე და ასეთი დამთხვეული ჯერ არ შემხვედრიაო.

— ვერ შემიბამსო, — ჩაეცინა მენა-

ვთეს, — მე მომცეს და ვაჩვენებ, როგორც უნდა შებმა.

— ეგრე დარბის წინ და უკან, ხო ხედავ, საიდან სად გადმოდის, დღეს პირველად კი არ მესტუმრა.

— კარგი რამეა, კარგი, — ვერ მოსწყვიტა თვალი.

წყალობას მკლავი გამოსდო და ორივენი ტუტუნით შებრუნდნენ წისქვილში.

გულმა არ მომითმინა და შევყე.

მეწისქვილე ტომარაში ფქვილს ყრიდა, მენავთე წინ და უკან დადიოდა ღორო-ჩოღორო, ჭრიალა იატაკზე.

— ჰოდა, ეგრე, შენ ეს საქმე გაჩარხე და ჩემზე იყოს, რასაც ითხოვს — მივცემ. ანდა რათ უნდა, ასე გამოუყენებლად ხო არ ჩამოაბერებს.

— მოველაპარაკები, მაგრამ, ცოტა თავისნათქვამა კაცია.

ხვიმირიდან უკანასკნელი მარცვლები გადმოხტნენ და მალე ფქვილის ნამქერიც შეწყდა.

— შენ შენი ეცადე, მაინც საძებარი მყავს და რაღა სხვაგან ვიწანწალო... თანაც ასეთი ცხენი, ახლა იშვიათად...

— არ მოგყიდის! — ვთქვი მე.

— რატომ? — მომხედა მენავთემ.

— ჩვენ გვინდოდა, მაგრამ უარი გვითხრა, შვილივით მიყვარს, მაგაზე ნურც ნურავინ დამელაპარაკებაო! — ვიცრუე.

— თქვენ რად გინდოდათ? — მეწისქვილე ტომარას თავს უკრავდა.

— ბიჭო, თუ თამრიკოს მოსატაცებლად გჭირდება, როცა ვიყიდი, რამდენიმე დღეს შეველევი და გათხოვებ, — სიცილს გესლი გაურია მენავთემ.

— ეგ შენი საქმე არ არის, — ყელში მეცა სიბრაზე.

— მე მისიზმრია და დანარჩენი შენ იცი... მაგის მამა დედაბუდიანად გადაგულაპავთ და ფაა-ფუ, — ხელი ხელს გაჰკრა, — თხის კუდიც აღარ დარჩება...

— მოიცათ, ხალხო, თქვენ უარესად ნუ გადაირიეთ, — დაუტია მეწისქვილემ და ფქვილიანი ხელები დაიფერთხა, — რა გიკვირთ, ბუნაგებიდან გუშინ ხო არ გამოძვერით...

— გემოვნება კი გქონია, — მაინც თავისას მიაჭენებდა, — მაგრამ ვერ შესწვდები და გაფუჭდები „ვაჟკაცი კაცი...“

სიცილით ჩაბჟირებული მენავთის როხროხი სილასავით მხვდებოდა.

არც ახლა შეიძლებოდა დათმობა, მაგრამ იმხელა კაცთან რა უნდა მექნა, როგორ ჩამექოლა, ჩამეკმინდა აყროლებული ხარხარი?.. მზერა და ხელი ერთდროულად დასწვდა მურიან აგურის ნატეხს...

ფერწასული და ხმაჩაწყვეტილი მენავთე სკამს გამოედო და კედელს მიაწყდა.

მეწისქვილე შუაში ჩაგვივარდა, ამეფარა, ბებრული, გამხდარი ხელი მაჯაში წამავლო.

— რას სჩადი, დათო! — გამომარკვია წყალობას ხმამ.

ხელი დავუშვი, რომ დამცლოდა, არ ავაცდენდი, ნავთიან კბილებს კეფაში გავატაინებდი.

— ცხვირი არ მოგიხოცავთ და გული ყელში გჩრიათ, — წყალობამ მოდუნებული თითებიდან აგური გამომაცალა და კუთხეში მიაგდო.

მენავთის ამობრუნებული ქუდი ქონიანი ტაფასავით მტვერში ეგდო.

მუხლები მიკანკალებდა, ძლივს შევბრუნდი და წისქვილიდან გავედი.

— რა ვნახე, კაცო, სუფთა გიჟის თვალები ჰქონდა.

— ისე, ღირსი არ იყავი, რო ედრუზა? — მომესმა უკნიდან.

დედა-შვილი აღარსად ჩანდა...

●

შემოჯდა კოფოზე მენავთე, კაცებს ხელი დაუქნია და წავიდა დროგი ცარიელი კასრის რახრახით.

— თავმძიმეა, ცოტა ფეხითაც გაგევლო, ნუ მოკალი ცხენი, — დაუძახეს ანდროს გასაგონად.

ვანო ჩხიკვაძე
ჩიტები ზამთარში

შემობრუნდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ წინა თვლები ერთდროულად გასძვრა და ჰაერში ამოტრიალებული მენავთე ლამის ზედ დაეცა გზისპირზე, ძონძოხში დინგით მოსაქმე ღორებს.

გულდაღმა გაცურდა, ცხვირ-პირი აღარ ეტყობოდა.

კაცები მოსახმარებლად გაიქცნენ. თვითონ კი წამოაყენეს, მაგრამ დამფრთხალმა ცხენმა დროგი გადააბრუნა და ხელნები დაუმტვრია.

გამწარებულმა მენავთემ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მოაძრო ღობიდან სარი და ტალახის ფურთხებით ცხენს დაუშინა, პირველივე დარტყმაზე ზედ გადაამტვრია და მერე იმ ნატეხით მისდგა...

ლამის გავგიჟდი, ისე მორჩილად იდგა დაშინებული ცხენი.

ამასობაში კაცებიც მიეწივნენ და ეცნენ — შე დასაბრმავებელო, მაგან რა დაგიშავა, უნაგირს რას მისდექიო.

განსაკუთრებით ანდრო გაცხარდა, — ეგრევე გაუშალა ძონძოხიან სახეში.

ატყდა დიდი წიოკი, გაწევ-გამოწევა. ანდროსაც მოხვდა მენავთის მუშტი და ღობიდან ძლივს გამოაძრეს.

„მოუხდება, მაგის ჯავრიც ამოვიყარე, მენავთე კოლას ცხენი როგორ მიჰყიდა..."

მოჩხუბრები დააშველეს.

ბევრი ეძებეს ღერძს სად ამოუცვივდა ბორბლების დასამაგრებელი ლურსმნები, მაგრამ რას იპოვიდნენ, როცა მე მეწყო ჯიბეში — ვიდრე მენავთე თავის საქმით იყო გართული, ორივე ქვით ამოვყარე.

ბებიაჩემმა წყალი გამოიტანა. მენავთის გადატყაულ ხელისგულებს რომ დავხედე — შემეცოდა, ასე მწარედ არ მინდოდა სამაგიეროს გადახდა.

რა ვქნა, თავის თავს დააბრალოს.

●

გაზაფხულის ღლესავით მოთბა. დაბერტყილ კაკლებს და ფოთოლგაცვენილ ალვებს თუ არ შეხედე, ვერც კი იფიქრებ, რომ სადაცაა ჭირხლი გავარღვება, ნისლში გაეხვევიან თეთრი მწვერვალები.

სადღაც, იქ არის მძლეთამძლე დევკაცი დაბმული და როცა გრუხუნებს, ამირანი ჯაჭვს გასაწყვეტად ეჯაჯგურება.

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ,
ან ამილესე ხმალია,
ჩავალ და ველარ ამოვალ,
ვაიმე, ჩემი ბრალია...

ისევ ჩამესმის დედაჩემის ხმა:

— რიყედ მოფენილ, დახოცილ ქაჯებში დარბის ქარზე უსწრაფესი თეთრონი და ნეკმოჭრილი ამირანის თავთან ცრემლს აფრქვევს მგლოვიარე ყამარი...

„ჰაი თუ აეშვა... თუ აეშვა, ვაი, დათიკო მჭედლის ბრალი", — ვიცვამ რკინის ქალამანს და მივდივარ ყინულით მოლაპლაპე მთებისკენ. შევდივარ ბნელ გამოქვაბულში. დამფრთხალი ღამურები აწყდებიან კედლებს, კივიან ჭოტები და გაფხორილი ბუ ცივი თვალებით მომჩერებია...

მძიმე ჯაჭვის ჟღრიალით შემობრუნდა პირგაუპარსავი, წელამდე თმაჩამოგრძელებული კაცი.

— ვინა ხარ და რა სულიერი! —

„რა სულიერი... რა სულიერი..." — გრგვინავს გამოქვაბული.

— ბადრი მოკვდა, უსუპიც, ყამარიც, თეთრონიც... მარტო მჭედლები დარჩნენ... — ჩაჰკიდა თავი.

— მე... მე არა ვარ მჭედელი.

— მატყუებ!

— დედას გეფიცები.

თავი რომ ასწია, ამირანი კი არა, მამაჩემი იყო.

— მამა, მამა, — ვჩურჩულებ და მუხლებზე ვეხვევი, — ბოლოს ხომ მაინც გიპოვე...

მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ სულ მგონია, რომ ყინულის მთებშია მამაჩემიც გამოკეტილი და ჩემს მისვლას ელოდება, აბეზარ ღამურებს ხანდახან აუქნევს ჯაჭვიან ხელებს, აუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნევს და იბზარება გამოქვაბული, ერთმანეთს ასკდებიან კლდეები... მამაჩემის სევდით სავსე ღრუბელი სოფლისკენ ეშვება და მხოლოდ ჩვენს სახურავზე წვიმს...

გაიარა დოლგადაკიდებულმა ყორყიკამ. უკან ცოლი მისდევს თავშლის სწორებით და ფოსტლების წკაპაწკუპით.

— არ დათვრე, ცოტა დალიე და იკმარე... წამლებსა ვსვაამთქო და აღარ დაგაძალებენ...

— ყორყიკ, მოხვალ თუ მოგიტანენ? — დაუძახა აბრიამ.

— შენი დასაცინიც რომ გავხდი?.. — ეწყინა ყორყიკას.

— გახდი, მაშ, გახდი და ვისი ბრალია?.. დღეს მაინცა, შენი ჭირიმე, ამათ ჯიბრზე, ცოტა იკმარე.

— ჰო, კარგი, კარგი, რაღას მომყვები.

— არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი, წამლებსა ვსვაამთქო... გაიგე?

— დალევს?

— რას ამბობ, სათოფეზე არ გაეკარება, — იცინიან კაცები...

თამრიკო აივანზე დადის გულზე ახუტებული, გადაშლილი წიგნით, წამით შედგება, ფურცლებს დიდ, ლურჯმწვანე თვალებს დაანათებს...

არტემა ისევ თვლემს და ყვითელი ხელი ხვლიკივით უდევს მოაჯირზე.

— რა იცის ადამიანმა ბოლოს რა ელოდება, — თქვა კოჭლმა მიხამ და ყველამ აივანს გახედა.

— მაგრად მოტყდა, მოტყდა კი არა, მოთავდა... რაღაც წამალი უშოვიათ ლენინგრადში და კიდევ ის აცოცხლებსო, — გააპურჭყა აბრიამ.

— კარგი ვაჟკაცი იყო.

— თავისთვის ნამდვილად კარგი იყო, — ჩაერია საუბარში მჭედელი დათიკო და განუყრელი ჩიბუხი გააფუილა, — მთელი სიცოცხლე ძაღლივით გიმსახურა.

— რათ იცი ეგეთი ლაპარაკი, — გაიფხორა მიხა, — მინდოდა და ვემსახურე... კაცს რო ფეხი გადაუბრუნდება, მაშინ იცით შედგომა.

— სულ თვითონ იყო სხვებზე შემდგარი და ახლა სიტყვაც აღარ ვთქვა?

— რა ექნა, ეგეთი დრო იყო, საქმეს სჭირდებოდა! — მიხას საყელოში ჩაკარგული ყანყრატო აუთამაშდა.

— დაიკარგე... „საქმეს სჭირდებოდა“, — გამოაჯავრა დათიკომ, — ეგრე ბეჩავად და გაუგებრად უნდა მოკვდე?.. ვერ ხედავ, ხალხი კოსმოსში წავიდა, შენ კიდევ ისევ ქვესკნელში ზიხარ...

— ეს დოვლათ-გაბოს რძალი არ არის? — აბრიამ თვალი გააყოლა წყალზე მიმავალ ქალს.

— ჰო, იმისია, — გახედეს სხვებმაც.

— თავზე მამალ ბუზს არ ისვამს და რძალი რა ყორყიკასავით მკერდმოღეღილი დაუდის!

— ვითომ ძალიან გწყინს?

— პატრონმა იდარდოს თორემ, სადამდეც ჩამახედებს — ჩემი ხეირიც ის იქნება! — ჩაიხვიხვინა აბრიამ.

„გამიშვით, გარბიანო“, — ამაზეა ნათქვამი.

ალიაშვილების ტურფა მესამედ გამოთხოვდა, აბრიამ ამოიყვანა ქვემოსოფლიდან მანქანით.

ჩვენი სახლის ლაფში ამომსვრელოო, — ერთი-ორი ქიმუნჯი წაჰკრეს მშობლებმა და ჩვრებში გახვეული ბავშვი ჩამოართვეს.

გადახსნა ღრეჭვით მანქანის ბორტი აბრიამ და მეზობლებმა მესამედ გამზითვული „ნიკელიანი“ საწოლი, ლოგინი და ტანსაცმლის კარადა ჩამოიღეს.

— ეს რა ხალხში ჩავვარდი, ქაა, ბოროტები, წუწკები, სისხლისმწოველები, — ხელებს შლიდა ქალებში ჩამდგარი ტურფა, — ქმარს ცალკე ეფერე, დედამთილს — ცალკე, მაზლებს კიდე... გამომხრეს და ჩამომადნეს... მიწა დავაყარე კეკელაანთ ნანოს, რას მერჩოდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის გადამკიდა, ამაზე მეტი მტრობა გაგიგონიათ?

ქალები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ და ვითომ ანუგეშებდნენ, სწორად მოიქეცი რომ წამოხვედი, თავს ხო არ შეაჭმევდი, ისეთი გოგო ხარ, ბედს კიდევ ეწევიო.

ტურფამ თანაგრძნობა შეიფერა, ერთი ორი ცრემლიც გადმოაგდო, უპეები ცხვირსახოცით ფაქიზად ამოიმშრალა და ქალებში მოკალათდა.

— პომადა არ წაისვაო, ნეტა რას იპუდრები, ვის ეწონებიო, ასე ხშირად თავისბანვა არ გაგვიგიაო... ტურტლიანები, ტურტლიანები, რო იმათ ლოგინში არ ჩაიწოლებოდა... რათ მინდა ეგეთი ქმარი, თუკი ვერ გავიხარე, მურწასმული ხო არ ვივლიდი...

— იცანი? — ჰკითხა აბრიამ ბავშვებზე, პირდაღებულები რომ შესცქეროდნენ.

— უი, თქვენ კი გენაცვალეთ, — ჩაისვა ორივე კალთაში, — ამათი დარდი კიდევ ცალკე გულს მიკლავდა. ჩვენები არაფერს აკლებენ, მაგრამ დედის სითბო მაინც სხვაა...

ბავშვები მორიდებით მიეხუტნენ ტურფას.

ერთი წითურია, ქალაქში რომ გათხოვდა, პირველად, იქიდან ჩამოიყვანა, მეორე — ქვაბის ძირივით შავი, თანგირაანთ კაკოსია, მესამე კი, მოიზრდება და ვნახავთ...

— ეჰ, ტურფა, მზითევი თუ არ შეცვალე, არაფერი გამოვა, მზითევია გათვალული, — გაეღრიჯა აბრია.

მართალიაო, — დაემოწმნენ ქალებიც, — როცა გათხოვდები ან სხვა რამეები წაიღე, ანდა სულაც ცარიელი წადი, მიიხედ-მოიხედე, დააკვირდი, თუ შენი გუნებისანი იქნებიან და დარჩენას გადაწყვეტ — მზითევი სად გარბის, მერე ჩაიტანე, თორემ ამ ბიჭებსაც წელი მოსწყდათ მაგათი მიტან-მოტანითო.

დაცინვა ვითომ ვერ გაიგო, — რახან მირჩევთ, ეგრე ვიზამო.

— შემოდი, ბავშვი ტირის! — გამოსძახა დედამ.

ტურფამ იქვე შეიხსნა გულისპირის პირველი ღილი და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

აბრიამ მიმავალ ქალს თვალი გააყოლა, ამოიოხრა და ათუხთუხებული მანქანა ლამის კედელს მიაწყვიტა.

— გაგაგიჟოს გამჩენმა! — მიაწყევლეს აწიოკებულმა ქალებმა...

ტურფამ მალე გადაიყარა დარდები, თუმცა დიდ განცდებში არც თავიდან ყოფილა, — კატოს ვაჟას ქორწილში გაიძრო ფეხსაცმელი და მაგიდაზე იცეკვა.

აქეთ ქალები დაგიჟდნენ, იქით იმათი ქმრები. კაცებმა ხელისგულები გადაიტყავეს ტაშისცემით... ბოლოს აუხტა აბრია, მთვრალი, რა თქმა უნდა, ჩაბუქნა და გადაწვა კიდეც მაგიდა.

ტურფამ წამოხდილი კაბა გაისწორა, ვითომც არაფერიო, ისევ ჩამოუარა, მაშინ, როცა ცხვირგატეხილ აბრიას ცოლის კალთაში ედო თავი და სველი ნაჭერი ეფინა.

ვიჯექი აწითლებული, გონებადაბნეული და თვალებიდან ვერ ვიცილებდი შიშველი ფეხების წამიერ გაელვებას... კიდევ კარგი, დედაჩემი ადრე წავიდა, თორემ უეჭველად შემატყობდა...

— კისერი რატო არ მოიტეხე, კისერი, — აბრიას ჩუმად მოჩქმიტა ბრაზისგან სახედაფოთლილმა ცოლმა, მაგრამ სხვების დასანახად გაიცინა.

ხელი უკანკალებდა, ალბათ ერთი სული ჰქონდა, დაელმებული თვალები ფრჩხილებით ამოეკორტნა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ხალხსაც ეს უნდოდა და თავს სოფლის სასაცილოდ ხომ არ გაიხდიდა?

ტურფას კი გაჰქონდა და გამოჰქონდა, აჟუჟუნებული თვალებით ცელავდა, მუხლებში ამტვრევდა კაცებს და თუ დროზე არ შეაჩერებდნენ, რამდენი ხნით ვერ გეტყვით, მაგრამ კიდევ ერთხელ მოგვიწევდა მზითევის გამოტანა და ტურფას გაცილება აბრიას დანჯღრეული მანქანით...

აბრიამ სულ აიწყვიტა, ჯერ ცხვირი წესიერად არც მოშუშებოდა, რომ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვლიდა და გამოუვლიდა ტურფას სახლს პიპინით. ისიც გადმოდგებოდა ფანჯარაში და კეკლუცად გაუღიმებდა...

აევსო მოთმინების საწყაო, მოსწყინდა გარშემო მშიერი მგელივით ძუნძული, შუა ლხინიდან გაიყვანა და ყორე-გოგიაანთ სათონის უკან ჩაბღუჯა.

შენ მე ისეთი ხო არ გგონივარო, — იუკადრისა თურმე ტურფამ.

ისეთი რას მიქვია, შენზე ამომდის მზე და მთვარე, ახლა თუ ხელი მკარი, ნამდვილად თავს მოვიკლავო...

მაშინ, რა გაეწყობა, ლხინის მერე, ჩვენებიც რო მიიძინებენ, ბაღის მხრიდან ფანჯარასთან მოდი და ხმადაბლა სამჯერ დაუსტვინეო.

„დაუსტვინეო!“ — სიხარულისგან ლამის ყირაზე გადავიდა აბრია...

ლხინიც დამთავრდა და ხალხიც დაიშალა, გარეთ კაციშვილი აღარ ჭაჭანებს, გარდა ერთისა, — აბრია ვაშლის ხეს მოფარებია და ელოდება... როგორც იქნა, ეშველათ, მორიგეობით ჩაქრა ფანჯრებში სინათლე. ცოტა ხანიც და, ფეხაკრეფით მიიპარა, დასტვენაც არ დასჭირვებია, — ფანჯარა გაიღო და ტურფა გადმოეყუდა.

— მოხვედი?

— ჰო! — უპასუხა სულგაპარულმა.

— როგორ ბნელა...

— ჩვენთვის ახლა სიბნელე სჯობია... გადმოდი...

— მომერევი?

— მოგერევი კი არა, თუ გინდა, სახლიანად მოგიკიდებ.

— მეშინია, აბრი, შენმა ცოლმა რო გაგვიგოს, რა წყალს მივცე თავი...

— შენ ოღონდ გადმოდი და ხო იცი, სამარე ვარ.

— დავიჯერო, სულ აღარ გიყვარს?

— ან როდის მყვარებია... ჩქარა, ჰა, გავთავდი კაცი...

— ბავშვს დავხედავ და ეხლავე... — შებრუნდა.

მალე კედელს აკრულ აბრიას ცხვირწინ ფეხები დაეშვა. აბრია შეეშველა და ხელში აყვანილი ძირს აღარც დაუშვია:

— ტურფა, შენი ჭირიმე, ტურფა, — დუდღუნებდა ენაბლუსავით...

ღობესთან ჭინჭრებია, სიმინდებში გადაიყვანს და... რა უშავს, ზაფხულია, მიწა ღამეც თბილია...

უცებ სინათლე აინთო და დამფრთხალმა აბრიამ ფანჯარაში გადმოყუდებული ტურფა დაინახა.

„აბა, ეს ვინ არის!“ — გაოცებულმა გაიფიქრა თუ არა, სველი ტოტივით მწარედ მოხვდა სილა.

— შე ნამუსგარეცხილო, მიწას დაგაყრი, მიწასა! — ცოლმა ახლა მეორე ყბაში გაუშალა.

გამოიქცა დარცხვენილი და განადგურებული, ღობესთან წამოეწია ტურფას კისკისი...

ცოლი გააჩუმა, მაგრამ...

— გადამეკიდა, საშველი აღარ მომცა... სამი ქმარი რახან მყავდა, ნამუსზე ხელი კი არ ამიღია. ხალხის ამბავი ხო იცით, მერე იმას კი არ იტყვიან... ავდექი და ეგეთი ამბავი მოვუწყვე... ცოლმა თავის თვალით დაინახა, როგორ მოცუნცულდა ფანჯარასთან...

ეგებ მართლა უყვარხარ და შეიცოდეო, — შეაბრალეს, მაგრამ ამაოდ, ტურფას გული გადაკეტილი იყო და როგორც თვითონ ამბობდა, აბრია შორიახლოსაც ვერ მისუნავდა...

აი, ეს შერცხვენილი აბრია, თავისას მაინც არ იშლის, ატრიალებს გარეცხილ, უფერულ თვალებს და ვიდრე ცხვირპირს არ გაუერთიანებენ, ჭკუას ვერ ისწავლის...

ფოსტალიონიც გამოჩნდა, წყალი ჯერ პირზე შეისხა, მერე ღარს დაეწაფა და გული იჯერა.

— დათიკო, სამახარობლო რა იქნება? — მოგვიახლოვდა კაუჭა ჯოხის კაკუნით.

— ბიჭის წერილია? — გაიბადრა დათიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო!

კაცებმა მიიწ-მოიწიეს და შუაში ჩასვეს.

— მაჩვენე?.. ეს მამაძაღლი, — კიდე ჩაახია კონვერტს, — სამი თვეა არ მოუწერია, ჯავრით დავიხოცეთ...

— ომი არ იყოს და... მე თუ მკითხავთ, უხდებათ კიდეც.

— ომი ღმერთმა გვარიდოს, — შეხედა დათიკომ მთქმელს, — არ გვეყო, რაც გადავიტანეთ?.. ვისაც არ უნახავს, ვერც გაიგებს, როგორი ცოდვის კითხვა ტრიალებდა... ნოვოროსიისკთან ტრიალ მინდორზე ჩაგვიჭირეს, თანაც სუ ქართველობა, ხეს ვერ მოეფარებოდი და კლდეს.

ვიდრე სანგრებს გავთხრიდით, — მიწა აადუღეს, გადაგვიფრენენ მესერშმიტები და გვპარსავენ ცხვარივით... მთელი პოლკი რიყის ქვასავით დააფინეს... თანაც სუ დარჩეული ბიჭები... ეჰ! — ხელი ჩაიქნია და ისევ ფურცელს ჩახედა.

— ძია თომა...

— თქვენი არც ერთია, შვილო! — ერთხელ კიდევ გადაათვალიერა წერილები, — იქიდან ცოტა ძნელია გამოგზავნა, ხან გზაშიც იკარგება, პატარა მანძილი ხო არ არის — მატარებლით ერთი თვე მაინც უნდა რო ჩახვიდე.

— მართლა? — გაიოცა კოჭლმა მიხამ.

— მაშა!.. ეგ რა არის, ახლა იქით კიდევ რამდენი რჩება...

— მიკვირს და გამკვირვებია, ერთმა მუჭა „ნემენცმა" ამხელა ქვეყანას როგორ შემობედა.

— როგორ შემობედაო... მარტო კი არ იყო, მთელი ევროპაა გამოირეკა... თანაც მოუმზადებლები დავხვდით... გინდა ყარამან-ყანთელი იყავი, ზურგიდან თუ წამოგეპარა, პატარა ბავშვიც კი საშიშია — დაგცხებს კეფაში და გაგათავებს.

— მართალი ხარ! — დაემოწმა დათიკო და წერილი ისევ კონვერტში ჩადო.

— რაო, რას იწერება.

— კარგათა ვაარო, კიდევ ხუთი ქართველი ბიჭი შეგვემატა და ჯიხვებივით დავდივართო.

— ჯანი კი იცოცხლე, მამისა მოსდევს!

— ჰოო... — მორცხვად ჩაეღიმა დათიკოს და ხელის მძიმე მტევანი მუხლზე დაირტყა, — წამო, თომა, სამახარობლო ნამდვილად გეკუთვნის, დედაკაციც გავახაროთ და თან...

— არაა! — შორს დაიჭირა თომამ.

— შენ რო უარი არ იცი? ეგრევე, ზეზეულათა, სამ-სამი ჩავიცვათ და ეს ქვეყანაც უფრო გალამაზდება, — ლამის იღლიაში ამოიდო ფოსტალიონი, თუმცა მაინცდამაინც არარც თომა გასძალიანებია, — თქვენ რაღას უდგეხართ, — მოუბრუნდა დანარჩენებს, — ყველი, პური და კეთილი გული... ეს კვირადღე მაინც დაკარგულია....

ვითომ ფეხათრეულები აედევნენ, — რა კაცი ხარ, შენ თუ ატყდი, ვიღა გადაგათქმევინებსო...

არტემამ უსიცოცხლო, მიმქრალი მზერა გააყოლა მიმავლებს...

სახლში რომ შევბრუნდი, ბებიაჩემს სკამი მიედგა, სურათის ჩარჩოებს მტვერს აცლიდა, თან გაბმით ზუზუნებდა.

— მოგიკვდეთ ჩემი თავი, შვილებოო... ვიცოდე მაინც, სადა ხართ, სად ჩაყარეთ ძვლები...

ჩამოჯდა სკამზე და ახლა ქვემოდან შეაცქერდა.

— სულ ცრემლი, სულ მოთქმა, აღარ გათავდა, აღარ გამოილია, რაც ჩვენს ოჯახს უტირია — წისქვილის ქვას აბრუნებდა, როდემდე და სადამდე, არ კმარა?.. ჩემო ბოხვერა ბიჭებო, გულგაუხარებლებო, სიმწრით გაზრდილებო, თქვენი დაბადების დღეა... ვაიმე, რა მეშველება თქვენს დამკარგავს...

თავსაფრის ყურით თვალები ამოიმშრალა.

— სანთლები მომიტანე!.. მანდვეა, სარკის უკან... არ მერჩივნა, გოგოებად გაჩენილიყვენენ?.. საწყალი პაპაშენი, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მოზვრებიო, მალე წამოგვესწრებიან, გადავიდოთ ფეხი ფეხზე და ვიყოთ, ვუყუროთ ამათ ბედნიერებასო... ეშმაკს არ სძინავს, შვილო, არ აპატია ეს სიტყვები... ხან ვიფიქრებ, ეგებ რამე ცოდვა გვაქვს ჩადენილი ან ჩვენ, ან ჩვენს წინაპრებს და ამიტომ მოგვეკითხა-მეთქი...

ოჯახში კაცის სუნი უნდა ტრიალებდეს, იმის ხელის ნაბანიც კი უფრო ძვირფასია, ვიდრე თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი...

სანთლები წყნარად იწვიან. ბიძაჩემების ბავშვური, გულუბრყვილო თვალები სიყვარულით მომჩერებიან. მგონია, სურათიდან გადმოვლენ, გიმნასტურის ღილებს შეიხსნიან, სახელოებს აიკეცავენ და ცივი წყლით გაგრილდებიან.

გარდაცვლილებს წლები არ ემატებათ. ეს სახეებიც ასეთებად დარჩებიან, თუნდაც ასი წელი გავიდეს, ნაოჭი არ გაუჩნდებათ და ჭაღარა, მაგრამ ძალიან მოიწყენენ თუკი არავინ ეყოლებათ სანთლის დამნთები და ჩარჩოდან მტვრის ჩამომწმენდი...

საღამო ხანზე თინა და ნიკო გვესტუმრნენ.

გადახადა საფენი ბებიაჩემმა ჯერ კიდევ თბილ ქადებს, მივუსხედით მაგიდას და ივანემ და გიორგიმაც შემოიხედეს.

— აქ დაჯექი, სუფრის თავში, უკვე კაცი ხარ.

ყველანი შეფარული ღიმილით შემომყურებენ. მღელვარება რომ დამეფარა, საღვინე ავიღე.

— მე დავასხამ! — ჩამომართვა ივანემ და ჭიქები შეავსო...

თვითონ არ მესმის, რას ვლაპარაკობ, სიტყვებს წვალებით ვაკოწიწებ, მაგრამ თან ბედნიერი ვარ, — დღეიდან ჩვენს ოჯახში „კაცის სუნი“ იტრიალებს და ჩემი ხელის ნაბანიც კი თორმეტ უღელ ხარ-კამეჩს ემჯობინება.

დედაჩემს დიდი, ლამაზი ცრემლი უბრწყინავს თვალზე და ჭკვიანი მოწაფესავით მისმენს...

●

— ღამე მშვიდობის, კაცო! — ნიკოს დიდხანს უჭირავს ჩემი ხელი.

შემთვრალია და მოწკურული თვალები უციმციმებს.

— წავიდეთ, არ შეგცივდეს, — მხარზე ეფერება თინა.

— ხედავ, როგორ ზრუნავენ? ცოლი როცა გეყოლება, შენზეც იზრუნებენ.

— რეებს ეუბნები...

— ცუდი არაფერი მითქვამს, ცოლიც ეყოლება და შვილებიც, აბა, ამ ქვეყანას პატრონი არ უნდა?.. „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია...“ მე და შენ ერთად წავიკითხოთ გალაკტიონი... დიდია, ძალიან დიდი, გესმის?.. „ელვარე და ლომფერი იყო ცხრა ოქტომბერი...“ ჩვენ წავედით, კაცო!.. ყველაზე მეტად, იცი რა მიკვირს, — მომიბრუნდა ისევ. — ხანდახან ნაგავში რომ სურნელოვანი, ლამაზი, ცისფერი ყვავილი ამოდის... ეს როგორ ხდება და რანაირად, ჰა?.. თინა შენ არ გიკვირს?..

აივანზე თამრიკო იდგა, გაუნძრევლად, ქანდაკებასავით და ისიც „ქლიავისფერ მთებს“ გაჰყურებდა.

თინას კოსტიუმი ჰქონდა მოსხმული და ნიკოს ხელკავით მიჰყვებოდა.

გაზაფხულივით დღე ლურჯად დაღამდა.

თუთასთან სკამზე ჩამოვჯექი, გულხელდაკრეფილი ხეს მივეყუდე და თვალმოხუჭული გავირინდე.

თვალებით ორი პატარა ღამე დამაქვს, როცა მოვიწყენ — დავუშვებ ქუთუთოებს და იმ ღამეებში დავდივარ, დავხეტიალობ, ვისაც მინდა მარტო იმას ვხვდები და იმას ვხედავ, რაც მენატრება...

ღამეებში ხანდახან მთვარე გამობრწყინდება, — ეს კიდევ ჩემი ცრემლია... ცრემლი როდის ანათებსო, იტყვით, აბა, ხელისგულზე დაიწვეთეთ თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციაგდება?.. არა? რა ვიცი, ჩემი კი ანათებს და...

მინდორში კელაპტრიანი ქალი დადის და ბუტბუტებს:

— გამარჯობათ, სამოთხის ლამაზებო, როგორ ჩაგძინებიათ, ჩახვევიხართ ერთმანეთს. სიბნელის გეშინიათ? — ამ სანთელს დაგიდგამთ და ვიდრე ჩაიწვება — ინათებს კიდეც. ანდა დილის დადგომას რა ძალიან ეშურებით! გაიღვიძებს ადამიანი, შემოგისევთ ნახირს, გადაგივლიან, გადაგძოვენ სამყურებო, მატიტელებო... გვირილებო, ყაყაჩოებო, თქვენ კიდევ მიწას დაგასრესენ...

— დედა! — გავძახე.

შემობრუნდა, კელაპტარი მომანათა და ყელზე ამობერილი ძარღვი შეუტოკდა.

— აქ საიდან გაჩნდი? წადი, არ გამოტოპო მდინარე, თორემ მოდიდდება და უკან ველარ გახვალ.

— ძლივს გიპოვე და ახლა გავბრუნდე?

— ჰო, ჰო!

— აღარ გიყვარვარ და იმიტომ მაგდებ?

— მეორედ აღარ თქვა... შენც რომ აქ დაგტოვო, მამაშენს რა პასუხი გავცე... წადი!

ზურგი შემაქცია და წელგამართული გაჰყვა მინდორს.

„მეკითხა მაინც, ნაოპერაციევი კიდევ თუ აწუხებს!..“

— დათო, დათო, თუთასთან რა საძილე ადგილი ნახე... მეგონა, თინა და ნიკო გააცილა-მეთქი.

— იცი, რა სიზმარი შემაწყვეტინე?

— არა უშავს, ლოგინში გააგრძელე, შენ სანახავს სხვა მაინც ვერ ნახავს!

ძაღლი ყეფით მიაწყდა ღობეს. ხმაზე ვიცანი, აბრია და მიხა მოდიოდნენ. არც ერთს პირში ენა აღარ ედო, რაღაცას გაურკვევლად ბურტყუნებდნენ.

„ეგრევე, ზეზეულათაო... სამ-სამიო...“ — ესეც შენი „სამ-სამი“.

●

სარკეში დიდხანს ვათვალიერე ჩალურჯებული თვალი. თავიც ისევ მიბრუის. ღილებაწყვეტილი ხალათი გავიხადე, ტახტზე გულაღმა გავიშოტე და სველი ცხვირსახოცი დავიფინე.

ტკივილი ჯანდაბას, არ დამჩნეოდა მაინც, ბებიაჩემს რა გაუძლებს.

დიდ დასვენებაზე ფანჯარასთან ვიდექით და მავთულზე ჩამომსხდარ ბეღურებს ვუყურებდით.

— წისქვილი არ მოგენატრა?

— მომენატრა.

— გაკვეთილების შემდეგ წავიდეთ.

— სახლში რა ვთქვა.

— ტყუილები გამოგელია?

— გამომელია.

— მაშინ სიმართლე უთხარი.

— „სიმართლის მთქმელს ცხენი უნდა ჰყავდეს შეკაზმულიო“, გაიგე?

— შევკაზმოთ, ოღონდ სარკის და სავარცხლის წამოღება არ დაგავიწყდეს.

— ჰი-ჰი! — გაეცინა თამრიკოს.

დაჟინებულმა მზერამ შემოგვაბრუნა. კედელთან თამრიკოს ძმა და ნიკალას ბიჭი, ოთარი იდგა.

— მოდი აქ, — თითი დაუქნია ძმამ.

თამრიკო კლასში შევიდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ოთარი კი ჩემკენ დაიძრა.

ტანში უსიამოვნოდ ამჭინჭრა...

წითელების მერე მოვიკეთე თუ არა, ციგას თოკი ჩავაბი და ჰაერზე გამოვედი.

ბავშვებს ოთარის სახლთან დაელიპებინათ დაღმართი.

პირველივე დაცურებაზე ციგამ თავი წამართვა და ლამის შავებიან ქალს დავეტაკე.

ქალი ცივი, გაყინული თვალებით დამაკვირდა.

— მკვლელის შვილო, არ გამოილიოს ძაძები თქვენს ოჯახში!

ხრინწიანმა, უსიამოვნო ხმამ ადგილზე გამაშეშა, მერე ვიფიქრე, ალბათ სხვას ეუბნება-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად იყურები, შე თვალებდასაბრმავებელო... ლამის ფეხები არ მომამტვრია?.. მალე სახლშიც შემოგვიცვივდებით... ამოგწყვიტათ გამჩენმა!..

ოთარის ბებიამ კიდევ დიდხანს მწყევლა. გული სადღაც გამეპარა, ფეხი ვერც მაშინ მოვიცვალე, ოთარი და მისი უფროსი ბიძაშვილი ანზორი რომ გამოცვივდნენ.

— სეირის საყურებლად მოხვედი? — მეცა ანზორა და ხელები უკან გადამიგრიხა, — სცემე! — უთხრა ოთარს და ამანაც დამიშინა...

ტკივილს ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ გემოზე მივხვდი — ცხვირიდან სისხლი მომდიოდა.

ქუდის ასაღებად დავიხარე. გაწურული გუნდა კეფაში რაკუნით მომხვდა. რამდენიმე წამს აირია ყველაფერი, ჩემს წინ ერთი კი არა, ხუთი ოთარი იდგა და ხუთივე სახეზე ამაოდ ვეძებე სიბრალული.

— დღეს ეყოფა, — წაიყვანა ანზორამ.

მესერის ტიხარში ქალის გაყინული, კმაყოფილი თვალი დავინახე...

შემოხვეული ბავშვები ხასიათწამხდარნი შემომყურებდნენ. ბოლოს ვიღაცამ ქუდი დაფერთხა და მომაწოდა.

ახლა ამომიჯდა გული, ტკივილმა კი არა, უფრო იმან ამატირა, რომ მოხმარება ვერავინ გაბედა.

ის დღე იყო და ის დღე, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. იცოცხლე, ოთარი ეძებდა ხოლმე ჩხუბის მიზეზს, მაგრამ თავს ვარიდებდი, ის შიში ვერ დავძლიე, დანახვაზეც კი მუხლები მიდუნდებოდა.

ახლაც კეფა გამიცხელდა, თითქოს გაწურული გუნდა ხელმეორედ მომხვდა, — მიახლოვდებოდა ხუთი ოთარი და ზურგიდან გაყინული, მესერს მოფარებული თვალი აქეზებდა.

ფანჯრისკენ შევბრუნდი.

— ამ გოგოს თავს როდის დაანებებ!

მღელვარებისგან ლამის გული გამიჩერდა.

— შენ გეუბნებიან!

— რა გინდა.

— ვერ გაიგე, რაც მინდა?

„ამათ გვარში ყველას ერთნაირი, უსიამოვნო ხმა როგორ დაჰყვა — ამაყი, დამცინავი, მილიონ ხმაში გამორჩეული, — თვალი ძლივს გავუსწორე, — სახე უპრიალებს, ეტყობა, პირს უკვე იპარსავს“.

— მომეშვი, მე შენთან საქმე არა მაქვს! — წამომცდა ვედრებით და ჯავრისგან ავკანკალდი.

ნასიამოვნებმა უფრო მეტი ზიზღი ჩაიგუბა თვალებში.

— არ უნდა გვკითხო, ეგებ სხვასაც მოსწონს... თუ შენზე ნაკლები გგონია ვინმე, გავიდეთ, თითო გავარტყათ... ორი დღეა მაინც ხელები მექავება... აბა, დასუნე? — ცხვირთან მომიტანა მუშტი.

„ნუთუ ახლაც მარტო ვრჩები...“ — გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, კლასიდან გიორგი გამოვიდა, შემოხვეული ბავშვები მისწი-მოსწია და გვერდით დამიდგა — ეტყობა, თამრიკომ გამოგზავნა.

გული დამიწყნარდა, ჩემ წინ ხუთი კი არა, ერთი ოთარი იდგა. გაპრიალებულ ყბას მზერა ვერ მოვწყვიტე — უნდა მეთხლიშა, აჩემებული შიში დამეთრგუნა, წლების ბოლმა ამომენთხია...

ისევ შეხვდა ჩვენი გზები ერთმანეთს. ასე მალე და თამრიკოს გამო — არ მეგონა, თორემ ოდესმე რომ პირისპირ დავდგებოდით — ვიცოდი... სხვა გზა აღარ მქონდა, ან ახლა უნდა გამებედა, ანდა... ხელმეორე შერცხვენას ვეღარ ავიტანდი...

კალოებზე მივედით, მე — გიორგი, ოთარს თამრიკოს ძმა და კოჭლი მიხას შვილიშვილები გამოჰყვნენ.

— ზვინს მოვეფაროთ, არავინ დაგვინახოს! — თქვა გიორგიმ.

— მე ეს ადგილიც მომწონს, — ოთარი უცებ შემობრუნდა და თავი დამაჯახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგონა, მარცხენა თვალი ამომვარდა.

აფარებული ხელი მოვიცილე, გიორგის უკნიდან ეჭირა ოთარი და არ უშვებდა, — დანდობილას, როგორ დაარტყიო.

— გამიშვი, შენი...

პირველი დარტყმა ჭირდა, პირველი გაბედვა...

გავუშალე და შეელება ცხვირ-პირი.

— ახლა გაუშვი!—ვუყვირე გიორგის.

გაპრიალებულმა ყბამ მაგნიტივით მიიწება მუშტი... ერთხელ, მეორედ, მესამედ და წასაქცევად გადაქანდა.

— გეყოფა! — გადამიდგა გიორგი.

— არ მომეკარო! — ხელი ვკარი და ოთარს მუცელში თავით დავეტაკე...

მიწაზე დაგდებულს ვერ ამაძრეს, ვცემდი უმოწყალოდ, მამაჩემის, დედაჩემის, გამწარებული წლების გამო... ახლა ეთვალთვალა შუშის სასიზღარ თვალს, ახლა გამოჩენილიყო დორბლიანი ანზორა, ბარემ იმასაც მოვუწვენდი გვერდით და საბოლოოდ გავსწორდებოდით...

როგორც იქნა, დაგვაშველეს.

—კიდევ ვის მოგზავნას აპირებთ? — გულმოსული ახლა თამრიკოს ძმას ვეცი.

გაფითრდა, სატირლად აუკანკალდა ნიკაპი და ვერ გავიმეტე.

მიწაზე დასაკეცი დანა ეგდო, ოთარს ფეხით ახლოს მივუგდე.

— ამის იმედით მოდიოდი?

წამოჯდა, დანა ჯავრიანად შორს მოისროლა, გასივებული სახე მკლავებში ჩამალა და აქვითინდა.

„ბოღმაა, მაგრამ მაინც საბრალოა... ესეც ობოლია!..“

ზვინთან, ჩამოშლილ ბზეზე მივწექი. გიორგიმ ჩანთები მოიტანა.

— ტირილი რომ დაიწყო, შემეცოდა, — ჩამომიჯდა გვერდით.

— მეც-მეთქი, — მინდოდა მეთქვა, მაგრამ დავეჭვდი, არ დამიჯერებდა და გავჩუმდი.

ჩემს ფორმის ხალათს ბოჩოლა სახელოს უღეჭავდა, გორახი ვესროლე და მოეშვა.

— სახლში იტყვის? — თავქვეშ ხელებამოწყობილი გიორგი კბილებით ბზის ღერს ათამაშებდა.

— რა ვიცი, ხვალ გაირკვევა... სვავია?

— არა, ყორანი.

ფრთებს თანაბრად, ღონივრად იქნევდა, დასტრიალებდა კალოს და გაფაციცებული დაბლა ჩამოიცქირებოდა.

— რას ეძებს!

— ალბათ შენი ხალათის აწყვეტილ ღილებს, — გაეცინა გიორგის...

ბებიაჩემი შემოვიდა.

— რა მოგივიდა, შვილო, ახლა შენი ჩხუბების თავი მაქვს?

— ვინ გითხრა!

— გავიგე!

— არა, მაინც?

— ისიც ვიცი, რაზეც იჩხუბეთ, რა გინდა, მოეშვი, ეგენი ნიკალას ბიჭზე მეტის ღირსები არც არიან.

სახტად დავრჩი, სად ბებიაჩემი და სად ასეთი წყნარი ლაპარაკი, თანაც ვისზე — არტემას შვილიშვილზე.

— მარტო ეგ არ იყო მიზეზი... ძველი ანგარიშები გვქონდა!

— ცუდი ჯილაგის ხალხია და მეშინია, რამე არ გიხიმანდრონ.

— იქით, ეშინოდეთ ჩემი.

— მართლა მაგრად მოსდე? — ვერ დამალა სიამოვნება...

ისევ ამოტივტივდა ის მძიმე დღეები. მამაჩემი წაიყვანეს.

თვაურის ბიჭის ცოლ-შვილი ნათესავებთან გაიხიზნა.

წითელები რომ არ მქონდეს ჩვენც ბიძაჩემთან წავიდოდით, — ისეთი არეულობაა, თავის გარიდება სჯობს.

არჩილ მასწავლებლისა და ივანეს გარდა, არავინ მოდის. ეშინიათ, ნიკალა კი მოკვდა, მაგრამ როგორც ბებიაჩემი ამბობს, „მისი კუდები“ დაძრწიან, იმუქრებიან, სისხლი სისხლით უნდა მოიბანოსო. აივლიან-ჩაივლიან გინებით. ძაღლს ყბა მოექცა ყეფით. თითქოს გული უგრძნობსო, მთელი ღამე დერეფანში დაგებულ ნაჭერზე წევს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხიზლობს, ეზოს გარეთ არ გადის, ბომბორა კუდის ქიცინით ყოველ კუთხე-კუნჭულს ყნოსავს, ათვალიერებს, გამწყრალი იღრინება. ძილის წინ ბებიაჩემი კარს კეტავს და საწოლქვეშ გაფხავებული ცული უდევს. დედაჩემი სულ გამოითიშა, დაბნეული გვერდიდან არ მცილდება...

ნიკალა დამარხეს, ქელეხიდან დაშლილი ხალხის ყაყანი მოედო სოფელს.

— ღმერთო, ეს ღამეც მშვიდობით გაგვითენე! — პირჯვარი გადაისახა ბებიაჩემმა, აყეფებული ძაღლი ძლივს მოაცილა ჭიშკარს და სახლში შემოიყვანა — აქ იჯექი და გაჩუმდი! — დაემუქრა თითით.

დედაჩემი გაუხდელად მომიწვა, მოქანცულს მალე მიეძინა. ფეხი დამიბუჟდა, მინდა გვერდი ვიცვალო, მაგრამ მეშინია არ გავაღვიძო.

ბებიაჩემი განუწყვეტლივ ქსოვს, ვაიმე, რა ვქნაო! — წარამარა ამოიოხრებს.

ლამპის შუქზე ცულის პირი ბრწყინავს.

ჩამეძინა.

ფეხების შეწყობილი ტყაპატყუპით ეზოში ვიღაცები დადიან. გავიხედე — ბიძაჩემები მოსულან, სამხედრო ქუდები ოდნავ გვერდულად ახურავთ და ხელი ქამარზე ჩამოკიდულ, მოლაპლაპე ხმლის ტარებზე უდევთ.

„საშიში აღარაფერია, სადაცაა მამაჩემიც ჩამოჰყვება ბოლო ავტობუსს ზოგი მერე იგინონ „ნიკალას კუდებმა“ — ვფიქრობ სიზმარში და კედელზე მოქანავე სურათის ცარიელ ჩარჩოებს შევყურებ...

დილით სუფთა, ფეხდაუკარებელი თოვლი იდო ეზოში, ბიძაჩემები ისევ ჩარჩოებს „დაბრუნებოდნენ“, ავტობუსი კი, რომელიც მამაჩემს ქალაქიდან ამოიყვანდა — არც სიზმარში და არც ცხადში აქამდე არ გამოჩენილა...

ავტობუსი დღეში ორჯერ მოდიოდა — ცხრაზე და ხუთზე ატუზული ვიდექი გაჩერებასთან.

მოუხვევდა სოფლის ცენტრში, შორს ისევ ქალაქისკენ იზამდა, ჩამოიცლებოდა ხალხი და ჭაღარა შოფერი კაპოტს ახდიდა, ჯერ ზეთს შეამოწმებდა, მერე მოხსნიდა რადიატორს თავსახურს და ამოვარდებოდა ცხელი ოხშივარი.

— შენს გაზრდას, წყალი მომირბეინე, — გვერდებშეჭეჭყილ ვედროს რომელიმე ბავშვს მიაწვდიდა.

ვიდექი იმედგაცრუებული და რატომღაც მეგონა, რომ მამაჩემი ამ ჭაღარა კაცს არ მოჰყავდა, თორემ ამდენ ხანს ქალაქში რა გააჩერებდა.

— ყოველდღე დაბარებულივით რომ დგახარ, ვის ელოდები? — მკითხა ერთხელ და მაზუთიანი ხელების წმენდით წინ დამიცუცქდა.

დაბღვერილმა შევხედე.

— ოო, როგორი კოპების შეკვრა გცოდნია...

— მამაჩემს ველოდები... გვითხრა, საღამოს ავტობუსს გამოვყვებიო...

— ალბათ საქმეებს შერჩა. ჩამოვა, სად წავა... გაიქეცი სახლში, თორემ შეგცივა.

— ჩამოიყვან?

— თუ შემხვდა, მაშ რას ვიზამ, ამ ყინვაში გარეთ ხომ არ დავტოვებ.

ავტობუსში ავიდა, კარი მიიხურა და ვიდრე მანქანას დაძრავდა, წინა სკამიდან გადმოხრილმა მკითხავი კატოს ბიჭმა რაღაცა ჩაულაპარაკა.

მძღოლი ნაღვლიანი თვალებით მომაჩერდა.

„ნეტა ასეთი რა უთხრა-მეთქი“, — თავი ჩავღუნე და თოვლს დავუწყე ტკეპნა...

ავტობუსი ისევ მიდიოდა და მოდიოდა. შოფერი აღარაფერს მეკითხებოდა, მხოლოდ ხანდახან ჭრელფოჩიანი კანფეტები მოჰქონდა.

მარტის დასაწყისში კი თოვლი რომ დადნა და გზები აილაფა — ჩვენებმა ახლები ჩამაცვეს და ცხრასაათიან ავტობუსს ქალაქში გავყევით.

---

ვანო ჩხიკვაძე
ჩიტები ზამთარში

ეროვნული

— საით გაგიწევია?

— მამაჩემი უნდა ვნახო!

— მამაშენი? — გადახედა ჩვენებს.

— დღეს არის სასამართლო! — უთხრა ბებიაჩემმა და ფანჯარასთან დამსვა...

დარბაზი გაივსო. ნიკალაანთები და ჩვენ სხვადასხვა მხარეს ვისხედით. გაყინულთვალებიან ქალს მუხლებზე გადიდებული სურათი ედო და კბილატკივებულივით დაღმუოდა. ღმუილი უფრო გაძლიერდა, როცა გრძელ, მწვანე ნაჭერგადაფარებულ მაგიდას მრისხანე სახის კაცები შემოუსხდნენ და ორმა მილიციელმა თვაურის ბიჭი და მამაჩემი შემოიყვანა.

ვიღაც აკივლდა, ვიღაცამ შეიგინა.

გაფითრებულ მამაჩემს ლანძღვაზე წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ ჩვენ გვიყურებდა, თითქოს უნდა კარგად დაგვიმახსოვროსო.

მაგიდის შუაგულში რომელიც იჯდა, იმან, ზარი დარეკა და იყვირა კიდეც, გაჩუმდითო.

ხელში ამიყვანეს და კალთაში ჩამისვეს. ბენზინის სუნზე მივხვდი, — შოფერი იყო...

განაჩენი როცა გამოაცხადეს, თვაურის ბიჭი მოწყვეტით დავარდა სკამზე. მამაჩემი კი უფრო მეტად გაფითრდა, შუბლზე ჩამოშლილი თმა ნერვიულად გადაისწორა და როცა შოფერმა ახლოს მიმიყვანა და მაღლა ამწია — ძლივს გამიღიმა...

უსიამოვნოდ იჟინჟლებოდა. ქუჩები სველი იყო, ქალაქი ნაცრისფერი, ციცი, გულმიუვალი. მანქანები გუბურებს გვერდს უვლიდნენ და გარბოდნენ.

ავტოსადგურთან მომლოდინე ხალხი ირეოდა.

— სადა ხარ აქამდე, ვალიკო! — უსაყვედურა მაღალმა, წითელსამკლაურიანმა კაცმა, — უკვე ნახევარი საათის გასული უნდა იყვე.

— უმიზეზოდ, ხომ იცი, რო არ დავაგვიანებდი! — ხელები გაუშალა მძღოლმა.

ვალიკომ თავი პატარა სარკმელში შეყო, იქიდან რაღაც ფურცლები გამოაწოდეს და გვანიშნა, წავედითო.

ჩვენები აქეთგზობას უფრო იმედიანები იყვნენ, ახლა სულ ჩაქრნენ, ღრმა, გაურკვეველ თვლემაში წასულებივით, მხოლოდ ავტობუსის შეჯანჯღარებაზე თუ შექანდებოდნენ.

ვალიკოს გვერდით ვიჯექი.

შოფერი ფიქრიანი თვალებით გაჰყურებდა ოღრო-ჩოღრო გზას და ოდნავ ჩამოწეულ ფანჯარაში დაშლილი ძაფის გორგალივით მიძვრებოდა პაპიროსის კვამლი.

სოფელშიც წვიმდა. გაჩერებასთან ორი კაცი და ერთი ქალი იცდიდა. სამივე ჭრელ ქოლგას შეფარებოდა და ამრეზილები შემოგვყურებდნენ.

ჩასვლა აღარ გვაცალეს, დაკეცეს ქოლგა, წინ ქალი ამოუშვეს, მერე თვითონაც ამოლაგდნენ.

გავილუმპეთ, სად ხარ აქამდეო! — ჩაიბუზღუნეს ვალიკოს გასაგონად და წინა სკამებზე მოკალათდნენ.

— როგორ გეკადრებათ! — უკან წაალებინა ბებიაჩემს ფულიანი ხელი.

— არ დაიჯერო, სულ ტყუილად მიუსაჯეს, ვალიკო! — ისეთი თვალებით მიაჩერდა, თითქოს მამაჩემს რაიმე შელავათი ექნებოდა, თუკი შოფერი უდანაშაულოდ ჩათვლიდა...

ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა, ვიდრე ვალიკო ქალაქის ავტობუსზე არ გადაიყვანეს.

●

— ასე შეიძლება ერთმანეთი დაასახიჩროთ, — ბამბა ყვითელ ხსნარში დაასველა თინამ და თვალზე დამადო, — გეჭიროს!

— ბავშვობაში ყველა ვჩხუბობდით.

— ამას კიდევ ფრთების შესხმა უნდა? — საყვედურით გადახედა ნიკოს და ბინტი დამახვია, — ამაღამ არ მოიხსნა...

— რას იზამ, ზოგჯერ მხოლოდ ტკბილი სიტყვა და თავის ჩაღუნვა არ კმარა... დეიდა ბაბალემ რა გითხრა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ძალიან გიხდება, ნეტა მეორე თვალიც ეგრე გქონდესო.

რატომღაც ლაპარაკის სალერღელი ამეშალა.

ორივე ყურადღებით მისმენდა, ყველაფერი, რასაც კი უთქმელად დავატარებდი, ამოვალაგე.

ნიკო მოიღუშა, თინა აცრემლდა.

„საიდან გაჩნდნენ ეს ადამიანები, რატომ არ ჰგვანან სხვებს, ანდა სხვები რატომ არ ცდილობენ ამათი მსგავსნი იყვნენ?“

—სხვაგვარად არ შეიძლებოდა, დღეს თუ ხვალ მაინც უნდა გვეჩხუბა! — დავასკვენი და გავჩუმდი.

— კი მაგრამ, როდემდე... თქვენმა მშობლებმა რა მოიგეს ერთმანეთთან დავით, რომ თქვენც იგივე არ გააგრძელოთ! — თინამ მურაბის ქილას თავსახური მოხადა.

მდუღარემ უცებ დაადნო შაქრის ნატეხები და ჭიქიდან ამოსული ორთქლი სახეზე მომელამუნა...

●

მეორე დღეს ოთარი სკოლაში არ მოსულა.

დირექტორთან დამიძახეს.

„აუჰ, შედი ახლა ამ თვალით!“

გაყინულთვალება ქალს კართან შევეჩეხე. განზე გავდექი, გზა დავუთმე. სიტყვები ვერ გავარჩიე, მაგრამ რაღაც ჩაისისინა და შავი ფეხსაცმლის რაკარუკით გაიარა დერეფანი.

„მაინც უთქვამს... ლავრენტას ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის მოსმენა არ გინდა?..“

— მობრძანდი, მობრძანდი... დაჯექი! — მანიშნა სკამზე, — რა გჭირს თვალზე? — გადავიდა პირდაპირ დაკითხვაზე.

„ვითომ არ იცის!“

— წავიქეცი!

— ოთარიც წაიქცა?

მხრები ავიჩეჩე.

სათვალე მოიხსნა და წამოდგა.

— რა მხეცობაა...

ძალიან მაღალზე მოუვიდა დაწყება და ხმა სასაცილოდ აუკივლდა. ცხადია, სჯობდა, თანდათან აემაღლებინა, ასე შეიძლება ყელი იტკინოს.

წყალი მოსვა.

— მაგას გასწავლით ერთმანეთი არ დაინდოთო?.. ბებიამისი ძლივს გავაჩერე, საჩივლელად გარბოდა.

— რას აჩერებდით, წასულიყო.

— ხმა! — მაგიდას დასცხო ხელი. — უყურე ერთი ამას?.. დედაშენის ხსოვნას მაინც ეცი პატივი, რას ჰგავს შენი საქციელი. ამდენი უმსგავსობა გაგონილა? სულ შენი სამდურავი უნდა მესმოდეს?.. დაამთავრე სკოლა და მერე კისერიც გიტეხია!..

— კიდევ ვინ მემდურება?

უჯრა გამოაღო და შუაზე გადაკეცილი ფურცელი ამოიღო. ჩემი ხელი მეცნო და პირკატა მეცა.

ლავრენტამ სათვალე გაისწორა.

— თამრიკო, იმ თოვლს, შენს ხელის
სითბოს
კუბოს ფიცრამდე მე შევინახავ,
წმინდა გიორგის ეკლესიაში
როცა მითხარი: „ძლიერ მიყვარხარ!“

კიდევ გავაგრძელო?..

— თქვენთან როგორ მოხვდა — ამკრა სირცხვილისა და სიბრაზის ალმურმა.

„ნუთუ თამრიკომ... არა, შეუძლებელია!..“

— ეგ შენი საქმე არ არის!.. ჯერ ერთი, რა უნდათ ბავშვებს, თანაც კომკავშირელებს ეკლესიაში, იქნებ სანთლებიც დაანთეთ და ილოცეთ!.. მე შენ გიჩვენებ ეკლესიას!.. — დააკაკუნა თითი. — გადავიდეთ მეორე საკითხზე...

— გაკვეთილი იწყება! — ვეცადე „მეორე საკითხიდან“ თავი დამეძვრინა.

— იჯექი!.. იცი თუ არა შენ, რომ ყველაფერს თავისი დრო და ასაკი აქვს, — დამიმარცვლა, — ა-სა-კი...

— აბა, „რომეო და ჯულიეტა?“

— ოჰო? — სათვალე ისევ ცხვირზე

დაიკოსა და გაკვირვებული დამაცქერდა, თითქოს მე კი არა, წინ სხვა უზისო და ძლივშესამჩნევმა ღიმილმა გადაუარა, — საინტერესოა, საინტერესო... საიდან იცი?

— წავიკითხე, თანაც რამდენჯერმე! — ჯიუტად გავუსწორე თვალი.

დაიბნა, ერთხანს ქაღალდებში იქექა, მერე რატომღაც ისევ აყვირდა:

— არა, ბატონო, არა, „რომეო და ჯულიეტას“ მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგება... ის სულ სხვა დროა და სხვა სამყარო...

კიდევ დიდხანს ილაპარაკა და თვითონაც რომ მოიღალა და მეც ყურები გამიხვრიტა სიტყვების ბრახაბრუხით — გამომიშვა.

—წადი ახლა და თუ კიდევ განმეორდა ასეთი უმსგავსობა, — დამიქნია ფურცელი, — მერე უკვე სხვაგვარად ვილაპარაკებთ.

ბავშვები კართან იყვნენ მოხვეულები.

— რაო, რა გითხრა? — მკითხა გიორგიმ.

— ვინც შენ გაწყენინებს, ჩემთან ექნება საქმეო.

ჩაეცინათ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს, — ლავრენტას ყვირილი ხომ მთელ სკოლას ესმოდა.

— მოპატიჟე გამოგიგზავნოთ? — ნიკოს ჟურნალი ეჭირა და კლასის შესასვლელში გვიცდიდა.

●

გიორგი და ნატო ასკილს კრეფენ. ჩვენ მორზე ვსხედვართ. თამრიკო ნეკერჩხლის წითელ ფოთოლს ატრიალებს.

— გაიცინე, რა მოგივიდა... ასე ცხვირი დაგიგრძელდება და აღარ მომეწონები... მაჩვენე ხელი!

წინ დავუცუცქდი.

— შენ სიკვდილს არ აპირებ?.. რამსიგრძე სიცოცხლის ხაზიაა!.. ნახე ჩემი ხელისგული, ბევრი-ბევრი, ოცი წელი კიდევ ვიცოცხლო.

— ვინ გასწავლა ეგ სისულელე! — მეორეც გავაშლევინე და სახე ხელებში ჩავმალე.

თითებს ოდნავ ამოძრავებს, მეფერება. მერე ნიკაპსქვემოთ, ყელთან ამომიწყო გრილი სატაცურებივით და სუნთქვა შემეკრა... ვგრძნობ, როგორ უთრთის მკერდზე მიბჯენილი მუხლისთავები და შუბლს მიკაწრავს ხორკლიანი პალტოს ღილი. უთოსგან გაპრიალებულ წინსაფარს მოხალული წიფლის სუნი უდის.

დაიხარა, კისერთან სული შემიბერა. თბილი ჰაერი საყელოში ჩამიძვრა და შეცივნულივით შემაკანკალა.

— მგონი ვიღაც მოდის.

წამოვხტი, ჩამიჩუმი არსაიდან ისმის.

— მომატყუე?

— ჰო! — სიცილით გაიქცა.

შრ... შრ... შრ... შრიალებს დაფენილი ფოთოლი.

—დავიღალე! — რცხილას ხვიარასავით აეკრა.

წარმოვიდგინე, რომ ეს ხე ვარ, ტოტებგაშლილი, ღონიერი, ის კი მონადირისაგან დევნილი, სირბილით ქანცგაწყვეტილი საბრალო შველია, ცხელი ლოყით რომ მეხუტება...

„რატომ მაინცდამაინც მე, ტყეში რამდენი ხე დგას ჩემნაირი თუ ჩემზე უკეთესი. იქნებ ჯერ მხოლოდ ახლა აახილა თვალი და როცა ბურუსი გადაეწმინდება, მიხვდეს, რომ შემთხვევით ჩამებღაუჭა, მომაცილოს მკლავები და სახსოვრად ამომწვარივით დამიტოვოს ცხელი ლოყის ნაკვალევი?..

და მე დავინახავ... თუმცა ამის ყურებას ვერ შევძლებ — შევბრუნდები და ზურგი მიგრძნობს, რომ ახლა სხვა გაანათა ლურჯ-მწვანე თვალების შუქმა.

მაშინ მოვა ოთარი, დამცინავად ამომკრავს თითს ნიკაპში და ხელსაც ვერ შევუბრუნებ, უბრალოდ მოწყვეტით დავენარცხები ნაწვიმარ, დამპალი ფოთლის სუნში...“

— როცა ადამიანებს ერთმანეთის დაკარგვის ეშინიათ, ესე იგი, ერთმანეთი უყვართ... შენ არ გეშინია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, დაგკარგავ და სხვას შევიყვარებ.

— მერე, მე? — მომაცეცა გაოგნებული თვალები.

— შენც სხვას შეიყვარებ, თუნდაც ოთარს და „ჭირი იქა, ლხინი აქა...“

„რას ვროშავ, სხვას ვფიქრობ და სხვას ვლაპარაკობ!..“

— დათო!.. მართლა მეუბნები?

ისეთი ლამაზია, ლამის გული გამისკდეს. გავცოფდი საკუთარ თავზე, მაგრამ მაინც, ვითომ უდარდელად გადავწექი ფოთლებზე.

—დავილალე... სირბილით კი არა, საერთოდ დავილალე, თქვენების ჩხუბით, ენების მიტან-მოტანით...

— მერე, მე რა შუაში ვარ?

— რაღაც სისულელე დაგიწერე და ისიც დირექტორთან მოხვდა!.. ბარემ დანარჩენებიც ჩაურბეინე, უფრო კარგად გამლანძღავს.

თამრიკოს ატირებას რა უნდა.

— მაშ სისულელეა ხომ?.. რა ვიცი, საიდან მოხვდა. ჯიბეში მედო და ალბათ დედაჩემმა იპოვა...

— ჰოდა, „დედა ნახე — მამა ნახეო...“ რატომ არ მასვენებენ, ძალით ვინ გეკიდება!.. წაგიყვანონ და ვისაც უნდათ, მიგათხოვონ, გინდ ოთარს და გინდ იმის დორბლიან ბიძაშვილს... — საკუთარი ხმა მზარავს, სიტყვები ხანჯლებივით მესობა.

თამრიკო სახეზე ხელაფარებული წავიდა.

წამოვჯექი, მინდა დავუძახო, ფეხებში ჩავუვარდე, პატიება ვთხოვო, მაგრამ კბილი-კბილს ვერ ავაძვრე.

„ნამდვილად შევიშალე!“ — საფეთქლები მოვისრისე და გამწარებულმა თითზე ვიკბინე...

სამივე მორზე იჯდა, ნატოს და გიორგის პატარა კალათი ასკილით გაევსოთ.

— რა შეშინებული სახე გაქვს, დათვს ხომ არ გადაეყარე? — გამეხუმრა გიორგი.

— ერთი შენც, მოგცლია...

— რად იჩხუბეთ! — გამიყვანა განზე.

— დამანებე თავი...

სამივე მივატოვე და დაღმართზე დავეშვი, ერთი სული მაქვს ამათ გვერდით, აქვე არ ავღრიალდე.

„უტვინო... ხეპრე... გაუთლელო... ოხ, შენი... შე ღვარძლიანო, შე აქოთებულო ნეხვო“, — ვილანძღები და ახლა მინდა შემხვდეს ფეხებდაბრეცილი ანზორა, ის, ვინც არჩილ მასწავლებელს საჩივრებს უწერს, ვისაც შეეძლო მამაჩემს გამოსარჩლებოდა და ამის ნაცვლად, ფეხი დაუდო, რათა ისედაც წონასწორობადაკარგული უფრო მაგრად დანარცხებულიყო... ბოლოს არტემას გამოვაბამდი ცხენის კუდზე, რომ რიყე-რიყე მყრალი ტვინი ენთხია...

ჩამყუდროვებულ ჭალაში ხან აქ, ხან იქ ერთბაშად დაიხივლებს ფოთოლი, ჩამოდის, დაეფინება მიწას და ისევ სიჩუმე მეფდება.

ბოგირზე გადავედი, ჩამცხრალ დუმილს თანდათან დოლაბის ღუღუნი შეერია, მშვიდი, უდარდელი, ქსელივით გაწელილი, ვითომც არაფერი მომხდარა, ყველაფერი თავისთავით ერთობა, თავის საფიქრალით ტკბება. მე რომ რიყის ქვასავით დამძიმებულ გულს მივათრევ — არავის აინტერესებს.

„ეჰ, ლორენცო, მომეცი ჩემი წილი საწამლავი, მოვკვდები და თქვენც მოგასვენებთ. იცხოვრეთ წყნარად, ამ ფშანივით აუმღვრევლად, დილიდან დაღამებამდე, დაღამებიდან დილამდე, უსმინეთ სიჩუმეს და იყავით“.

— რა კარებში გაიხიდე, შემო... სიდედრს ეყვარები, — წყალობამ ნაცრიანი კარტოფილები ცეცხლიდან გამოყარა, — ეგეთია, როგორც თეთრი მიტკალი, პირში დნება... ესეც მარილი, მოაყარე და ჭამე.

— დასალევი თუ გაქვს... ისე ყელში არ გადამივა.

შოთს წაატეხა და მომაწოდა.

— ემანდე, ლიტრა...

— წყალი არ მინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვირვებით ამომხედა.

— ბიჭო, დათო ხარ თუ სხვა ვინმე, რა დროს შენი სასმელია!

— მაშინ არც კარტოფილი მინდა, — დავდე და ნაცრიანი ხელები გავიფერთხე.

— ადრეა, შვილო, ადრე! — წამოიკაკვა, თაროდან ბოთლი გადმოიღო, ჭიქას ჩაჰბერა და ჩამოასხა, — აბა, როგორ დაგალევინო ბაბალეს ცნობა მაინც მოგეტანა, თორემ თუ გამიგო...

— როცა ჯავრი გაქვს, მაშ რა უნდა ქნა!

— ეს რო ჯავრს შველოდეს, მაშინ ჩემზე უდარდელი კაცი არ იქნებოდა... რა დროს შენი ჯავრია, მზეს უნდა ეთამაშებოდე... მერეც გეყოფა... სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცეს! — ჯერ თვითონ გადახუხა, მერე მე შემივსო.

არაყი რად მინდოდა, ისედაც მთვრალი ვიყავი, ნაღველით მთვრალი.

— „ბევრჯერ უნახავთ დილდილობით ჭალაში იგი, თურმე დილის ნამს უმატებდა საკუთარ ცრემლებს და ღრუბლის ქულებს ამრავლებდა ოხვრით და ვიშით...“

— იი!

— „კიდევ რა არის სიყვარული? სიგიჟე არი, ბრძნული სიგიჟე...“

— კარგი, ერთი!.. — თვალები შუბლზე აუცოცდა.

— „ვინც არ დაჭრილა, იარასაც არაფრად აგდებს...“

—ჩემ გასაგიჟებლად მოხვედი? რას ლაპარაკობ, ვერ გავიგე!

— მაგის გაგება რად გინდა, დაასხი, ნუ გენანება.

— მე კი დავასხამ, მაგრამ...

— გახსოვს, ცეცხლთან რომ დაგვსხი და გაგვათბე, იმის მერე მიყვარხარ... იცოცხლე, ერთი ათი დოლაბი კიდევ გაგეცვითოს.

— რას მერჩი, აღარ დავისვენო? — ბებრული კმაყოფილებით ჩაიხითხითა, ახლა თავისთვის ჩამოაწანწკარა, ბოთლი ასწია და სინათლეზე გახედა, — თითოც გამოგვივა და მორჩა... ორივე კარგები იყავით, ზედ შუბლზე გეწერათ, ერთმანეთი გვიყვარსო... თქვენ ბედნიერებას მომასწროს ღმერთმა... რა მოგივიდა, რა თავ-პირი ჩამოგტირის! — შემომიტია.

— „ისიც ასევე წევს და ტირის, ტირის და მოთქვამს...“ ვიჩხუბეთ... მაინც თავისას მიაღწიეს.

— ვინა, ვინ გაჩხუბათ! — მოიღუშა მეწისქვილე.

— რა ვიცი, ცოტანი არიან? სიყვარულს გაჩვენებო, სულ მუშტები მიბრახუნა ლავრენტამ... „მტრები რა იქნენ? ჰეი, მონტეგ და კაპულეტო! შეხედეთ ერთი მაგ მტრობისთვის რა ბედი გერგოთ: ზეცამ მოგიკლათ სიხარული თვით სიყვარულით...“ დალიე და დამისხი კიდევ ჩემი წილი საწამლავი.

— ჯერ კარტოფილი აიღე, ლუკმა არ გაგიღეჭია... — უფრო მეტად მოიღუშა, — ეგეთი სიტყვები აღარ გამაგონო, გაიგე?

— ეს შექსპირის სიტყვებია, ჩემი კი არა.

— ვისიც უნდა იყოს, შენ ნუ გაიმეორებ! — არ დამითმო წყალობამ.

— „ეჰ, ახლა ისე გვიანია, რომ შეგვიძლია ვთქვათ, ადრეაო მეტისმეტად... მშვიდობის ღამე, წმინდა მამავ!“

— კიდევ!.. ოხვრა არ გამაგონო-მეთქი!

— შენ უნდა მიპასუხო — „კურთხეულ იყავ!..“ აბა, თავიდან გავიმეოროთ, — ღამე მშვიდობის, წმინდა მამავ!

— კურთხეული და დალოცვილი იყავი, — თავი დამიკანტურა სიცილით, — ეგეც იმანა თქვა?

— მაშ! წაველი...

— რახან კარტოფილზე უარს ამბობ, აღარ გაგაჩერებ.

— იცი, სიმინდი, ლობიო და კარტოფილი გასულ საუკუნეში შემოიტანეს ამერიკიდან.

— ლობიოც?

— ჰო.

— არა მჯერა, — ისე შეაცივდა პირთან მიტანილი კარტოფილი, თითქოს უთხრეს, მოწამლულიაო — მაშ ადრე რას ვჭამდით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლოლოს, ჭინჭარს, კობრჩხილოს, მჟაუნას...

— აბა, მანამ ადამიანები კი არა, ინდაურები ვყოფილვართ.

— კაი გამახსენე, ინდაურიც ინდოეთიდან არის შემოყვანილი.

— ამ ხნის კაცი შენი დასაცინი ვარ? — გაბრაზდა წყალობა.

მეც კარგი ხვითო ვარ, ვითომ ძაან მემჟაუნ-მეკარტოფილ-მელობიებოდეს, ძლივს შევირიგე მეწისქვილე, ოღონდ იმ პირობით, რომ ლობიოს ქართულ წარმომავლობაში ეჭვი აღარ შემეპარებოდა.

— ნასვამი ხარ, ბოგირზე ფრთხილად გადადი, — ხელი დამიქნია და წისქვილში შებრუნდა.

ჩავიწყე ჯიბეში ხელები, შემთვრალი ყორყიკა რომ აიწურება ხოლმე, ეგრე შევყარე მხრები და წამოვბანცალდი. თანდათან შორიდან ისმოდა დოლაბის ღუღუნი და ბოლოს სულ მიწყდა, მიიკარგა, სიჩუმემ ჩაყლაპა...

ნაციხართან, ზედ ბილიკზე შავი მოზვერი იდგა, საჩხუბრად გამზადებული, კუშტი, თვალაბრიალებული. წინ გავუჩერდი.

— მორჩა, ახლა ყველაფრისგან თავისუფალი ვარ. ა, მაჯებზე დადებული ბორკილები ჩემი ხელით დავამსხვრიე, მოვათავე დამალობანას თამაში, სიყვარულის „იწილო-ბიწილო, შროშანოგვრიტინო...“ აკი გითხარი, მოვათავემეთქი, გამატარე, შენთვის ხომ მაინც სულ ერთია, თავდაპირველად აქედან იქით წაილეს ლობიო, თუ იქიდან აქეთ... ნუ გადამიდგები, ჩემი გზით გამიშვი... რაო? რად მემუქრები?.. რქები გქავა და იმიტომ! გასაგებია, მეც შენ დღეში ვიყავი და დღეს მოვიმტვრიე... მაინც არ მეშვები!.. ერთი კედელიღა ბარბაცებს ამ ძველი ციხისა და მოდი, მიმასრისე. მოდი, თორემ ჩამოიშლება და მერე ვეღარსად მიმიმწყვდევ, გაგექცევი, თვალ და ხელშუა გაგიქრები... მოდი, მანამ ნიშანზე გყავარ!.. რაღას უცდი, გინდა მე დავიწყო, რომ „კანონი შენ მხარეზე იყოს?“

ხელი ჩავავლე და დავეჯაჯგურე. ხან უკან დაიხია, ხანაც მომაწვა. კინაღამ გადამთელა, მაგრამ მაინც ვერ მომიცილა. გაგიჟდა, ამას ვის გადავეკიდეო, ლამის მკერდი შემანგრია. ბოლოს ერთიც გამიქნია, გასხლტა და კუდაპრეხილი გაიქცა.

დაღლილობისგან ძლივსღა ვსუნთქავდი, ხელები წებოიანივით გამესიპა, ბაბალნის სუნი ამდიოდა.

მეც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი ტურფას ფანჯრის წინ. რაფაზე დაყრდნობილი ქალი ჩამომღიმოდა, გაშლილ თმას ფრთხილად აყოლებდა სავარცხელს. უცებ ხელი გაეშვა და სავარცხელი ქვაზე გარაკუნდა.

— ფეხი არ დაადგა, გატყდება.

— გატყდება და ორი გექნება, — ავაწოდე.

გადმოიხარა, ყელზე ჩამოკონწიალებული ოქროსფერი ჯვარი თვალწინ ამიბრჭყვიალა და მომეჩვენა, რომ... არა, არ მომჩვენებია, სავარცხლის ნაცვლად თითებზე ჩამეჭიდა, თითქოს უნდა ამწიოს, ამაფრინოს, ბუმბულივით ამიტაცოსო.

უსახელოებო ხალათიდან დამაბრმავებლად ანათებდნენ თეთრი მკლავები.

— არ გცივა? — ძლივს ამოვღერღე.

— მცივა კი არა, ლამის ესეც გავიძრო, — უფრო გადმოიწია, მოღიავებულმა გულისპირმა იმაზე მეტი დამანახვა, ვიდრე შეიძლებოდა.

ნერწყვი გამიშრა. ქალმა ჩემ მზერას თვალი გააყოლა.

— ეშმაკო! — თითი დამიქნია, — სად იყურები, რა დროს შენი ეგეთებია, ჰა? პირზე რძე არ შეგშრობია, შავი თეთრისაგან ვერ გაგირჩევია... ჩვენები ამ დილით ბიძაჩემთან წავიდნენ, ბავშვებიც წაიყვანეს და მარტო გამოვყრუვდი... შენ კი მარტოხელა ქალს სხვანაირად უყურებ! ნამდვილი ბარტყი ხარ, ღინღლიანი ბარტყი, — გაეცინა და ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტუჩი კბილებშუა მოაქცია, ლამის მოიგლიჯა.

— არ ამომიყვანო, იცოდე! — „დავემუქრე“ ჟრუანტელდავლილი.

— გული არ გამიხეთქე? ამო, რა, ემანდ ანგელოზები არ დამიფრთხო!

კიბე ავირბინე, სულ ათიოდე საფეხურია, ორ წამში თავი დავუკარი.

კარში დამხვდა, „ჩუ!“ — თითი მიიტანა ტუჩებთან და საწოლებშუა ჩადგმულ აკვანზე მანიშნა — ბავშვს „სატყუარა“ გადმოვარდნოდა, ძილში პირს აცმაცუნებდა.

ხელჩაკიდებულმა მეორე ოთახში ფეხაკრეფით გამიყვანა, თითებს მარწუხებივით მიჭერდა მაჯაზე და როცა გამიშვა, კანზე ნაფრჩხილარები მეტყობოდა.

გზისპირა ფანჯარას ფარდა გააფარა.

— დაბლიდან ძაან რო იმუქრებოდი, ხო ამოხვედი, — დოინჯშემოყრილი მომიახლოვდა, — რა მოგივიდა, სარი გადაყლაპე? ხმა ამოიღე, ბიჭო, ან ავი მითხარ, ან კარგი! — ყურთან წამჩურჩულა და ცხელი სუნთქვა შემაფრქვია.

გაწყდა მოთმინების ძაფი, მკლავები თავისთავად მოეხვია და, მომყვა, თეთრ მხურვალებაში ჩამძირა...

— კაცი მაინც კაცია, ქალია ბედდაწყევლილი... განსაკუთრებით თუ მარტო დარჩა... მთელი ღამეები ვიწვი, ცეცხლი მეკიდია... კაცმა უნდა ჩააქროს, კაცმა, სხვა ვერაფერი გიშველის, მაგრამ... ცოდოა მარტო ქალი, ცოდო... შენ ამას ვერ გაიგებ, იმიტომ რომ ჯერჯერობით ღინღლიანი ბარტყი ხარ, მაგრამ უნდა იცოდე... — ჩურჩულებდა ტურფა.

აწეწილი თმის ღერები პომადაგაცლილ ტუჩებზე ებლანდებოდა, ოხრავდა, მეკვროდა, თითქოს სხეულში უნდა ჩამიძვრესო.

— მაგრად მომეხვიე, სული შემიგუბე, ჩიჩხვარივით დამამტვრიე...

რაღაცამ მომაფხიზლა, სმენა თანდათან დამეწმინდა, — ბავშვი ტიროდა.

მკლავები ჩამომცვივდა და კარისკენ ფეხათრეული წავედი.

— მოიცა, სად მიდიხარ... მე, ახლავე... — ნაჩქარევად შეიკრა ხალათი, — ახლავე...

ნახევრადღია კარიდან ვხედავდი, როგორ ჩაიმუხლა აკვანთან.

ბავშვი ხმაურით წოვდა...

ფანჯარაში ნოემბრის ბაღი იყურებოდა. შეთქმულებივით გადახრილიყვნენ ერთმანეთისკენ დაკვანჭული ბებერი მსხლები და გადაყვითლებულ მიწაზე პაწაწკინტელა, მწვანე კუნძულებივით მოჩანდა აქა-იქ შერჩენილი მწვანილი... გატკეპნილი ბილიკი მობრეცილ ფეხისალაგისკენ მიდიოდა, კარის ნაცვლად დაფხავებული ჭილობი რომ აეფარებინათ...

მეგონა უსაზღვროდ დიდი დრო გავიდა.

„რა ჭირს, მუცელში სვავი უზის?“ — მომივიდა გული, მაგრამ იქვე ძალიან შემებრალა, ოღონდ რატომ და რისთვის, უცებ აზრი ვერ გამოვიტანე...

— ჩაეძინა! — კარი მიხურა ქალმა.

შებრუნება ვერ გავბედე. ხელის შეხებაზე ზურგი გამიხურდა. ბებიაჩემსაც გადაუსვამს, დედაჩემსაც, მაგრამ ეს სხვა შეხება იყო, უცნაური, გამაგიჟებელი, ძვლების დამდნობი... ვეღარაფერს ვხედავდი, გარდა გამჭვირვალე, ყვავილიანი მარლის ფარდისა, ოდნავ რომ ახალისებდა შემოდგომის მოწყენილ სურათს და ბოლოს ესეც გაქრა...

ხელი ჩამოიღო.

— წადი, დათო, წადი... ჯერ ალბათ ადრეა... ვერ გაიგებ...

— წავიდე?.. ჰო, კარგი! — ჩავილაპარაკე შეცბუნებულმა, მაგრამ ვიცოდი, რომ ვერსადაც ვერ წავიდოდი, თუნდაც ცა და მიწა დაქცეულიყო, ფეხს ვერ მოვიცვლიდი, აქვე მოვკვდებოდი, დავილეოდი, გავქრებოდი.

— არ გესმის?

თავი უარის ნიშნად გადავაქნიე...

წამოჯდა, ზურგისკენ მოქცეული ჯვარი ისევ წინ გადმოიტანა, და ვიდრე ჩაიცვამდა, ნუ მიყურებო, მთხოვა.

ფანჯარა გამოვაღე. უსიტყვოდ გავუგეთ ერთმანეთს — არ შემეძლო ოთა-

ხის გავლა და ლექვით გალეული „სატყუარას“ დანახვა.

— მოიცა! — მოათვალიერა ბაღი, მაგრამ იქ გაბღენძილი ინდაურებისა და ქათმების მეტი არავინ ჩანდა.

— ცუდად არ იფიქრო, დათო...

ქურდივით მოხრილმა და ალეწილმა გავირბინე ბილიკი. ღობეზე რომ გადავხტი — შვებით მაშინ ამოვისუნთქე.

მინდოდა დაწვრილებით გამეხსენებინა ყველაფერი:

„შემიყვანა ოთახში... ბავშვმა იტირა.. მერე ჩავიცვი და ფანჯრიდან გადმოვედი...“ წამები, რომელთა აღდგენაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა, წიგნიდან ამოხეული ფურცლებივით დარჩა, თუმცა ის კი ვიცოდი, რომ ამ ფურცლებზე ძალიან ტკბილი და შემაცბუნებელი ამბავი იყო მოთხრობილი...

— აქამდე სადა ხარ? — მკითხა უკმაყოფილოდ ბებიაჩემმა, — ჩანთა რა უყავი!

„უჰ, როგორ გამოვშტერდი, ჩანთა ხომ გიორგისთან დავტოვე“.

— გიორგისთან ვიმეცადინე და იქ დამრჩა.

„თითქოს რაღაც იცის, ისე მაკვირდება. იქნებ ჩვეულებრივად მიყურებს და მე მეჩვენება?“

უცნაური ნაღველი შემომაწვა. სახე, რომელიც სარკიდან შემომყურებს მე არ მგავს, ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასეთი არ ვყოფილვარ. ყველაფერი სხვისია: თმა, ყურები, ცხვირი, გამოღამებული, ფოსოებში ჩამძვრალი თვალები... ჩემს მაგივრად სხვა დაბრუნდა სახლში, როგორც გადაცმული ჯაშუში და არ ამხელს, რომ მე მოვკვდი, მოხალული წიფლის სუნიან წინსაფარს როცა ვყნოსავდი.

„ნუთუ საათი, ან ეს რადიო, რომელიც დაზიანებული ხაზის გამო უფრო ხშირად დუმს, ვიდრე ლაპარაკობს — სულ აქ ეკიდა? იქნებ ხაზი არაფერშუაშია და უბრალოდ ფიქრობს, დიდხანს ფიქრობს, ვიდრე რამეს იტყვის!“

ბებიაჩემმა საჭმელი დამიდგა და ისეთი მადლიერებით შევხედე, თითქოს მართლა სტუმარი ვყოფილიყავ, უცხო, შემთხვევით გამვლელი, გზაზე რომ დაუღამდა და ალალბედზე პირველივე სახლს მიადგა.

„ყოჩაღი დედაკაცი ჩანს, ეტყობა, სულ მარტოა. თქმაც არ უნდა, მთელი გადატანილი ჭირ-ვარამი სახეზე ახატია. ახატია კი არა — საჭრეთლით ამოუკვეთავთ... საწყალს, ამ სურათების ყარაულობაში გამოღამებია... ნეტავ ვინ უნდა იყვნენ, შვილები, ნათესავები?.. რა აძლებინებს, არ ეშინია მაინც, ამდენი გარდაცვლილი რომ ყოველ წამს ხმის ამოუღებლად უთვალთვალებს...

განსაკუთრებით ეს ქალი მეცნობა... რატომ მეწურება გული მის შეხედვაზე? — სად მინახავს, ანდა თუ ასე კარგად ვცნობდი, რად დამავიწყდა!.. თუმცა მაშინ ხომ — აკვანთან რომ ჩაიმუხლებდა, მხოლოდ ათრთოლებულ ყელს და ბედნიერ თვალებს ვხედავდი — მე მაპურებდა, მზრდიდა, რათა მერე უსულგულოდ დამევიწყებინა...“

„ცოდოა მარტო ქალი...“ ესეც „ცოდო“ იყო, თუმცა ხმამაღლა არ უთქვამს, არ დაუჩივლია, ფანჯრიდან სავარცხელი არ ჩაუგდია, მე და მტანჯველ მოლოდინს შეაჭამა თავი...

ალბათ ტურფას ჰგონია, რომ ყველა მარტო ქალი ილუნება!

ცდები, ქალბატონო, ისინი, უბრალოდ, შიგნიდან დაჭიანებული, ნაღველით დაფუტუროებულები კვდებიან...

ეჰ, მამაჩემო, მამაჩემო, — წამომცდა საყვედურით, — ნიკალას მიზეზით კი არა, დედაჩემის გამო იხდი სასჯელს...“

„ჰა?“ — საკუთარმა ფიქრმა შემაკრთო და დედაჩემის სურათს შევხედე.

„ნუ სცოდავ... მოსამართლემ როცა განაჩენი გამოაცხადა, მაშინ გავთავდი, მაგრამ მამაშენის გარდა, ვერავინ იგრძნო... შენ ვერც ის შენიშნე, რომ თანდათან ორივე ფიქრად ვიქეცით, უსა-

სრულო ფიქრად და უკვე აღარ შეგვეძლო მარტოობაზე გვედარდა...

ჩვენ ყველა თანაბრად დავისაჯეთ და ამის მიზეზი მამაშენი კი არა, გულგრილობა იყო..."

„იქნებ ისიც მითხრა, რომ ბედნიერები იყავით".

„ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, — მერე უფრო, როცა დაგვაშორეს".

„ბედნიერი თუ იყავით-მეთქი!"

„ჩვენი ფიქრები ვერ გათიშეს, ერთად ვზრუნავდით შენზე".

„მე სხვა რამე გკითხე".

„მარტო კაცი უფრო ცოდოა".

„კი მაგრამ, ხომ შეეძლო..."

„ვისაც როგორ ესმის, ისე ცხოვრობს. ნიკალას პირისპირ სიმართლემ და პატიოსნებამ დააყენა..."

„სიმართლემო, თქვი, მაშ რატომ დაიგუბა სოფელმა პირში წყალი?"

„მამაშენს სუფთა ხელები აქვს, ახალშობილზე უფრო სუფთა!.."

დედაჩემი გაჩუმდა.

ერთი გირი ბოლომდე დაშვებულა, მეორე კი საათს ყელზე მიბჯენია და სუნთქვას უშლის. ზემოთა ჩამოვწიე, — საათი ამუშავდა, გაჩერებული დრო ისევ თავის გზას დაადგა...

ჩანთას თბილი სახელური ჰქონდა.

— იტირა?

— ისე მომინდა შენი ცემა, თავი ძლივს შევიკავე, — ჯიბეში ჩაწყობილი ხელები დაემუშტა.

— ხომ შეიძლება, აღარ მიყვარდეს.

— მაშინ პირდაპირ გეთქვა... აჰა, შენთან გამომატანა...

რაღაც ჩამწყდა, შევქანდი, გადაბორძიკდა გიორგიც.

„ნუთუ მიწა იძრა?" — უაზროდ დავყურებდი ქაღალდებს.

გაკვეთილზე რომ ვუგზავნიდი, ის წერილები იყო.

— მორჩაო? — ამომხდა უნებურად.

— ჰო, მორჩაო... სახვეწარი რა სჭირს.

— დაუძახე, ერთი წუთით გამოვიდეს.

„არაო", — გადააქნია თავი და წავიდა.

„გაერტყა მაინც", — გაცოფებულმა წერილები ჩანთაში ჩავკუჭე და დერეფანში მივაგდე...

ბნელდება, ქარი მიაფხაკუნებს ჩალის ფუჩეჩს. ღარიდან გადმოსული წყალი ხმაურით ეცემა სიპზე. რუ ღობის ქვეშ მიძვრება, ჩუმი ლიკლიკით მიაცურებს ფოთლებს, გადაუვლის საგუბარს და ტურფას სახლისკენ ჩაუხვევს.

„მარტო კაცი უფრო ცოდოა!"

აივანზე არავინ ჩანს.

„ხომ არ გადასახლდნენ. ერთხელ დამენახოს და მეტი არაფერი მინდა... ალბათ ვძულვარ, ეგებ ჩემს სიკვდილსაც ნატრობს... იქნებ ნანობს, წერილები რომ დამიბრუნა, ჩაჰყურებს გაკვეთილს, მაგრამ ასოებს ვერ ხედავს და ცრემლის სველი წერტილები სხდებიან ფურცლებზე... არა, ასე რომ იყოს, მაშინ გადმოიხედავდა... მკითხოს მაინც, იქნებ გავგიჟდი... არც ახლა გამოვა?"

ქვა რაკუნით მოხვდა რკინის ჭიშკარს. ეზოში ძაღლი გადაირია. სულ დაბმული ჰყავთ და ისე გაავდა, პატრონებსაც არ იკარებს.

ყველა გამოცვივდა, თამრიკოს და, ცხადია, არტემას გარდა.

ხეს ამოვეფარე.

იყურეს აქეთ-იქით, მაგრამ ვერავინ შეამჩნიეს და ძაღლს დაუტიეს, გაჩუმდიო.

ქვას ხელმეორედ დავწვდი და... ისევ დავაგდე. არ ვიცი, შემრცხვა თუ შემეშინდა, რომ ვერ მივაწვდენდი. მოვეშვი მოვიმჩვარე, კუზიანივით წელში ვეღარ გავიმართე.

რუ ღობისქვეშ მიძვრება, გაივლის კოჭლი მიხას ბაღს და ტურფას სახლთან ჩაუხვევს...

შუა გზიდან გამოვბრუნდი...

„მარტო კაცი უფრო ცოდოა!"

„ჩემზე მარტო ვინ არის".

„ჯერ შენ სიმარტოვის რა იცი. მე ვლოცულობ, რომ ღმერთმა არც გამოგაცდევინოს".

„მეც ვეხვეწებოდი, რომ შენი თავი

არ წაერთმია, მაგრამ რა გამოვიდა...“ „დაიძინე, დაიძინე, ღამემ იცის, მაშინ აეშლება ადამიანს სადარდელი...“

დედაჩემთან რომ სულ ღამეა? — ცივი, საზიზღარი, უვარსკვლავო და უმთვარო, იმ საავადმყოფოს დერეფანივით შეხუთული... ნეტა ის ქალები როგორ არიან ფანჯარასთან რომ იდგნენ მუცელთან ხელებგადაჯვარედინებულები?..

პალატა № 26. ხუთსაწოლიანი, ოთახის ფანჯრები დღედაღამ ღია ჰქონდათ. ხანდახან ნიავიც უბერავდა, მაგრამ ივლისის სიცხეს და წამლების სუნს ვერაფერს შველოდა. ან რა უნდა ექნა, როცა კედლები, საწოლები, ლოგინი, ყვითელი, მტვრიანი ნათურა, ის თეფშებიც კი — საჭმელი რომ მოჰქონდათ, ავადმყოფი და წამლის სუნით გაჟღენთილი იყო.

პირველად როცა შევედი, დედაჩემი ვერ დავინახე. საწოლებმა და ავადმყოფთა ცნობისმოყვარე თვალებმა დამაბნია.

— აქა ვარ, დათო!

დედაჩემი კუთხეში იწვა და იდაყვზე დაყრდნობილი მიყურებდა.

— ჩემი ბიჭია! — გადახედა დანარჩენებს, — მოდი, მოდი.

ვიღაც ქალი გადმოიხარა, საწოლთან დაწყობილი ჩუსტები შიგნით შესწია, რომ თავისუფლად გამევლო.

კოცნაც ვერ გავბედე, უხერხულად ჩამოვუჯექი და ავიწურე.

— რა მოგკლავს ასეთი შვილის პატრონს! — თქვა იმან, ჩუსტები რომ შემალა.

სხვებიც ალაპარაკდნენ, მაგრამ არაფერი მესმოდა, დედაჩემის სიგამხდრისგან ამოზნექილ ლავიწის ძვლებს თვალი ვერ მოვაშორე.

გაღეღილი პერანგის გულისპირი შეისწორა და ხელიც დაიფარა, რომ არაბუნებრივი სიგამხდრე დაემალა.

— ძალიან შევიცვალე? — თითქოს მთხოვა რამე სანუგეშო მეთქვა.

— რა მოხდა მერე... მერე ისე მოიმატებ, ეგებ ნატრულობდე კიდევ ცოტა დავიკლოო.

— შენ მე უნდა გენახე ოპერაციამდე რა ვიყავი, ძვალი და ტყავი, — დაამშვიდეს უდარდელი ხმით.

დედაჩემი მე მიყურებდა, მე უნდა მეთქვა ის იმედიანი სიტყვა.

მე კი ხმა ვერ ამოვიღე, ტყუილი ვერ ვუთხარი.

დასამალი აღარაფერი იყო, დედაჩემმა ხელი ჩამოიღო და გაღეღილი გულისპირიდან ისევ ამოიზიდა ორი, საბრალო ლავიწის ძვალი...

ვინ იცის, რად ულირდა სულ რამდენიმე სიტყვა: — „ყველაფერი კარგად იქნება... ისე ძალიან, ძალიან მიყვარხარ, რომ არ შეიძლება მოკვდე, არ შეიძლება გაქრე, როგორც ნავთგამოლეული ლამპა, ან ქარისგან დაძენძილი კვამლი... იმიტომ... იმიტომ, რომ...“ — ყველაფერი მერე მახსენდება და მერე მტკივა, როცა კედელჩამონგრეული სახლივით დავრჩი, როცა ერთბაშად შემოვარდნილმა სუსხმა და ნაღველმა კუთხეში მიმკუჭა.

ამ კედელს ვერავინ ამოაშენებს!..

„დაიძინე, დაიძინე... მეც ყოველთვის ღამე მიჭირდა... ღამე ფიქრს ნუ შემოიჩვევ, თორემ ჩვეულებად გექცევა, მოგქანცავს, დაგაძაბუნებს. შენ თუ ცუდად იქნები — მე მართლა მაშინ მოვკვდები... უფლება არ გაქვს, გესმის, რომ საბოლოოდ მომკლა... ნუ, ჩემო მერცხალო, ჩემო ჭკვიანო სულელო, ნუ...“

„აქამდე რატომ არ მესაუბრებოდი?..“

„ველოდი, როცა ჩემში მხოლოდ დაკარგული დედა კი არა, ადამიანი შეგებრალებოდა, რომელსაც შენი მოვლის, ოჯახში ფუსფუსის შემდეგ თავისი მარტოობა სტანჯავდა, მარტო ებრძოდა ჩალუსკუმებულ, ზვავივით მოწყვეტილ ღამეებს და ხელსაფქვავის ქვასავით ილეოდა...“

ისე ცხადად ვიგრძენი დედაჩემის შეხება, რომ თვალები ვაჭყიტე.

---

**ვანო ჩხიკვაძე**
**ჩიტები ზამთარში**

ბებიაჩემი ვარცლთან დახრილიყო და ცომს ზელდა.

ესეც ხომ არ მეჩვენება-მეთქი, — წამოვჯექი.

— ჯერ ადრეა, ახლახანს იყივლა პირველად მამალმა...

„როდისღა ისვენებს!" — გამიელვა და იქვე მივხვდი, რომ ამაზე დღემდე არ მეფიქრა.

IV

სახურავჩამპალ, ნახევრად მიწურ სახლთან ვიდექით. კარ-მიდამო ნიაღვარს ჩამოერეცხა და უპატრონობას გაეპარტახებინა. ალაგ-ალაგ შერჩენილ სიპი ქვის ყორეზე ეტყობოდა, რომ ოდესღაც ეზო შემოღობილი იყო. გაქერქილი, ობლად დარჩენილი პანტის ირგვლივ ცხვრის ცურცლი ეყარა.

სახლს კარ-ფანჯარა აღარ შერჩენოდა, გვერდით კედელს სწორი ბზარი მოუყვებოდა, თითქოს ხმლის ერთი დაქნევით შუაზე გაუპიათო.

ბატკანი პანტაზე მივაბით. ივანემ ხურჯინი ჩამოდგა და მოხდილი ქუდი სახეზე მოისვა.

—აქ მომიცადეთ! — ხმააკანკალებულმა ქუდი მკერდში ჩაიხუტა და სახლში მოხრილი შევიდა.

ფანჯრიდან უკმაყოფილო ფხუკუნით კატები გადმოხტნენ, გარეთ კიდევ ჩვენ დავხვდით და გაქცეულებს ქვები მივაყოლეთ.

ჩამოვსხედით, ახლა ვიგრძენი დაღლილობა.

— ლამაზია აქაურობა.

— ჰო! — უგუნებოდ დამეთანხმა გიორგი.

— სოფელი ქვემოთ ჩასულა.

— აბა, ამ ცარიელ ქვაზე რას მოიყვან, ან მაშინ როგორ ცხოვრობდნენ.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია, ივანე რად აგვიანებს-მეთქი და ფეხაკრეფით ფანჯარასთან მივიპარე.

დამპალ, დაფუტუროვებულ კოჭებს ჰერი ძლივსღა ეჭირათ. დარბაზის შუაგულში დედაბოძი წასაქცევად წახრილიყო, მაგრამ თავხე არ უშვებდა.

ივანეს სანთლები დედაბოძზე მიემაგრებინა.

— ტყუილა წავედი, შენც დაგაქციე და ვერც სისხლი ავიღე, ვერა... გულმა არ მიყო, გულმა, შეკრთა, ხელებში ჩამიკვდა, ჯავრით კვნესა ამჯობინა... — შუბლზე მუშტი მიირტყა.

გაპარსულ სახეზე მკვეთრად ამოზიდვოდა ყვრიმალები, თვალები უცნაურად უელავდა. კბილების ყრუ კრაჭუნით შემოუარა დედაბოძს, მხრით მიაწვა, შეაყანყალა. გადაქანდნენ სანთლები, შეირხა რამდენიმე ცისფერი ალი. შემეშინდა, ჰერი თავზე არ დაემხოს-მეთქი.

ჩემკენ რომ შემობრუნდა — ტიროდა, ივანე ტიროდა, პირქუში, სიტყვაძუნწი ივანე. ტიროდა უხმოდ, გაფითრებულ სახეზე ნერვიც არ უთრთოდა, არც გაშტერებულ თვალს ახამხამებდა, მიწაში პალოსავით დარჭობილი მზერა თავისაკენ ითრევდა, ღუნავდა. მეგონა, სადაცაა მჯახედ დაიძახებდა ხერხემალი და შუაზე გადატყდებოდა...

გიორგის ხელი დავუქნიე და იქვე ვინანე, — კაცი გულის მოსაოხებლად განმარტოვდა, ჩვენ კი ქურდულად ვუთვალთვალებთ.

მოსვლა აღარ ვაცალე, ისევ უკან დავაბრუნე.

— რას აკეთებს?

— ელაპარაკება!

— ვის ელაპარაკება?

— კედლებს!

— კარგი ერთი... შევიხედავ.

— ეწყინება, თუ საჭირო იქნება, დაგვიძახებს.

ყორეზე ჩამოვსხედით და შესასვლელს მივაჩერდით.

როგორც იქნა, გამოიხედა, შემოდითო, — გვანიშნა...

თურმე სახლებიც კვდებიან. უპატრონო, მიტოვებულები სულს ჩვენს თვალწინ ლაფავენ და თავის ქალებივით ხრიალით ცვივიან რიყის ქვები. არადა, რამდენი რამ ახსოვთ, რამდენი რამ უნახავთ, ვიდრე დახავსდებოდნენ, ნეს-

ტის მძიმე, მყრალი სუნით გაიჟღინთებოდნენ.

— აქ დიდი ტახტი გვედგა, სამივე ვეტეოდით. აქეთ პაპა და ბებიაჩემი წვებოდნენ თავშექცევით. სიბერისგან ნიორივით გაპარულებს, გამხდრებს ერთი პატარა საბანი ჰყოფნიდათ.

აქ იდგა-მეთქი იმათ საწოლი... ღმერთმა აცხონოთ! — მიამაგრა კედელს ორი სანთელი, — ჯერ პაპაჩემი მოკვდა, უცებ, საღ-სალამათი, თივას აგროვებდა, ჩაჩოქილიყო და თავი მძინარესავით მიედო ბულულზე.

ბებიაჩემს ცრემლი არ გადმოვარდნია, — მალე მოვალ, მალეო! — მხოლოდ ეს ჩასძახა.

მთელი კვირა წყალი რა არი, წყალს არ გაჰკარებია. კვდებოდა და აქეთ გვამშვიდებდა, ნუ შეგეშინდებათ, გაბოსთან მივდივარ, ერთად არაფერი გაგვიჭირდებაო...

ამ კუთხეში ჩვენი ტახტი იდგა-მეთქი...

დედაჩემი დამთმობი, საწყალი ქალი, ბავშვსაც ვერ ეტყოდა — წინ დგეხარ და უკან დაიწიო. მამაჩემის გაქცევის მერე ხომ ცარიელ, შეშინებულ თვალებად იქცა, ღამით კარს ფიცრით და კეტებით ამაგრებდა.

ამასაც დავუნთოთ...

ასანთი ჯიბეში ჩაიდო, გულხელდაკრეფილი მიაჩერდა ჩამოშავებულ, ნესტიან კედელს, სანთლის შუქზე დაცვარულივით რომ ბზინავდა.

სული შემეხუთა, გამოვედი და გიორგიც გამომყვა...

შეშა მოვაგროვეთ. სახელოდამკლავებულმა ივანემ დანა ალესა.

ბატკანი არ გაგვძალიანებია, მორჩილად დაწვა. კისერი რომ გადაუწია, მხოლოდ მაშინ შეფართხალდა.

გვერდზე გავიხედე. ვიგრძენი, როგორ გააკანკალა და დაძაბული ფეხები მოეშვა, მოიმჩვარა.

ცხელი სისხლის სუნმა გული ამირია, ძლივს გავასწარი — პირზე ხელაფარებული გავიქეცი და სახლის უკან კედელს მივეყუდე...

ბატკანი უკანა ფეხებით პანტაზე ჩამოეკიდათ.

აზიზი ყოფილხარ, — გაეცინა ივანეს, — ღმერთი თხოულობს და მა რა ვქნათ... როგორც თქვენ გიყურებთ, ეგრე ვნახე ოთხივენი სიზმარში.

ვითომ ამ სახლში შევედი და პირი მომარიდეს.

ვკითხე მიზეზი, რას მემდურით-მეთქი.

ამდენი ხანი უპატრონოდ რომ დაგვყარე, გვშია და გვწყურიაო. ჩვენი თავი ჯანდაბას, ხალხისა გვრცხვენია, ქვეყანა მიდი-მოდის და გვხედავენ ცარიელ-ტარიელი რომ ვსხედვართო...

ეგებ ტყუილიც იყოს, მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ, მკვდრები არ უნდა გავანაწყენოთ...

უცებ ჩამოატყავა.

— ცეცხლი დაანთეთ და შამფურები დათალეთ.

ჯერ წვრილები დავამტვრიეთ, ავაკოკოლავეთ და კარგად როცა მოედო, მსხვილებიც დავამატეთ...

აცრემლდა მწვადი, ნაკვერჩხალზე ქონმა წვეთა დაიწყო.

გაზეთი გავფინეთ და ხურჯინი ამოვალაგეთ.

— ფრთხილად, მარილი არ დააპნიო... არაყს წესიერად ვერ დააფარეთ? — გაუწყრა გიორგის და ოდნავ დანაკლულებული ბოთლი შუაში ჩადგა.

— ყველას მიაგებოს, ვინც ამ სახლიდან წავიდა, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას ითხოვს... დალიეთ, ცოტა არაფერს გიზამთ.

„აქაც სოფლის განაპირას უცხოვრიათ“, — გავიფიქრე და ქადას წავწვდი.

— ლამაზია აქაურობა.

— ჰო, რა უჭირს, — თავი დამიქნია, — მაგრამ იმდენი სიმწარე მახსოვს, გული მაინცდამაინც არ მომწევს... ნახევარი სოფელი ბიძაშვილები, ერთი განაყრები ვართ... დრომ დაგვაშორა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ამათი ალარაფერი ვიცი, ამათ კიდევ — ჩემი. ახლა რო გაიგონ აქა ვარ, ძალიანაც გაშლიან ხელებს, ზედ გადაგვყვებიან, მაგრამ რაღად მინდა, როცა გვიჭირდა — მაშინ გვიგანეს. იქნებ არც გაემტყუნებათ, დაშინებულები იყვნენ... გული კი მაინც ვერ პატიობთ... ეგეთი ვარ, რა ვქნა...

ერთ ღამეს გამეღვიძა. ვხედავ, დედაჩემი არ ჩანს. მივვარდი ფანჯარას... როგორ კარგად მახსოვს, — სავსე მთვარე დანათის ეზოს... აი, აქ... არა, ცოტა იქით, კაკალი გვედგა. იმის ჩრდილში ვიღაც კაცთან ერთად ზის დედაჩემი და ხმადაბლა ლაპარაკობენ. პატარა ხო არ ვიყავი, თვალთ დამიბნელდა, მოვკლავ და მეც თავს მოვიკლავ-მეთქი — ვეცი ცულს და ის იყო აკანკალებულმა კარი გამოვაღე, რომ მომესმა:

— გიორგი, ბავშვს მაინც დახედე, მოკვდა შენს ლოდინშიო.

ადგილზე გავშეშდი, თურმე მამაჩემი ყოფილა.

იმის ნაცვლად, რომ ყელზე ჩამოვკონწიალებოდი, ღონეგამოცლილმა ცული მივაგდე, ძლივს მივლასლასდი ტახტამდე, ჩავწექი და თავი მოვიმძინარე.

შემოვიდნენ, დედაჩემმა ჭრაქი დამახათა, მამაჩემი კი დაიხარა, შუბლზე მაკოცა და ისე გულის გამგმირავად ამოიკვნესა, რომ ის კვნესა ახლაც წამომახტუნებს ხოლმე.

არ ვიცი, რატომ დავირცხვინე, რატომ არ გავახილე თვალი. გვერდი ვიცვალე და გარეთ რომ გადიოდა, მაშინ გავხედე — განიერი მხრებით ჩაფარა გასასვლელი და გაქრა...

მწარეა, აუჰ, რა მწარეა! — ვითომ არაყი ემწარა, ივანეს და პირმომუწულმა ჭიქა დადგა...

— გამარჯობათ! — ნაბდისქუდიანი მოხუცი წამოგვადგა, — პურ-მარილობთ?

— ჰო, დაგვეწვიე, ძიაკაცო.

თავპატიჟი არ დაუწყია, ქუდი მუხლისთავზე დაიდო და ულვაშები გადაისწორა.

— სადაურები ხართ... მე თვითონ მივწვდები, — ქადა ჩამოართვა ივანეს.

— ციხისუბნელები.

— დიდი გზა გამოგივლიათ.

— ბავშვები გამოვატარე.

— სახელი?

— ლადო მქვია, — თვალი ჩაგვიკრა ივანემ.

— მე — იასონი... რაღა ამ ხრიოკზე დასხედით, ქვემოთ, წყაროსთან, არ გერჩივნათ?.. გაგიმარჯოთ, სულ ბედნიერ, სასიკეთო გზებზე გატაროთ გამჩენმა! — დალია, — კარგია... სულადია?

— ჰო, პურის არაყია.

— ღამეს სად ათევთ.

— არსად, ცოტა ხანში უკან გავბრუნდებით.

— რას ამბობ, დაგიღამდებათ, აგე, ჩემი სახლი, ამაღამ მოისვენეთ... ხო ეცი, დილის შარი გერჩივნოს საღამოს ხეირსაო.

მეორე ბოთლი დავდგი.

— შენი სახელი... ჰოო, ლადო... დიდი ცოდვიანი სახლია...

— ვითომ რატომ? — სისხლი მოაწვა ივანეს.

— გრძელი ამბავია... კაცი შემოაკვდა ამ სახლის პატრონს. ორი წელი ყაჩაღად იყო გავარდნილი. ბოლოს ტყეში მოკლეს. ერთი ბიჭი დარჩა, ივანე, იმანაც აიკრა გუდა-ნაბადი და დედასთან ერთად მიატოვა აქაურობა.

— ახლა სად არის?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, ისე კი ამბავი მოვიდა, ფრონტზე დაიღუპაო...

— იქნებ გადარჩა!..

— ღმერთმა ქნას, მაგრამ ცოცხალი რომ იყვეს, ერთხელ მაინც არ ამოვიდოდა? სადაც დავიბადეთ, იმას მაინც სხვა ჯიგარი აქ... ისინი რო წავიდნენ, ძაღლი დარჩათ, ეგეთი იყო, ცხენიდან კაცს ჩამოიღებდა... ეზოს არ მოსცილდა, კაცო, იწვა კარებთან და კარგი ბიჭი იყავ — შესულიყავი. ის რო ღამლამობით ყმუილს დაიწყებდა, გეგონებოდა, შვილმკვდარი დედა მოსთქვამსო

— მთელ სოფელს ელეთმელეთი მოგვდიოდა...

მოკვდა, შიმშილით მოიკლა თავი.

— უბედური სახლი ყოფილა, —ამოიოხრა ივანემ და თვალი ჭიანჭველას გაუშტერა, გაზეთზე რომ დარბოდა წინ და უკან, თითქოს ამოვარდნილი ძახილის ნიშანია და თავის ადგილს ეძებსო, — მაღლიდან ჩვენც ასე ვჩანვართ, პატარები, საცოდავები... — ოჰ, მწარეა, მწარე! — ისევ ყრუდ დააკრაჭუნა კბილები და ყბა გვერდზე მოექცა...

აგრილდა, ნიავმა წამოუბერა და კვამლი ჩვენკენ წამოიღო.

— დავბერდი, გავლა ხშირ-ხშირად მინდება, — მოიბოდიშა შემთვრალმა იასონმა.

ძალიან ცდილობდა, სწორად გაევლო, შორს არ წასულა, ზურგშექცეული კედელთან მიდგა, ოდნავ წინ წახრილი, ფეხებგაჩაჩხული და წინსაფარი აიკალთავა.

— ვინ არის? — ვკითხე ივანეს.

— გარეთა ბიძაშვილია... მამაჩემის ტოლია, შეიძლება ცოტა უფროსიც, მაგრამ ჯერ მაგრად არის... დაუდე, შვილო! — მიაწოდა შამფური ცეცხლთან ჩამუხლულ გიორგის.

იასონა შარვლის ღილების შეკვრით წამოვიდა, სატინის ლურჯი წინსაფარის ჯიბიდან დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი ამოიღო.

— გავცივდი თუ რა ჯანდაბაა, ორი დღეა, წყალივით მომდის, — კარგა ხანს აქსუტუნა ნაჭერში ჩაყოფილი ცხვირი.

— გამომართვი, გაციებულზე არაყი მისწრებაა, — ჭიქა გაუწოდა.

— არა, მაინც ეს ადგილი რად აირჩიეთ, ჰა?

— ხო გითხარი, შემთხვევით-მეთქი.

— თან რო იერით ვიღაცას გამგვანებ? — მოხუცი დაეჭვებული ჩააცქერდა.

— იასონ, იასონ! — დაჩამიჩებული დედაბერი ორივე ხელით დაყრდნობოდა კაუჭა ჯოხს და თავსაფარში მახინჯი ტიკინასავით ჰქონდა სახე გამოჭრილი.

— საქონელი არ მოსულა, კაცო.

— მოვლენ, ჯერ რა დროსია.

— ჰოო, ყურადღება გქონდეს...

ივანე გაოცებული შეჰყურებდა დედაბერს, ისიც დააკვირდა.

— ფუი, ეშმაკსა, ფუი, ეშმაკსა! — გადაიწერა პირჯვარი, — იასონ, ვინ არის ეს კაცი?

— სტუმარია... ამაღამ ჩვენთან დარჩებიან.

— სტუმარი? — მოუახლოვდა, — გამოცხადებული გიორგია... ჰო! — დაუდასტურა თავის თავს ნათქვამი.

— ვინ გიორგი, დეიდაჩემო? — ძლივს გაიღიმა ივანემ.

— მე ხო ვთქვი, მკვდრები დაბრუნდებიან-მეთქი...

მე და გიორგის ტანში აგვბურძგლა და ერთმანეთს მივეკუჭეთ.

— სირცხვილია, აბა, რას ლაპარაკობ! — გაუწყრა იასონი, — სულ გამოჩერჩეტდა... წადი და ჩვენც მალე ჩამოვალთ.

დედაბერმა ისევ გადაისახა პირჯვარი და ხანხალით მოგვცილდა.

— დედაჩემია, — თქვა იასონმა, საკვირველია, რათ მიგამგვანა...

— რა ხნისაა? — შეაწყვეტინა ივანემ.

— ათი წელია ამბობს, ასისა ვარო... უკვირს, მე ჯანდაბას და, ეს სიკვდილიც რო გულმავიწყი ყოფილაო...

დედაბერმა კიდევ რამდენჯერმე მოიხედა უკან.

— მშობლებს გაუმარჯოთ... დედაშენი, ჩემო იასონ, მართლა ცას გამოკერებია, ამ ბავშვისა კიდევ ოცდაცხრამეტისაც არ იყო. რო... რას გაიგებ, რასა... — სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— დედა ამას უნდა, თორემ მე ჩემი თავიც აღარ მჭირდება... იმის დაკლებული დღეები შენ შეგმატოს, შვილო.

ლოყაზე იასონის ხორკლიანი ხელისგულის შეხება ვიგრძენი და თვალები ამეწვა...

**ვანო ჩხიკვაძე**
**ჩიტები ზამთარში**

— თქვენ რო დედაჩემის ამბავი იცოდეთ... საკვირველია სწორედ, მე და ჩემმა ღმერთმა...

აგერ, ცოტა ზემოთ, სათიბში მყავდა ცხვარი და დამიძახეს, ჩქარა, სულს ებრძვის, ეგებ ჩამოუსწროო. თურმე უკვე მომკვდარიყო.

— ვინა, კაცო! — ივანემ ძლივს ასწია დამძიმებული თავი.

— დედაჩემი.

— აქ რო იყო?

— აბა, მე სხვა დედა არა მყავს... მოკვდა, მოკვდა, რას იზამ, ყველას მოსავალია და ადრე თუ გვიან ყველას თავს არი... ექვსი შვილი მყავს, ზოგი აქ ცხოვრობს, ზოგიც — ქალაქში... გავაპატიოსნეთ, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, დავკალით საკლავი, დავაცხვეთ პური და პარასკევ ღამეა — შაბათს უნდა დავასაფლაოთ.

ზოგი შინაური, ზოგიც გარეული, კაცები, რა თქმა უნდა, ვსხედვართ და ღამეს ვუთევთ... აი, დიდება შენდა ღმერთო, ჯვარი აქაურობას და კუბოშია, გულხელდაკრეფილი, სუდარაწაფარებული... ხან მთისა ვთქვით, ხან ბარისა და პირველმა მამალმაც იყივლა, სადაცაა შერიჟრაჟდება.

ერთი გაბრიელაა, ჩვენებური — უცებ უკან გადაქანდა. ვიფიქრეთ ჩასთვლიმაო, მაგრამ რა ჩასთვლიმა, ჩემხელა თვალები აქვს დაჭყეტილი.

ვეცით, რა მოგივიდაო.

გაინძრაო! — ძლივს ამოღერღა.

ჩვენ ზურგშექცეულები ვისხედით და ელდანაკრავები შევბრუნდით.

მოგჩვენებია, მაგის განძრევამდე არაფერი გეტკინოსო, — ისევ გავაგრძელეთ ბაასი, მაგრამ გაბრიელმა დაიღმუვლა და ძირს გაიშხლართა...

თქვენს მტერს, რაც ჩვენმა თვალებმა ნახეს — წამომჯდარა დედაჩემი და კუბოდან გადმოსვლას ცდილობს.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავცვივდებოდით — აბა, ვინ ვის გაასწრებდა...

მოვკვდი, გავთავდი, მაგრამ სკამზე მილურსმულივით ტანი ვერ დავძარი.

— ნეტა წინსაფარი სად დავდე! — წელზე მოისვა ხელი დედაჩემმა და მეც დავიჯერე, რო მართლა გაცოცხლდა.

— კარგი ერთი! — ყურადღებად იქცა ივანე. — რაო, არაფერი თქვა?

— რაო და, ზღვაზე სხივი იდო და იმ სხივზე მოვდიოდიო...

— სხივიო?

— ჰო, სხივიო... გამოვიარე წვალებით და ნაპირზე ფეხი დავდგი თუ არა, თონესთან მიმიყვანეს — პური უნდა ჩააკრაო...

ჩავხედე, მოვჩხრიკე შამფურით ნაცარი და ვუთხარი: — არ დაიკრავს, გახურება აკლია, თონე ცივია-მეთქი.

მაშინ წადი, ჯერ შენი მოსვლის დრო არ ყოფილაო, — იმათ უთქვამთ, ვინც თონესთან მიიყვანა, და გამოუშვიათ.

— ეგ რა საკვირველი ამბავი თქვი, — შეფიქრიანდა ივანე, — კიდევ კარგი, დამარხულს არ გაეღვიძა...

— ბოლოს მითხრეს, მთელი მკვდრები ერთ დღეს დავცოცხლდებითო და მოვალთო... ისიც ენახა, შენ რო მიგამგვანა... თვალთ მაგას არ დაჰკლებია და ყურთა, ყველაფერი ახსოვს, ოღონდ ხანდახან აურევს ხოლმე... რამეს კი არ აშავებს, — თავის თავს ებუტბუტება... — ხელი ხელს შემოჰკრა, — არა, მეც რო მივამგვანე?

ივანეს მწარედ ჩაეცინა და სახლზე ანიშნა:

— კრამიტი ვინ გადახადა, კარ-ფანჯარა ვინ წაიღო.

— ზოგი ვინ და ზოგიც ვინ.

— კაკალიც მოუჭრიათ.

— საიდან იცი კაკალი რო იდგა! — გაუკვირდა იასონს.

— ვიცი! — ჭიქა დაახეთქა და ნამსხვრევები გაიფანტა, — ვიცი, იასონ, ვიცი... დაფუტუროვებული კოჭები და ჭერი ვილას დაუტოვეთ, წაგეღოთ. კედლებიც დაგენგრიათ, ქვა მაინც არ გჭირდებოდათ, თქვე კაი ხალხო?

ცეცხლმოდებული შეშები ბოლოებით წამოკრიფა და ბარბაცით სახლში შეიტანა.

მალე კვამლი გამოვარდა ფანჯრები-

დან და თანდათან განათდა, გაკაშკაშდა ჩაღამებული კედლები.

— დაიწვი, თავიდანვე დამწვარი დაიბადე! — ივანე ამღვრეული თვალებით დადიოდა ცეცხლის გარშემო და ჯოხით აღვივებდა, აგიჟებდა ისედაც აბრიალებულ ხმელს.

წახრილ დედაბოძსაც მოედო, ალი მაღლა აიტაცა და ატკაცუნდა აბლაბუდიანი ჭერი.

— გიჟია ეს ოჯახქორი! — პირველი იასონა გამოერკვა, — გამოდი, კაცო, ჩამოინგრევა და ცოდვას დაატრიალებ.

— მეტი ცოდვა გინდა, — ალანძული სახე გამოყო ივანემ, — საკუთარ სახლსა ვწვავ, ამ შავი დღისთვის აშენებულს...

— ივანე ხარ, არა? ხო თავიდანვე მიხვდი, დედაჩემიც მიხვდა, ეგეთი ჯილაგი გქონდათ... მეც არ გამიკვირდა, აქ რას დამსხდარან-მეთქი... მოდი, შენი ჭირიმე, დაჯექი, დაწყნარდი.

იასონამ ხელი მოხვია და სახლს გამოარიდა.

მე და გიორგი გაშეშებულები შევყურებდით ცეცხლის ენებს, გარეთ რომ გამორბოდნენ და მურავდნენ ისედაც გაუბედურებულ კედლებს.

ვიღაცამ იკივლა, იკივლა საზარლად და მომეჩვენა, რომ ფანჯრებიდან ოთხი სული გამოფრინდა, გაჰყვა ცაში დარხეულ კვამლს...

გიჟი მაშო გამახსენდა, თითქოს ფერფლიც დავინახე და დამწვარი სხეულის სუნიც მეცა...

აზრზე როცა მოვედი, გიორგი შუბლს მიჭერდა. მოსისხლული იყო იქაურობა.

— იქით გაიხედე! — ძლივს ამოვიღე ხმა.

— აჰა, წყალი გამოივლე, — მომიტანა ბოთლი.

— გაიხედე-მეთქი.

შებრუნდა გიორგი და წავიდა, ყორეს გადაღმა ჩამოჯდა.

— უნდა მაპატიო, მეგონა, სიამოვნებისთვის მომყავდი... არ გამოვიდა... კიდევ გერევა?

— გამიარა!

— წავიდეთ, მოვცილდეთ... — ივანემ ცარიელი ხურჯინი გადაიკიდა.

— დაგაღამდებათ...

— ჩავალთ, როგორმე, დაღმართია, არ გაგვიჭირდება.

ხალხი მოგროვდა, ცეცხლმოკიდებულ სახლს გაოცებულები შეჰყურებდნენ.

— თქვენი გამშვები არა ვარ! — გადაგვიდგა მოხუცი.

ივანემ უსიტყვოდ მოიცილა.

— იასონ, კიდევ არ მოსულა საქონელი.

მოვხედე, ორკაპივით ბებერი ბავშვივით ჩაფრენოდა მკლავში.

— დამანებე თავი, მოვლენ, სად სიკვდილში წავლენ! — დაუტია დედას, — ივანე, მოიცა, კაცო!

ივანე შუაში ჩაგვიდგა, მძიმე მკლავები მხრებზე გადაგვაწყო და აღმართს შევყუეთ.

დაღამებამდე, როგორმე მთა უნდა გადაგვევლო, მერე საჩვენოც გამოჩნდებოდა და აღარა გვიჭირდა.

●

— რახან შენ დაგინახე! სადა ხართ აქამდე, — შეშინებული დამხვდა ბებიაჩემი, — რა გჭირს, რა ფერი გადევს!

— დავიღალე.

— წყალი ცხელია, ფეხები დაიბანე... გშია?

— არა.

ტაშტი საწოლთან დამიდგა...

„კაცს საკუთარი ლოგინი უნდა ჰქონდეს. რა ბედნიერებაა, რომ მე მაქვს. ვიძინებ და ვიძინებ... — საბანქვეშ შევწექი.

— გაუხარდებოდათ ივანეს დანახვა.

— ჰო, მთელი სოფელი ფეხზე დადგა... დიდი პურ-მარილი გაშალეს და აღარ გვიშვებდნენ.

ესეც შენი კვირადღე, როგორ თვალ და ხელშუა გაქრება ხოლმე...

გუშინდამ მთხოვა, წამოგვყე, მე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მივდივართ, ბატკანი მინდა დაკვლა ჩემს მამაპაპურ ნამოსახლარზეო და ხათრი ვეღარ გავუტეხე, დილაუთენია გზას დავადექით.

ნეტა არ წავყოლოდი, ცუდი სიზმარივით ჩამრჩა, რაც იქ მოხდა...

ხასიათწამხდარი ვბრუნდებოდით, უსიამოვნო ფიქრები ნემსებივით მჩხვლეტდნენ და დაწინაურებულ ივანეს მწევრებივით კვალში მივდევდით.

— მოვატყუე იასონა, სახლი კი არა, ჩემი წარსული დავწვი, — მოგვიბრუნდა უცებ, თუმცა ჩვენ არაფერი გვიკითხავს, — საკუთარი, სხვისი ხომ არა... მაშ რაღად მძრახავთ, რას მერჩით... ყელში მქონდა ამოსული... ორი ტყვია ამომიღეს ნეკნებიდან, ეს კი ვეღარ მოვიცილე, დამძალა, შაქარი ნაღველად მიქცია... აბა, ოცდაათი წელი ნაღველა სვით და ჭამეთ და მერე ვნახოთ, როგორი ბიჭები იქნებით... არა, შვილებო, ნუ გამამტყუნებთ, დასაწვავი უნდა დაიწვას...

ან ისინი რაღას მელოდებიან იმ დაწყევლილ ნასახლარში, გადმოვიდნენ, ჩემთან იყვნენ, საკლავსაც დავუკლავ და წითელ კვერცხსაც ვუგორებ, ოღონდ იქ დაბრუნებას ნუღარ მომთხოვენ...

გვარიანად ჩამობნელდა, ტყეში გაწოლილ ვიწრო ბილიკზე ვარაუდით მივდიოდით. დილით უწყინარი, კუზიანი ხეები თუ დამპალი კუნძები ათასნაირი ურჩხულებივით ჩვენკენ იწევდნენ, ჭრიალებდნენ, ღმუოდნენ. ისმოდა კბილების არეული წკაპაწკუპი, თითქოს ყველა ნადირს შიმშილისგან მუცელი გრემდა — ყლურტ... ყლურტ...

ივანე ისევ მოგვიბრუნდა, — ხომ არ გეშინიათო.

ვიუარეთ, ანდა ივანესთან რა შეგვაშინებს, ღონე კამეჩისა მოსდევს, სალოცავთან გამოვლისას ხურჯინში სანთლისაგან გაშავებული ერთი მოზრდილი და ორი პატარა ქვა ჩადო. არ დაგვანება, მთელი გზა სულ თვითონ ატარა, მხოლოდ მხარს მოუნაცვლებდა ხოლმე...

შაბათი რო დაღამდება
კვირა გათენდება...
ყველა დანიშნული გოგო
საქმროს ელოდება...

მღეროდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თმაგაბურძგნილი ბიჭი, სალოცავთან რომ შემოგვხვდა. სოფლისკენ მიდიოდა. წამიერად შევავლეთ ერთმანეთს თვალი და დავშორდით.

ჩვენ რომ დაგვინახა, დაიმორცხვა, თავი ჩაღუნა და რამდენიმე ნაბიჯზე გავცდით თუ არა, ისევ აუწია ხმას.

დიდი, გამხდარი ყურები კურდღელივით ასცქვეტოდა, ფეხები გან-გან მიჰქონდა, თეთრი, შავცხვირა ფინია ხან წინ გაუსწრებდა, ხანაც ჩამორჩებოდა.

ვინ იყო და რა ჰქვია, კიდევ შევხვდებით? ალბათ, მაგრამ ერთმანეთი აღარ გაგვახსენდება... იქნებ იმანაც დაწვას სახლი და კუდამოძუებულმა მიატოვოს იქაურობა?..

რატომღაც შემებრალა ისიც, საკუთარი თავიც, გიორგიც, შემებრალა იმიტომ, რომ უდარდელი სიმღერები მთავრდება, მთა-ვრდე-ბა... ყველგან გესმის, — „სერიოზულად, ბიჭო, უკვე დიდი ხარ!“

რა უბედურებაა ეს „დიდობა“, შენს ნებაზე ვეღარ მოქცეულხარ!..

ხვალ თამრიკოს ბოდიში უნდა მოვუხადო, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ბოდიში უშველის?

ნეტა რამდენიმე ღამე გადაებას და ვიძინო და ვიძინო.

●

ნაჩქარევად ჩავილუკმე და გავვარდი. „დღეს მაინც არ მკითხონ... რა იქნება, ღმერთო, ეს ერთხელაც მაპატიე და შენი პატივისცემა ჩემზე იყოს!“

აცივდა. თუმცა დროც არის, დეკემბერი დგება, ისედაც გვაცალა ამინდმა. წვიმები ნუ იქნება და ჯანდაბას, სიცივეს კიდევ აიტანს კაცი...

— მეორე გაკვეთილიდან დაეთხოვე, გაიგე? დედაჩემია ავადთქო.

— რა სჭირსო?

— თავის ტკივილები დაეწყო, სიცხეც აქვს, მთელი ღამე თეთრად გაათენა...

— ჰო, კარგი!..

— მამაშენს თუ ვუყურეთ, ჩალპება კომბოსტო...

— გავიგე-მეთქი.

— აბა, დროით ამოდი! — ერთხელ კიდევ გააფრთხილა მჟავე-ილას ცოლმა შვილი და ეზოში შებრუნდა.

დედაჩემი სულ იმას მეხვეწებოდა — თუ გინდა რომ მიყვარდე, ტყუილი არ თქვაო, ეს კიდევ პირიქით, — რას გაიგებ რომელია სწორი, „კომბოსტო ჩალპეს“ და სიმართლე ილაპარაკო, თუ...

თამრიკომ ალბათ უკვე ჩაიარა. ფრიადოსნები საერთოდ ადრე მიდიან სკოლაში. ისეთი რვეულები აქვს, ერთ ლაქას ვერ ნახავ.

„მარტო სისუფთავეში ეკუთვნის ხუთიანი“, — დაგვანახებენ მასწავლებლები თამრიკოს ნაწერს და ისე მიხარია ხოლმე, თითქოს ჩემი იყოს.

მაინც როგორ გამოჰყავს ასე ლამაზი ასოები?..

კლასში ერთი ნაბიჯით შევასწარი ანეტა მასწავლებელს.

შემოვიდა, ჩვეულებრისამებრ, ჯერ სკამს გადაუსვა ხელი და მერე დაჯდა. როცა ამას აკეთებს ყველას გვეცინება.

შარშან, ერთ დღეს უხასიათოდ ბრძანდებოდა, დაგვცოფა, დაგვლანძღა, ორიანებით გაავსო ჟურნალი — ფიზიკა რა თქვენი საქმეა, ნახირს უნდა დასდევდეთო.

მოვიტანეთ ნემსი და ტყავგადაკრულ სკამზე დავურჭეთ, ისე რომ წვერი არ უჩანდა.

დაჯდომა და წამოვარდნა ერთი იყო, ეტყობა, კარგა ღრმად წავიდა — ხუთ წუთს მაინც იხტუნავა...

დიდი ამბავი დაგვაწიეს, გამოტყდით, ვინ გააკეთა, თორემაო... თან თვითონვე ეცინებოდათ.

ვინ იყო ხმის ამომღები, დავიგუბეთ პირში წყალი, ნემსს კიდევ ენა არ ჰქონდა, რომ ეთქვა.

„რო ჩამტეხოდაო... ჰაი, რო ჩამტეხოდაო!... — ბობოქრობდა ანეტა, ნახჩვლეტზე ისვამდა ხელს და ალერ[illegible]ვრებდა, მაინც, რას იზამდა „რო ჩასტეხოდა“.

— რა გაცინებს?.. არა, მაინც რა გაცინებს? — თითი ცხვირწინ დამიტრიალა.

— არაფერი... რაღაც გამახსენდა.

— გვითხარი, იქნებ ჩვენც გავიცინოთ!

— თქვენ არ გაგეცინებათ, ანეტა მასწ...

მიხვდნენ თუ ჩემი ფხუკუნი გადაედოთ, მთელი კლასი ამყვა.

— წყნარად, წყნარად-მეთქი! — ბეჭედი დაუკაკუნა მერხს, — გამობრძანდი, გამოდი, გამო!

— არ ვიცი გაკვეთილი.

— რატომ, რატომ არ ვიცით?.. დაჯექი, ახლა ჩვენ ვიცინოთ!

დავინახე, როგორ მოხაზა ჟურნალში ორიანი.

— აბა, კიდევ ვინ არის სიცილ-ხარხარისთვის მოსული?..

კიდევ სამი ორიანი დაწერა.

— წარმოდგენა არა მაქვს, რა გეშველებათ... როდემდე უნდა იდოთ კუნძებივით, როდემდე! — წაუკივლა და ისევ ჟურნალს ჩახედა, — მოდი, თამრიკო...

— მეც არ ვიცი, მასწავლებელო! — დადგა თავჩაღუნული და სახე აუწითლდა.

ეს უკვე მეხის გავარდნას ჰგავდა, თამრიკო და გაკვეთილის არცოდნა?

— პირი შეჰკარით? მიწყობთ? უნდა გამაგიჟოთ?.. თუ გგონია, ორიანს ვერ გაკადრებ... დაჯექი!

— რად მოატყუე! — გადავიხარე თამრიკოსკენ, — არ გესმის?

— თავი დამანებე! — არც მოუხედავს ისე მიპასუხა და სახეზე ხელები აიფარა.

წამიხდა გუნება, ეს დაღვრემილი დღე ხომ უარესად მწამლავს, — მოაწვა ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი ფანჯრებს და სულ აღარაფერი ჩანს;...

„სად მიფრინავენ ჩიტები ზამთარში?“

„თბილ ქვეყნებში!“

„მერე, ჩვენ რატომ არ მივდივართ?“

„ჩვენ ხომ ჩიტები არა ვართ!“

დედაჩემს გულზე ახუტებული მივყავარ, ნამქერს მარიდებს და ბრწყინავს ჩემი ახალი ფეხსაცმლის ვერცხლისფერი აბზინდები.

„აჰა, უკვე მშრალზე გამოვედით!“ — დამსვა და ქუდი თვალებამდე ჩამომაფხატა.

„ბეღურები რატომ არ მიფრინავენ?

„იმიტომ, რომ სიცივის არ ეშინიათ“...

წელსაც დარჩნენ ბეღურები, შარშანაც, იმის წინაც... დედაჩემი კი გაფრინდა, წავიდა „თბილ ქვეყნებში“, ალბათ ძალიან შეაწუხა სიცივემ.

დღე გაიწელა, გაკვეთილები ძლივს დამთავრდა, თანაც ბოლო — ფიზკულტურა გაგვიცდა.

ვერც ავი ვუთხარი, ვერც კარგი, რამდენჯერაც მივუახლოვდი — ზურგი მაქცია.

მეწყინა, — ნუთუ ვერ ხვდება, რომ შერიგება მინდა... თანაც ძალიან ცუდად ვარ, ლამის ბოღმით გავსკდე...

— წუხელ მთელი ღამე არ უძინია, ბორგავდა, კვნესოდა, გულები დაგვიხეთქა.

— დილით როგორ იყო.

— არ მინახავს, ადრიანად გასულა სახლიდან, — გიორგიმ ჩანთა იღლიაში ამოიჩარა და ხელები მოიფშვნიტა, — უცებ აცივდა.

— ჰო... ეგებ რამემ აწყინა.

—არა მგონია... შუაღამისას ის ქვები ამოალაგა და ლოცვა დაიწყო. ვიფიქრე, გაგიჟდა-მეთქი, ისეთი სახე ჰქონდა...

ორღობეში დავშორდით.

„ვინ ჩაიხედავს კაცის გულში, ვინ გაიგებს შიგნით რა ცეცხლი უტრიალებს...“

●

— სად დაიკარგე?

ტურფას შეშის ნაპობი კუნძზე დაუდვია და ცულს მოუხერხებლად იქნევს.

— მოგეხმარო?

— თუ მაგ სიკეთეს იზამ...

ცული ჩამოვართვი.

რატომღაც მრცხვენია და თვალს ვერ ვუსწორებ.

— არ გესმის, სად დაიკარგე-მეთქი! — დახრილმა ისე ამომხედა, წონასწორობა დავკარგე და შეშის ნაცვლად ლამის კოჭი გადავიპე.

— ჩემზე მოუხერხებელი ყოფილხარ, რამე არ დაიშავო, თორემ ბებიაშენი გადამასახლებს...

რცხილა ერთი დარტყმით სკდება, ორ ნაწილად გაყოფილი აქეთ-იქით ცვივა და გული ყვითლად ანათებს.

— გეყოფა, დაქირავებული ხო არ მყევხარ, — მიბნედილი თვალებით გამიცინა და შეშები მკლავზე დაიწყო.

ბლომად დახვავებულა, ოფლი წურწურით მომდის და მაჯები მტკივა.

— მაღლა მიგაქვს?

— არა, სათონეში დავაწყობ.

მეც წამოვკრიფე და უკან ავედევნე.

— აქვე დაყარე, მთავარია, წვიმა არ დაუვიდეს...

— ჩამოვიდნენ? — ვკითხე ყრუდ, ძლივგასაგონად, ყელში რაღაც გამეჩხირა და ჩავახველე.

— ჰო, სახლში არიან! — შუბლზე ჩამოშლილი სველი თმა გადამისწორა.

ხელი ცივად გავუშვი.

— მოიცა, — წამომეწია სიცილით, — არ ჩამოსულან, ხვალისთვის ელოდები... ისე რად გაინტერესებს?.. თქვი, რად ჩაგივარდა ეგ ჭიკჭიკა ენა! — მერე სახე დაუსერიოზულდა, — ხო არავის უთხარი!

— ვუთხარი!

— ვაიმე, ჩემი სიკვდილი, ვისთან წამოგცდა! მოდი აქ...

ისევ სათონეში შევედით.

— მატყუებ, არ იტყოდი, ჰა, ხო მატყუებ...

გამეცინა.

— არა გრცხვენია, მე კიდევ გულის გახეთქვა მინდა?

ხერხემალზე ისევ დამიწყეს სირბილი ჭიანჭველებმა.

სათონის კუთხეში ნამჯა ეყარა და ქათმები იქექებოდნენ...

შეშინებული კრიახით გარეთ გაცვივდნენ.

— ეხლა არა... თანაც ამ ნაგავში... ზინამ ბავშვი გადაიყვანა თავისთან და სადაცაა... არ გესმის?

ჩემზე ყრუ ალბათ ქვაც კი არ ეგდო.

— კარი მაინც... კარი მაინც მიგექეტა, — ამოიკვნესა და მორჩილად მიწვა.

— იყოს მაგის...

— ტურფა, ქალო ტურფაა... — კიბეზე ვიღაც ბრაგაბრუგით ადიოდა, — მოგიყვანე შენი ბაია... დედათქო, — დაუძახე... დედაა! — დაუძახე, ჰა!

— ხო გითხარი... — გადმომაგდო და კაბა ჩაიფერთხა.

— ახლავე, ზინა, ახლავე.

კარი გაიხურა და გარედან გადაკეტა. ისიც ვერ მოვასწარი, ზურგზე აკრული ძურწა მომეცილებინა.

რაღაც ჩამწყდა, ცივმა ოფლმა დამასხა, მეგონა, გული გამისკდებოდა, ისე მიცემდა.

ჭუჭრუტანიდან გავხედე.

„იქნებ დაგვინახა კიდეც... ზინას ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა, ეზოდან გასული არ იქნება — უკვე მთელ სოფელს ეცოდინება! — ამის გაფიქრებამაც კი მუხლი მომკვეთა, — რამდენს ლაპარაკობენ... ჩანთაც რომ კუნძთან დამრჩა? ვითომ ვერ შეამჩნია?.. აქეთ რად იყურება!“

— არაყი უნდა გამოვხადოთ და რაღა უთენია გადმოვიდე, თქვენი დიდი ზედადგარი მათხოვე... იმდენია, მგონი ზეგაც ვერ მოვრჩეთ... ერთი ქვაბიც რო მაშოვნინა...

— ნათელაანთ გამოართვი.

— ზარფუში არ უვარგა.

— მაშინ მაგულას ენათხოვრე.

— იი, ხალხს კიდევ არ იცნობ, მაგის ქვაწვია დედამთილისა სახლში რამე შეიტანება? შარშან ცოტა მიიწვა და ლამის ზედ გადაგვაყოლა... სადა [illegible] ზედადგარი!

— აბა, კიბის ქვეშ ნახე.

— აქ არა ჩანს, სათონეში გექნებათ.

— სათონეში რა უნდა! — აჭარხლებული ტურფა წინ გადაუდგა.

— ეე, მშობლები შენ უნდა დაიკვეხო, ცივ ნიავს არ გაკარებენ, ისიც კი არ იცი, სად რას ინახავთ. ერთი ჩემი ამბავიც იკითხე! — წამოვიდა ისევ.

— ბავშვი გამომართვი, მე თვითონ...

იმედგადაწურულმა მიმოვიხედე — ეს პატრონმკვდარი ზედადგარი, ძალლივით ცალფეხაწეული მართლა თონესთან არ დგას?

„თონე აქ არ არის?“ — გამიელვა უცებ და სიხარულით ლამის შევყვირე.

ჩავხტი, აბორიალებული ნაცარი ცხვირ-პირში მეცა, მაგრამ ამას ვინ ჩივის — ქვეწარმავლებით რომ იყოს სავსე, ხმის ამომღები ვარ?

ფიცარი გადმოვაცურე, წავაფარე თონეს, გავისუსე და კარიც გაიღო.

— ისეთს რას მალავენ, რო ჩემი შემოშვება არ უნდოდა — ჩაილაპარაკა ზინამ...

კარი გაჯახუნდა, ეტყობა, გავიდა.

„ოჰ, ზინა... კიდევ კარგი, არ დამინახა, თორემ უნდა დამეკრა ფეხი და გადავკარგულიყავ... ყოჩაღ, აბრი, მაგარი „ვაჟკაცი“ ყოფილხარ იმ სირცხვილს რომ გაუძელი მაშინ!“

— სადა ხარ! — მომესმა ტურფას აკანკალებული ხმა.

— წავიდა? — ფიცარი გადავწიე და თავი ამოვყავი.

— მე კი ადამიანად აღარ ვვარგივარ და... როგორ მოიფიქრე... ამოდი, სულ ამოგანგლულხარ... ეშმაკივით აღარ მომეშვა, მაინც თვითონ შემოვარდა. რა მექნა, ჰიდაობას ხო არ დავუწყებდი?

— კიდევ კარგი, გახურებული არ იყო... ბავშვი რა უყავი?

— მაღლა, ჰოჭინაშია... ამო, რაღას

უცდი... როგორ გამურულხარ, ტრუბაში გამძვრალსა ჰგევხარ, — ვერ შეიკავა სიცილი, — ტანსაცმელი გაიბერტყე, მე წყალს შემოგიტან, დაიბანე, თორემ ვინმეს შეაშინებ...

სახე შევიმშრალე და პირსახოცი მხარზე გადავკიდე.

— როდის მოვიდე.

— აკი გითხარი, ადამიანად აღარ ვვარგივარ-მეთქი.

— შებნელდება თუ არა...

— წადი, — მითხრა მოქანცული ვედრებით.

— ჰოთქო და წავალ.

— ჰო... წადი... მოიცა, ჯერ მე გავიხედავ, კიდევ ვინმე არ შემოეხეტოს...

●

კამეჩები თუთასთან მიწოლილან და თავაწეულები იცოხნებიან. მოვლილებს და სუფთებს ბეწვი შავად უბზინავთ.

პაპაჩემი ჩამოსულა.

— როდის გვესტუმრეთ? — დავუცუცქდი წინ.

— სადა ხარ, ბიჭო, დამაწყდა თვალები... მოდი, შენი ჭირიმე! — გამოვიდა პაპაჩემი და ერთმანეთს გადავეხვიეთ, — ეგრე უნდა, ჩვენამდე ველარ გადმოაღწიე?

— სახლში როგორა ხართ.

— არა გვიჭირს... მალხაზის წერილები მოდის, პოვრათა ვარ, სასმელი არ მაკლია და საჭმელი, სხვებს რო დილაადრიანად წამოყრიან და დაარბენინებენ, მე მაშინ ვზივარ და კარტოფილსა ვფცქვნიო.

— ჯარში მაგიტომ წაიყვანეს?

— ეხერხება და... იმ სიცივეებში თბილათ მაინც იქნება.

— რუიზანი, ელგუჯა?..

— რუიზანის ბიჭმა ფეხი აიდგა, ორი ოჯახი მაგას დავდევთ... ეგეთია, რას არ იტყვის იმისი ენა... ელგუჯას კიდე აუხირია, სკოლას თავი უნდა მივანებო, შოფრობა მინდაო, ნეტა, რა ყრია მაგ სატიალე შოფრობაში...

— სახლში აღარაფერი დატოვე? — ვკითხე დერეფანში მიწყობილ ტომრებზე და ყუთებზე.

— ღვინო ვერ წამოგიღეთ, ჯერ კიდევ დუღს.

— არ მოგშივდა მაინც? — ქათმის ბუმბული გაზეთის ნახევში გაახვია ბებიაჩემმა, — მიკვირს, რითი არსებობს, ცოტას წაიკიკნება და ეგ არის და ეგა.

— ნეტა დიდი მჭამელი რომელი იყო, ამის პაპა თუ შვილები.

— საცოდავ დედასაც დღეში ხელისგულისოდენა პური არ აუთავდებოდა.

— ქათამი რო არ დაგეკლა, არ იქნებოდა?

— აბა, მაშ ვილასთვის მინდა, ვინ მომდის. თანაც ისეთი ძვირი სანახავი გახდი, ქათამი რას მიქვია!

— ვტყუი, ჩემო დაო, მაგრამ რა ვქნა, გავძიძავდი ამდენ საქმეებში. დღესა-ხვალა, დღესა-ხვალაობაში ვეღარ გადმოგხედეთ. წინა კვირას ვაპირებდი, მაგრამ საწყალი ჩიბუხა მოკვდა, უჩემობა არ იქნებოდა... შაბათს დავმარხეთ.

— უჰ, უჰ, ნეტა არ გეთქვა! — შეწუხდა ბებიაჩემი.

— რა დაემართა?

— სიბერე, შვილო, სიბერე.

— თქვენ ხალხი ხართ, არ უნდა გაგეგებინებინათ?

— რა ვიცი, შენი თავი გაგჭირვებია და...

— ძალიან მეწყინა!..

გული ჩამეთუთქა, კაცი ისე მოკვდა, მადლობაც ვერ ვუთხარი. როგორ ცდილობდა, წყალში არ ჩავვარდნოდი. ის კაუჭა ჯოხიც მახსოვს, წყალში რომ ებჯინებოდა, გამხდარი კისერიც, დაღლილი, ოფლიანი სახეც და დასისხლიანებული ფეხიც, პირიანმა ქვამ რომ გაუსერა.

— ხახვი შემომიტანე.

— მეც წამოგიღეთ... აქეთა ტომარაშია, — მანიშნა ხელით.

მარცხენაზე ორი თითი აკლია.

იმ დაწყევლილ ომში ზოგმა თავი დაკარგა და თითებს ვჩიოდი, ისეთი ღვთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხვა ტრიალებდა ჩვენს თავსაო, — იტყვის ხოლმე.

ორივე მყესში აქვს მოჭრილი და შეხორცებული ისე უჩანს, თითქოს ტოტები გადაუკაფავთ და სადაც არის, ამოიყრის...

გავედი მეორე ოთახში და წიგნები ამოვალაგე.

„სწავლას გულს აღარ უდებ, — მისაყვედურა ნიკომ, — რა გემართება, თუ რამე გიჭირს, აქ არა ვარ?.. გაფრთხილებ, — დამიქნია თითი, — ასე თუ გააგრძელე — ჩვენს ძმაკაცობაზე აიღე ხელი...“

როგორ ვუთხრა, ანდა ვიცი, რა მჭირს? — ახლაც ვკითხულობ და თავში არაფერი შედის, ერთი სული მაქვს, როდის დაღამდება, რომ... არა, ასე არ გამოვა, თინა შემპირდა, რუსულში გამეცადინებო, დანარჩენებს კი მე თვითონ მოვუვლი...

კარგად შებინდებული იყო, როცა სახლიდან გამოვედი. პაპაჩემთან ერთად ცოტა მეც გადავყლურწე, შიგნიდან ვარ რაღაცნაირად გამთბარი და სასიამოვნოდ მაჟრიალებს...

„ბედნიერებაა, როცა ვიღაც გელოდება და იმ ვიღაცას ქალი ჰქვია, — მარტო შენ რომ გაგიღებს კარს, თითების ნაცნობი მოძრაობით ტანზე ჭიანჭველებს დაგახვევს, მუხლებს წასაქცევად მოგიდუნებს...“

ღობეზე გადავძვერი და ფანჯარასთან მივიპარე.

— შენა ხარ?

— ჰო, ჩააქრე შუქი!

ავედი კი არა, ავფრინდი.

თითქოს ორი ცოფიანი ძაღლი წაეკიდაო, უხმოდ ვეცით ერთმანეთს. ისევ ბურუსი ჩამოწვა თვალებში, მხოლოდ ხელები გრძნობდნენ, როგორი მხურვალე და თეთრი იყო ქალის მოშიშვლებული მხრები... ზურგზე წამახული ფრჩხილები მესობოდა, კანი მოლიპულივით გახდა, ასე მეგონა, მოვცურდებოდი და უფსკრულში ჩავიმსხვრეოდი...

—არ შეგცივდეს, — მზრუნველად წამაფარა საბანი. — დალიე? — მკერდზე დამადო თავი.

— ცოტა!

— უნდა დალიო, უკვე კაცი ხარ... მეგონა, აღარ მოხვიდოდი.

— რატომ?

— პირველად ისეთი დაბნეული და საცოდავი სახე გქონდა, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, ბავშვი არ გაგიუდეს-მეთქი.

— ბავშვიო!

— ჰო, მართლა დიდი ხო არ გგონია შენი თავი... რამდენისა ხარ?

— აგვისტოში ჩვიდმეტის გავხდები.

— ათი წლით უფროსი ვყოფილვარ... მახსოვს შენი დაბადება. ისეთი ბუნჩულა იყავი, სულ წინ და უკან დაგარბეინებდით უბნის გოგოები...

კატოს ბიჭის ქორწილში დედაშენთან იჯექი... საცოდავი, უკვე ცუდად იყო და მალე წავიდა... ირჩეოდი, იმდენ ხალხში არავის ჰგავდი, გარდა ერთი კაცისა, შუქიანი თვალებით, კოხტად გადავარცხნილი თმით...

— ვინ კაცს ვგავდი?

— დამაცა... შემომხედე და ჟრუანტელმა დამიარა, შეცივნულივით ავძაგძაგდი. გამიკვირდა, ეს ბავშვი სულ ჩემს თვალწინ დადის, ახლა რა დამეტაკა-მეთქი...

სხვაგან გადავჯექი, კიდევ რო შემოგეხედა — გული წამივიდოდა...

— ვის ვგავდი-მეთქი!

წამოიწია, სახეში ჩამაცქერდა.

— მამაშენს... ის რო გაივლიდა, ლამის ჩავკეცილიყავ.

— მერე, შენ და მამაჩემს... — წამომახტუნა ეჭვმა.

გაეცინა.

— რა „მე და მამაშენს...“ როგორც ბავშვს, ეგრე მიყურებდა, ანდა თქმას როგორ გავბედავდი, რო მიყვარდა... მეგონა, ყველაფერი დავივიწყე-მეთქი და აგერ არ დამხვდი?

რაღაც ძალიან მეწყინა, ბრაზმა ტვი-

ნი გამიხურა, მზად ვიყავი, ყელში წავწვდომოდი.

— მე რად მიყვები! — ძლივს შევიკავე თავი.

— რა ვიცი... არ მინდა იფიქრო... მოიცა, — გამომგლიჯა ტანსაცმელი, — ოდესმე ვიღაცისთვის ხო უნდა მეთქვა!

— მე ვიღაც არა ვარ. ასე მგონია, დედაჩემის სიკვდილიც კი გაგეხარდა.

გაშრა, საბანი შიშველ მკერდზე აიფარა და ორივე ხელში ჩაბღუჯული ყელთან მიიკუჭა, თითქოს ახლა მიხვდა, რომ არაფერი ეცვა.

— ეგ რამ გაფიქრებინა, ბიჭო... — ძლივს ამოღერღა, — მაშ ამ ბავშვმა არ გაიღვიძოს დილაზე და ისინიც დამეხოცონ თუ... — ცრემლი ღაპაღუპით წამოუვიდა, — ასეთი რა უბედურება გავუჩნდი დედაჩემს, ვერავის ვერაფერი გავაგებინე, ქვეყანაა ყრუ თუ მე ვარ გიჟი... ადვილად კი არ ხდება, სულ ხორცებს ვიჭამდი, ვიდრე ამ ამბავს გადავწყვეტდი... ბოლოს და ბოლოს, რა, კაცი დაილია, რაღა ცხვირმოუხოცავს გეცი!.. ამხელა ცოდვას ნუ ამკიდებ, ჩემი თავის გარდა, ცუდი არავისთვის გამიკეთებია...

— კარგი, დაწყნარდი!

ზურგიდან მომეკრო და უფრო ცხარედ ატირდა...

„უპალტოოდ აღარ გაისვლება!“ — მობუზული შევედი სახლში.

— გიორგისთან მეგონე, იმან კიდევ აქ გკითხა.

— პაპაჩემი დაწვა?

— ჰო, დაღლილი იყო.

მეორე ოთახში შევიჭყიტე.

— ჩაუძინია.

— გელოდა, სტუმრის მიტოვება როგორ იქნება... დაცუცქდი, მხრებზე მიგაზომო... მკლავებს ხვალ-ზეგ მოვრჩები და ამ ზამთარს თბილად მეყოლები.

მოვეხვიე და საფეთქელთან ვაკოცე...

— რათ მეფერები, — გადმომხედა სათვალის ზემოდან, — რამე ხო არ დააშავე?

— ცოტ-ცოტას ყველა რაღაცას ვაშავებთ, მაგალითად, ჩემს ხალათს ცი-ტრუსის სუნი ასდის...

— მომიკვდეს თავი, საყელო ჰქონდა ნოტიო, ახლო მივდგი და სულ არ გადამავიწყდა? — სკამის საზურგედან სწრაფად აიტაცა ხალათი, და სინჯვა დაუწყო, — გადარჩენილა... დავბერდი და შენ კი არ გჯერა.

— როგორ, ჩემს ქრწილში არ უნდა ჩამოუარო?

— ჩამოვლას ვინ ჩივის, თუ მოვესწარი, მაგის მადლობელიც ვიქნები... მაშინ მგონი ისე მოფამფალებული ვიყვე, სუფრასთან არ დამსვა... ეჰ, ვისაც მართლა უნდა გაეხარა, ის,.. — სათქმელი გრძელი ამოოხვრით დაამთავრა.

„შენს სანდლებს ათასი ბავშვის ფეხსაცმელში გამოვარჩევ“.

„როგორ?“

„ჩასაცმელიც თანდათან პატრონს ემგვანება. ამათ სულ შენი ფეხის ფორმა აქვთ“, — სველი ნაჭრით დაწმენდილი სანდლები გასაშრობად ღუმელთან დააწყო.

„სხვისი დედებიც ცნობენ?“

„თავიანთი შვილებისას — რა თქმა უნდა... როცა გიცვდება, თითს სულ ერთი და იგივე ადგილზე გამოყოფ ხოლმე... აი, ის მაიმუნი, მოუსვენარი თითი“, — საბანქვეშ ხელი შემოყო.

მე არ ვანებებდი, ვიქნევდი ფეხებს და ორივე ვიცინოდით...

„ღმერთო, რატომ მთავრდება ყველაფერი კარგი ასე მალე? ნუთუ დედაჩემმა მხოლოდ მოგონებებში უნდა იცოცხლოს და ბოლო მოგონებებიც გაფერმკრთალდეს, ანდა სულაც გაქრეს?“ — ფეხსაცმელები საწოლქვეშ ჯავრიანად შევყარე.

●

ზამთრის სუნი დატრიალდა. მთებზე ჩამოფენილმა თოვლმა ალყაში მოიქცია სოფელი. სადღაც იქით, ზემოთ, სიცივით აბაბანებს ამირანს და მოღუშული სახე კიდევ უფრო ელრუბლება.

„მე არა ვარ მჭედელი!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მაშ ვინ ხარ?“

„არ ვიცი“.

„როგორ მომაგენ!“

„შენი კვნესა მომესმა!“

„რა გინდა, რისთვის მოსულხარ!“

„ასე როდემდე უნდა იყო, არ მოგწყინდა?“

„ყამარი სად არის?“

„გათხოვდა, ძალით შერთეს დათიკო მჭედელს, მაგრამ მაინც ერთთავად ბაწზე დგას და შენკენ გამოიყურება!“

„ოჰ, ოჰ!“ — კბილები დააკრაჭუნა და კლდეზე ამოსულ მარტოხეს ცეცხლი მოედო.

„მიდი, რა, გაბრაზდი, ამირან, გაწყვიტე ეგ სატიალე!“

დაჭიმული კუნთები აუძაგძაგდა, ამოიქშინა და კედლებს შემსკდარი ღამურები დახოცილები დაცვივდნენ, მე კი თმის ღერიც არ შემრხევია.

მკლავები მორჩილად დაუშვა.

„არა ღირს!“

„რატომ?“

„მეშინია!“

„შენ და შიში?“

„ქრისტე ღმერთი თვალით არ მინახავს, — ადამიანებმა დამაბეს... კიდევ მიღალატებენ, დევებს და ქაჯებს ამომახოცინებენ და ისევ მომიკვეთენ!“

„მე არა ვარ მჭედელი!“

„გახდები!“

„არ გავხდები!“

„სხვებიც ასე მპირდებოდნენ, მაგრამ... წადი!“

„როდის მოვიდე?“

„უშაბათო კვირას, არც დღით, არც ღამით...“

მტვერი ავარდა, გრუხუნით ჩამოგორდა თვალშეუწვდენელი კლდე და გამოქვაბულს აეფარა...

— ამირაან!

— რა გაყვირებს, ყრუ კი არა ვარ! — წამოიკაკვა დაუშტვინე.

„ნეტა ამას ვინ დაუძახა!“

— ამირან-მეთქი!

— ჰოდა, მე ვარ ამირანი... მამაჩემიც ჩემნაირი პატარა იყო, დაგვალული. უფიქრია, ამირანს თუ დავარქმევ, მაღალი გაიზრდებაო, მაგრამ გინდა ბაყბაყდევი დაარქვი, „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“, ჯიში გვქონია ეგეთი... ივანე, ქაფჩა გადმომიგდე... ბიჭებო, ეს ქვები გადაყარეთ, აღარ გვჭირდება.

მართლა კოხტა ნიში გამოვიდა. შუაში ივანეს ჩამოტანილი სამი ქვა ჩავაყოლეთ.

— ჩაირბინე, დედაშენი რად აგვიანებს... ბევრი არაფერი გვინდა, დავილოცებით და მერე სახლში ჩამოვალთთქო! — მიაძახა გიორგის.

— ერთი, შენ გაზრდას, წყალი დამისხი... ჰოო, საკმარია... აბა, შენცა, ამირან.

—რა დაბანა უნდა, მიწა სუფთაა...

მაინც წაიხარა და გამხდარი ხელები გამომიშვირა.

მამაჩემიც არ იყო დაბადებული დაუშტვინე როცა დაარქვეს. ვინმეს სხვანაირად არ ეგონოს, უწყინარი და სერიოზული კაცია.

ომიდან დაბრუნებული — ეხლა კი არა, ადრე რომ იყო, — ყვება თურმე:

— ვწევარ ბიჭებო აკოფში, თოფს ჩახუტებული და თავი ვერ წამომიწევია, ეგეთი ბათქაბუთქია, რო, პა-პა-პა... უცებ დაუშტვინა და ზედ ჩემ ცხვირწინ დაერჭო ბომბი.

„ვიცოდე მაინც, სადა ვკვდები“, — დავხუჭე თვალები და სახეზე მკლავი ავიფარე, ვითომ რამეს მიშველიდა. გაგიგონია, ეგრე ასწევდა ორსართულიან სახლს, როგორც ცარიელი გოდორი აიტაცო...

შეწყდა ბომბების შტვენა და სიჩუმე ჩამოვარდა...

თურმე ნუ იტყვით, ვიდრე ცხვირწინ დარჭობილი ბომბის აფეთქებას ველოდები, ჩვენებს უკან დაუხევიათ.

— შნეელ, შვაინო, — გამოგვყევი ღორროო! — ვიღაცამ ზურგში ხიშტისწვერი წამატაკა.

---

**ვანო ჩხიკვაძე**

**ჩიტები ზამთარში**

ღმერთმა გაახაროს, როგორც კი წინ გამიგდო, იმ ჩემი ცოდვით სავსემაც დაიჭექა.

მას მერე დაუშტვინეა, სახლშიც ასე ეძახიან და სხვებს რაღა გაემტყუნებათ.

სამი თუ ოთხი წელიწადი ტყვედ იყო. გერმანელებს ზარმაცი და წელანგარა თავისიც არ ჰყვარებიათ და ციხისუბნელ კაცს გულხელდაკრეფილს ხომ არ დასვამდნენ. დაუშტვინე ახლაც ყოჩაღია და მით უმეტეს მაშინ ვერცხლისწყალივით ყოფილა, ულვაშა, მსუქანი ფერმერის ცხენებს უვლიდა, დაუყვედრებელი ლუკმა ჰქონია და ის ფერმერიც ახლობელივით შეთვისებია. უთხოვია, დარჩი, ქალი შეირთე, შენს ქვეყანაში დიდი არეულობაა, იყავი და მშვიდად იცხოვრეო, მაგრამ დაუშტვინეს არ უქნია.

ჩემი სოფლის ნიავი მომენატრა, ყველაფერი რო იხრუკება — ნაძვნარზემოთ მაინც სასიამოვნოდ ქიქინებს, გაღეღილ მკერდში გიძვრება, საფეთქლებს გიგრილებსო.

ეტყობა, პოლიტიკაზე ცოტა მწყრალად იყო — ფერმერისთვის იქით შეუთავაზებია, წამობრძანდი, ნახე, როგორ გვიყვარს სტუმარიო, მაგრამ ფერმერს ჩაუცინია და თავაზიანი უარი უთქვამს...

მოკლედ, გამოუგზავნიათ ათასნაირი რამე-რუმით დატვირთული, ჩასაცმელი გინდა თუ დასახური, მაგრამ სახლში სულისა და ძირგახვრეტილი ჩექმების გარდა, არაფერი ჩამოჰყოლია.

სახლ-კარი გაპარტახებული დახვდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რადგან დიდ სიცხეშიც კი ნაძვნარზემოთ ისევ ქიქინებდა ნიავი...

სოფელმა თუ ერთხელ აგიგდო, ბოლომდე დაუნდობელია, შეგდგება და აღარ გაათავებს, სულ უნდა ვიღაცით გაერთოს, იქირქილოს. ასეთ სათამაშოდ დაუშტვინე აირჩიეს, ჩულივით უწყინარი და დამთმობი. თუმცა ხმის ამოღება და სიტყვის შებრუნება რომ შესძლებოდა — ეგრე ველარ გაუთამამდებოდნენ.

როცა მეტისმეტს იზამენ, [illegible]ნად ამოიოხრებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დაეცინათ, ჟილეტი რო მეცვა და კატელოკი მეხურა და მე და ჩემი პატრონი ლუდის ჭიქებს ვუჭახუნებდით ერთმანეთსო...

გიორგიმ საფენგადაფარებული კალათა ამო[illegible]ნა.

ივანემ სანთელი დაანთო და ქუდმოხდილმა პირჯვარი გადაისახა.

— აბა, ჩამოასხით... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, დღეს ჩემი სალოცავი, ივანე ნათლიმცემელი მობრძანდა, აქაც დაემკვიდრა.

ჩემს მამა-პაპას ესა სწამებია და მინდა ჩემს ოჯახსაც უმფარველოს... აბა, მიირთვით! — მომაწოდა ცარიელი ჭიქა, — წყალობა, გადმოუხვიე, ეგრე გვერდის ავლა შეიძლება?

— გამარჯობათ... მეგონა, წყარო ამოუშენებიათ-მეთქი.

— წყაროც იქნება და ერთი-ორ ტირიფსაც დავრგავ.

— კაკალი — რაღა ტირიფი.

მე ტირიფი მომწონს, თმაგაშლილ ქალსა ჰგაავს დალოცვილი.

— წყალობა, ნათლიმცემელი მობრძანდა... გაიხარე, ივანე, სამას სამოცდასამი წმინდა გიორგის ძალა მოგცეს შენ და შენს ნაშიერს! — დაუშტვინემ გადახუხა.

— ეს სამი ქვა ჩემი სოფლის სალოცავიდან გაღმოასვენე, — აჩვენა წყალობას, — აი, ბიჭები მყავს მოწმე.

— ამ ხნისა მოვიყარე და ესეთი რამე არა მსმენია...

დაილოცა წყალობაც, ისიც ქუდმოხდილია, დაუშტვინესავით თეთრთმიანი, მოხრილი.

— მოვიდა ბებრების მტერი, — ყუა წაატეხა პურს, — ვიდრე არ გაიზაფხულებს, ნუ მომკლავ-მეთქი, ღმერთს ვეხვეწები... მოთბება, აყვავდებიან შინდები, გამითბება ზურგი და სიცოცხლე მაინც არ მეთმობა, მწარეა, მაგრამ კარგია ეს საოხრე.

— მიქელამ ეგენი არ იცის, როცა მოეხუშტურება, მაშინ მოვა, — ჩაიმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლა დაუშტვინემ და ეგრე ჩამჯდარი შემოგვაჩერდა, — გავიხედ-გამოვიხედავ — ჩემი კბილა აქა-იქლა დაკინკილებს. ვიფიქრებ, შე მუდრეგო, ყველა იქ არის, აიკრიფე გუდა-ნაბადი და...

— რამდენისა ხარ?

— მკათათვეში სამოცდაათი გავათავე.

— ბევრით არ ყოფილხარ ჩემზე დიდი.

— შენა, ივანე?

— ივანე ჩვენთან ბავშვია... აქ რო ჩამოსახლდნენ ეს და ცხონებული დედამისი, მოწიფული ვაჟკაცი მეთქმოდა.

— ეეჰ, წყალობა, მაგარი იყავი, გახსოვს ის მთიული რო დადე?

— დღეობასა?

— ჰო, დღეობასა... აი, იქ, — გაიშვირა თითი, — ხევისპირზე გვქონდა საჭიდაო. დაუარა იმ მთიულმა და მთელი ტალიკ-ტალიკი ბიჭები ნახერხში აგორავა. სიკო, სანდრო, მიტუშა... თუკი ვინმე გვყავდა — ყველა დაგვიჯაბნა...

ამას მოყვრები ჰყავდა სტუმრად და ძლივს გამოვიტყუეთ სუფრიდან.

— სამი ჩარექი მაინც მექნებოდა დალეული, — ჩაეღიმა წყალობას და კმაყოფილი მოლოდინით გაინაბა.

— დაეძგერნენ ერთმანეთსა და... ვიდრე ახალი სადღეგრძელო ჩამოივლიდა, ეს ჩვენი წყალობა ისევ სუფრასთან იჯდა... ეგრე არ იყო?

— ეგრე იყო... კარგი ვაჟკაცი გამოდგა, არ იწყინა, ძმასავით გადამეხვია.

— სხვანაირად არც იქნებოდა. აბა, ის იყო საქმე, წელს რო საჭიდაოზე ხანჯლები დატრიალდა?

— ჩვენ მაინც სხვა ნამუსი გვქონდა. ან მე ვერა გამიგია რა, ანდა კაცობის საზომი გამრუდდა... გიორგი, ერთიც დაასხი... როგორ შემიტყუეთ, ჰა, დღეს თუ დავლევდი, არ მეგონა... ღმერთი ხო ვადღეგრძელეთ, ისედაც დღეგრძელია და ახლა კაცს გაუმარჯოს, ყველა ორ ფეხზე მოსიარულე შარვლიანს კი არა, — ვისაც თავისი საკმარისი სინდის-ნამუსი დააქვს ამ წუთისოფელში... იქნებ ვინმეს ჰგონია, ადვილი სატარებელია — ამას თქვენ გასაგონად ვამბობ, ბიჭებო, — გადმოგვხედა წყალობამ. — მძიმეა, მაგრამ ქვეყანა რო ნამუსიანი კაცის მხრებზე დგას, რა ვქნათ, ყველა გამოვეცალოთ და დავაქციოთ?

— ესენი კარგები არიან! — წამოდგა დაუშტვინე.

— კარგები რო არიან, იმიტომ ვეუბნები, კარგს უნდა შეხსენება, თორემ ცუდს... ჰოდა, ეგრე, კაცს გაუმარჯოს..

ნისლი თანდათან გაბევრდა, გაიფოფრა, შეუმჩნევლად მოგვეპარა.

— დაიყინებით, აღარ მოდიხართ?

— სალოცავისა დაგვილიე და წამოვალთ, — გაუღიმა ივანემ ცოლს.

— კარგი, ერთი... — არ გამოართვა ჭიქა, — ჩემმა სალოცავმა ხო ამაშენა და შენი დამამშვენებს.

— მაშ ჩვენ გიჟები ვართ?

— აბა, ჭკვიანი ამხელა გზაზე ქვებს ათრევდა?.. ლამაზი კი გამოსულა... სათონე რო ლამის თავზე დამექცეს, იმას ვინ მიხედავს, ნათლიმცემელი?

— ნეტა როდის გესმოდა ჩემი რო ეხლა გაიგო, — მოიღუშა ივანე.

— ცოლ-ქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონაო, — გაეცინა დაუშტვინეს.

— კი არ ვეჩხუბები...

— თუ არ მეჩხუბები, აქ მაკოცე, — დაიდო თითი გაჯაგრულ ყბაზე.

— გაქრი! — ქოქოლა მიაყარა ცოლმა.

მე და გიორგი ხარხარით მივეყუდეთ ერთმანეთს.

— წამოდით, თბილად დასხედით და იქ ილაპარაკეთ, — დაიწყო საჭმლის ალაგება.

— სუფრა არ აგვიშალა? — თქვა ივანემ დამთმობი ხმით.

წინმიმავალ, ხელკალათიან ქალს დამწკრივებულები ავედევნეთ.

— შეგიდგათ წყალი შენ და შენს წისქვილს, — დაუშტვინემ მკლავი გამოსდო წყალობას.

— ვითომ, რათაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქვემოსოფელში უკვე გაუშვეს ელექტროწისქვილი.

წყალობა ჩაფიქრდა, არ მოეწონა ნათქვამი.

— მერე, ელექტრონზე დაფქული და ეს — ერთნაირია?

— უფრო სწრაფია, იმდენი დრო სად არის, მთელი დღე წისქვილში იჯდე.

— გემო, ნამდვილი პურის გემო? რაღა თანაბრად რო იღერღება, იფქვება და რაღა ასწრაფებული, დამწვრის სუნი რო მიჰყვება!..

გიორგის პატარა და-ძმა ლუმელთან ლოყადაბრაწულები ისხდნენ. ლალი მეორე კლასშია, გურამი — მერმის წავა. ამათ ყურებას არაფერი სჯობს. რა იქნებოდა, მეც მყოლოდა... ეჰ, ეტყობა, ამასაც იღბალი უნდა... მე ბევრი შვილი მეყოლება, მითქვამს და ავასრულებ კიდეც...

დიდხანს აღარ გავჩერებულვართ.

ჩაშავებული ნახნავები ნისლში იკარგებოდა, მინდორი ამობრუნებული იწვა.

— ის მთიული მაინც როგორ წამოიღე, ჰა? საჭიდაო ზუსტად აქ არ იყო? — ხევისპირზე ყამირს ფეხი დაჰკრა დაუშტვინემ.

— ცოტა იქით, მურყნები რო იდგა.

— არა-მეთქი... ბოგირზე გადმოხვიდოდი და...

— რა ვიცი, ეგებ ეგრეც იყოს!

— ისე, ტანმორჩილი კი ვარ, მაგრამ, მეც კარგად ვჭიდაობდი. გერმანელებს ხო შუა და გარეკაურისა არაფერი გაეგებათ — სულ ყირაზე გადამყავდა...

— იმან როგორ გითხრა, აკოფში როცა იწექი? — ვკითხე.

— შნეელ, შვაინო, — წამომყევი, ღოროო... მამაძაღლი, ნეტა ცოცხალია?.. რამხელაა ქვეყანა, თითი რო გაეჭრებათ იქაც სისხლი გამოსდით, იქაც ჩვენსავით ტირიან და იცინიან და რაღა გვაჩხუბებს, ვერ მოვისვენებთ? — ხელები გაშალა დაუშტვინემ.

— წისქვილი მართლა გაუშვიათ? — თავის საფიქრალს უტრიალებს მეწისქვილე.

— ძველი აღარაფერი უნდათ, ჩემო წყალობა. ხოდაბუნზე რო გუთნეული გაიჭიმებოდა — იმას რამე სჯობდა, მაგრამ სადღაა. ისე, მე მითქვამს და ეგ ელექტროწისქვილია თუ რაღაც ოხრობა, დიდხანს მაინც ვერ გაძლებს, — დაამშვიდა ბოლოს. — წყალსაქაჩივით მოუვა, ექვსი წელი მაგაზეა ლაპარაკი, ჩაყარეს მილები, ჩადგეს მოტორი, მაგრამ ექვსი დღე არ უმუშავია.

— რა ვიცი, რა ვიცი...

ფეხარეულები მიდიან. წყალობამ ხელი გადახვია და დაუშტვინე ისეა მისკენ წახრილი, გეგონება, დამძიმებული ვაშლის ტოტისთვის საბჯენი შეუდგამთო.

რა დარჩება ამათ მერე, მთიულის ნახერხიანი ზურგი თუ დაუშტვინეს „ჟილეტი“ და „კატელოკი“, რომელიც მართლა ჰქონდა თუ არა, მის გარდა, არავინ იცის და ბოლოს ესეც დაავიწყდებათ, დავიწყებაში ხომ მარდები ვართ... ან იქნებ წარწერა გააკეთონ წისქვილზე, ამა და ამ წლიდან, ამა და ამ წლამდე მუშაობდა...

„რამდენს უზელია ამ სოფლის ტალახი, ვაჟკაცს თუ ლაჩარს, ძაღლსა თუ მამაძაღლს, მაგრამ ერთი დრო არავის შერჩენია, ყველა წმინდა გიორგის ფერდაზე წამოგორებულ ლოდებს დაუტანია, ჩაუკარგავთ და ჩაუსრისავთ... არავინ უკან აღარ იყურება, აღარავინახსოვთ, თითქოს მანამ არც ცრემლი ყოფილა, არც სიხარული...“ — ეს არჩილ მასწავლებელმა უთხრა ნიკოს, იმ დღეს, სახენაყვავილარმა კაცმა რომ გალანძღა.

„ჰოპლა, — გადავახტი გუბურას, — ცხოვრება წინ მიდის, უკან კი ქვის ძეგლებს დამსგავსებული, სახე და ჯანგატეხილი ადამიანები რჩებიან“.

„მაგრამ თუ სოფელს ერთხელ უნდა ბოლო მოეღოს?“ — ჰა, ახლა რაღას იტყვი, ყავარზე კუდგადებულო, სახენაყვავილარო იქსო, რას იტყვი-მეთქი... მე ვინა ვარ? — სიყვარულში გაუმართლებელი, ბედისწერისგან განწირული, ციებ-ცხელება შეყრილი, კოჭლი, მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფარი ბარათაშვილი... ეგეთ ვინმეს არ იცნობ? რატომ, ალბათ ჯერ საჩივარი არ მიგილია, თორემ მოძებნიდი... არა, შენ ჩემი ქართული არ გესმის და ვერც ვერასოდეს გაიგებ... არადა, უცხომ რომ ყური დაგიგდოს, ეგონება, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ... საკვირველია, ნამდვილად საკვირველი..."

— ვის ელაპარაკები, დათო! — ორივე შემობრუნებულა და ხითხითებენ.

— „მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს?"

— რაო, რაო? — დაცქვიტეს ყურები.

უფრო ხმამაღლა გავუმეორე.

— მოეღოს და მოეღოს, ჩვენი დარდიც ეგ იყოს...

— რათა, რაკი ელექტროწისქვილი ააშენეს, იმიტომ!

— უყურე, ამ მამაძაღლს!

— შენ კიდევ, გზაში რომ გაგფცქვნეს და გალოკილი თითივით გამოგიშვეს, ვეღარ დაივიწყე? „აკოფთან" რომ ბომბი დაეცა, ამოგედო იღლიაში და წამოსულიყავ, ვინ იყო შენი ხმის გამცემი!

— მგონი ააფრინა, ვაი, საწყალო ბაბალე! — მუხლზე ყასიდად დაირტყა ხელი დაუშტვინემ.

— მაგარი არაყი სცოდნია ივანეს... მომისმინე, შვილო, ზომაზე, გაიგე, შენი ზომა გქონდეს, მეტი არასოდეს დალიო, ჩემგან გახსოვდეს.

— არის, მეტი არ დავლიო! — შუბლთან მივიტანე ხელი და ეზოს კარი შევაღე...

საწყალი ცუგა, როგორ გაუხარდა ჩემი დანახვა, მგონი ყველაზე მეტად ამას ვუყვარვარ...

დაბერდა, ამდენი იჯახირა და ერთი ჟანგიანი ჯაჭვი ვერ გაცვითა... ამ ქალს ვერ გავაგებინე, რომ ნულარ აბამს, ეყოფა...

— რაო, რას მეუბნები? ჩემი ლექსი რა თქვენი დასაცინია, პატივცემულო ცუგა... აა, თავის დროზე თქვენც წერდით? თანაც ტრაქტორს უძღვენით პირველი ლექსი!.. მერედა პატ. ცუგა, ტრაქტორი ხომ... შეგეძლოთ, რა თქმა უნდა, მაგრამ პირველი მაინც ქალს უნდა ეკუთვნოდეს — „სიყვარულო, ძალსა შენსა..."

ცუგა მკერდზე ამებღოტა, უკან გადავქანდი და ხელი სალაფავის ჯამში ვტუცე.

— ეეჰ, არა ხარ კაი კაცი, შენ რომ ბოლომდე შეგეჭამა, მე არ მოვითხვრებოდი, რა გჭირს, უმადოდ ბრძანდები? იქნებ სიცხე გაქვს, აბა, თვალებში შემომხედე!..

ნეტა, რამდენ ხანს ცოცხლობს ძაღლი. ცუგა ალბათ თერთმეტისა მაინც იქნება. ეს საქმეა? ისე ჩამობერდა, სახელიც კი ვერ დავარქვი, ცუგა ეკადრება ამ დროულ კაცს!.. კაცია, აბა რა, რაც ამან ძუკნებს სდია...

ახლად თვალახელილი ლეკვი იყო მე და მამაჩემმა რომ ვიპოვეთ. სციოდა, შიოდა, წკმუტუნებდა საწყალი.

— წავიყვანოთ-მეთქი, — შევეხვეწე მამაჩემს.

ერთი ხომ გვყავს, არ გვინდაო.

გავჯიუტდი, ადგილიდან ფეხი ვერ მომაცვლევინა და ბოლოს დამითმო, მივიხუტე გულთან და წამოვედით, ჩამთბარს, მკლავზე თავმიდებულს მიეძინა.

ასე გახდა ცუგა ჩვენი ეზოს ბატონპატრონი. ზოგ ადამიანს შეშურდება, ისეთი თავდაჭერილი და ჭკვიანია. ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო და ცუგაც შემცდარა, მაგრამ ჩვენ რა, ყველა სულიწმინდები ვართ?

აი, კლუბში რომ შევრცხვით და ძლივს გამოვასწარით, ის მინდა გავიხსენო:

„კინო მოვიდაო!" — დაიძახეს და იხუვლა მთელმა სოფელმა, გაიჭედა ძველი, ნახევრად დანგრეული კლუბი.

ფანჯრიდან უბილეთოდ გადავიპარე. მომადგა ესეც, გადმოყო თავი და შემომტირა — მე კი არ მინდა კინოო?

გადმოვიყვანე და სკამქვეშ დავმალე.

შუქი ჩააქრეს. დაიწყო და რა დაიწყო, მთელი ხალხი სიცილით ეხლება ერთმანეთს, მხოლოდ ცუგა უყურებს სერიოზულად...

დარბის პატარა, ხელჯოხიანი, მოკლეულვაშა კაცი, ყველას უღიმის, ფეხქვეშ ეგება, მაგრამ დიდი უღიბლო ვინმეა, ათასნაირი უბედურება ემართება: შეცდომით ხან ადუღებულ ჩაიდანზე ჯდება, ხან ორმოში ვარდება, ხან ისე ურტყამდნენ, მიკვირდა, რაში ედგა სული... ბოლოს, ერთი გრძელულვაშა და ზოზროხა, რომელიც თვითონაც კარგა მაგრად აცუცურაკა — მისდგა და ხვედასავით მუშტი დაუშინა.

ხალხი, რა თქმა უნდა, მაინც იცინოდა, ცუგამ კი ჯერ შეღრინა.

„ჩუმად-მეთქი!“ — დავუტიე, მაგრამ ცემა-ტყეპა რომ აღარ გათავდა, ვეღარ დავიჭირე, — გამისხლტა, გაძვრა სკამებქვეშ და შეახტა კედელზე გაკრულ, რამდენიმეგან გადაკერილ მიტკალს... ფხრაწ... ახარხარებულ ხალხს, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო — ატყდა გინება და ყვირილი...

ფანჯრიდან ძლივს გადავასწარი. მალე თვითონაც გადმომყვა, კბილებით მიტკლის ნახევიც გადმოიტანა და ნანადირევივით წინ დამიგდო.

შეწყდა კინოსეანსი, გაბრაზებულმა მექანიკოსმა აპარატი მანქანაში ჩადგა და წავიდა, თან დაიმუქრა, მე თქვენთან ფეხის დამდგმელი აღარა ვარო.

ცუგა, მართალია, ტყუოდა, მაგრამ ახია ხალხზე — დაუშტვინეს რომ სანდრო კანდელაკი სცემდეს, უნდა გულხელდაკრეფილმა უყურო და იცინო?

კარგა ხანს თავი აღარ გამოგვეყოფოდა, განსაკუთრებით ჩვენს თავმჯდომარესთან შევრცხვით, პირველ რიგში იჯდა ცოლ-შვილით, დამფრთხალი ცუგა ზედ შეახტა და სუფთა კიტელი ტალახიანი თათებით შეულანძღა.

მაშ, ეგრე იყო, თუ არ გჯერათ, თვითონ ჰკითხეთ, აგერ არ არის?

— ცუგა, სადა ხარ, ცუგა!

— მაინც აუშვი, არა?.. — გამოქცეულ ძაღლს შეშის ნაპობი მოჰყვა და დოინჯშემოყრილი ბებიაჩემიც გვიჩხუბ-და, — ხო გითხარი, ქათმებზე იწევს-მეთქი, დილასაც ამ ამოსაბუგების ვარია დაუგლეჯია, — ხელი გააქნია არტემაანთკენ, — ჩემს თავს რაზე ალანძღვინებ!

— ჩვენსას რო არ გლეჯს.

— რა ვიცი, ჯანდაბას მაგის თავი, ალბათ სცნობს.

— ჰოო, ეს ვერ არის კარგი ამბავი, სიბერეში რამ გაგამხეცა, კაცო, არ გრცხვენია?.. ჭკუით, თორემ ძველი დამსახურება ვერ გიშველის! — დავემუქრე.

ყურიც არ შეუპარტყუნებია, მიდგა ფეხაწეული ღობესთან და გემრიელად მიაჩხრიალა.

მოდი და ელაპარაკე...

აივანზე გაფენილი სარეცხი სიცივისგან იფხუკება, აკრეფენ, შეიტანენ, გაახურებენ ნახშირის უთოს, ჩამოჯდება თამრიკო და გაშლილ ზეწარზე გემივით ისრიალებს გავარვარებული თუჯი. ხანდახან ძირზე სველ თითს დაჰკრავს, ხომ არ გაცივდაო...

„წერილს მივწერ!“ — მოვიმარჯვე ფურცელი და კალამი.

„ჩემო თამარ! ჩვენი განშორებიდან ზუსტად ათი დღე გავიდა. ათი დღე — ორას ორმოცი გრძელი და მტანჯველი საათი, ანუ 24X60X10-ზე — წუთი. ნამრავლი რამდენია, ახლა ამის გამოთვლის თავი არ მაქვს, მამაშენს ჰკითხე და უცებ ჩამოყრის საანგარიშოზე, ბუღალტერია და არ შეეშლება... ბოლოს, თუ რა თქმა უნდა, არ დაიზარებს, მიღებული რიცხვი გაყოს ჩემ სამ ორიანზე, და...“

„სისულელეა, — დავხიე ფურცელი, — რამე უფრო გულის ამაჩუყებელი უნდა მოვიფიქრო...“

შემოვიდე შუბლზე ხელი, კედელზე გაკრულ რუკას თვალი მივაპყარი და აზრიც გაჩნდა.

„თამრიკო! ამ წერილს როცა გადმოგცემენ, მე შეიძლება მატარებელშიც ვიჯდე და შენგან, ყველასგან შორს მიმაქროლებდეს, საით? რა ვიცი, დაუშტვინე ამბობს, ქვეყანა დიდიაო და მეც

ვნახავ, ეგებ არც ისე დიდია... მოკლედ, ბათუმში უნდა ჩავიდე, ძნელია, მაგრამ მაინც მოვეწყობი გემზე... ცურვა რომ არ ვიცი?.. ვისწავლი, ჩემს ასაკში არც კოლუმბმა იცოდა, მაგელანზე რომ აღარაფერი ვთქვა... გატყუებ? ნუ დაიჯერებ რა...

მომწყინდა ხმელეთზე ყოფნა, არაფერია საინტერესო, იქნებ ზღვაზე მაინც ღირდეს ცხოვრება.

თუ მშვიდობით დავბრუნდი, პინგვინს ჩამოგიყვან, თუ არა და... თუმცა შენთვის ხომ სულ ერთია, სად და როგორ ვიქნები, ჩემი დანახვაც კი აღარ გინდა და გაიხარე, სულ გადავიკარგები, რომ თვალში ზედმეტად არ შეგეჩხირო..."

„ბიჭოს? აქამდე, როგორ ვერ მოვიფიქრე, ეს რა კარგი რამეა, მართლა უნდა წავიდე, მამაჩემი მაინც მალე ჩამოვა და მიხედავს აქაურობას..."

რას ვბოდავ, ეტყობა, მართლა გაჭრა ივანეს არაყმა.

ნეტა, როგორია შავი ზღვა. „ნაუტილუსი" რომ მომცა, დავყვინთავდი და მაღლა ამომსვლელის...

●

ადრე გამეღვიძა, თავის ნაცვლად თითქოს გოდორი მადგას, ნეტა ჟორჟიკას გაძლებას... წყალივით კი მიდიოდა, ოხერი...

რა გვაქვს დღეს პირველი? — ქიმია. „ფოსფორი ბუნებაში..."

თურმე ჩონჩხს სიმაგრეს ფოსფორი აძლევს, დიდ როლს ასრულებს ყველა სასიცოცხლო პროცესში და ვიღაც აკადემიკოსმა „სიცოცხლისა და აზრის ელემენტი" უწოდა... რა გვარია ის აკადემიკოსი?.. ოჰ, თავო, თავო, „აზრის ელემენტი დაგეკარგა", უფოსფოროდ ხო გამოტვინდები, შე საცოდავო... ადამიანისა და ცხოველების ფოსფორის წყაროდ მცენარეული საკვები ითვლება..." ძალიანაც კარგი, პამიდვრის მწნილში ნამდვილად მეტი ფოსფორი იქნება, ვიდრე სტაფილოში, ყოველ შემთხვევაში, სხვა არაფრის ჭამა არ შემიძლია.

ქილას თავსახური გადავხადე და სამიცალი გეახელით, ისეთი მჟავეა, რომ ყვავს დააჩხავლებს.

— ოო, უკვე მაგრად მოუჭირა, — შემოვიდა ბებიაჩემი.

— სად იყავი?

— სად ვიქნებოდი, მაინცდამაინც გუშინ დამეკარგე, არ გითხარი სიმინდია გამოსაცეხვი-მეთქი? ცოტა დარჩა და ეხლა მოვათავე...

— მოგეცადა, არ მოვიდოდი?

— რა ვიცი, მოხვიდოდი?.. გეჭამა რამე.

— დამაგვიანდება...

ფერფლივით არეული წვრილი ფიფქები მიწამდეც ვერ აღწევენ, ჰაერშივე ქრებიან. დღეს არ ვიცი და ხვალ-ზეგ ალბათ დადებს.

გამაგიჟებს ეს ხალხი — სადაც დავტოვე, იქვე დამხვდნენ წყალობა და დაუშტვინე.

— სახლში არ წასულხართ?

— მაინც ამოსასვლელები ვიყავით და ემანდ, ღობისძირში გამოვიძინეთ, — თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს.

— ჰო, ძალიან ცხელოდა, ნამდვილად გარეთ სჯობდა... წუხელ გრუხუნის ხმამ გამაღვიძა.

— რას ამბობ! — გაიოცა ორივემ.

— როგორ ვერ გაიგეთ, მთელი სოფელი შეზანზარდა. ვიფიქრე, ისინი ისეთ ხასიათზე იყვნენ, ალბათ ელექტროწისქვილს დინამიტი დაუდეს-მეთქი.

— უყურე ერთი, არ გაგვამასხრა? — სახრე წამომართყა დაუშტვინემ.

— მითქვამს და ეს ბავშვი ან დაგვანგრევს ან აგვაშენებს, — აჰყვა სიცილში წყალობაც.

— წავედი!..

—რა გეჩქარება.

— სკოლაში თურმე ორიანებს არიგებენ და უნდა მივუსწრო.

— ეგეთი ფასი დაედო?

— მაშა, თუ პირის გაღება არ დაგეზარა — ულაპარაკოდ წერენ სამიანს, მაგრამ თუ ხმაც ამოიღე...

---

**ვანო ჩხიკვაძე**

**ჩიტები ზამთარში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ გაგულკეთილებულან შენი მასწავლებლები, ასე ხომ ჩვენც ხუთოსნები გავხდებოდით... მოიცა, ცოტაც გველაპარაკა.

— არ შემიძლია, უჩემოდ გაკვეთილებს არ დაიწყებენ.

თავის ბრუილმა გამიარა და ცოტა გუნებაც გამომიკეთდა.

ეს ვინ მიხუსხუსებს? ჰო, ლავრენტაა, ჩვენი დირექტორი.

მაღალია, გამხდარი, გახუნებული დრაფის პალტო თითქოს საფრთხობელასთვის ჩაუცვიათო. ეს ცილინდრი კიდევ... უჭერს თუ რა უბედურებაა, როცა მოიხდის, შუბლზე სალტესავით მიჰყვება წითელი ზოლი. დიდთავა კოლას ერთ დღეს ათხოვოს და ისე გაუგანიერებს, მგონი ცოლშვილიანად დაეტიოს...

მეხუთე კლასში ვარ. რამდენიმე დღეა, ვხედავ, ყარაჩის ზაური და ჟორჟიკას გია დაწყვილდებიან და სახლისკენ კი არა, ბოსლებისკენ გარბიან.

დამაინტერესა, იქ რას აკეთებენ-მეთქი და ჩუმად ავედევნე.

შევიდნენ ბოსელში. შეყოლა ვერ გავბედე, დიდები არიან და არ გამთაქონმეთქი, ავებღოტე ფანჯარას და პირველად რაც სიბნელეში დავინახე — სამი წითელი წერტილი იყო. ნეხვისა და პაპიროსის არეული სუნი მეცა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, დამინახეს და ხელი მტაცეს. მესამე — მენახირე, დაფეხვილი ანგია გამოდგა.

ბევრი ვიჯაჯგურე, მაგრამ ვინ გაგიშვა, ჯერ პირობა დადე, რომ ამ ბიჭებს არ გათქვამო, — დამემუქრა ანგია.

დავიფიცე, თითო პანღური მომაყოლეს და წამოვედი. წამოვედი, მაგრამ სულ თვალწინ მედგა, რა ხარბად ქაჩავდნენ, რა ნეტარებით ელულებოდათ თვალები.

მეორე დღეს, სკოლაში წასვლამდე გამოვედი სალაყბოზე, ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ერთი ნამწვიც ვერ ვიპოვე.

შორიახლო ზაური და გია იცინოდნენ.

თურმე ნუ იტყვით, „მუშაობენ“ ბიჭები, ჩემზე ადრე წამოუკრეფიათ „პრიმისა“ თუ „ყაზბეგის“ ნამწვები. ზოგი, მართალია, ფეხდადგმულია, მაგრამ მაინც გამოდგება. გაზეთში მაინც გაახვევ...

ისე დახელოვნებულან, რომ სცნობენ კიდეც, ვისი მოწეულია.

— ეს დორბლიანი გიგოსია. ისე ასველებს — აღარ მოიწევა.

— ეს კიდევ მამაშენი ჟორჟიკასი, ღეჭავს, რას უშვრება...

— რა ვქნა, ვერ გამოვიყვანე კულტურაში, — იცინის გია და ბოსელში ახლა უკვე ოთხნი ვაფუილებთ.

ერთ თვეს მაინც გაგრძელდა ასე, ¿იდრე...

კარი შევაღე თუ არა, ჩანთა დამეცა. ჭკუა ვეღარ ვისწავლე, რომ ჯერ ფეხი ვკრა და მერე შევიდე.

ჩანთას კარის თავზე, კინკიბურაზე ჩამოვდებთ ხოლმე და პირველი ვინც შევა, ბრახ...

მძიმე იყო, ვისია, აგური ხომ არ უდევს...:

ერთ თვეს მაინც გაგრძელდა-მეთქი.

მერე ვიფიქრეთ, რაღა ბოსელში ვიაროთო და შესვენებაზე, ეზოში, ფეხისალაგში მივრბოდით. ჩავიკეტებოდით და ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით, ისე გაიბოლებოდა იქაურობა.

ჩვენ ხომ ეშმაკზე ერთი დღით ადრე დაბადებული დამლაგებელი გვყავს — გვიყურა, გვიყურა და დიდ დასვენებაზე, ის იყო ნამწვები გავახურეთ, რომ სამასწავლებლოში შეცუნცულდა.

— ლავრენტი დირექტორო, მგონი ფეხისალაგი იწვის.

— რას ქვია, იწვის! — ჩამოვარდა მაშინვე.

რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რაც შიგნით ხდებოდა.

— ჰაი, თქვე მამაძაღლებო, ეხლავე გამოდით, — დაეჯაჯგურა კარს.

ენა მუცელში ჩაგვივარდა, რაღა უნდა გვექნა, გამოვიძურწეთ. ჩაავლო ორივეს ყურებში ხელი, — მომყევი შე-

ნცაო, — მითხრა და შეგვაბრძანა კაბინეტში.

ჯერ გიას ჩასუნა და ისეთი შემოჰკრა, ჩიკორივით დაატრიალა, მერე ზაურს გაალებინა პირი და ახლა იმას ჩაუყო ნისკარტივით ცხვირი — ისევ ლაწანი და მიასკდა ზაურა კედელს. თან ჯიბეები დაუჩხრიკა და ორივეს ამოაყრევინა ის დასაწვავი ნამწვები.

მეც რამდენიმე ნამწვი მედო, — როგორ ვერ მოვიფიქრე, იქვე გადამეყარა-მეთქი, — კანკალმა ამიტანა.

ესენი რომ გაისტუმრა, დედაჩემს დაუძახა.

ვიდრე შემობრუნდებოდა, დრო ვიხელთე, — რაფაზე ლავრენტას ცილინდრი იდო, ამოვყარე საჩქაროდ და ცილინდრი ზემოდან დავაფარე.

შემოვიდა დედაჩემი.

— შენ რაღას აკეთებდი! — დამიბრიალა თვალები.

თავი ჩავღუნე, ფეხისალაგში ვიყავი ჩემთვის-მეთქი.

— ჯიბეები მაჩვენე! — რატომღაც პირში არ ჩამსუნა.

ვაჩვენე და დედაჩემმა შვებით ამოისუნთქა.

— თუ გავიგე, ან დაგინახე... — აღარ დაამთავრა მუქარა დირექტორმა, — ესეც ისე ყარს, როგორც ისინი, აბა, იმ კვამლში რა მოუვიდოდა.

ჩემი წილი სილა მაინც არ ამცდა, საღამოს სახლში ამოვიდა — ის ვეღარ მოვიფიქრე, ცილინდრს კაბინეტში რომ არ დატოვებდა! — უნახია და ნამწვებიანად მომადგა...

— გაუხმეს ხელი! — თქვა ბებიაჩემმა, როცა აწითლებულ ლოყას შეხედა.

დედაჩემმა მკაცრად შეხედა და ახლა მეორე ყბაში გამიშალა.

— სულ გადაირიეთ? — ამეფოფრა ბაბალე, — აღარ იზამს, ხო აღარ იზამ, შვილო?

ეგეთია, თვითონ რამდენჯერ წამწვდომია ყურში — ვითომ არაფერი და სხვამ რომ გადაბრუნებული სიტყვა მითხრას — გაგიჟდება.

დაჯდა მგლოვიარესავით დედაჩემი, წამდაუწუმ ოხრავდა, ბრაზობდა: ჩვენ ამდენს ვწვალობთ და ეს თურმე გულ-მუცელს არ იწვავსო?

ეროვნული

— მამაშენი დაიფიცე, რომ აღარ გაეკარები!

მე უკვე დაფიცებული მქონდა გულში და ახლაც გავუმეორე:

— მამა მომიკვდეს თუ გავეკარო-მეთქი.

— ამ ფიცის მერე კიდევ რომ მოსწიო, მაშინვე მოკვდება, გესმის?.. მოკვდება! — ნერვულად შემანჯღრია და ატირდა, ატირდა გულამოსკვნით.

ძლივს დაამშვიდა ბებიაჩემმა.

ასე დამთავრდა ნამწვების და დირექტორის ცილინდრის ამბავი. გიამ და ზაურამ ისევ ბოსელში „გადაინაცვლეს" მე კი ახლაც მჯერა, უბრალოდ ხელიც რომ მოვკიდო, მამაჩემს რაღაც მოუვა...

ფანჯრიდან ნიკო დავინახე. ვიცოდი, რომ სწორედ ახლა უნდა გაევლო. დაიხარა, ფეხსაცმლის ზონარი გაისწორა, პაპიროსი ამოიღო... მომეჩვენა, რომ ეს მოძრაობა ოდესღაც მენახა და ახლაც ზუსტად განმეორდა... საიდან, როგორ? ვინ მკარნახობს ყველაფერ იმას, რაც ჯერ ნიკომაც არ იცის?

ასეთი რამ გაკვეთილზეც ხშირად დამმართვნია, წინასწარ ვხვდები, ვის ჰკითხავს მასწავლებელი და ის რას უპასუხებს. წინათგრძნობა სულ რამდენიმე წამს გრძელდება და ვიდრე გაოცებას მოვასწრებდე — ქრება.

რა მოხდება, რომ უფრო დიდხანს გასტანოს? არ დამიდგება სახლთან ხალხის რიგი, გვითხარი, შენი ჭირიმე, მომავალში რა მოგველისო. მაშინ იმასაც გავიგებდი, მამაჩემი როდის ჩამოვა, დღე თუ ღამე, თოვლში თუ ავდარში, იქნებ სულაც მზიან ამინდში, დილის სხივები ჩვენი ალვის ფოთლებს რომ ალაპლაპებს და ცუგა თვალმილულული ეხუხება სითბოს...

— თუ კრისტალურ ქლორიდს, ანუ ნიშადურს მოვათავსებთ სინჯარაში. აი,

ასე... მომეხმარეთ რომელიმე, მოდი, თამრიკო... და სპირტქურის ალზე დავიჭერთ, მოხდება აქროლება. ამონიუმის ქლორიდი დაიშლება ქლორწყალბადად და ამიაკად...

ფეფო მასწავლებელი დაფისკენ შებრუნდა. ის იყო ფორმულის დაწერა დაიწყო, რომ სინჯარა გასკდა...

მთელი კლასი წამოვარდა.

— დაგიშავდა რამე? — ეცა შეშინებულ თამრიკოს არანაკლებ დამფრთხალი მასწავლებელი.

დაბერდა საწყალი და სულ გამოშტერდა, ვინ იცის, სინჯარაში ამონიუმის ქლორიდი ჩაყარა? ყველა თამრიკოს შემოეხვია, მხოლოდ მე ვიჯექი გაუნძრევლად, მაგრამ ვიგრძენი — სახეზე ფერმა გადამიარა...

„თვალი რომ გამოთხროდა ან... არ მოეშვება ეს ქალი სულელურ ცდებს?..“

ხმაურზე დირექტორი შემოვიდა.

— აღარ შეიძლება თქვენი მუშაობა, ქალბატონო ფეფო... როცა არ შეგვიძლია, დავჯდეთ სახლში...

რა უკმეხია, ხანდახან თუ აუშვა, ხომ დოლის ცხენიც ვეღარ დაეწევა.

ბავშვივით აიწურა ფეფო მასწავლებელი, თან ჩვენი მოერიდა, შერცხვა, ჩაიფერფლა.

დირექტორი გავიდა. კლასში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ასე წყნარად არასოდეს ვმსხდარვართ ქიმიის გაკვეთილზე...

•

ორმოცდაცამეტი წლის მარტში, მთელ სოფელში ერთადერთი რადიომიმღები ლავრენტამ სახლიდან გამოიტანა. ბოძზე მავთულები ჩამოაბეს და ყველა უბანში ისმოდა ლევიტანის ცივი, გამყივანი ხმა.

გაქვავებულები იდგნენ ნაღვლიანი კაცები, ცრემლს იწმენდნენ ქალები. თითქოს ცა ჩამოიქცა და ადამიანები ქვეშ მოიყოლაო, ხანგამოშვებით ისმოდა გაგრძელებული ოხვრა და დრტვინვა.

მე არ ვიცოდი, რას ლაპარაკობდა რადიო, რომელსაც განათებული მწვანე შუშის თვალი ისე უთრთოდა, თითქოს რაღაცას იტყუება და სახეში სწორად ვერ შემოუხედავსო.

მონუსხული შევყურებდი ამ იდუმალ ციმციმს და მიკვირდა, წვრილ მავთულებში როგორ ეტეოდა ასე მგრგვინავი და ბეწვისამშლელი ხმა, რომელიც თურმე სადღაც შორს, ძალიან შორს მყოფ კაცს ეკუთვნოდა...

— მორჩა, მამა აღარ გვყავს! — ქუდი მოიშვლიპა არტემამ და დიდმა თუ პატარამ მას მიჰბაძა.

მე არ მეხურა ქუდი და, ცხადია, ვერც მოვიხდიდი. ვერც ის გავიგე, ვისი სიკვდილის ამბავიც გადმოსცეს, საიდან იყო არტემას მამა.

— აღარ გვყავს და არც გვეყოლება! — მოგვიანებით დაეთანხმა ლავრენტა და ყანყრატო სატირლად აუთამაშდა.

გაქვავებული სახეები შეირხა, ყრუ ზუზუნმა შემძრა, შემაშინა.

არტემამ ჯოხი ჯავრიანად დაჰკრა მიწას და აცრემლებულმა გაარღვია შემოხვეული ხალხი. მოხრილი, უცებ დაჩიავებული წავიდა სახლისკენ.

მიმღები იღლიაში ამოიჩარა ლავრენტამ და ბარბაცით წაიღო. ის ორი მავთული კი, საზარელი ხმა რომ მოჰყვებოდა, კარგა ხანს კონწიალობდა ბოძზე, ვიდრე გადამწვარი ნათურის გამოსაცვლელად ასულმა მონტიორმა არ ჩამოხსნა...

მიატოვა ლავრენტამ ბოძთან შეჯგუფებული მოყაყანე ხალხი და დამწკრივებული ბავშვები კუდში ისე ავედევნეთ, გეგონებოდათ, უპატრონო მკვდარს მიაცილებენო.

ხანდახან ჩერდებოდა, მოლაპარაკე „კიდობანს“ მუხლს შეუდგამდა, ხელს მოუნაცვლებდა ხოლმე და ისევ მიდიოდა, მწარე ფიქრებში ჩაძირული მიზელავდა მარტის ტალახს.

ოჰ, როგორ მინდოდა ისეთი რადიო მქონოდა, ხელის მოკიდებას რომ არავინ დამიშლიდა. ვატრიალებდი ვერცხლისფერ გორგოლაჭს და იმ ცივი და საზარელი ხმის გარდა, რაც მომეპრიანებოდა იმას მოვისმენდი... მაგრამ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ბევრი სხვა სანატრელი, ესეც აუხდენელი მეჩვენა და მშურდა ჩემი ჭკუით სოფელში ყველაზე ბედნიერი კაცისა. თითქოს გავთვალეო, ლავრენტამ ერთხელაც მოუნაცვლა ხელი, ჩასართველი ზონარი გაებლანდა, მარცხენა ფეხი ზედ დაედგა, მარჯვენა კი გამოსდო, გადაქანდა წინ და, ჯერ რადიომიმღები დაასკდა მიწას, მერე თვითონ.

ლავრენტა იოლად გადარჩა, მიმღები კი მაგრად დაიჩენჩხა, ის მწვანე თვალიც ჩაემსხვრა და ციფრებითა და წარწერებით აჭრელებული შუშაც.

შევწუხდი, გული მეტკინა, რადიოს გამო, რა თქმა უნდა.

— შენ მომიკვდი, ხომ გითხარი, არ გაიტანო-მეთქი? — ეცა დოინჯშემოყრილი ცოლი.

ლავრენტამ ხმა ვერ ამოიღო, თვალებით შეევედრა, ბავშვებთან მაინც შეიკავე თავიო...

ეხლა გათამამდა, დირექტორი რომ გახდა, თორემ მანამ სულგაპარულივით დაიარებოდა.

მაშ, ასეთი მშვიდი, წყნარი კაცი გვყავდა და თვალ და ხელშუა დავკარგეთ. თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამბობენ — არჩილ მასწავლებლის სკოლიდან წასვლაში ლავრენტას ხელიც ურევიაო... მერე რამხელა ხელი აქვს, გლობუსს მოაფარებს და ფა-ფუ, ამერიკის კონტინენტი, თავისი წყნარი ოკეანიანად გაქრება... ჰოდა, ამ მძლეთამძლე ხელის პატრონისათვის ერთი კაცის მოცილებას რა უნდოდა?

ლავრენტამ უნდა იგრძნოს, მიუხედავად იმისა, რომ ალაგ-ალაგ წვეთი ჩამოდის, ჩვენი სკოლა მაინც არ არის ჩალით გადახურული.

საერთოდ, ეგეთი კაცი ვარ, სერიოზული საქმის გადადება არ მიყვარს. გაკვეთილების მერე გიორგი დავიმარტოხელე და ჩემი ჩანაფიქრი გავანდე.

— გაგიჟდი? გაგვიგებს და ქვას ქვაზე არ დატოვებს! — დაფრთხა გიორგი.

— გაგვიგებს კი არა და... არ ეკუთვნის?.. მე თამრიკოსთან წამაჩხუბა? — წამაჩხუბა! გვლანძღავს? — გვლანძღავს! ბავშვები ცემა-ტყეპით გაგვიტანა?..

— ჰო, კარგი, მღვდელივით ნუ გააბი — ისეთი მიზეზები ჩამოვუთვალე, დახმარებაზე უარი ვეღარ მითხრა...

სახლში ავედით. სახატავი რვეულის ფურცელზე ჯერ შავი ტუშით დავაწერე: „ძირს მწვალებელი ლავრენტა!“ და მერე ქვემოთ — წითელი ფანქრით — „თავისუფლება ფეფოს!...“ ამ საქმეს რომ მოვრჩით, სხვენზე ავედით და კალათა ავიტანეთ.

ჩვენმა კრუტუნამ ხუთი კნუტი დაყარა (ალბათ მიხვდით, რომ კრუტუნა კატაა), ბებიაჩემმა მითხრა, გადაყარე, საკატეთად ხომ არ უნდა ვიქცეთო, მაგრამ შემეცოდნენ, ბაკიდან გამოვიყვანე და სხვენზე გადავასახლე.

კნუტები მოიზარდნენ, გააქვთ და გამოაქვთ, გადადიან ყირაზე, კნავიან, ეფერებიან ერთმანეთს, ახტებიან ზურგზე ნებიერად გაწოლილ, ბედნიერ დედას. უნდა ნახოთ კიბეზე დამწკრივებულები რომ ჩამოდიან, თუ ბაბალე დაინახეს (მით უმეტეს, ცოცხი როცა უჭირავს) ფაცხაფუცხით ისევ სხვენზე აცვივდებიან, თუ არადა, გაივლ-გამოივლიან ეზოში, თვალს წყალს დაალევინებენ.

სახლში შემოსვლის უფლება მხოლოდ კრუტუნას აქვს. გაელურსება ფეხებთან ბებიაჩემს, შეაჩერდება ვედრებით, რა იქნება, ჩემი შვილებიც შემოუშვაო.

„მომწყდი თავიდან!“ — თუ ხასიათზე არ არის, წამოარტყამს კიდეც ბაბალე და კრუტუნა ახლა მე შემომტირებს, ხომ ხედავ, აცივდა, დამეყინებიან და თავი ცოცხალი რად მინდაო.

არ გასჭრა არაფერმა, ბებიაჩემი ყურშიც არ უშვებს ჩვენს ხვეწნას. ჰოდა, ცხოვრობენ ჯერჯერობით სხვენზე, ერთმანეთს ჩახვეულ-ჩახუტებულები.

რას გვიპირებო! — გაოცდა კრუტუნა, როცა თავისი შვილებიანად კალა-

ვანო ჩხიკვაძე
ჩიტები ზამთარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაში ჩავსვით და გადმოსახტომად წამოიწია.

— გაჩერდი, ასეა საჭირო! — დავემუქრე.

ჩემი სიტყვა კანონია, თვითონ კი მორჩილად გაინაბა, მაგრამ კნუტები გადაირივნენ, სულ დაგვაკაწრეს ხელები, ნაჭრით ძლივს მოვუკარით თავი და კალათა ძირს ჩამოვიტანეთ.

— რას ჩხირკედელაობთ? — თვალი შეგვასწრო ბებიაჩემმა.

დამალვა აღარ გამოდიოდა, მთელი კალათა ფუთფუთებდა.

— ვერ შეეგუეთ ერთმანეთს და წავიყვან, სადმე გადავყრი.

— კრუტუნაც მიგყავს?

— აბა, დედას შვილებს ხომ არ დავაცილებ.

— მერე თაგვებს შენ დაიჭერ?.. ეგ დატოვე!

— უარზეა, მე ამ სახლში გამჩერებელი აღარა ვარო.

გიორგიმ სიცილი ვეღარ შეიკავა.

— ნეტა არ მაიმუნობდე! — გამებუტა ბებიაჩემი.

— ნწ, ნწ, ნწ... ჩამორჩი ცხოვრებას ბაბალე, გარეთ არ იყურები და იმის ბრალია. სოფელში რომ კატებს აგროვებენ, არ გაგიგია? მარტო კეკელაანთგან თხუთმეტი წაუყვანიათ.

— რათაო, რად გვინდაო.

— თურქეთიდან კატების ცოფი შემოსულა თურმე და უნდა ავცრათო, კოლექტივის კანტორაში აგროვებენ, ოთხი ვეტექიმია ჩამოსული.

— ამ ხნისა მოვიყარე და ეგეთი რამე არ გამიგია, — ძალიან გაუკვირდა.

—ეჰ, ჯერ სადა ხარ, ამნაირებს გაიგებ! თუ ძალიან მოეწონათ, შეიძლება არც გამოგვატანონ.

— დაიტოვონ, მიაკლან თავიანთ მაშა-პაპას.

მე არ ვიცი, ტყუილუბრალოდ ვინ გავალანძღვინე ბაბალეს.

შეღამებულზე სკოლისაკენ დავეშვით. ეზოში ფარნით მოვძებნეთ გრძელი, წოწოლა კიბე და დირექტორის კაბინეტის ფანჯარას მივაყუდეთ.

— ჩააქრე, ვინმე დაგვინახავს.

ჯერ გიორგი ავიდა. ვიყურები აქეთიქით და გულს ბაგაბუგი გააქვს.

— ვერ აღებ?

— ხომ არ დააჭედეს, ეს ოხერი... ჰოო, დაიძრა.

— ფრთხილად, შუშა არ გატყდეს.

ფანჯარა ჭრიალით გაიღო.

— ამოდი! — ჩამომძახა და კაბინეტში გადაალაჯა...

ლავრენტას ჯერ წარწერიანი ფურცელი გავუკარით კარის მოპირდაპირე კედელზე, რომ შემოსვლისთანავე დაენახა, მერე გაკაპასებული კატები ამოვუშვით. ფანჯარა გავიხურეთ და კიბე ძველ ადგილზე მივაგდეთ.

— შენც სუ, მეც — სუ! — გავაფრთხილეთ ერთმანეთი და სახლებისკენ მოვუსვით.

წინასწარ ლამის სიცილით გავიგუდო ხვალინდელ ამბავზე.

— რა ქნეს, აცრეს? — რაღაც სხვანაირად მიყურებს ბაბალე.

— ძალიან დავიღალეთ, ზოგს ხვალ მივხედავთო... თანაც წამალი გამოელიათ, კაცი გაგზავნეს, დილაზე ჩამოიტანს ქალაქიდან.

— ნეტა მარტო ის მაცოდინა, რა სიამოვნებას ხედავ მაგ ტყუილებში და მერე თუ გინდა, მომკლა!

— ვინ გითხრა ტყუილიაო!

—ვინც მითხრა... მომაცილე ეგ კატიანი კალათა! — ხელმეორედ გამებუტა ბებიაჩემი.

გავიდა ერთი გაკვეთილი, მეორე... გაგიგონია, ჩამიჩუმი არ ისმის. დავეჭვდით, ეგებ დირექტორის მოსვლამდე დამლაგებელმა კატებიც გამოუშვა და ფურცელიც ჩამოხიაო. ასეც რომ ყოფილიყო, ენას ხომ მიუტანდა, გადარევდა და იმასაც მეტი რა უნდა, აქამდე უკვე დაიწყებდა კვლევა-ძიებას.

რა ვიცოდით, რომ ლავრენტა ჯერ არ შესულიყო კაბინეტში.

ეს ამბავი დაუშტვინეს ბომბივით გვიან, მაგრამ მაინც გასკდა.

დიდ დასვენებაზე სკოლის ეზოს მანქანა მოადგა და ორი კაცი გადმოვიდა. „მოვიდნენო!“ — ატყდა მითქმა-მოთქმა. ლამის მთელი პედკოლექტივი დარაზმული დაიძრა გასასვლელისაკენ. წინ დირექტორი მიდის და თვალებს გვიბრიალებს, აბა, წყნარად, სტუმრებს თავზე ნუ დაახტებითო. დანარჩენებიც ლავრენტას ბაძავენ, თითს გვიქნევენ, ცდილობენ არ ჩამორჩნენ მრისხანე წინამძღოლს. ბოლოში კოკროჭინა კაკო მილაყუნობს და მარტო თითის ქნევას არ სჯერდება, ჩახლეჩილი ხმით „გვმოძღვრავს“. ეტყობა, წუხელ გადაჰკრა, დამბალი პურივით გაფუებია სახე და ნივრის სურნელს აფრქვევს. უყვარს და, რა ქნას, განსაკუთრებით ახლადშემოსული, ფოჩიანად რომ იჭმევა. მაგარი ვინმეა, ჩვეულებრივ შარვალში კიდევ არა უშავს, შეიხედება, სპორტულში კი ეგეთია, ფეხებშუა დეკეული თუ არა, ხბო მაინც გაუძვრება, ისე რომ ვერც გაიგებს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩავიდნენ, ჩაეგებნენ. სტუმრები ამოსვლას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. ჯერ ეზო დაათვალიერეს, ცერად ახედეს საცოდავად აყინჩულ კალათბურთის ფარებს, გვერდზე რომ წახრილან, თითქოს ფეხსალაგს პირს არიდებენო.

დირექტორი მოსხმულ პალტოს ისწორებს, ხელების შლით ლაპარაკობს და სკოლისაკენ მიუძღვება სტუმრებს. დანარჩენებიც უკან მოსდევენ კუსკუსით, კარებში თავაზიანად გზას უთმობენ ერთმანეთს, არა შენ მიბრძანდი, არა შენაო — ვითომ სულ ერთმანეთის სიყვარულში სძვრებოდეთ სული. საათებზე რომ დაკადაკა აქვთ, ერთი მაშინ შეამოწმონ.

შემოილალნენ დერეფანში და კედელს ავეკარით.

ნიკოს გაკვეთილი გაუგრძელდა, ეხლაღა გამოვიდა კლასიდან.

— ამას ვის ვხედავ! — ხელები გაშალა ერთმა სტუმართაგანმა, — ხომ კარგად, ჩემო ნიკო, თინა როგორ არის?

— რა უშავს... როდის გადაგიყვანეს?

— ორი კვირის ამბავია.

— კარგია, ნამდვილად გამეხარდა...

დირექტორი დაწინაურდა, კაბინეტი გააღო და ძარღვებში სისხლი გამეყინა — იხუვლეს გაბეზრებულმა კატებმა, წამოიღეს მაგიდის გადასაფარებელი, იატაკზე ჭიქისა და გრაფინის ნამსხვრევები მოაღავეს და გაგულისებული ჩხავილით დერეფანში გამოცვივდნენ შემცბარმა დირექტორმა უკან დაიხია და ორმოცდაექვსი ნომერი ფეხსაცმლის ქუსლი კეკლუცად გალიმებულ, საგანგებოდ გაპუდრულ დაფქვიაანთ რძალს დააბიჯა.

ქალის კივილმა კატების ჩხავილი დაფარა.

— ნეტა, რამე ხომ არ დაგვრჩა? — წამჩურჩულა ფერწასულმა გიორგიმ.

— რა ვიცი! — ავიჩეჩე მხრები.

წარწერამ სულ გადარია დირექტორი.

— დამიძახეთ დამლაგებელს!

რა დაძახება უნდა, კართან ატრუჭულა და სწუხს თუ უხარია, ეს ჩარბუზანა — ვერ გაიგებ.

ზღურბლთან გაჩერდა.

— დროზე მოგავე! — ფეხი წაჰკრა ნამტვრევებს. — არა, ჯერ ის ჩამოხსენი, — ანიშნა წარწერაზე, — ეგ არა, ქალო, შენც მე მაგიუებ? — დამლაგებელი ჩარჩოში ჩასმულ სურათს მისწვდა და კაბინეტში ფრთხილმა ფხუკუნმა გაირბინა.

—ჰოო! — ფანქარი მაგიდაზე დააგდო ნიკოს ამხანაგმა, მაგრამ რა თქვა, ველარ გავიგე, კარს ხელი მოჰკრეს და ცხვირწინ მოგვიხურეს.

გავიდა რამდენიმე გრძელი, მტანჯველი წუთი და გამოვიდნენ. დერეფანში ნერვიულად იკრავდა პალტოს ღილებს. ნიკოს ამხანაგი.

— დიდ პატივს ვცემ თქვენს დამსახურებას, ბატონო ლავრენტი, მაგრამ ასე ყურადღების მოდუნება...

---

**ვანო ჩხიკვაძე**
**ჩიტები ზამთარში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც არ ვიცი, რა ვიფიქრო, — ხმა უკანკალებდა დირექტორს, — ეტყობა, ვიღაც მყავს ჩასაფრებული...

სტუმრებს ნიკო ჩაუჯდა მანქანაში და წავიდნენ. დარჩა ჭიშკართან მოხრილი, დაბეჩავებული ლავრენტა.

შემეცოდა, ეტყობა, მაგრად შეჯორეს. მცოდნოდა მაინც, განათლების განყოფილებიდან შემოწმებაზე დღეს თუ მოდიოდნენ. ვერც სხვები არიან ხასიათზე. ბოლოს და ბოლოს ასეთი რა მოხდა, გაეცინათ და ამით მოეთავებინათ.

თინა სუფრას ალაგებდა.

— როგორა ხარ, დაკარგულო... სკოლიდან მოდიხარ?

— ჰო, სკოლიდან.

— დაჯექი, გეშიება. ნიკოც ეხლავე შემოვა, სტუმრები გააცილა.

მაგიდაზე ორი დაცლილი და ერთიც დანაკლულებული ბოთლი იდგა.

— მოდი! — მომისუფთავა მაგიდა.

— იყოს, დაველოდები.

— აბა, რა გავაკეთე და უკვე მოვიქანცე, — ხელი შეშუპებულ სახეზე მოისვა.

მინდოდა მეთქვა, მაგ პატარა მაიმუნის ბრალია, მუცელში რომ გიზის-მეთქი, მაგრამ ენას კბილი დროულად დავაჭირე. ანდა საუხერხულო რაა, ყველა ეგრე არ ვისხედით?

— ნიკოს უხარია?

— რა!

— მალე მამა რომ იქნება.

გაეღიმა.

— ჰკითხე და გეტყვის... აგერ ისიც.

— უუჰ! — ხელების ფშვნეტით შემოვარდა, — ლამაზად თოვს... ჩხირი კედელს, რას მივაწეროთ თქვენი სტუმრობა, ბატონო დავით?

— მამა რომ უნდა გახდეს, არ უხარიაო?

— ამ ამხანაგმა იკითხა? — მომაშვირა თითი.

— დიახ, მაგ ამხანაგმა!

— როგორ გითხრა, ძალიანაც მიხარია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თუ ეს ყმაწვილი...

— რა იცი, ეგებ გოგოა, — შეაწყვეტინა თინამ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა... თუ მთელ სკოლას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს — ძალიან მეწყინება, ისეთ დღეში ჩავაგდებ...

— დაუბადებელ ბავშვს წინასწარ რად ემუქრები, იქნებ არაფერს აშავებს, — გულწრფელად შეწუხდა თინა.

— გამგები მიხვდება, რასაც ვამბობ! — მკაცრად გადმომხედა.

ცხადია, ყველაფერი იცოდა, მაგრამ საიდან? — თავში დამიბზრიალდა ფიქრი.

— მოდი, დაჯექი!

სახეზე შემატყო, რომ ავღელდი და ხმა მოურბილდა.

— მოდი, მოდი!

— რაღაცას მიმალავთ, — თინამ ხახვში მოშუშული ხორცი ტაფიანად ჩაგვიდგა.

— გადაიღე, ნუ ინაზები.

— რამე დააშავე? — მომაჩერდა თინა, — მითხარი, დათო...

— ამის ჰკუით ისეთი არაფერი, კატებით გაავსო დირექტორის კაბინეტი და...

— კარგი, ერთი! — შეწუხებულმა თინამ ხელი გულისპირზე იტაცა, — მაშ დღევანდელი ალიაქოთი...

— ამისი და ამის მეგობრის ნავაუკაცარია.

წამოვდექი.

— გიორგიმ თქვა? — რაღა კითხვა უნდა-მეთქი, გავიფიქრე.

— დაჯექი!

— არა, წავალ.

— წახვალ, აქ კი არ დაგტოვებ... გუშინ გამოვიარე თქვენთან და დეიდა ბაბალემ მითხრა, კატები წაიყვანა ასაცრელადო... ამიტყდა გიჟივით ხარხარი...

დასასრული იქნება

## გიორგი ქავთარაძე

### აუტოდაფე

უკრაინის დედაქალაქ კიევში შემოსულმა გერმანელმა ნაცისტებმა გატეხეს ერთ-ერთი ბიბლიოთეკა, გამოყარეს ქუჩაში წიგნები: ლენინის, სტალინის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, პუშკინისა და სხვათა. წაუკიდეს ცეცხლი.

ჩემი დღიურიდან

1943 წ. 22 აპრილი, ლენინის დაბადების დღე.

როგორც აფთართა,
მშიერ აფთართა
დაეძგერება ლეშს აფთართ ჯოგი...
საგაზაფხულო შებმა ზამთართან
ამსხვრევდა მტერთა ხუნდთა და
ბორკილთ.

ხარობდა მტერი,
მტერი ხარობდა,
საგაზაფხულო ზარები რეკდა.
მხოლოდ თაროთა,
ჩონჩხი თაროთა
შერჩა ცარიელ ბიბლიოთეკას.

იწვოდნენ, მაგრამ კი არ ხრჩოლავდნენ,
რა ჯადო ჰქონდათ და რა თილისმა?
ვაი, მის მნახველს
ბოლმა მახრჩობდა,
დროშისფერობდა დღე აპრილისა.

დაფარფატებდა, როგორც ყორანი
ქვეწარმავალი — სვასტიკის ლანდი,
სასტიკ ხანძართან შეუპოვარი
დროშებად ენთო ბრძენკაცთა მადლი.

ცად ავარდნილი ბრიალა ალი
იყო ბრძოლაში ჩაბმული დროშა,
ბერლინისაკენ გზას მიიკვლევდა
და უმზადებდა მომხვდურებს დროს
შავს.

ცეცხლოვან წიგნებს ცეცხლი ვერ
ნთქავდა,
ომის ღრუბლიან ცას ანათებდა,
ლენინის გულის ცეცხლი ფეთქავდა,
თავს ადგა წიგნებს შარავანდედად.

უკრაინის ცა,
ღრუბლიანი ცა,
ფერადდებოდა დიდ დროშის ფერად,
მამულის ფიცად,
ურყეველ ფიცად,
მიფრიალებდა ცად ასაფრენად.

ეს იყო მაშინ, როს ვანდალები
სამშობლოს მიწას შემოესია,
არ იწვებოდნენ, არა, წიგნები,
ლენინის აზრი და პოეზია.

თავს დასადგმელად ეკლის გვირგვინსა
სამშობლოსათვის გვიწნავდნენ
„ღირსად",
ცად მიიწევდა დროშა ცეცხლისა
დასამხობელად რაიხსტაგისა!

---

## გივი თათეიშვილი

●

მოგონებების ბურუსში ვცურავ,
ნაიარევზე წუხილი ელავს
და...
ომის დაჭრილ დღეებს ვახურავ,
ტყვიით დაცხრილულ სისხლიან პერანგს.
მახელებს სუნთქვა მაისის დილის,
გამოუცნობი მაწვალებს ბედი.

ვარსკვლავთვალებას შევყივლებ
თბილისს
და ლექსებს ელვის მათრახით ვხედნი.
ჩემი სული და ჩემი სხეული
გამოძერწილი ლექსის კელაპტრად...
საქართველოსთვის მაქვს მირთმეული,
სხვა ფიქრი გულში დამიელამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოლომონ სამხარაული

# პელოს ხიზანი

### მოთხრობა

— გამოიცვალე, ზალიკოსთან უნდა წაგიყვანო, — მითხრა მამიდამ და საგარეო ტანსაცმელი ტახტზე დამილაგა. სიხარულით ცალ ფეხზე დავტრიალდი, შევვარდი პატარა ოთახში, სადაც დედა იწვა და ვკითხე:

— დედი, მართლა ზალიკოსთან მივდივართ?

დედამ პირი კედლისკენ იქცია, არ დამელაპარაკა. ჯერ ხელები გაასავსავა, მერე მარჯვენა ცხვირ-პირზე აიფარა, მარცხენას კი გამალებით მიქნევდა — გადი, ახლოს ნუ მოდიხარო. აფორიაქებული ისევ მამიდასთან გავიქეცი.

— მართლა მივდივართ? — გული ვერ დავიჯერე.

— როდის იყო, ტყუილს ვამბობდი.

შევხტი ტახტზე, ზურგზე გადავკოტრიალდი, გადმოვკოტრიალდი, მერე შევვარდი დიდ ოთახში, მამას სანადირო იარაღების თახჩა გავალე, იმისეულ ზურგჩანთაში ჩემი რამე-რუმეები ჩავალაგე და ტანსაცმლის გამოცვლას შევუდექი.

— თბილების წაღება არ დაგავიწყდეს! ჩახრინწული, მისუსტებული ხმით გამომძახა დედამ.

— ეგენიც წამოიღე, — მამიდამ საშინაოებზე მიმანიშნა, ეტყობოდა, დიდხანს მიპირებდნენ იქ დატოვებას. კარგი, დაკემსილ-დაუთოებული შარვალი კოჭებს ზევით დამადგა. რაც დედა ლოგინად ჩავარდა, აღარსად ვყოფილვართ და დამიმოკლდებოდა, მაშ რა იქნებოდა. პერანგის სახელოებიც დამიმოკლდებოდა, მაგრამ ეგ ისე არ მაწუხებდა, მაინც უნდა ამეკაპიწებინა. პერანგი შარვალში ჩავიტანე, ქამარი შევიკარი, ხელები ჯიბეებში ჩავიწყვე და გავიარ-გამოვიარე. შინიდან გარეთ გასვლა დანატრებული მქონდა, თორემ ამ შარვლით არსად გაისვლებოდა — გიჟ შაროხავით კოჭებს ზემოთ დამკანკურებდა.

— ზაზა! — დამიძახა დედამ — არამც და არამც შარაგზაზე არ ჩახვიდეთ, ეზოში ითამაშეთ, მანქანა არ დაგეჯახოთ.

წინათ, სანამ ჯავარა ბაბო ცოცხალი მყავდა, ჭრელ, შიბიან წინდებს მიქსოვდა ხოლმე. ახლა მატყლი აღარა გვაქვს. დედა შემპირდა: თუ მანამ ცოცხალი დავრჩი, მამა რომ ჩამოვა, მატყლს ვიშოვით და დაგიქსოვო.

მამიდა გაფაციცებული ეძებდა რაღაცას, ყველაფერი გადმოაქოთა, ყველგან შეიჭყიტა, მიჩხრიკ-მოჩხრიკა იქაურობა, მე რომ არ შემემჩნია, ვითომ ვასუფთავებო, დალაგებას იწყებდა. მივხვდი, რაც უნდოდა, მაგრამ თავი ისე მეჭირა, ვითომ აზრზე არ ვიყავი. ტანსაცმლის კარადაც გადმოქექა, დედისეული თბილი ჟაკეტი და აბრეშუმის ძველი წინდები გადმოიღო და ისინიც ტახტზე დამიწყო.

— მაგას არ ჩავიცვამ, — ჩუმად წავუჯუჯღუნე, მაგრამ დედამ მაინც ყური მოჰკრა და შემომეხვეწა:

— ჩაიცვი, დედა გენაცვალოს, არ გაცივდე.

მე ერთი ამბავი დავიწიე, არ ჩავიცვამ-მეთქი. მისცეს პირი პირს დედამ და მამიდამ: ნაწვიმიაო, ცივაო, წვიმა რომ მოვა, ისევ აგრილდებაო, გაცივდები და ახლა შენ გახდები სადარდებელიო. იმდენი მიჩიჩინეს, დამიყოლიეს. თან კი გული მიღრინავდა: გადავაბრუნე, გადმოვაბრუნე. დახეული ყელები კი გადაეჭრათ და გულდასმით ამოეხვიათ, მაგრამ თათმანები არ დაეპატარავებინათ, თითქმის ორი ჩემი ტერფის სიგრძეზე იჭიმებოდა. მაშინ თათმანები დავპატარავეთ-მეთქი — დავიჟინე. ახლა მაგის დრო არ არისო, ღამდება, როდისღა უნდა ჩაგიყვანო და მოვიდეთ. ვიომეთ, ვიომეთ, ბოლოს თავისი გაიტანეს, ჩამაცვეს და თათმანის წვერები ფეხისგულზე ამომაკეცინეს — უფრო თბილად გექნებაო. ჟაკეტი მაინც არ ჩავიცვი.

— რად მოიმწვანილე? მშვენიერი ჟაკეტია, ამ ზამთარს ხომ გეცვა, — ჩამაცივდა მამიდა.

— ქალისაა და არ ჩავიცმევ, — დავდექი ჩემსაზე.

მამიდამ დამცინავად ამხედ-დამხედა:

— შენ რა, კაცი ხარ?!

— რა თქვი? — ყური მოვიყრუე.

— არაფერი, — თქვა და ოთახში შევიდა.

— ღამე თბილად დაიხურე ხოლმე, —

ვერ ისვენებდა დედა, — შენებურად გაუხდელი არ მიეგდო!

მამიდა კიდევ კარგა ხანს ჩხრეკდა იქაურობას, რასაც ეძებდა, ვერ იპოვა და თავზე დამადგა:

— ზაზა, სად დამალე ყულაბა?

— ყულაბა, რა ყულაბა?

— ყულაბა არ იცი, ფული რა უყავი?

— იმ ფულს თითი არ დაედება, მამამ ველოსიპედისთვის მომცა.

მამიდა დაფიქრდა. იცოდა, ადვილად ვერ დამცანცლავდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ დავეყოლიებინე. ტახტზე ჩამოჯდა და ხელი მხარზე დამადო. მე ფეხი წინ წავდგი, რომ მაგრად ვმდგარიყავი.

— ზაზა, მომისმინე, გენაცვალოს მამიდა. პატარა აღარა ხარ, კაცი ხარ...

დოინჯი შემოვიდე და ვკითხე:

— მე კაცი ვარ?

— კაცი ხარ, მაშ რა ხარ?!

— ახლა დავკაცდი?

— გაგეხუმრე.

— როდის გამეხუმრე, წეღან თუ ახლა?

— მორჩი, ხომ ხედავ, ქვეყანა რა დღეშია, რა დროს ველოსიპედია, შვილო, დედაშენს თავისი სატკივარი არ ეყოფა, ახლა შენ ანერვიულებ. მოგვეცი, თხა უნდა ვიყიდოთ.

— ის ფული მამამ ველოსიპედისთვის მომიქუჩა და ველოსიპედი უნდა ვიყიდო, რა თხა, რის თხა, თხა რაში გვჭირდება?!

— ვიცი, ველოსიპედი უნდა ეყიდა, მაგრამ, ვინ იფიქრებდა, ამ დღეში ჩავარდებოდა ქვეყნიერება. მამა რომ ჩამოვა, ველოსიპედს მაშინ გიყიდის, ახლა კი მეწველი თხა ვიყიდოთ. ხომ ხედავ, საჭმელი აღარაფერი გვაქვს. რძეს მაინც დალევს, არ გინდა, დედა ჩქარა მორჩეს?

— ჩამოვა მამა და ძროხას იყიდის.

— ვინ იცის, როდის ჩამოვა, ომი გრძელდება და გრძელდება, აღარა მთავრდება.

— ჩქარა დამთავრდება.

— ნუ ხარ ქვის ნატეხი, — ბრაზი მოუვიდა მამიდას, — აღარ მთავრდება, გაიგე, აღარ მთავრდება!

— თქვენ ძალიან იცით, როდის დამთავრდება. მამამ თქვა, ჩქარა დამთავრდებაო.

— ამას განა ესმის ადამიანის ლაპარაკი! — წამოიწია მამიდამ, მაგრამ დედამ გააჩერა.

— კარგი, მოეშვი! — დაიძახა და ხველა აუვარდა. დიდხანს ახველებდა, სული რომ მოითქვა, წყვეტილ-წყვეტილად ამოთქვა:

— მე, რაც გითხარი... ის გააკეთე...

მამიდა ბობოქრობდა. ვეღარც ჩემი თავქეიფი მოეთმინა, ვეღარც დედას წაუვიდა წინ. კიდობანს სახურავი ახადა და დიდხანს იყურებოდა შიგ.

— აქ გასაყოფი აღარაფერია, შენ რაღა გაჭამო?!

— ჩაულაგე!.. — ძლივს სუნთქავდა დედა. — ჩაულაგე, იმათ რაღა, დიდი ნაფოტი უცვივათ სახლში. მე მოვითმენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიდა ისევ კიდობანში ჩაიყურებოდა, სახურავი ხელით ეჭირა და, ფიქრით დამძიმებულს, ვეღარც დახურვა მოეხერხებინა, ვეღარც საყრდენზე დაყენება.

— რაც რამ არის, შუაზე გაყავი, — ამოკმინდა ისევ დედამ.

მამიდამ ღრმად ამოისუნთქა, ლიტრიანიდან პარკში სამი-ოთხი კილოგრამის ოდენა სიმინდის ფქვილი გადმოამხო, პარკს შუა წელზე კანაფი შემოახვია, ნება-ნება გაკვანძა, მერე ბადიიდან სამი პეშვი ლობიო ამოიღო, პარკის ცარიელ ყელში ჩაყარა და ახლა პირზე მოაკრა კანაფი.

დედა ძლივს სუნთქავდა. ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაზე ისეთი ხმა ისმოდა — გეგონებოდათ, შორს ვილაც კივისო. ასე სხვა დროსაც ხშირად ემართებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა ძალიან შეუტია, დიდხანსაც გაუგრძელდა. ერთთავად იმის შიშშია — მეც არ გადამედოს.

მამიდამ ქილიდან ერთი ჭიქა ერბო ამოფხიკა, ყველის ნატეხი შუაზე გადაჭრა, ერთი ნაჭერი ქაღალდში გაახვია, ეს ყველაფერი კალათაში ჩააწყო და მაღლიდან სუფთა ტილო გადააფარა.

— წყალში არ ჩახვიდეთ! — ამოიხიხინა დედამ. — თუ გინდა, რომ კარგად გავხდე, წყალში არ ჩახვიდეთ. ღრმა მორევებია, არ დამღუპოთ.

„ღრმა არა, ის არი...“ — გავიფიქრე გუნებაში, მაგრამ დავამშვიდე: — წყალში რა მინდა, იხვი ვარ!

— ფშანში ჩინჩხილებია, — სული რომ მოითქვა, ისევ განაგრძო დედამ, — ფეხი არ ჩაგეჭედოთ.

მამიდამაც გამოიცვალა ტანსაცმელი და ახლა სარკის წინ ტრიალებდა.

— თქვენ ისე ზოზინობთ, აქვე დაგიღამდებათ! — გამოგვძახა დედამ. ისევ აუვარდა ხველა. ახველებდა, თანდათან სული ელეოდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა, ვეღარ სუნთქავდა, ყელი შეხუთული ჰქონდა. გულზე რაღაცამ მოაწვა. კართან მივედი და მალულად შევიხედე. სახე წამოსწითლებოდა, უჰაერობით გათანგულს, თვალებიდან წინწკლები სცვიოდა. მამიდამ ტილო დაასველა და სახე მოსწმინდა. ხველა რომ შეიკავა და ცოტა-ცოტა, ჩაისუნთქა და თანდათან დაწყნარდა.

— დღეს ვეღარ ამოხვალ, — წაუჩურჩულა მამიდას.

— მოვასწრებ, სანამ დაბინდდება, აქა ვარ. დედა გაცხარდა, ისევ აუტყდა ხველა. ცალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის პირზე იფარებდა, მეორეს იქნევდა — არა, ველარ ამოხვალო. ამ ბოლო დროს ყველაფერი ელდასავით ხვდება გულზე, ყველა წვრილმანზე ბრაზდება.

— ღამე... ამ ტყე-ღრეში... გასათხოვარი ქალი... — რომ გაბრაზდა, უფრო ველარ ლაპარაკობდა.

— კარგი, დაწყნარდი, არ წამოვალ, არ წამოვალ! — დაუყვავა მამიდამ.

— წყალი... მეტი არაფერი დამჭირდება.

მამიდამ დოქით ახალი წყალი დაუდგა, საბანი გაუსწორა. დედამ რაღაც ანიშნა და ჩურჩული დაიწყეს.

— ზაზა! — დამიძახა ცოტა ხნის შემდეგ მამიდამ. — გაიქეცი, თეკლა ძალოს უთხარი, დედულეთს მივდივართ და, რომ იდროო, დედას გადმოხედე-თქო.

— იქით არ ჩავივლით? რომ ჩავივლით, მაშინ ვუთხრათ!

— წადი, შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე!

წავედი, მაგრამ ეჭვი შემეპარა — უამბოდ არ მომიცილეს. თეკლე ძალო ბაღში ჩიჩქარაობდა. შორიდანვე გავძახე დანარჩენები და სირბილით წამოვედი. კიბეზე ფრთხილად ავიპარე და რიკულებიდან დედას ოთახში შევიჭყიტე.

მამიდა და დედა ისევ ჩურჩულებდნენ. სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ გუმანით მივხვდი, შეთქმულებას მიწყობდნენ. უფრო ახლოს მივცოცდი და მივაყურადე.

— პირის გარმონი, ასანთი, სირმა... — ეჭვი გამიმართლდა: მამიდას ჩემი ზურგჩანთა გაეხსნა და შიგ რაცა მქონდა, დედას უჭიკჭიკებდა. ერთი თალია დავაპირე შევვარდნილიყავი და ზურგჩანთა გამომეტაცნა, მაგრამ უკვე გვიან იყო — არ დამანებებდნენ.

— ვინ მისცა ამდენი ვაზნა? — ჩხუბი დაიწყო მამიდამ. — ნეტა ვიცოდე, ტყვია-წამალს რად უგდებთ ხელში!

— ამოაცალე, ამოაცალე! — შეშფოთდა დედა. — ტყვია-წამლის მიცემაში ვარ ხწორედ! ნახე, სხვაც ისეთი არაფერი ედოს.

— დანა, საკენჭური... ან ეს დანა რად უნდა? გაიჭრის რამეს.

— ჰქონდეს, ჯანდაბას, ჰქონდეს!

სულგაკმენდილი ველოდი, რა მოხდებოდა და რისაც მეშინოდა, არ ამცდა, მამიდამ საშინაო შარვალი გაშალა და გახარებულმა შესძახა:

— ყულაბა! აი, სად ჰქონია ამ სანაცილეს! — ყულაბა ამოიღო და დედას დაანახვა. — ღმერთო ჩემო, ეს რა მაიმუნი ბავშვია, სახლი გადავაქოთე და იმას აქა სდებია.

დედამ წამოიწია, ყულაბას შეხედა, ისევ ბალიშს მიესვენა და გარინდულმა სივრცეში რაღაცას გაუშტერა თვალი.

მამიდამ ზურგჩანთა ამოქექა, სხვა ისეთი არაფერი იყო, თითის წვერებზე ავიწიე, რომ დამენახა, სად შეინახავდნენ ყულაბას.

დედას ღელვა დაეტყო. ძალისძალად სუნთქავდა. სახე წამოენთო. თვალები დახუჭა. ცხვირით სუნთქავდა, მაგრამ ყელიდან მიმქრალი, შორეული კივილის მსგავსი ხმა მაინც ისმოდა.

მამიდამ ოთახი მოათვალიერა, ეტყობოდა დასამალ ადგილს არჩევდა.

— ჩადე, — უთხრა დედამ. — როგორც იყო... გადაახვიე!

— რა უნდა ჩავდო, რას ლაპარაკობ, ჭამა არ გინდა!

დედა ისე სუნთქავდა — ღონეს იკრებდა. ძალა რომ მიეცა, გაიმეორა:

— ჩადე!.. შენ უარესად ნუ მიხეთქავ გულს.

მამიდა სხვა დროს არ დათმობდა, ახლაც წარბებაჭიმულმა გახედა დედას, მაგრამ კრინტი ვერ დაძრა. ყულაბა ისევ ჩემ შარვალში გადაახვია, ზურგჩანთაში ჩადო და პირი მოაკრა.

— თქვენ თვითონ აფუჭებთ და მერე იტყვით, ასეო და ისეო.

ეზოში ჩამოვიპარე და კიბე ბრაგაბრუგით ავირბინე. — ვითომ ახლა ვბრუნდებოდი თეკლე ძალოსგან.

— პელოს უთხარი, აესე გამიხდა-თქო საქმე, — აბარებდა დედა მამიდას. — გაწუხებ, ვიცი, გიჭირს... განა არ ვიცი, შენც როგორ გიჭირს! მაგრამ ვასიკო რომ ჩამოვა, ბიჭი მაინც დახვდეს-თქო. — თვალებში ცრემლი მოადგა, წყვეტილ-წყვეტილად ლაპარაკობდა, ისუნთქებდა, ისუნთქებდა, მოიკრეფდა ძალას და განაგრძობდა: — ის გადაგიხდის სიკეთეს-თქო.

— ნეტავი მასეთებს არ დაიწყებდე ხოლმე, — გაუწყრა მამიდა. — გამოემშვიდობე და წავიდეთ, — მითხრა ახლა მე.

დედას გავხედე. გულაღმა იწვა, ხელები საბანზე ეწყო. ამ ბოლო დროს სანთლის ფერი დაედო, გახდა, თითები გაუწვრილდა. თვალებში ცრემლი ედგა, დაძაბული მიცქეროდა და რაღაცას ჩურჩულებდა, ეტყობოდა, მლოცავდა, მინდოდა მიმერბინა, ჩავხუტებოდი. დედის კოცნა, ალერსი მენატრებოდა, თავზე მისი რბილი ხელის გადასმა მენატრებოდა. ვიცოდი, ახლოს არ მიმიშვებდა. მაინც ნელ-ნელა მივუახლოვდი. როგორც კი ზღურბლს გადავცდი, მართლაც ხელი ასწია:

— გაჩერდი, დედა გენაცვალოს, ახლო ნუ მოხვალ.

გული ყელში მომეჩარა და გამოვბრუნდი.

— მოიცა, ბიჭო, ცოტა კიდევ გიყურო! — თვითონვე გამაჩერა. მიყურა, მიყურა, მერე ისევ დარიგება დამიწყო: — ზალიკოსთან არ იჩხუბო, ერთი კერიისა ხართ... ეგრე გიყვართ ერთიმეორე და... — ერთხანს ისევ მდუმარედ

მიყურებდა. — მითხარი რამე, არაფერს მეტყვი? — მკითხა მოგვიანებით.

ყელში ტირილი მომეჩარა, ხმას ვერ ვიღებდი. სლუკუნ-სლუკუნით ძლივს დავუდე პირობა, რომ არც ზალიკოსთან ვიჩხუბებდი, არც შარაგზაზე გავიდოდი, არც დანით გავიჭრი-მეთქი ხელს, — ვთქვი და ენაზე ვიკბინე. დედას გაეღიმა, მიხვდა, შეთქმულების ამბავი რომ ვიცოდი. მამაილა ხარ, მამაილაო, — მითხრა, დაჟინებით დამაცქერდა, მერე ხელით მანიშნა, წადიო, სახე კედლისკენ მიიბრუნა და აქვითინდა.

— ბალღს გულს ნუ უხეთქავ, ღმერთი გიშველის, — წაუბუზღუნა მამიდამ. — ეგ არის, შენს მეტს ალარავის ჰყავს შვილი და შენს მეტი ავად არავინ გამხდარა. — ხელი მომხვია, განზე გამიყვანა და თვითონაც ცრემლები მოიმშრალა. გულზე რომ მოეფონა — გამოვიდა, მხარზე ხელი დამადო და გამიღიმა.

— როგორც ვაჟს შეშვენის, ისე გამოემშვიდობე, — მითხრა და ახლა დედას გასძახა. — მოიხედე, ქალო! დედამ მოიხედა, ცრემლებს იმშრალებდა. იმანაც სცადა გაღიმება, მაგრამ ტირილს ვერ იკავებდა. ხელი მაინც დამიქნია და კოცნა გამომიგზავნა. ისევ მომაწვა ბოლმა, ვიგრძენი, ავტირდებოდი. დედას რომ არ დავენახე, წამოვავლე ზურგჩანთას ხელი და კიბეზე დავეშვი.

ჭიშკარი გავიხურე და გზას დავადექით. ორღობე ატალახებული იყო. მაინც, შემაღლებულ მხარეს პირი შეშრობოდა და იმას გავუყევით. წინ მამიდა მიდიოდა თავისი კალათით, მე ზურგჩანთამოკიდებული მოშორებით მივდევდი.

ღვარის წყალი ჯერაც არ ჩამოწურულიყო. გზის შუაგული ჩაეღარნა და, უკვე დაწმენდილი, ციცქნა ნაკადულად მორუკრუკებდა. ალაგ-ალაგ პატარ-პატარა გუბურები გაჩენილიყო. ნაკადულს გუბურების შესასვლელში თეთრი, მრგვალი კენჭები და თიხამიწის ქვიშაში ახორხლილი გუნდები მიეგროვებინა და ახლა ხილით ფარავდა.

— ღროზე გადმოადგი ფეხი! — უკან არ მოუხედია, ისე დამიძახა მამიდამ.

გავძუნძულდი და წამოვეწიე.

მიწის სუნი იდგა, ღროდადრო ქვენა ნიავს ქინძის სუნიც მოჰქონდა, ეტყობოდა სადღაც სეტყვამ დაჰკრა. ხის ფოთლებზე დარჩენილი წვეთი კანტიკუნტად ცვიოდა. მზემ გამოაჭყიტა და გზიდან ამავალ ორთქლში ცისარტყელის ფერები აციმციმა.

— გამოიარე, რა ფეხები გებლანდება! — მომიბრუნდა მამიდა. ისევ წამოვეწიე, მაგრამ გვერდში მაინც არ გავყევი. გული უნდა გამიწყალოს: ჯიბიდან ხელი ამოიღე, საკენჭური არ გაიხროლო, ნუ უხტები! — ყველაფერზე შარის მოდება იცის.

მართა ბებოს მაისის ბალს თვა[illegible]ჰარა. ნიავი რომ დაუბერავდა, გადმოშლიდა ფოთლებს და თეთრი, მზისგან ვარდისფრად ატკეცილი მარცვლები დაჩნდებოდა. „სანამ ამოვალ, დამწიფდება“ — გავიფიქრე გუნებაში. წვიმას შეფარებული საქონელი სოფლის გადაღმა, ტყისპირას გაეშალათ. ღრუბლები თანდათან ქედებისკენ გადაგროვდნენ. ცა ალაგ-ალაგ მოკრიალდა, ხასხასა ლურჯ ფერად იწმინდებოდა.

მამიდამ გაბრაზებით მომხედა. მიყურა, მიყურა, არაფერი უთქვამს, ჩაიქნია ხელი და წავიდა.

„ესეც ასე, ძლივს არ დავიცილე!“ — ამის შემდეგ მამიდას უკან აღარ მოუხედია, მაგრამ როგორც კი მოშორებით ჩამომიტოვებდა, დამიცდიდა. ის რომ ნაბიჯს მოუკლებდა, მივუახლოვდებოდი და მერე ფეხს ავითრევდი. წავიდოდა — მორიახლო გავყვებოდი.

თედო პაპაანთ სახლთან გაჩერდა. ელიზბარა ძიას შავარშიაშემოვლებულ სურათს კარგა ხანს უყურა, მერე ამოიოხრა და წავიდა. ელიზბარა ძია სხვებთან ერთად იყო გადაღებული, მაგრამ მხოლოდ მისი სურათი გაადიდებინეს. გაღიმებული ზის, პირში ჩიბუხი უჭირავს და მარცხენა ხელი ისე უდევს — დიდი, მრგვალი საათი გამოუჩნდეს. ამ ქუჩაზე კიდევ სამი სურათია გამოკიდებული: გიგუცა ძიასი, ალექსა ძიასი და ვალიკო ძიასი. ვალიკო ძიასი გზის მარცხენა მხარეს არის. წივილაანთაც უნდოდათ გამოეკრათ, მაგრამ საცოდავ უშანგი ძიას სურათი არა ჰქონია გადაღებული. მუნჯიაანთაც მიიღეს დეპეშა, ჯერ კინაღამ ცა ჩამოაქციეს, მერე იფიქრეს, იქნება ტყუილიაო, არც სურათი გამოაკრეს, არც ქელეხი გადაუხადეს...

— უი! თქვენ გაიხარეთ, როგორც მე თქვენი დანახვა გამიხარდა. — ფიქრებში წასულს დედაბერის ხმა შემომესმა. გავიხედე, გზაჯვარედინზე, წნორქვეშ, კუნძზე მართა ბაბო ჩამომჯდარა და უკბილო პირით გვიცინის. ცალ ხელში ყვინჩილა უჭირავს, მეორეში — დანა.

— შუადღის აქეთ აქა ვზივარ და, გაგონილა, კაცმა არ გამოიარა, მამალი დამეკვლევინებინა! შეთქმული მაქვს. დილას ავიყვანე ვარდისახვთიშობელში, ვილოცე, იქ არავინ არ იყო. ჩამოვედი აქა, ვზივარ, ვზივარ... დამიკალი, შენ შემოგევლოს შენი მართა ბაბო, — გამომიწოდა ყვინჩილა.

შევყოყმანდი. დაკვლა კი ვიცოდი. მაგრამ მეშინოდა, შარვალი არ მომსვროდა. მართა ბაბო მაშინვე მიმიხვდა.

— გაიხადე, თავს შემოგევლე. გეტყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ, ხტუმრად მიდიხართ, არ გაგეწუწოს.

— მომეცი, მე დავკლავ, — უთხრა მამიდამ. მართა ბაბომ გაოცებულმა შეხედა.

— რა, ტანტარას დაკლულს ჩემი დაკლული არა სჯობია?

— ღმერთო, ნუ უწყენ, — პირჯვარი გადაიწერა მართა ბაბომ. — ქალის დაკლული ვის გაუგია, შვილო, თანაც შეთქმული მაქვს. — მერე მე შემომხედა და ჩაიცინა. — გაიხადე, რა უშავს, უფრო არ გამოჩნდება, რო კაცი ხარ?

მამიდა პირზე ხელს იფარებდა, მაგრამ სიცილს მაინც ვერ იკავებდა.

— ღობის შიგნით გადავალ და იქ დავკლავ, — ვუთხარი და ჩემი დანა ამოვიღე. მართა ბაბოს დანა მაგიდისა იყო, დაჩლუნგებული ჩანდა.

— იიშ, ნეტავი შენ, აქ გაიხადე, ვინ გიყურებს. ემანდ არ გაგეშვას.

მარგილს ჩავეჭიდე და ღობეზე ავედი.

— არ დამღუპო, ბიჭო, არ გაგეშვას, ვაივაგლახითა მყავს გაზრდილი, — მენუკვებოდა მართა ბაბო.

— გაუშვი, გადავიდეს, აქ არ დაკლავს, — უთხრა მამიდაჩემმა.

გადავხტი ღობეზე, ყვინჩილა მოშორებით გავიყვანე, მოვეფარე, შარვალი გავიხადე, დავკალი და ისევ სწრაფად ჩავიცვი.

მართა ბაბოს ვიშვიში და წუწუნი არ გაუჩერებია, ეშინოდა, ყვინჩილა არ გამშვებოდა. პირში ლუკმას ვიკლებდი, ისე გავზარდეო. დაკლული რომ გადმოვაწოდე, გაიხარა.

— შენ გაუმრავლდი დედაშენს, შენ გაიხარე ამ ცასა და დედამიწას შუა — მივდიოდით და მოგვდევდა მისი ლოცვა. მამიდა ისევ წინ მიმიძღვოდა და ჩუმ-ჩუმად კისკისებდა.

შარშან, სახლთანგელოზობას, საბედა ძალომაც ასე დამიჟინა, გაიწუწები, შარვალი გაიხადე და ისე დაკალიო. შარვალი როგორ გამეხადნა, ტრუსი არ მეცვა. შარვლიანმა დავკალი. თავი რომ წავაჭერი, ქათამი აფრთხიალდა, ამოიქნია კისერი და როგორც გამსკდარი მილიდან, ისე ჩამომწუწა. იმაში მოვტყუვდი, კისერი გრძელი დავუტოვე.

გზაჯვარედინიდან მაყვლიანამდე სულ თავდაღმართია. სწორი, გატკეპნილი ყამირგზა მდორედ ეშვება, აქედან რომ დაუშვა ველოსიპედი, ისე გახვალ მაყვლიანის ბოლოში, სატერფულების დატრიალება არც დაგჭირდება.

— მამიდ!

მამიდამ მოიხედა.

— ახლა ველოსიპედი რომ მქონდეს... დავუშვებდი ამ თავქვეზე... მაგ კალათას საბარგულზე შემოვიდგამდი...

— ჰო, შენ ისევ ველოსიპედზე იოცნებე, — აღარ დამაცალა ლაპარაკი, — ხვალის ლუკმა რომ აღარა გაქვთ, გირჩევნია, იმაზე იფიქრო.

— კარგი, რა მამიდ, ხომ ვერა ვყიდულობ, და ვილაპარაკო მაინც.

— ცარიელი ლაპარაკი რა ბედენაა. მამა შინ რომ არ არის, შენ უნდა გასწიო თავკაცობა. მით უმეტეს, დედა ავად არის, აღარ შეუძლია. მამა შინ რომ ყოფილიყო, ველოსიპედს აქამდე გიყიდდა. მაგრამ რაკი ასე მოხდა, შენც სხვაგვარად უნდა გაისარჯო.

ბევრი აღარ გაუგრძელებია, ერთხანს ჩუმად მივდიოდით. არც მახსოვს, სტვენა როდის დავიწყე.

— ხევრე და ხევრე, — ხელი აიქნია მამიდამ, — შენ უსტვინე!

სტვენა შევწყვიტე, ვიცოდი, ახლა ამაზე მომცემდა შენიშვნას და ხელები ჯიბეებიდან ამოვიღე.

ცა თითქმის მთლიანად მოკრიალდა. ღრუბლები კავკასიონის მთებზე აგროვდნენ და უშველებელ ქულებად დასხდნენ. დაბლა და დაბლა რუხი ფერი ედოთ, ზემოთ — ქათქათა თეთრი, ალაგ-ალაგ მოპირისფრო. მაყვლიანს იქით მწვანედ ხასხასებდა ჯეჯილი. მარცხნივ, შეფერდებულზე ლურჯად ჩაბინდულიყო ნაკვეთებად დანაწევრებული ზვრები. ველების შუაში, დაკლაკნილ ჭალასაც ლიბრი დასდებოდა. თუ კაცი დააკვირდება ნაწვიმარზე, რომ გადაიდარებს, მთები ახლო მოდიან ხოლმე, ნაწვიმარზეც და როცა პირველად თოვლით იფარებიან — მაშინაც.

თავდაღმართი ჩავათავეთ. მაყვლიანის დასაწყისში გზა ოდნავ მარჯვნივ უხვევს. ჯეჯილისპირა ყამირზე მივდიოდით. აქაურობა უფრო დაჭონჭოხებული იყო, გუბურების აღმოსავლეთით ხორხოშელას მეტი და მეტი მარცვლები იყო მიქუჩებული, ჯეჯილიც აღმოსავლეთით იყო მოწოლილი, ეტყობოდა, დასავლეთიდან დაჰკრა სეტყვამ და, სოფელში ქინძის სუნიც აქედან მოდიოდა.

მაყვლიანის ბოლოში, ბუჩქების კენწეროებს შორის კაცის თავი დავლანდე. ალბათ მამიდამაც დაინახა. კალათა დადგა და ფათიფუთით მოწესრიგდა: თმა გადაისწორა, სახეზე ხელი გადაისვ-გადმოისვა, კაბა ჩაიბერტყა... კალათა აიღო და გზა განვაგრძეთ. ის იყო მოსახვევს მივუახლოვდით, ოქლაქი სოსია გამოჩნდა. იმასაც ფერფური წასვლოდა, უნდილად გაიღრიჭა და შორიახლოდან შემოგვეხმაურა:

— მთვარეო ხუთმეტისაო,* გორ-გორებს ჩამაჰყვებოდა, გადმოდიოდა ღურბელი,** ჯახნა*** ნისლებში ჰყვებოდა! — იქვე მიულექსა. ორივემ გაიცინა. სოსია ტორტმანით მოგვიახლოვდა, ჩამოგვიდგა და მამიდას ლაპარაკი გაუბა; ხად

---

* მთვარეო ხუთმეტისაო — სავსე მთვარე.

** ღურბელი — ღრუბელი

*** ჯახნა — ბებერი ჯიხვი. იტყვიან მოხუც კაცზედაც.

მიდიხარ, როდის დაბრუნდები, ქეთო როგორ არის, ვასიკოსი რა იცითო, — ნეტა იმას რა ეკითხებოდა. ამ მამიდაჩემმაც გამოიდო თავი — დაწვრილებით პასუხობდა. ბრაზი მომივიდა, ხელზე ხელი წავავლე და გავწიე. მამიდა აღარ ჩქარობდა.

— წავიდეთ, წვიმას აპირებს! — უფრო და მაგრად გავწიე.

მამიდამ ისე ჩაიცინა — ხოსიას აგრძნობინა, უნდა გავყვე, მეტი რა გზააო და წავედით.

მაყვლიანიდან რიყემდე გზა ლარივით არის გაჭიმული. მიდიხარ, მიდიხარ — აღარ ილევა. კარგა ხანს ჩუმად მივაბიჯებდით. მამიდა სწრაფად მიდიოდა. ფიქრებში წასული დროდადრო ამოიოხრებდა.

ყველა მხრიდან ჩიტების ხმა ისმოდა, მეტადრე ტოროლებისა. აფრინდებოდნენ ნელ-ნელა, გეგონებოდა, ხრახნის ძაფს უვლისო, ფრთების ნელი ფარფატით გალობა-გალობით აუყვებოდნენ, ავიდოდნენ ცაში, ისე მაღლა ავიდოდნენ, ახლად დაბუმბლული ბარტყის ოდენებიც აღარ ჩანდნენ; ადგილზე დაიწყებდნენ ლივლივს და ზარივით წკრიალა ხმით გალობდნენ, გულის მომწყვლელად გალობდნენ, როდის-როდის დაიღლებოდნენ, ერთბაშად გაჩუმდებოდნენ, მოწყვეტით დაქანებულნი ბალახში სადმე ჩაიმალებოდნენ. იმათ ყურებაში ვიყავი გართული — მამიდას ხმა შემომესმა:

— ბიჭო, ზრდილობა ხომ უნდა გქონდეს, რას შემაწუხე, წავიდეთ-წავიდეთო, აბა, სად აპირებს გაწვიმებას! — კალათა ხელიდან ხელში გადაიტანა და დარიგებით დაუმატა:

— როცა უფროსები ლაპარაკობენ, შენ არ უნდა ჩაერიო.

— მეჯავრება და იმიტომ.

— რად გეჯავრება, მამულები ჩამოგართვა და კერაზე ცეცხლი ჩაგიქრო?!

— იმიტომ, რომ წიხლი ამომარტყა და ყური ლამის ამაგლიჯა.

— რათა, რათ ამოგარტყა? — მომიბრუნდა და ხან ყურზე მიყურებდა, ხან თვალებში. — რაღაცას დააშავებდი, თორემ უმიზეზოდ... გიჟი ხომ არ იყო?

— ხევრიაა და იმიტომ. შარშან სათიბში ბიჭები ვთამაშობდით. ეგ ჯერ ქაჩალგორიდან გვიყვიროდა, ბულულებს ნუ სწეწავთო, მერე მოგვივარდა, წაგვართვა ბურთი და ვითომ უნდა გაეხეთქნა, მიწაზე დადო, ახტა და ორივე ფეხით დაეცა ზედ. მაშ ჭკუაზე აფრაკად არ არის? ბურთმა მაღლა აისროლა, აქანდა და ზურგზე მოადინა ზღართანი.

მამიდას ჩაეცინა.

— მერე?

— მერე წამოიჭმაჭნა, გამოგვეკიდა, მაგრამ ეგ დაგვეწეოდა? ორი კვირის შემდეგ წყაროსთან მომეპარა, ყურზე მტაცა ხელი და პანჩური ამომკრა.

— თივა გიფუშებიათ და მაშ ტუჩები [illegible]ოცნა! ყველა გამოგაპანღურებდათ, სოფელში კაცი აღარ არის, ძლივს გათიბეს და...

—ამაზე არავინ არ მცემდა. ეგ არი ხევრია, რას მეპარებოდა, თუ შნო მქონდა, გამომიდგებოდა და დამიჭერდა.

— ოჰ, დიდი ცქვიტი მყავხარ, — ტუჩი ამიკრა და წავიდა. — ახლაც სულ ფრენით არ მოდიხარ!

ისევ მდუმარედ მივდიოდით. მომწყინდა ამსიგრძე გზაზე სიარული.

„ნეტა ახლა ველოსიპედი მქონდეს. — ვნატრობდი გუნებაში, — ახალი, კეწკეწა ველოსიპედი მქონდეს, გავიქროლებდი და ერთ საათში ზალიკოსთან ვიქნებოდი. ზალიკოც ცას ეწეოდა, შევსხდებოდით ორივე და უცბათ ჩავირბენდით ფშანზე, ფშანი ახლა თევზით იქნება სავსე. მდინარეები რომ აიმღვრა ფშანში შევიდოდნენ.

ზალიკო ისეთი მაიმუნია, ხელით იჭერს თევზებს. აჰყვება წყალწყალ და სულ ზეპირად იცის, რომელ ქვის ქვეშ, ან ჩინჩხილში იქნებიან მიმალულნი. ნელ-ნელა მიეპარება და ბრჭალზე რომ დადგება, უკვე ვიცი, იქ რამეა. იმ დროს თვალებთან თითი რომ მიუტანო, ვერ დაინახავს. მთელი გულისყური ხელებზე აქვს გადატანილი. შეფიქრიანებული თევზი გასასხლტომად იმზირება, მაგრამ თავისი სიცქვიტის იმედი აქვს და არ ჩქარობს. თუ სწრაფად მიუახლოვდი ან შეეხე — გაისხმარტალებს და, მოგჭამათ ჭირი, გაკრთება. ზალიკო მაგის ჩიტი არ არის, ხელიდან წაუვიდეს, წყნარად, თმენით მიუახლოვდება, მიუახლოვდება, შემართული თევზი ციმციმ არხევს ფარფლებსა და ლაყუჩებს. ამ რხევებით ზალიკა გაივარაუდებს, რა ადგილზეა, სტაცებს ხელს და ნაპირზე გამოისვრის. მეც მარჯვედ დავხვდები, დავიჭერ და ჩავუძახებ ბადურაში. ერთხელ კი ფაცია კალო მაჭამა. კბოდის ძირას თავისებურად წაეპარა, წაეპარა, წაჰყო ხელი ნაფესვარში და მთელი ბლუჯა ისროლა. ის იყო უნდა დავცხრომოდი, ელდანაცემი უკან გადავხტი. თურმე დაგორგლილი გველი იყო, გაიშალა და ჩემზე უარესად დაფეთებული შამბნარში შესრიალდა. ზალიკოს გავხედე, არც იმას ედო ფერი...

როგორც იქნა, დამთავრდა სწორი გზა და ცოდვიან ხევს მივადექით. აქ წინათ ხიდი იყო. შარშანწინ, გაზაფხულზე, დიდწვიმიანობისას ადიდდა ხევი, თურმე არემარე თან მოჰქონდა, მოგლიჯა მარცხენა ბურჯი და თავის ხიდიანად გაიტაცა. ხიდის გასაკეთებლად აღარავის სცხელოდა, ვინლა გააკეთებდა, ამიტომ, ფეხით მოსიარულემ მაინც გაიაროსო, მოიტანეს გრძე-

ლი მორი და წანწალა გადეხ. მიადგა მამიდაჩემი წანწალას, გახედ-გამოხედა, თვალში გაატარა, სახელური ველარ გაუკეთეხო! — წაიბუზღუნა, გავლა ვერ გაბედა და შემოსასვლელისკენ წავიდა. მე წანწალაზე შევხტი, დამინახა და წიოკობა ატეხა.

— არ გაიარო! არ გაიარო, ბიჭო, ჩავარდები! ჩავარდები, ბიჭო!

უკან არც კი მომიხედია, გავშალე ხელები, წონასწორობა რომ დამეცვა და ტორტმანით წავედი. მამიდამ რაკი ნახა, ჩემსას არ ვიშლიდი, გაჩუმდა, გალმა, მიწაყრილზე რომ გადავხტი და მოვიხედე, ადამიანის ფერი აღარ ჰქონდა.

— დამაცადე, თუ ცეცხლი არ მოგიკიდო! — მუშტი მომიღერა და გაცხარებული ხევში ჩასასვლელ ბილიკს დაადგა. ნელ-ნელა შემოუარა. რომ მომიახლოვდა, გზიდან გადავედი და თვალებში ჩავაცქერდი — რას მიპირებდა. სიბრაზეს ნაწილობრივ გადაევლო, გამოკიდება არც დაუპირებია, იცოდა, ვერ დამეწეოდა.

— მაიმუნი ხარ! — მხოლოდ ეს მითხრა და გზა განაგრძო.

შემენანა. ცოტა სანერვიული და სადარდებელი აქვს, რომ ახლა მე არ დავუმატო. მერე როგორ ვუყვარვარ. დედასავით მივლის, მეფერება.

დედა პირველად ავად რომ გახდა, ვინ აღარ მოაკითხა, ვინ აღარ მოდიოდა სანახავად, მერე ველარ ფეხი აიკვეთა, ვერა ვცლილობთო, ესაა, იხაო ვარა არ ვიცი, ეშინიათ არ გადაგვედოსო და ლობე-ყორეს ედებიან. მამიდაღა არის ჩვენი პატრონი, ერთი დღითაც არ მიუტოვებივართ, ყველგან ეგ მიდის, მოდის, ამდენს წვალობს...

„უნდა გავამხიარულო", — გავიფიქრე გუნებაში. გავიქეცი, წინ გადავუდექი და ვითომ ძალიან მეწყინა, ლიინჯშემოყრილმა ვკითხე:

— მე ვარ მაიმუნი?

მამიდამ ირიბად გადმომხედა.

— არა, მაიმუნი არა ხარ, — თქვა არხეინად.

— მაშ რა ვარ?

— შენ? შენა ხარ... — უცებ ხელი მტაცა და გვერდზე გამისროლა. — სად მიდიხარ, ხრამში არ გადავარდე!

სწრაფად გავსწორდი და წავეყვინჩილე:

— ჰო, თქვი, რა ვარ!

— რა ხარ და, დიდყურა მუტრუკი ხარ!

მამიდა ძალიან იყო გაბრაზებული, იმისი გულის მოგება არც ისე იოლი იყო. სანამ მე რამეს მოვიფიქრებდი, მან განაგრძო:

— მართლა მუტრუკი ხარ რას აიჟინე ეს ველოსიპედი, ახლა ის ორი მუჭა ფქვილი რომ გათავდება, რა ვაჭამო დედაშენს.

— იშოვის, ქვეყანა დიდია.

— სხვისა ნათქვამს თუთიყუშივით კი ნუ იმეორებ, ცოტა თავი გააჭანჭყარე, ხედ[illegible] მამაშენი მოიტანს თუ ბიძაშენი.

— მაშ ეგ რაღას მოგქონდა.

— რაღას მომქონდა! — გამომაჯავრა. — სადაც მიდიხარ, იქ ჭამა არ გინდა, ხომ არ გგონია, პელო დუღს და გადმოდუღს. მარტოხელა ქალს ოთხ-ოთხი ახვევია თავზე. მაინც, სად დამალე ყულაბა?

— დავმალე არა... შენ ის მითხარი, ბოლოს, მაიმუნი ვარ თუ მუტრუკი?

— ჰი, ჰი, ჰი! — გამომაჯავრა სიცილით და თან მართლა გაეღიმა. მოდი, მოდი ჩემთან, ჩემი ბიჭი, შენ, ჩემო თვალის სინათლევ, მუტრუკიც ხარ და მაიმუნიც.

თითქმის შერიგებული ვიყავით, მაგრამ, დამცინავი კილო გულზე მომხვდა.

— სოსიას კიდევ ვჯობივარ, ეგ რომ ვაჟკაცი იყოს, ჯარში იქნებოდა.

მამიდას ეტკიცა:

— შენ ძალიან წაიგრძელე ენა და მოგივლი, დამაცადე! — დამემუქრა გულგარეთ.

რიყემდე ნამდურავად ვიარეთ. კვირაცხოვლის ნიშები გამოჩნდა. ჩქარა ეკლესიაც დაჩნდებოდა. მამიდას გვერდში ამოვუდექი და კალათას ფრთხილად წავატანე ხელი. მამიდა ჯერ ვითომ ვერ მიხვდა, რა მინდოდა, მერე, კალათა ჩემკენ რომ გამოვწიე, იმან თავისკენ გასწია, ხელი გამაშვებინა და მეორე ხელში გადაიტანა. ძალიანაც არ შევხვეწნივარ.

— მამიდ! — ვუთხარი ცოტა მოგვიანებით.

ხმა არ გამცა, არც მოუხედია.

— მამიდ!

ვითომ არ ესმოდა, კიდევ არ მომაქცია ყურადღება.

— მამიდა! — ავუწიე ხმას.

— ზმუკუტა, რა იყო!

ხმას ისევ დავუწიე და ეკლესიისკენ გავიშვირე ხელი.

— როცა ზალიკოანთ მე, დედა და მამა მივდიოდით ხოლმე, მამა აგერ იმ ნიშების ქვეშ დედას სუფრას გააშლევინებდა და ვიქეიფებდით.

— იქიდან რომ მოდიოდით, მაშინ რაღას აკეთებდით? არა სჭამდით ხოლმე?

— იცი, როგორი ნიავი იცის? უშურაშურებს? სხვაგან რომ გაგანია სიცხეა, მანდ მდინარის სიო უბერავს.

მამიდამ გადმომხედა. მიყურა, მიყურა, მერე ხელი შემომხვია და მიმიხუტა.

— მოგშივდა, მამიდა გენაცვალოს, სწრაფად ვიაროთ, არ დამაგვიანდეს, თუ პელოს მზად არაფერი ექნება, სახელდახელოდ მჭადს გამოგიცხობ.

— რა გეჩქარება, ხომ თქვი, დავრჩებით.

— ვთქვი, მაგრამ დავრჩე? დედა მარტო იყოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ამიჩუყდა და ვინანე, თუ ოდესმე გამიბრაზებია. განა შეიძლება ამისთანა მამიდას აწყენინო!

რიყე გამოჩნდა. აქამდე ჩამიჩუმი არ იყო და, როგორც კი მდინარე გაჩნდა, შხუილიც მომოგვესმა. აქედან უკვე სახალისო სავალია. ჩავუვლით წისქვილებს, გადავჭრით რიყეს, გავალთ ქაცვიან ჭალაში, გადავივლით ფშანის ბოგირს და ჭალის ბოლოში მოკლეზე ავუყვებით ფლატეს, ზეგანზე ავალთ თუ არა, ზალიკოანთ უბანიც დაჩნდება. ფლატის თავზე, კევის ხეებთან ჩავბერავ გარმონს და ნახე ჩემი ბიძაშვილები რა გიჟებივით გამოცვივდებიან. შემოგვეგებებიან აქასქასებულები და დამიწყებენ ხვეწნას — გარმონი დამაკვრევინეო, გარმონი დამაკვრევინეო.

რიყეში მესამე წისქვილთან ჩავედით და საწისქვილე რუს დავუყევით. წისქვილი დაკეტილი იყო. მეოთხე წისქვილი წყალგარდა იყო. მეწისქვილე საჩეხწინ ლოდზე იჯდა, შორიდანვე შეგვამჩნია, სახემოქუფრული მოგვაჩერდა, თავისი ბებრულად ჩალეული თვალები აღარ მოგვაცილა, რომ მივუახლოვდით, მამიდა მიესალმა.

— გაღლეგრძელოთ! — ისევ გაკვირვებული გვიყურებდა. — ვისთან დაფქვით, მეთოდესთან თუ იმ სალახანა ისიდორესთან.

— მგზავრები ვართ, არსად! — უპასუხა მამიდამ.

— ჰოო, ეგრე თქვით!

რიყე, გაზაფხულის ნიაღვრების შემდეგ გაგზავებული არ იყო. ვაი-ვაგლახით მივადექით მდინარეს. მდინარეში, კიდევ კარგი, კამეჩების ურემი ჩაეყენებინათ, თავსა და ბოლოში ფიცრები გაედოთ და ხიდის მაგივრობას ეს ეწეოდა. რიყის გაღმა მხარეც გავაჯახირეთ და ქაცვიან ჭალაში გავედით. იქაურობა ბავშვებითა და ხვასტაგით იყო სავსე. ვათვალიერე, ეგებ ზალიკოც აქ იყოს-მეთქი, მაგრამ არსად ჩანდა. სუფთა, კრიალა ფშანი მდორედ მოკამკამებდა, გზის აქეთ-იქით ნაფურებიც დაწმენდილიყო, ისე მოჩუხჩუხებდნენ — დაწაფება მოგინდებოდა. დავილალე, სოფლამდე კიდევ დიდი გზა გვედო.

— მამიდ, სხვას არაფერს ვინატრებდი, ახლა კეწკეწა ველოსიპედი მქონდეს. საბარგულზე შენ შემოგისვამდი შენი კალათით, სოფელში რომ შეგაქროლებდი ზარის წკრიალით — ქვეყანა ყურებას დაგიწყებდა, ეს რა ჩიტი მოფრენილაო.

მამიდას ტუჩებში ჩაეღიმა და რომ არ დამენახა, ხელი აიფარა. ღიმილმა ჩქარავე გადაუარა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ემ, ნეტავი შენ, რომ ჭკუა არა გაქვს.

წყაროსთან ცოტა ხანს დავისვენეთ. ხელპირი დავიბანეთ და ფლატეს შევუდექით. კევის ხეებთან რომ ავედით, გავჩერდი, ზურგჩანთიდან გარმონი ამოვიღე და [illegible] ზედიზედ ჩავბერე. მამიდა მიდიოდა.

— მოიცა, მამიდ. ახლა ნახე, როგორი ჟრიამული ატყდება!

— ახლა მაგის დრო მაქვს! — ხელები გაშალა, მაგრამ ნაბიჯს მაინც მოუკლო. ყურებდაცქვეტილი ვიდექი. ველოდებოდი, როდის გამოცვივდებოდნენ ბაღლები, მაგრამ არც არავინ გამოჩენილა, არც ხმა ამოუღია ვისმე. ღრმად ჩავისუნთქე და ორჯერ კიდევ ჩავბერე. ჩქამი არსაიდან იყო და ნელ-ნელა გავყევი მამიდას. დაკვრა-დაკვრით შევედი დედულეთში, მაგრამ საქმეში ხარ, ყურადღება არავის მოუქცევია, არც არავინ ჩანდა. მხოლოდ დარიკო იჯდა ბეღელთან და სლუკუნებდა, დედა მინდაო. მამიდაჩემმა ხელში აიყვანა, მოეფერა და რომ დააჩუმა, თქვენები სად არიანო, ჰკითხა.

— დედაჩემი სამუშაოდ არი... ზალიკომ ძროხა გააგდო მინდორში, დათო და თინა წისქვილში არიან, — სლუკ-სლუკით გვიპასუხა დარიკომ.

ავედით სახლში. ახალი, ორსართულიანი სახლი ედგათ. ზემოთ ერთი ოთახი აივნით, ქვემოთ სარდაფი. ის იყო სახლი გადახურეს და ომიც დაიწყო. გიორგი ძია მეორე დღესვე ჯარში წაიყვანეს. მახსოვს, დედა ერთთავად იმას ვიშვიშებდა ხოლმე: კიდევ კარგი, სახლი გადახურა და ისე წავიდა, თორემ ბაღლები ცის ქვეშ რომ დარჩენილიყვნენ, რა ეშველებოდათო.

აივანზე, სვეტების ძირას გრძელი სკამია მოწყობილი. სკამს ზემოთ, ასე, ჩემ საქამრეზე ოდნავ მაღლა, ვიწრო ფიცარია გაკრული: გვერდითა კედელში ბუხარია დაყოლებული.

ოთახს სამი სარკმელი აქვს. ორი წინა მხარეს, კარის აქეთ-იქით. ერთი — უკან. ოთახის შუაში დიდი, გასაშლელი მაგიდა დგას. კარის მარცხნივ საჭმელების კარადა და კიდობანია. მარცხენა კედელთან მოზრდილი ტახტი დგას. ამ ტახტზე მე და ზალიკო ვწევართ ხოლმე. უკანა კედელთან მარცხენა მხარეს, სარკმელის ძირში — რკინის საწოლია, მის ბოლოში — დათოს პატარა ტახტი. მარჯვენა კედელთან, სიღრმეში, ტანსაცმლის კარადაა, მერე — დიდი ტახტი. კარადის მარჯვნივ, კარსა და სარკმელს შუა, ტუალეტის მაგიდაა ჩადგმული. მაგიდის თავზე დიდი სარკე ჰკიდია. სარკეს გარშემო სურათები აქვს ჩარჭობილი. მაგიდაზე ისევ ის ძველი სურათების ალბომი, წიგნები, მოშლილი მაღვიძარა საათი და სავარცხელჩარჭობილი ტანსაცმლის ჯაგრისი დევს.

— მამას წერილი ხომ არ მოსულა? — ჰკითხა მამიდაჩემმა დარიკოს. დარიკომ თავი

---

სოლომონ სამხარაული
პეპლის ხიზანი

დაიქნია და თითი ხარკისკენ გაიშვირა. ხარკის თავზე, ძველ სურათებს შორის ჯარისკაცების სურათი იყო ჩარჭობილი. სამნი იყვნენ. შორიდანვე ვიცანი, შუაში გიორგი ძია იდგა. თავისებურად ამაყად იყურებოდა. პილოტურა ოდნავ გვერდზე დაეხურა, ულვაშები გრძლად ჭაეშვა, კისერზე ჩამოკიდებული ავტომატი ორივე ხელით ჩაებღუჯა.

მამიდამ სურათი ამოიღო და ისე დაიჭირა, ორივეს შეგვეხედა.

— წერილი? — მკითხა ისევ მამიდამ, — რაო, რას იწერება?

— ჩქარა მოვალო.

მამიდამ სურათი თავის ადგილზე გაარჭო, კიდობანს ახადა. კიდობანი ცარიელი იყო. მერე კარადა გაალო, ქვაბებს, ქილებს, ქოთანს — სათითაოდ გადახადა თავსახური. გადახდიდა, ნახავდა შიგ არაფერი იყო და დაახურავდა, გადახდიდა — დაახურავდა. მერე ჩვენი მოტანილი ლობიო წამოყარა, გადაარჩია, გარეცხა და კოჭობში ჩაყარა.

— შეშა დაჭერი, — მითხრა და ცეცხლის ანთებას შეუდგა.

შეშა დავჭერი, ავიტანე და ბუხრის წინ დავყარე. მამიდა სწუხდა, წასვლა უნდოდა, მაგრამ პელო ძალოს უნახავად ვერ მიდიოდა. თვალი გზისკენ ჰქონდა, თან ჩქარ-ჩქარა მზეს გამხედავდა. მე და დარიკო გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. გარმონი მივეცი და დავაკვრევინე. ბეჩავია, უბერავდა და ხმას ვერ ალებინებდა.

— მაშ ვერ უნდა დაუკრა! — გარმონი გამოვართვი და ის იყო ტუჩებთან მივიტანე — ორღობეში პელო ძალო და ჩემი ბიძაშვილები გამოჩნდნენ. წინ ლამაზო მოუძღოდათ. პელო ძალოს მხარზე თოხი გაედო, ბალახი აელლიავებინა, დათოს საფქვავი მოეგდო ზურგზე, წამოვხტი და კედელს მოვეფარე.

— დამინახეს? — ვკითხე დარიკოს.

— მწ! — თავი გაიქნია.

გარმონი რომ უნდა დამეკრა, სულ დამავიწყდა. მოსახვევთან იყვნენ მოსულნი, როცა გამახსენდა, რაც ძალი და ღონე მქონდა ჩავბერე და ტუჩებზე გავისვ-გამოვისვი.

— გაიგეს? — ვკითხე დარიკოს.

— გაიგესო, — თავი დამიქნია.

— რას შვრებიან?

— გაჩერდნენ.

ისევ დავუკარი. თან დარიკოს ვეკითხებოდი:

— რას შვრებიან?

— იცინიან.

— ახლა რაღას სჩადიან?

— მორბიან.

მართლაც, ჩქარა კიბეზე ფეხის ბრახაბრუხი გაისმა. ჯერ ზალიკო მოვარდა.

— როდის უნდა წახვიდე? — მკითხა აქასქასებულმა.

— აქა ვრჩები.

— ვაშაა! — იყვირა გაგრძელებით, მომხვია ხელი და ამიტაცა.

ამასობაში დათო და თინაც ამოვიდნენ.

— შენ თუ ყველას არ დაეტაკე! — წაუღრინა დათომ. საფქვავი მოიხსნა. თავისებურად დინჯად გადამეხვია, მაკოცა და როგორა ხართ, მამიდა როგორ არისო, — გამომკითხა. ზალიკომ გარმონი გამომართვა და დაკვრა დაიწყო.

— ერთხელ დამაკვრევინე, რა, ერთხელ დამაკვრევინე, — ეღრიჯებოდა თინა.

— მერე შენი ნადორბლი პირში ჩავიდო! — წაუტია ზალიკომ.

პელო ძალომ თოხი და ბალახი ბეღელთან დაყარა, ხელები გაშალა და უი! ეს ვინ მოსულა, გენაცვალოს შენი ძალოო! — დაიძახა.

ეტყობოდა, დაღლილ-დაწყვეტილი იყო, მაგრამ ხალისიანად ამოუყვა კიბეს, პირზე საამო ღიმილი ეფინა და ოდნავ ჩახრინწული ხმით ხმამაღლა შემოგვეძრახა:

— როგორი მახპინძელი ვარ, თურმე შინ სტუმრები მომსვლიან და არ ვიცოდი! — აივანზე ამოვიდა, გადამკოცნა, მერე განზე გაიწია და შემათვალიერა:

— ოჰ, ოჰ, რა მშვენიერი წინდები გაცვია, აბრეშუმისა — ისე გამეხუმრა, თითქოს ისევ პატარა ვყოფილიყავი.

მამიდამ თვალი უყო, ნუ ეუბნებიო. პელო ძალომაც მაშინვე ენაზე კბილი დაიდგა და ქეთო როგორ არისო? — მკითხა.

—ექიმები რას ამბობენ?

— ვინღაა ექიმი, ჩვენი ფრონტზე წაიყვანეს, ჭალაურისა ისეა მოფამფალებული — ალარაფერი ესმის. რაიონში კიდევ ერომა თქვა, ჟსთმააო, მეორემ — ფილტვების ამბავიაო. მაგათიც ვერაფერი გავიგე. ჩვენთან მეტი არაფერი თქვა, ოთახში შევიდნენ, იქ ვააბეს ჩურჩული, თან ორივენი დროდადრო ცრემლებს იწმენდნენ. გულზე მეკვნა, მივაყურადე, მინდოდა გამეგო, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ სიტყვები არ ისმოდა. მხოლოდ რამდენჯერმე მოვკარი ყური: ექიმი ახსენეს, წამლები, თუ ღმერთმა გადმოგვხედაო, — თქვა ერთხელ. მერე ვიგრძენი, მამიდა ჩემზე რაღაცას ეუბნებოდა, პელო ძალო თავს უქნევდა.

— წავედი, წავედი, თორემ დამაგვიანდება! — ხმამაღლა თქვა მამიდამ, კალათას წამოავლო ხელი და ჩვენი მინალების ამოლაგება დაიწყო.

— მოკვდეს ჩემი თავი! — შეწუხდა პელო ძალო. — რად მოგქონდა, თქვენ რა გაქვთ... ამდენი რამე აქ წამოგიღია...

— გვაქვს, გვქონდა და წამოვიღე, რა მოხდა!

პელო ძალომ კოჭობით შემომდგარი ლობიო რომ დაინახა, მაშინ ხომ გულს შემოეყარა.

— რადა ვარ ცოცხალი, ავადმყოფს მოა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი, ეხეც, ისიც, რად გინდოდა. იქით დახმარების მაგიერია?

— აბა, რას ამბობ... ოთხ-ოთხი შვილი... მარტოხელა ქალი ხარ, მეხუთეც დაგიმატეთ, თუნდაც ეს არ იყოს, რჩენა არ უნდათ!

— დარჩი, გეშიება, სახელდახელოდ გავაკეთებ რამეს.

— არა, უნდა წავიდე, მე არაფერი მინდა, ამას მოშივდა გზაში, — ანიშნა ჩემზე.

—ეს ჩვენ ვიცით... დარჩი, გვიანია, როდისლა უნდა ახვიდე, დილაზე ადრე წადი.

— არა, მარტო დავტოვე, რა გამაჩერებს, — მამიდამ ჩემი ბიძაშვილები გადაკოცნა, მერე მე გამიყვანა განზე და დარიგება დამიწყო. თან ჩქარობდა, რაც დედაჩემმა მითხრა, თავიდან გამიმეორა: წყალში არ ჩახვიდე, გზაზე არ გახვიდე, ზალიკოსთან არ იჩხუბო, არ იგიჟო, შენ რომ რამე დაგემართოს, დედაშენს გულიც გაუსკდებაო, მივდივარ და შენი იმედი მაქვსო, — წასვლას დააპირებდა და ისევ დამიწყებდა: რასაც გეტყვიან, ყველაფერი გაუგონე, ვინმემ არა თქვას, ცუდად იქცევაო, იმ თოფსა და ოხრობას მოეშვი, არაფერი დაიშავო, ან სხვა არ გადამკიდო უბედურებასო...

მე ყველაფერზე თავს ვუქნევდი.

— შენ იცი დანარჩენი! — თქვა ბოლოს. — შენ მაინც გაახარე ჩვენი გული. — თვალები მოიმშრალა, გადამკოცნა და სწრაფად წავიდა. ის იყო ბელელს მიეფარა — ისევ მობრუნდა. გამიღიმა და ხელი დამიქნია, ჩემთან მოდიო, მივირბინე. თვალებში გაკვირვებული შევყურებდი, რალა უნდა მითხრას-მეთქი. მან ხელი გადამხვია, გაიღუნა და ყურში ალერსით წამჩურჩულა:

— შენ არც მუტრუკი ხარ, არც მაიმუნი, ჩემი სიცოცხლე ხარ, — კიდევ ჩამკოცნა, ჩამკოცნა და გაიქცა.

შეუმჩნევლად გაირბინა ერთმა კვირამ. დილით ადრე ვდგებოდით, დათო იღვიძებდა ხოლმე ადრიანად და მაშინვე ჩვენც წამოგვყრიდა. პელო ძალო ხომ უთენია დგებოდა, მოწველიდა ძროხას, გააკეთებდა საჭმელს და ჯერ მზე არ იყო ამოსული, სამუშაოდ მიდიოდა. საერთოდ, ვერ ვიგებდით, როდის წვებოდა ან როდის დგებოდა. ჩვენ რომ დავწვებოდით, ის მაშინ იწყებდა საქმეს. დასარეცხს, დასაკერებელს, საქსოვს, დასასუფთავებელს — ღამე აკეთებდა. ერთხელ გამეღვიძა. მე უკვე გათენებული მეგონა, თვალები დავაჭყიტე და სარკმელს გავხედე. პელო ძალო კი ჯერაც არ დაწოლილიყო. შუშაზე ქაღალდჩამოცმული ლამპა ახლო მიედგა, ჩვენ მხარეს დაეჩრდილა, ჩემ შარვალს ქემსავდა და თან ყვინთავდა. ისევ ჩამეძინა და რომ გავიღვიძე, ის უკვე ამდგარიყო, საჭმელი გაემზადებინა და სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდა.

საკმარისი იყო ერთს, რომელიმეს [illegible]ბოდა — ატყდებოდა ჟრიამული, წამოვცვივდებოდით, ხელ-პირს დავიბანდით და ჩვენ-ჩვენი კოვზით და ჯამით მაგიდასთან ამოჩემებულ ადგილს მივუჯდებოდით. პელო ძალო საჭმელს გაანაწილებდა. ჯერ როგორც პატარას — დარიკოს დაუსხამდა, მერე მე — როგორც სტუმარს, მერე თინას, ზალიკოს, დათოს და, რაც დარჩებოდა, ცოტას თავისთვის ამოიღებდა. ერთიმეორის ჯამებში თვალების ჭყეტით შევსანსლავდით საჭმელს და ყველა თავ-თავის საქმეზე წავიდოდა.

ზალიკოს მუდმივად ძროხის მწყემსვა ევალა. მეც მასთან გამამწესეს. ასე რომ მე და ზალიკო დღე და ღამე ერთად ვიყავით. ლოგინშიაც ერთად ვიწექით, მაგრამ ერთხელაც არ წავჩხუბებულვართ. ისე, კედლის მხარეს დაწოლასა და საბნის გაყოფაზე კი ზოგჯერ წიხლის კვრა და ფეხებზე ჩქმეტა გვქონდა ხოლმე — მაინც ძმები ვიყავით. მე, დედამ რომ მითხრა, არ ეჩხუბოო, იმიტომ ვუთმობდი, ის რატომ მითმობდა, ვერ გავიგე. ეტყობოდა, იმასაც წაუკითხა პელო ძალომ. დაარიგებდა, ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ მე ის მიკვირდა, ისეთი რა უთხრა, რომ ხვეწნით გადავაკვდი და სათევზაოდ ვერ წავიყვანე, საბანაოდაც კი ვერ ჩავიყვანე ფშანზე. შარაგზას ხომ სიახლოვეს არ გაეკარებია.

გავუშვებდით ლამაზოს სხვა ძროხებთან ერთად ტყისპირა ველიანებში და მთელი დღე უბნის ბავშვებთან ერთად ხან კორაობას ვთამაშობდით, ხან ლახტს, ხან ჩილიკაობას, ერთთავად იმის ცდაში იყო, არავის დავეჩაგრე. ზოგჯერ ჩემი გულისთვის თვითონ დარჩებოდა. ქომაგი ერთგვარად მსიამოვნებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მწყინდა. ბიჭების თვალში ისე ჩანდა, თითქოს ბეჩავი ვიყავი და მზრუნველობა მჭირდებოდა — თამაშის ხალისი მეკარგებოდა ხოლმე, როცა ვთქვათ, კორაობაში, სხვებს აწამებდა, მე კი, ვითომ ჯოხი აუცდებოდა, კორას იქვე, ფეხებთან გამომიგორებდა, — ადვილად ჩამეღოლებინა.

დღისით, სანამ ვთამაშობდით, არაფრის ჯავრი არ გვქონდა, შიმშილსაც ისე ვერ ვგრძნობდით, საღამო იყო ხოლმე გაუსაძლისი. იმაზე ცუდი არაფერი იყო, შინ რომ მოვიდოდით დაქანცულნი, შიმშილით გადასანსალებულნი, გამოვაღებდით კარადას და საჭმელი არაფერი დაგვხვდებოდა. დედასთან ასე არ მაწუხებდა შიმშილი. აქ მაინც მგელივით გავხდი. თუმცა ერთი თეფში ფაფა როგორ დამარჩენდა, პირის ქარად არ მყოფნიდა. საჭმელი შინ ბევრჯერ შემოგვკლებია, მაგრამ დედა მაინც ჩემთვის რამეს გააჩენდა, თვითონ არ შეჭამდა და მე გამომიზოგავდა. დედასთან შიმშილიც

ადვილი იყო, ის რომ მომეფერებოდა, ჩამიწვენდა კალთაში და ზურგზე რბილად დამფხანდა, თითქოს რაღაც საზრდო მეძლეოდა, რაღაცით ვკმაყოფილდებოდი და სიამოვნებით ჩავიძინებდი. ცოდვას ვერ ვიტყვი, არც პელო ძალოს მოუკლია ზრუნვა, დღე და ღამე ჩვენთვის ფიქრობდა, რომ არ გვეგონა, საიდანღაც რაღაცას გაიჩენდა. სხვას თუ ვერაფერს იშოვიდა, საღამოს ერთ ხელჩანთა მხალს მაინც მოიტანდა. თავისი საყურედაჭღანებული ხელჩანთა ყოველთვის თან დაჰქონდა. სამუშაოზე დაკეცილი მიჰქონდა ხოლმე, იქიდან გაძეკილს მოიტანდა. უფრო ხშირად ჭინჭარი მოჰქონდა ხოლმე.

— ჭინჭარი ჭირის ჭირია,
სატაცური ბალღამიო.
სვინტრი მოდის, გაიძახის —
მე ვარ ყველას წამალიო.

იტყოდა ხოლმე და ჯერ მდუღარეში გაფუფქავდა — ხელები არ დაესუსხნა, მერე დაარჩევდა. ჭინჭარი რომ გაკლერტდა, ახლა ან შელგას, ან ღოლოს, ან ნაცარქათამას მოიტანდა. ზოგჯერ სატაცურს მოაყოლებდა. ერთხელ ხელჩანთა ნახევრად მოყრილი მოიტანა. ყველამ თვალები ვჭყიტეთ, ვერ გაგვეგო, რა უნდა ყოფილიყო.

— რა არი, დედი? — შეეგება თინა, — სატაცურია?

— არა.

— ჭინჭარია?

— რაღა დროს ჭინჭარია.

— მაშ რა არი?

— ჩაიხედე და ნახე.

თინამ ხელჩანთას პირი გადაუწია, ჩაიხედა და სიხარულით წამოიძახა:

— კარტოფილი! ახალი კარტოფილი!

მივცვივდით ჩვენც, გამოვტაცეთ ჩანთა, დავარბენინებთ, ერთი მეორეს დავდევთ, ხელს ვურევთ...

— კარგით, ნუ გაგიჟდებით, კარტოფილი არ გინახავთ! — გაგვიწყრა პელო ძალო, მაგრამ სიხარულით თვითონაც აფორიაქებული იყო. სახელდახელოდ ჩაგვიხრაკა, კამით, ქინძით, შამპარათი შეკაზმა. ისეთი გამოვიდა, იმის გემო დღესაც პირში მიდგა.

ჩვენი შემნახავი მაინც ლამაზო იყო. ერთი ხანობა დილა-საღამო ვწველიდით. ავადუღებდით რძეს, მოვუკიდებდით ფქვილს და რძის ფაფას გეახლებოდით. ისეთი დღეებიც გვქონდა, როცა დღეში სამჯერ ვჭამდით. დილით რძის ფაფას, შუადღისას პიტნის წყლის ფაფას და საღამოს ან ისევ რძის ფაფას, ან მხალს. მხალი თანდათან მოგვწყინდა. ცხიმი შემოგველია და უცხიმოდ აღარც გემო ჰქონდა, აღარც ყუათი. ცუდი დრო იდგა, ახალი მოსავალი ჯერ არ ჩანდა, ძველისა კი არავის აღარაფერი ეხადა. ჩვენ ხედზე ლამაზომაც მოუკლო წველას. დღე-დღეზე ველოდით ხბოს მოგებას და თანდათან შრებოდა. აღარც ფქვილი გვქონდა — ფაფა გაგვეკეთებინა. დილით თითო ჭიქა რძეს შევხვრეპდით, ეგ იყო და ეგ, დანარჩენი შემთხვევაზე ეკიდა. ასე რომ დღედღეულად ვცხოვრობდით, რასაც ვიშოვიდით, მაშინვე შევსანსლავდით, თუ არა და, მშივრები ვიყავით.

ივნისის დასაწყისში ცუდი ამინდები დაიჭირა. ულმურტლიანი დღეები იდგა, განუწყვეტლივ წვიმდა. ვეღარაფრით ვერთობოდით და შიმშილმა უფრო შეგვალონა. პელო ძალო სამუშაოდ ვეღარ დადიოდა, ვეღარც შინ აკეთებდა რამეს. იხტიბარს მაინც არ იტეხდა, გვეხუმრებოდა, ხან ანეგდოტს გვიტყოდა, ხან ვინმეს დასცინებდა, იცინოდა და გვაცინებდა, მაგრამ ბოლმა რომ ალრჩობდა, მაინც ემჩნეოდა, როგორც გამოკეტილში — ისე იყო შინ. გამოდარებას პირი არ უჩანდა, ერთ დილას, ვეღარ მოითმინა, ჩაიცვა თავისი ძველი პალტო, მოიხვია შალი და სადღაც წავიდა. მთელი დღე აღარ გამოჩენილა. ველოდეთ, ველოდეთ, შინ ვეღარ გავძელით, ჩვენც წამოვიხურეთ ძველი ტანსაცმელი და გზაზე გავედით. სად წავსულიყავით, სად გვეძებნა, აღარ ვიცოდით, ჭიშკართან ვტრიალებდით და გზის ხან ერთ მხარეს გავხედავდით, ხან მეორე მხარეს. რომ ჩამობნელდა, ახლა ფეხის ხმაზე ვაყურადებდით. ლოდინით გადავილიეთ და ის იყო, ყველას ტირილი მოგვეჩარა ყელში, ზემოუბნელმა ქალმა გამოიარა და გვითხრა: დედათქვენმა დამაბარა, არ შეგეშინდეთ, მალე მოვალო.

— სად არის? — ვკითხე გახარებულმა.

— კოლმეურნეობის მოზვერს ფეხი მოტყდა და თუ დაკლეს, ხორცს გაანაწილებენ.

— დაკლავენ? — ვეღარ მოითმინა თინამ.

— არ ვიცი, ვეტექიმს ელოდებოდნენ, — ქალი წავიდა.

სიხარულით აღარ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა, ფეხშიშველები ხან გზაზე დავატლაპუნებდით, ხან ეზოში. მთლად რომ დავუივდით, მაშინღა შევედით შინ.

— დაკლავენ! — აიჩემა ზალიკომ. — მოზვერმა თუ ფეხი მოიტეხა, დაკლავენ, აღარ მოურჩება.

— ეგ ვინ იცის, — თქვა დათომ. — გააჩნია, რა ადგილზე მოტყდა, შეიძლება არტაშანი დაადონ.

— აბა, რას ამბობ, — შეედავა ზალიკო. — თუნდა მოურჩეს, აღარც მოზვერად ივარგებს და აღარც ხარად.

— ნეტა დაკლან, — ინატრა დარიკომ. — ხორცი რომ მოიტანოს, რა გავაკეთოთ? — იკითხა თინამ.

— შევწვათ! — წამოიყვირა დარიკომ.

— მოვხარშოთ, ხაშლამა ყველაფერს სჯობია, შენ რას იტყვი, მამიდაშვილო? — მკითხა ზალიკომ.

— ძვლიანი მოვხარშოთ, რასაც გამოვრბილავთ, ხინკალი გავაკეთოთ.

— ეე! შენ სოფო ბაბოსავით აურიე. წმინდა ფქვილი სადა გვაქვს.

უკვე გული გულის ადგილზე გვქონდა და წვიმაში რაღას ვმდგარიყავით — აივანზე ავედით. ციოდა. ერთხანს კიბის თავზე ვიდექით აზუზული და გზას გავყურებდით, მერე, რაკი პელო ძაღლი არ ჩანდა, ბუხართან მივქუჩდით და ერთიმეორეს მიხუტებული ჩიკებზე ჩამოვსხედით. ხმას არავინ იღებდა, ყველა თავის საფიქრალს მისცემოდა. წვიმამ იკლო, აღმოსავლეთით ღრუბელი აიჭრა და წყვდიადს შუქი შეეპარა. რამდენჯერმე დავალამუნე ტუჩები, რამის თქმა დავაპირე, მაგრამ ისე წაეღო ფიქრს ჩემი ბიძაშვილები, ლაპარაკიც ვერ შევბედე. ნეტა რაზე ფიქრობდნენ. სიმართლე რომ ვთქვა, სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრული, თორემ არ დაგიდევდით იმათ ფიქრს.

— რა ბეჩავები ვართ, — წაიბურტყუნა ზალიკომ. — რატომ იმ დედაკაცს არ ვკითხეთ, სად შეხვდა დედაჩემი.

— აბა, აბა, მოვძებნიდით მაინც, — დავუდასტურე მე.

ისევ მივჩუმდით. პელო ძაღლი კიდევ არ ჩანდა.

— დავწვეთ მაინც... — მდუმარებაში გურგურივით გაისმა დათოს წყნარი ხმა.

— გიჟი ხომ არა ხარ, რა დროს დაწოლაა! — შეედავა ზალიკო. — ჯერ მოვიდეს, იქნებ მოიტანოს.

— განა დავიძინოთ, ავად არ გავხდეთ, ჩავთბეთ, თორემ აბა დახედე, ტაო როგორ დააყარა, — დათომ დარიკოს ტიტველა მკლავზე გადაუსვა ხელი.

— დავწვეთ, ცივა, — ამოიწრუწუნა დარიკომაც. — ან ლამპა მაინც ავანთოთ. ლამპა რომ ანთია, დათბება ხოლმე.

დარაბები დავხურეთ და ლამპა ავანთეთ. მართლაც, ოთახი რომ განათდა, გულს რაღაც სითბო ჩაუდგა. დათო ლოგინების გაშლას შეუდგა, დანარჩენებმა ჯერჯერობით ფეხები დავიბანეთ. ხელის დასველება გვეზარებოდა, დავდგებოდით დირეზე, ტოლჩით ვისხამდით წყალს და ფეხს ფეხზე ვისვამდით.

— ფეხის ფეხზე გასმა არ ვარგა, — გაგვაფრთხილა თინამ. — დედაჩემმა თქვა, ვინც ფეხს ფეხზე გასმით დაიბანს, დედა მოუკვდება.

— აფრენ, რა... მე რომ ფეხი ფეხზე გავისვა, დედა რა შუაშია! — წაუტია ზალიკომ.

— ინდე, ტალახები რომ გრჩება იმ შუაშია.

ჰაიჰარად გავიხადეთ სველი ტანსაცმელი და ყველანი პელო ძაღლის ლოგინში შევძვერით. მაშინ კი ატყდა ჟრიამული.

— ცივ ფეხებს ნუ მადებ!

— ბალიში სად მიგაქვს!

— გაგიხმეს ხელები.

— საბანი თქვენ რომ ამოიგეთ, მ[illegible] მინდა?

ატყდა წიხლების კვრა, ჩქმეტა, თმის წიწკნა, თავში თხლაპუნი. ცოტა რომ მოვთბით, ყველანი გავაჩუმე და წეღან რომ ვერა ვთქვი, ახლა წამოვიწყე:

— ცქლიფებო, ნატვრისთვალი რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?

ისევ ყაყანი ატყდა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, ერთიმეორეს აღარ აცდიდნენ.

— მოიცათ! — იყვირა ზალიკომ. — უფროსებიდან დავიწყოთ.

— ვა, რათა უფროსებიდან, უმცროსებიდან დავიწყოთ, — აწიწინდა დარიკო.

— დაიწყე ჰო, ბევრი რამე გაგეგება.

დარიკო ისე ჩაფიქრდა, თითქოს რასაც ინატრებდა, მაშინვე აუსრულდებოდა.

— თქვი, ჰა, თორემ მე ვიტყვი, — წაუქიმუნჯა ზალიკომ.

დარიკო ისევ გაჩუმებული იყო, მერე ხმადაბლა ამოთქვა:

— ნეტა მოზვერი დაკლან.

— ნეტა, — დაუდასტურა თინამ. — მეც ემ უნდა მეთქვა.

ერთხანს ყველანი გავჩუმდით, მერე ზალიკომ წამოიწყო:

— აი, მე რას ვინატრებდი. მე ვინატრებდი, ბროლის კოშკი გვედგას...

კიბის საფეხური დარაკუნდა, ყველამ ყურები ვცქვიტეთ. მერე ფეხის ხმა გაისმა. წამოვცვივდით და თვალის დახამხამებაში ხუთივენი აივანზე გავჩნდით. შალმობურული პელო ძაღლო ზოზინით მოდიოდა, თან ტალახიან ფლარტებს იბერტყავდა. დაატყაპუნებდა, საფეხურის ქიმზე გაიფხეკდა, ამოვიდოდა ერთ-ორ საფეხურს და ისევ დაატყაპუნებდა. გაფაციცებული მივჩერებოდით, ვერ გაგვეგო, მოიტანა თუ არა, დრო თითქოს 'გაჩერდა, წუთი გაგრძელდა. როდის-როდის ამოათავა კიბე, სველ კიბისთავზე ისევ დაატყაპუნა ფეხები, დაჭონჭოხებული შალი მოიხსნა და... სიხარულით ლამის ენა მუცელში ჩაგვივარდა: ხელში ქალალდში გახვეული რაღაცა ეჭირა, ეტყობოდა, ხორცი იყო. გაოგნებულები ველარაფერს ვახერხებდით, ხან ერთიმეორეს გადავხედავდით, ხან ძალოს. დარიკომ ტერფებზე აიწია და ხორცს შეეპოტინა.

— მოიცა, არ ჩამაგდებინო, — უთხრა პელო ძალომ. შალი თოკზე გადაჰკიდა, ოთახში შევიდა, ხორცი მაგიდაზე დადო და ქაღალდი გადაშალა.

დათომ ლამპას აუწია.

— რამდენია, დედი? — ჰკითხა თინამ.

— რაც არი, აი, ეს არი!

ორი ნაჭერი იყო. ერთი კუკუხოსი, მეორე ნეკნებისა. სქელი, ვიწრო ნეკნები მოწითალო,

მჭლე ხორცით იყო მოჩადვრული. პელო ძალომ ჯერ კუკუხოს ნაჯერი ასწია მაღლა, ლამპის შუქზე გაიტანა და მიატარ-მოატარა, რომ ყველას კარგად შეგვეხედა, მერე ნეკნისა.

— რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა დარიკომ.

— ძვლიანია, წვნიანი გავაკეთოთ.

— რბილისა მწვადი შევწვათ.

— მწვადად არ ივარგებს, მაგარი იქნება.

— შევწვათ, დედი, გეხვეწები, მწვადი შევწვათ.

— მაშინ ხაშლამა მოვხარშოთ, — წამოიძახა ზალიკომ.

მწვადზე, წვნიანზე, ხაშლამაზე ლაპარაკმა სალერღელი აგვიშალა. ვისაც რა უფრო გვიყვარდა, იმას ვიძახდით, იმის გაკეთებას ვთხოვდით პელო ძალოს, ყელს ვუწევდით.

— კარგით! — დაგვიყვირა, თავი რომ შევაბეზრეთ. — რას გასულელდით, დამაცადეთ! — ხმას დავუწიეთ, მაგრამ სათითაოდ ყელის წევით მაინც ვეღრიჯებოდით:

— მწვადი.

— ხაშლამა...

— მწვადი.

— დაღლილი ვარ. მთელი დღე მუხლი არ ჩამიკრეფია. დავწვეთ და დილაზე მზად დაგხვდებათ.

— დილამდე რა გაძლებს, რა დაგვაძინებს. ახლა გავაკეთოთ... — დავიწყეთ ყველამ წუწუნი.

— დაღლილი ვარ. არაფრის თავი აღარა მაქვს, ლოდინით გადავიღალე.

— ჩვენ გავაკეთებთ. შენ დაისვენე და ჩვენ გავაკეთებთ, — თინამ ტაფა მოარბენინა, ზალიკომ ტაფა ზედადგრიდან გადმოუგდო და ხაშლამისთვის ქვაბი დადგა.

— მოიცათ, რა გითხრათ! — გაგვაჩერა პელო ძალომ.

წინ წამოვუდექით და განაბულნი ვუსმენდით, რას გვეტყოდა.

პელო ძალომ კისერი საბრალოდ გადააგდო გვერდზე და შემოგვეწუკა:

— დღევანდელი დღე ხომ დავაღამეთ... ხვალ რაღა ვიშოვო... ეხლა დავწვეთ, დავიძინოთ და დილაზე რომ გაიღვიძებთ, კერძი მზად დაგხვდებათ.

ერთიმეორეს უკმაყოფილოდ გადავხედეთ, მაგრამ ვერც ერთმა ვეღარ ვითამამეთ. პელო ძალომ ხორცი ისევ ქალალდში გადაახვია, კალათაში ჩადო, გარეთ სვეტზე დაჰკიდა სიგრილეში, მაგიდასთან დაჯდა, ხელი შუბლზე შემოიდო და კარგა ხანს მდუმარედ მიშტერებოდა ფიცარს. ჩვენც ხმის ამოუღებლივ ვისხედით. ჩუმ-ჩუმად გავხედავდით ერთიმეორეს და გულდაწყვეტილები ისევ ავარიდებდით თვალს.

— დედი, დავდგათ, მოხარშვა ხომ უნდა... — ურჩია დარიკომ.

— მე ვიცი ჩემი საქმისა. თქვენ დაწექით, დაიძინეთ. დილაზე, რომ ადგებით, წინ დაგახვედრებთ. კოხტად შევკაზმავ მწვანილით, ნივრით, ნიახურით. ისეთი უნდა გავაკეთო, თითებს იკვნეტავდეთ. გულუხვად გავაკეთებ, რომ მეტყვით, დამიმატეო, — დაგიმატებთ, კიდევ მეტყვით დამიმატეო, — დაგიმატებთ.

— სამჯერ დაგვიმატებ?!

— დაგიმატებთ.

— ოთხჯერ, ოთხჯერაც დაგვიმატებ?

— დაგიმატებთ.

ამ ლაპარაკში ვიყავით, რაღაც ხმა შემოგვესმა. კიბის საფეხურის დატროკიალების ხმასა ჰგავდა. მივაყურადეთ, ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. დათომ კარი გააღო და გაიხედა. არავინ ჩანდა. ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, ჯერ რაღაცა გაფხაჭუნდა, მერე ბრაგვანი და ქალალდის შრიალი გაისმა. პელო ძალო წამოხტა და ფეთიანივით გავარდა გარეთ. ჩვენც გავცვივდით და ელდა გვეცა: კალათა იატაკზე ეგდო, ხორცი აღარ იყო.

— ვაიმე, რატომ არ მოვკვდები! — თავში შემოიკრა პელო ძალომ. კიბის საფეხური ისევ დარაკუნდა, ჯერ ვერაფერი დავინახეთ, მერე მთვარის შუქზე თვალი მოვკარით საბძლის გვერდით, ღობეზე ძაღლი გადახტა. ყიჭილაანთ ქეციან ბოთვერასა ჰგავდა.

— ქადი! ქადი! — ავტეხეთ წივილ-კივილი და დავედევნეთ.

თინა და დარიკო აღრიალდნენ.

— გვიშველეთ, დავიღუპეთ! — თმაში იტაცა ხელი პელო ძალომ.

დათომ ქვებს წამოავლო ხელი და ღობეზე გადახტა. მე და ზალიკოც გადავევლეთ, ლობიოს ჭიგოები ამოვგლიჯეთ.

— რა არი, რა მოხდა?! — აქა-იქ მეზობლების ხმა გაისმა, მაგრამ იმათი გული ვიღასა ჰქონდა, — ჩაგვეკენკა რაც მოხდა. ის ქეციანი, განგურა, წუნკალი, წუკლაკი ბოთვერა ჯერ დინჯად მიძუნძულებდა, რომ წამოვეწიეთ, მოკურცხლა, ვენახის თავში, ცოცხალ ღობეში გაძვრა და რა მიწამ უყო პირი, ვერ გავიგეთ, თვალსა და ხელს შუა დაგვეკარგა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, ვეძებეთ, ვეძახეთ, მეზობლებიც გამოვიდნენ, ისინიც დატრიალდნენ, იქაურობა გადავჩხრიკეთ, მაგრამ დაგვეკარგა, დაგვეკარგა, იმ დავიდარაბაზე ამოცვივდნენ სხვა ძაღლებიც, იკრეს ხორცის სუნი, გაძვრნენ ღობეში და ისინიც ჩაიყლაპნენ. იმედი გადაგვეწურა. ბნელოდა. ვიცოდით, ვეღარაფერს გავხდებოდით, მაგრამ იმის გახსენება, რომ უხორცოდ დავრჩით, თავზარსა გვცემდა. დიდხანს დავბურბუცებდით უაზროდ, თითქოს კიდევ რაღაცის იმედი გვქონდა, ათასჯერ გადაჩხრეკილ ღობე-ბარდებს ვინ იცის, მერამდენედ ვსინჯავდით.

— წამოდით, წამოდით! — გვითხრა ბოლ-

ოს პელო ძალომ. —ალბათ ეგ იყო ჩვენი ბედი.

ძნელი იყო დამარცხების შეგუება, ფეხი უკან გვიდგებოდა.

მოვდიოდით მობუზულები, გაზუნზლულები, ტალახიანები. გზადაგზა მეზობლები გვიერთდებოდნენ. ახალმოსულები წინ გვიდგებოდნენ და, რა მოხდა, რა ფრონტი გახსენითო, — გაკვირვებული კითხულობდნენ. გაიგებდნენ, ძაღლმა ხორცი მოიტაცაო და დაიწყებდენ ვიშვიშს.

— საწყალი ბაღდები, მშივრები დარჩნენ, — მუხლებზე ხელს იცემდა ნუცა ბაბო.

— ეს რა უბედურება მოგსვლიათ, შვილო!

ზოგი გულს გვიკეთებდა, ჩვენ უფრო სხვა რამე გვეგონა, თქვენი ჭირი წაუღია, მაგაზე გადაიაროსო.

იყაყანეს, იყაყანეს და ნელ-ნელა დავიშალენით. ჩვენ-ჩვენ სახლებში წავედ-წამოვედით და იქაურობა ჩაწყნარდა. აივანზე რომ ავედით, პელო ძალომ ცარიელი კალათა აიღო, შიგ ჩარჩენილი ქალალდის ნაფლეთები გადაქექ-გადმოქექა, მუჭაში ჩაბღუჯა და ახლა ცარიელ კალათას ჩაჰყურებდა. ისევ დავიბანეთ ხელ-ფეხი და შევედით შინ. აბა იმ ღამეს რაღა დაგვაძინებდა. ფიქრებში წასულნი მდუმარედ ვისხედით, ზოგს ჭერისათვის გაეშტერებინა თვალი, ზოგს იატაკისათვის. დროდადრო რომელიმე რაღაცას იტყოდა და ისევ გავჩუმდებოდით. დათო და ზალიკო იმუქრებოდნენ: დედას ვუტირებთ, სულ ერთია, ის ქეციანი ჩვენი ანაწერა უნდა გახდეს, ჭმას არ ვაპატიებთო. ხან ღობის საძრომში ხაფანგის დაგებას აპირებდნენ, ხან საბძელში მომწყვდევას...

— ცეცხლს ვაჭმევ, მოვიდეს აქ თუ არ დავმდუღრო! — ფეხის ხმას აჰყვა თინაც.

პელო ძალო გარინდებული იყო, ხმას ველარ იღებდა, დროდადრო ამოიგმინებდა, ორ სამჯერ ამოიხვნეშა კიდევაც, მაგრამ ვერ იტირა, ცრემლი არ მოსდიოდა.

— ეს რა დაგვემართა! — მოგვიანებითღა ამოილუღლუღებდა თავისთვის, — ჩემი ბრალია, გამიხმეს ენა-პირი, რატო არ დაგიჯერეთ.

კარგა ხანს მდუმარედ ვისხედით. სიჩუმე ისევ პელო ძალომ დაარღვია:

— რაღას ვსხედვართ, დაწექით, დაეყარენით! შენც დაწექი, ზაზა!

პირუჩუმრა დავწექით. თვითონ კიდევ დიდხანს იჯდა დაბოღმილი. მამლებმა მეორედ რომ იყივლეს, მაშინღა ადგა, ჩამოგვიარა, საბანი გაგვისწორა, სათითაოდ გადაგვისვა თავზე ხელი და დაყვავებით გვითხრა:

— დაიძინეთ, რაც იყო, იყო, ალარაფერი ეშველება. რა ქნას, ისიც სულიერია, ნუ გეშინიათ, ქვეყანა დიდია, დილაზე რაღაცას გამოვნახავ, — ლამპა ჩააქრო, თავის საწოლთან დარაბა გააღო და დაწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავსწორდით ვისაც როგორ გვიყვარდ[illegible]ლა და საძილედ გავყუჩდით.

შუქიანი ღამე იყო. ღია დარაბიდან ოთახს თანდათან სინათლე მოეფინა. სიჩუმე ჩამოდგა. მხოლოდ ჭრიჭინობელის გულის გამაწვრილებელი ჭრიჭინი ისმოდა სადღაც ჩემს ზემოთ. მთვარეს დროდადრო მოეფარებოდა ღრუბლის ფარტენა, გადაგვივლიდა ჩრდილი, ოთახი ჩაბნელდებოდა და ისევ ჩქარა გაიშუქებდა. სარკმლის ღრიჭოში ნიავი შურშურებდა, შორს, ვენახების მხარეს, ღამის ფრინველი თითქოს კვნესისო, შემზარავად კიოდა, ალბათ, იმასაც შიოდა. თვალი თანდათან მიეჩვია სიბნელეს. თავი წამოვწიე და ოთახში მივიხედ-მოვიხედე. ზალიკო ჩემ ფეხთით მობლუნძულიყო, გვერდზე იწვა, მაგრამ კისერი კატასავით მოეღრიცა და სახე ზევით მოექცია. ცხვირში გლანდები აქვს, ჩქარა-ჩქარა ჩაეკეტება ხოლმე. ახლაც პირი დაეღო და ყრუდ ხვრინავდა. პელო ძალო პირქვე იყო დამხობილი. თვალები ეხილა, დამუჭული ხელები ნიკაპქვეშ ამოედო და ურვას მისცემოდა.

დათო გულაღმა იწვა. ცალი ფეხი შეეკეცნა, მეორე ზედ გადედო და ხელები შემოეხვია. თინა და დარიკო არა ჩანდნენ, მაგიდა ეფარებოდათ. როგორც ჩანდა, მთაში ისევ წვიმდა. სადღაც, შორს ელავდა, დროდადრო ყრუ გრუხუნიც ისმოდა.

შუაღამე გადავიდა, მამლები კანტიკუნტად ისევ ყიოდნენ. უბნის ბოლოში ძაღლები აყეფდნენ. ჯერ ერთი აყეფდა, გაავებული რაღაცას დაეტია, ალბათ, სდრუზეს, იმისმა წკავწკავმა ქვეყანა შესძრა. მერე სხვებიც აღავლავდნენ. ხმა თანდათან ახლოვდებოდა, ეტყობოდა, ვიღაცა მოდიოდა და იმას მოსდევდნენ. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჯოხის რაკუნით გზაზე ვიღაცამ გაიარა. ყეფა თანდათან ზევით-ზევით ინაცვლებდა. ქვემო უბნისები რომ ჩაჩუმდნენ, ახლა ზემო უბნის ძაღლები აყეფდნენ. ჩქარა ისინიც მიჩუმდნენ და მდუმარება ჩამოწვა.

— მართლა არის ნატვრისთვალი? — მოულოდნელად იკითხა დარიკომ.

საწოლები აჭრაჭუნდა.

— მართლა არა! — წაიდუდღუნა დათომ.

— გამოჩენილია, შე ქაჯო, ვერ უნდა მიხვდე? — დასცინა თინამ.

ზალიკომ ზედიზედ შეისრუნტა და მხარი იცვალა.

— ბენტერ, ნატვრისთვალი როგორ შეიძლება, ვიღაცამ რომ ინატროს, მთელი ქვეყანა ამობრუნდესო, ხალხი ამოსწყდესო, — მერე?!

ზალიკოს ნათქვამმა ყველა ჩაგვაფიქრა. ცოტა ხნის შემდეგ დარიკო წამოჯდა, მიიხედ-მოიხედა და ისევ იკითხა:

— ცის გახსნა, ცის გახსნა ხომ მართალია?

— არც ცის გახსნა, — ჩაილაპარაკა დათომ.

— დედი, ხომ მართლა გაიხსნება ხოლმე ცა?

პელო ძალო ხმას არ სცემდა. დარიკო აღარ მოეშვა:

— ჰა, დედი, ცა გაიხსნება და რასაც ინატრებ, მოგეცემა?

პელო ძალო მაინც არ პასუხობდა. კითხვებით თავი რომ მოაბეზრა, მერე დაუდასტურა:

— ჰო, თურმე, წელიწადში ერთხელ გაიხსნება ღამე, როცა ყველას სძინავს, მოულოდნელად გაიხსნება და ერთი წუთით მთელი დედამიწა გაჩახჩახდება.

— რით გაჩახჩახდება?

— ღმერთი, ანგელოზები, წმინდანები, რა ვიცი, სუყველანი გადმოდგებიან, ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ. ქვეყანა განათდება. ამ დროს ვინც რის ნატვრას მოასწრებს, ის აუსრულდება. ეხლა დაიძინეთ.

— თურმე, ერთმა კაცმა დაინახა ცის გახსნა, — აროხროხდა ზალიკო. — ყველი ჰყვარებოდა და გაიფიქრა, ყველს ვინატრებო, სიჩქარისაგან ვერ მოუხერხებია წესიერად თქმა და შეუთხოვია, გუდა გუდაზე, გუდა გუდაზეო. მართლაც, გაიხედა და ტყაპატყუპით წამოვიდა ციდან ცარიელა გუდები.

— ის უშნო ისა, ნეტა მე დამანახა და — ისეთები ვინატრო, რო... — დაიქადნა თინამ.

— შენ ესე გგონია, ბევრი რამე რომ გინდა. სიჩქარისაგან ვერაფერს ვერ მოასწრებ.

ცოტა ხანს გავჩუმდით. მერე ისევ ზალიკომ წამოიწყო:

— თუ მასეა, მთელი წელი ღამე არ დავიძინებ, — წამოდგა და ისე აბრიალებდა თვალებს, გეგონებოდათ, რაღაცა იპოვაო. — დღისით დავიძინებ. როცა იქნება, ხომ გაიხსნება. იმდენ რამეს ვინატრებ — მაგიდან ხორაგით გაგივსებთ.

— კარგით, დაიძინეთ, ტყუილად ნუ ილიზიანებთ თავს, — გვითხრა პელო ძალომ.

— ხომ არაფერს ვთხოვთ და ნერწყვს მაინც ჩავყლაპავთ.

— დაიძინეთ! — ახლა კი გაბრაზდა პელო ძალო. — ახლა ჩემს გულში ჩაიხედეთ, თქვენი ხმა აღარ გავიგო, თორემ არ ვიცი, რას გიზამთ! — წამოდგა და დარიკო თავისთან გადაიწვინა.

დიდი დრო გავიდა, ხმა აღარავის ამოუღია. მხოლოდ ორჯერ რაღაცა დაიწუწუნა თინამ. ვერ გავიგე, რა თქვა, მაგრამ ისე წუწუნებდა, ეტყობოდა, სიზმარში საჭმელს ართმევდნენ. ზალიკომ ისევ ყრუ ხვრინვა ამოუშვა. როგორც ჩანდა, ყველას ეძინა. მე რა ჭირი შემიდგა არ ვიცი, არ მეძინებოდა თვალები მეტკინა, აღარც დახუჭვა მსიამოვნებდა, აღარც გახელა. ჭრიჭინობელმა იჭრიჭინა, იჭრიჭინა და მიჩუმდა. მთეჩზე ისევ ელავდა, შიგადაშიგ ქუხილის ხმაც აღწევდა ჩვენამდე. ღამე რომ [illegible] ნიავმა ძალა მოიდგა. სარკმლის ღრიჭოში ღუღუნებდა, გადაატარებდა საავდრო ღრუბელს და წამოწინწკლავდა, სარკმლის მინაზე წკაპაწკუპს აუყენებდა.

— ჭოტ, ჭოტ! — ისევ დაიწყო ჭოტმა ძახილი.

„ეს მამიდა კიდევ რანაირია, — მომივიდა ბრაზი. — ვაზნები რომ არ ამოელო, ის მურტალი ძალლი ხორცს ვერ წაიღებდა და ხვალ გემრიელი კერძი გვექნებოდა. ფერდებში რომ დავაცეცხლებდი, ხორცი კი არა, მაპატიე ძიაო, — უნდა ეძახნა. ზალიკოს ბრალიც არის: იქნებ რა ხდება, ოჯახში ორი-სამი ვაზნა არ უნდა ჰქონდეს! მამას ათი-თორმეტი ვაზნა ყოველთვის ჰქონდა შავი დღისთვის გადანახული. სანადიროდაც არ წაიღებდა. ვადა რომ გაუვიდოდა, ახლებს ჩააწყობდა და იმას მაშინ გახარჯავდა. ვაზნებს ყოველთვის თვითონ ტენიდა, სხვის დატენილს არ ენდობოდა. ეჰ, ჯარში რომ არ წაეყვანათ, აქამდე ველოსიპედი მექნებოდა. [რაკი შემპირდა, აუცილებლად მიყიდდა, საჭმელიც გვექნებოდა... რა გემრიელი იყო ხოლმე ნანადირევს რომ მოიტანდა. ყველაზე გემრიელი მაინც ჯიხვის მწვადები იყო, არც იყინებოდა, ცვარი სულ წურწურით სდიოდა... ჰმ! დილაზე ისევ ლამაზოს უნდა შევყუროთ, რამდენს მოიწველის, ეგ დალოცვილი ყოველდღე უკლებს და უკლებს. ორ კვირაში ალბათ გაშრება. მერე კი ბევრს მოიწველის, მაგრამ რაღა დროს, მანამ შიმშილით ნაწლავები დაგვეხვეწება. თუ პელო ძალომ ფქვილი იშოვა, ისევ ფაფა და აყალმაყალი გვექნება — ქვაბის მოფხეკა ვისი ჯერიაო!

თანდათან ძილი მომერია, საბანი გავისწორე, ბალიში მოვირგე და ის იყო ძილბურანში წავედი, პელო ძალოს ჩურჩული მომესმა:

— გოგო, არა გძინავს!

დარიკომ რაღაცა წაილუღლუღა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჰკითხა:

— ხვალ რა უნდა ვჭამოთ?

პელო ძალომ რა უპასუხა, ვერ გავიგე. დარიკომ ხმას უფრო დაუწია, ძლივს გავიგე. ისე ჰკითხა:

— ზაზა როდის უნდა წავიდეს?

პელო ძალომ პასუხი არ გასცა, დარიკომ ისევ გაუმეორა:

— ჰა, დედი, ზაზა როდის უნდა წავიდეს?

— ხმა ჩაიწყვიტე; ეგ არ გააგონო, შე მიწა დასაყრელო, შენა!

დათოს ტახტი გაჭრაჭუნდა, თვალები ოდნავ გავახილე და გავიჭყიტე. დათომ საბანი გადაიძრო, ტახტიდან გადმოვიდა, ტერფებზე აწეული წავიდა, დარიკოს თავში ჩაუთხლაშუნა, ჭითომც არაფერი, ისევ ისე ქვექვევით წამოვიდა და დაწვა.

— დედი, თავად მთელი დღე თავი მტკივა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს რაღას მითხლაშუნებს! — აწუწუნდა დარიკო.

— გაჩუმდი, თორემ ახლა მე ჩაგითაქე!

დარიკომ ისლუკუნა, ისლუკუნა და რომ არავინ გამოექომაგა, გაჩუმდა.

გულშემზარავ მდუმარებაში ახლა რკინის საწოლის ჭრაჭუნი გაისმა. ფრთხილად ადგა პელო ძალო, ციმციმ ჩაიცვა ფლარტები და ისე გადმომხედა, მაშინვე მივხვდი, ჩემკენ მოდიოდა. მართლაც ფეხაკრეფით წამოვიდა, თან დაჟინებით მიყურებდა. გავისუსე, თვალები კი დავხუჭე, მაგრამ ცრემლების მოწმენდა ველარ მოვასწარი. ისე ახლო მოიტანა სახე, მისი სუნთქვა ლოყაზე მომელამუნა. ჩუმადვე გატრიალდა და დაწვა. კარგა ხანს ბალიშზე იდაყვდაყრდნობით ფიქრობდა.

„ნეტა აქ არ წამოვსულიყავი და რაც უნდა დამმართოდა, — ვნანობდი გუნებაში. ხან რაზე ვფიქრობდი — ხან რაზე. ხან ჩვენ სახლს ვიგონებდი, ხან დედას, მამას, მამიდას. ცალკე იმის სურვილი მკლავდა, გამეგო, ზალიკოსა და თინასაც ხომ არ მოვწყინდი, იმათაც ხომ არ უნდოდათ ჩემი წასვლა. ვგრძნობდი, თინას ელვიძა და რატომ არაფერი თქვა — მიკვირდა. ზალიკოს ეძინა, თორემ რასაც ფიქრობდა — იტყოდა. გული მიშფოთავდა, რა გაათენებდა ამოდენა ღამეს. როგორ მოვქცეულიყავი აღარ ვიცოდი, აზრები ამერ-დამერია. „უნდა წავიდე, სანამ გათენდება, გავიპარები“, — გადავწყვიტე ბოლოს. ამ ფიქრებში ვიყავი თუ საით, რომელი გზით წავსულიყავი, რომ მდევარი არ დამწეოდა, რომ პელო ძალო ადგა, ჩაიცვა, თმა აიხვია, სარჭებით დაიმაგრა, დარაბა მიხურა, ლამპა აანთო. თინამ და დარიკომ თავები წამოყვეს, თვალებდაჭყეტილნი მისჩერებოდნენ პელო ძალოს. დათოც გადმობრუნდა. მართლაც საოცარი იყო, რატო ადგა. თუ სადმე წასვლა უნდოდა, ადრე იყო...

პელო ძელომ დაირა ჩამოიღო, მაჯით გადაასუფთავა, სამჯერ შემოჰკრა ხელი და ადექითო, — გვითხრა. დათო წამოჯდა, გოგოები პერანგიანები წამოხტნენ, ილრიჯებოდნენ.

— ესენი, დედი? — მოუთითეს ჩვენზე.

— ადექით, ადექით! — გამოაცხადა ისევ პელო ძალომ, თან დაირა შეათამაშა. — ზაზა! ადე გენაცვალოს პელო ძალო, ადე ნუ მაიმუნობ! დათო, ფანდური დაუკარი!

ადგა დათო, ჩამოიღო ფანდური, ჯერ ხელი ჩამოჰკრა. მერე აწყობას შეუდგა. პელო ძალომ ზალიკო შეაჯანჯყარა.

— მა, რა არი, ძაღლი ხომ არ მოვიდა? — წამოხტა ზალიკო. მიიხედ-მოიხედა და აბუზღუნდა, რას გამაღვიძეთ, პატიოსნად მეძინაო, დაწვა და საბანში გაეხვია. პელო ძალომ საბანი გადაგვაძრო, წამოგვყარა და დაირის დაკვრით მაგიდას შემოუარა. ზალიკო ჯუჯღუნებდა, ფეხებს აბრაცუნებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ზლაზვნით ჩავიცვით შარვლები... მერე პერანგები გადავიცვით და ლილებს დავუწყეთ ზოზინი.

პელო ძალო წელში გაიმართა, კისერი მოიღერა, გაიღიმა, დასცხო დაირას და ცეკვა-ცეკვით ჩამოუარა. მეორე წრეზე თმა ჩამოეშალა. ოდნავ დატალღული, წაბლისფერი თმა ლამის კოჭებამდე სცემდა. ძალიან მიყვარდა ძალო და არ ვიცი იმიტომ მეჩვენებოდა თუ არა, ისე უხდებოდა ცეკვა, ისე კოხტა იყო, ისე ნარნარად უსვამდა ფეხებს — ტანადი, წელწვრილი, სავსე მკერდი, ცისფერი თვალები, მოკალმული წარბები... სიმართლე გითხრათ, აქამდე არ შემიმჩნევია, თუ ასეთი ლამაზი ძალო მყავდა. თუმცა ამ ბოლოს რაღაც დააკლდა, ბიძაჩემის წასვლა როგორღაც დაეტყო, გახდა, კაბა გაუდიდდა, ძველებურად ველარ ედგა. ჩვენკენ რომ შემობრუნდა, თავი გაიქნია, თმა ჩამოისწორა, ჩამოგვიქროლა, გადმოგვხედა და, ტაში! — დაიძახა... დავცხეთ ტაში. მან დაირა უფრო გააფიცხა, ორი წრე კიდევ შემოუარა, გაჩერდა და თვალით გვანიშნა, გადახტითო. ზალიკომ დაუარა. მე დამეძიძგილავა, შენ იცეკვეო. მე დავირცხვინე.

— აი, თქვე მძინარებო! — დაგვძახა პელო ძალომ, დაირა დადო. — შენ დაუკარი, — უთხრა დათოს. დანარჩენები სიმაღლის მიხედვით დაგვამწკრივა და წინ გაგვიძღვა. დათომ ფანდურის ფხაკუნი განაგრძო.

— მე მაგის დაკრულზე არ ვიცეკვებ, — აიჟინა ზალიკომ.

პელო ძალომ ამჯერად დაუთმო. დათოც ჩვენთან დააყენა და დოლური წამოიწყო:

— დიმპიტაბრი-დამპიტაბრი, დიმპიტაბრი-დამპიტაბრი, — კოხტად გაშალა ხელები და გაგვიძღვა. ავეტორლიალეთ ჩვენც, ვისაც როგორ გვეხერხებოდა, ისე გავშალეთ ხელები, მივდევდით დაწალიკებით და მივაფლასუნებდით ფეხებს.

— დიმტაამტამ-დიმტაამტამ, ცოცხლად გაუსვით, ახლოს მომყევით! — გვეხმიანებოდა პელო ძალო. ზალიკო გიჟივით დახტოდა, ხან ფეხს გვიდებდა, ხან ხელსა გვკრავდა.

— დედი, ზალიკო გაჩერდეს! დედი გაჩერდეს! — ხან ვინ წამოიძახებდა, ხან ვინ. პელო ძალო რატომღაც არ უჯავრდებოდა, სხვა დროს ალბათ გასახრავდა, მაგრამ ახლა ჩვენი ჟრიამული აღარ ესმოდა, თითქოს აღარც ვახსოვდით, თავაწეული სადღაც შორს იყურებოდა და ისე მისრიალებდა, გეგონებოდათ, იატაკს ფეხს არ აკარებსო. გაოცებული ვიყავი, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი მშვენიერი ცეკვა იცოდა. ხუთი თუ ექვსი წრე რომ შემოვუარეთ, გაგვაჩერა. დათოს ფანდური აალებინა, თვი-

თონ ისევ დაირა დაუკრა, ტაში აგვაწყობინა და თინას ანიშნა, გადადიო. თინა გაგოგმანდა.

— გარმონი, ბიჭო, გარმონი — დაიძახა ზალიკომ.

მოვარბენინე გარმონი, ნასვრეტებში ჩაჭედილი ნამცეცები წამოვბერტყე და ზალიკოს გადავეცი. ააჭყმუტუნა ზალიკომ და ისეთი ტაშფანდური გაიმართა — ვინც გაიგებდა, იფიქრებდა: ხორაგით სავსე მაგიდასთან სხედან და ქეიფობენო. პაპაჩემი ვეფხვია რომ იტყოდა ხოლმე, მადა ჭამაში მოდისო, ისე დაგვემართა. თანდათან გავხურდით. შიმშილი ვიღას ახსოვდა, ერთიმეორეს აღარ ვაცლიდით. ხან თითო-თითო ვტლინკაობდით, ხან წყვილ-წყვილად, პელო ძალო გვამხნევებდა:

— კარგია, ნუ გრცხვენია, იდაყვი მაღლა ასწი, უფრო ცოცხლად, ე, მასე! — დაკვრა-ტაშის ტყაპუნში დროდადრო გაისმოდა მისი შეძახილი, მერე სიმღერაც წამოიწყო და აგვიყოლია:

ამოდუღდი მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადექ წყალო.
არც იმეთი ლამაზი ხარ,
როგორც ინაზები, ქალო...

ისღა მახსოვს, დავწექით და დავდე თუ არა ბალიშზე თავი — ძილმა წამიღო.

რომ გამომეღვიძა, მზე უკვე აივნის სახურავს იყო აცილებული. გამახსენდა, რომ უნდა გავპარულიყავი და დამცეცხლა, შეშფოთებული წამოვჯექი და მივიხედ-მოვიხედე. პელო ძალო ამდგარიყო, თავისი ლოგინი აელაგებინა, ზალიკოს ისევ ეძინა, მოკუნტული ხრუტუნებდა. გოგოებსაც ეძინათ. დათო თვალებს იფშვნეტდა.

— გაგეღვიძა? — მომიღიმილა. — მეც ახლა გამეღვიძა.

აივანზე გავიხედე. პელო ძალოს შალი აღარ ეკიდა თოკზე, „წასულა, გავიფიქრე გუნებაში. — უნდა წავიდე. დამადლებულ ლუკმას წასვლა სჯობია. კაცმა რომ თქვას, დარიკო მართალია, ის ერთი ჩხინტა რძე ამათაც არა ჰყოფნით და მეც ვეცილები, თუ გამიგეს, არ გამიშვებენ, მაგრამ დათოს თუ გავეპარე, სხვა ბაიბურში არ იქნება". დინჯად დავიწყე ჩაცმა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩამივარდა — პელო ძალო აივანზე ყოფილიყო. დათოს ხმა რომ გაიგო, ადექით არა გშიათ, ჭამეთო, — გაგვეხუმრა. ჭამეთო! — ამ სიტყვის ხსენება იყო და ზალიკომ და გოგოებმა მაშინვე თვალები ჭყიტეს. ზალიკომ, ალბათ, ყურს არ დაუჯერა, ჩაცმული გავარდა აივანზე, მაშინვე მოტრიალდა, შუაბჭეში ჩადგა, გულზე ხელი გადაიდო, წელში მოიხარა და მოწიწებით მიგვიპატიჟა:

— სადილზე მობრძანდით.

— სადილი კი არა, საუზმე, — შეუსწორა დათომ.

— სადილი! — ჯიუტად გაიმეორა ზალიკომ და დამარცვლა: სა-დი-ლი. ქართული არ იცით? ესე იგი, დილისაო. თვითონ სიტყვა გეუბნება.

დათო ჩაფიქრდა, აღარ შედავებია, [illegible] შალენით, პირუჩუმმა ჩავიცვით, გავედით, ყველამ ჩვენი თვალით დავინახეთ, რომ პელო ძალოს რძის ფაფა გაეკეთებინა. ახლა გაპარვა არ ივარგებდა. გადავწყვიტე, თავი ისე მჭეროდა, ვითომ არაფერი მომისმენია. უხმაუროდ დავიბანეთ ხელ-პირი, ავიღეთ ჩვენ-ჩვენი ჯამები, ჩვენი კოვზები, მაგიდას თავ-თავის ადგილზე მივუსხედით და მოთმინებით, დამუნჯებულები ველოდებოდით ფაფის განაწილებას.

დარიკოს კოვზის წვერი პირში ჩაედო და თინას თავს ზემოთ რაღაცას მისჩერებოდა. ზალიკოც დაძაბული იქით იყურებოდა. გავიხედე და მივხვდი, სვეტზე იმ ლურსმანს უყურებდნენ, წუხელ პელო ძალომ კალათა რომ დაჰკიდა. რომ დავაკვირდი, დათოსაც დროდადრო იქით გაურბოდა თვალი.

პელო ძალომ ფაფა გაანაწილა. თავისთვისაც ამოიღო და იკითხა:

— დღეს ვისი რიგია?

— ჩემი, ჩემი! — წამოხტა ზალიკო, მაგრამ დათომ თავში კოვზი ჩაურაკუნა:

— შენ გუშინ არ მოფხიკე? შენი კი არა, დარიკოს რიგია.

დარიკო მოწმენდილი იჯდა. ჯამის კედლის გარშემო შეგრილებულ ფაფას აგროვებდა და გულმოდგინედ უბერავდა.

— არაფერიც! — თქვა ცოტა ყოყმანის შემდეგ. — ჩემი რიგი სულაც არ არის!

— რასა როშავსო, — ეჭვიანად გავხედეთ.

— შენია, მაშ ვისია, დღეს თავიდან იწყება, — უთხრა დათომ.

— არა, ჩემი არ არის! — ის მაინც თავისაზე იდგა.

დარიკო რაღაცას ცუღლუტობდა. კარგად იცოდა, ვისი ჯერიც იყო, მაგრამ ცუღლუტობდა. ქვაბის ძირზე მომწვარი ფაფა ყველას გვიყვარდა, მოფხეკაზე ერთი ამბავი გვქონდა ხოლმე, ამიტომ რიგი დავაწესეთ: როგორც კერძი ნაწილდებოდა ხოლმე, რიგიც ისე მისდევდა. პირველი დარიკო იყო, როგორც ყველაზე პატარა, მერე მე — როგორც სტუმარი, მერე თინა, ზალიკო და დათო. ბოლოს დათომ მოფხიკა, მაშ დღეს დარიკოს ჯერი იყო, თავიდან უნდა დაგვეწყო.

ფაფით მოდინდგლული ქვაბი ბუხრის კალთაზე იდგა და ოდნავ ორთქლავდა.

პელო ძალომ თავისი ჯამიც მოიტანა, მაგიდასთან დაჯდა, დარიკოს თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

— მაშ ვისი ჯერია?

დარიკო თვალებს აკამურებდა, რაღაცა ანიშნა და გაიღრიჯა.

— თქვი, შო, ხმამაღლა თქვი! — დაუჟინა პელო ძალომ.

— ვისია და... ზაზასია!

ყველანი ჩუმ-ჩუმად მე მიყურებდნენ და გული ამიჩუყდა.

დათოს ჩაელიმა, თინა და ზალიკო გაშტერებული იღიმებოდნენ.

— სწორია, — დაუდასტურა პელო ძალომ.

— დღეს ზაზას ჯერია.

უცებ ზალიკომ თვალები დააჭყიტა, ფერი ეცვალა. არ გატოკდეთო, გვითხრა და ნელ-ნელა წამოიწია, თან ქვეშ-ქვეშად კიბისკენ იყურებოდა. მეც გავიხედე და რასა ვხედავ, ქეციანი ბოთვერა კიბეზე ამოსულა, წინა თათები კიბისთავზე ამოუდგამს, თვალებში შემოგვცეცინებს, ტუჩებს ილოკავს, კუდს აქიცინებს... გავხევდით, მაგრამ ზალიკომ რომ წამოიწია, უკვე მიხვდა, რაც ელოდა, თვალები დახარა, თავი ჩაღუნა, კუდი ამოიძუა, გატრიალდა და კიბეზე დაეშვა. მაშინ კი ვიგრიალეთ, გიჟებივით წამოვცვივდით და დავედევნეთ, მაგრამ გაგვასწრო, ღობეში გაძვრა და ვენახებისკენ ეცა.

— რა იყო, რა მოხდა! — გამოიხედეს მეზობლებმა.

ზალიკო, დათო და მე ღობეს გადავევლეთ, წამოვკრიფეთ ქვები, დავედევნეთ, მაგრამ რაღას დავეწეოდით, ვდიეთ, ვდიეთ და მოვბრუნდით.

— სად წავა, იქ არ მოვა? — გულზე ხელს იცემდა ზალიკო.

თინა აივნიდან გვიყურებდა. ისე იღრიჭებოდა, ეტყობოდა, ჩვენ ჯამებში თითო კოვზის ამოკვრა მოასწრო. დარიკო ეზოში გველოდებოდა. ღობეზე რომ გადმოვხტით, დარიკო მომიახლოვდა. თვალები ისე უციმციმებდა, რაღაცის თქმა უნდოდა.

— მაგ წუკლაკს მაშ იმას შევარჩენ! — იქადნებოდა ზალიკო. — აი, აქა ძვრება, — ფეხი წაჰკრა გადმომტვრეულ ღობეს.

— მახე დავუგოთ, — თქვა დათომ. — ცოტა მიწა მოითხრება...

— ახლა მიწა მათხრევინე, — შეედავა ზალიკო. — მავთულის ყულფს დავუგებ, ბოლოს მარგილზე გამოვაბამ და სად წავა, მაშინ ნახე მაგის ჟვეპა.

დარიკომ კენჭი აიღო, ბალისკენ ბიჭივით გაისროლა, მერე გვერდში ხელი წამკრა, გამიღიმა და მკითხა:

— გეგონა, არ მიყვარდი?

— არ მეგონა, ვინ გითხრა?

— მაშ რად იტირე.

— ვიტირე არა, როდის ვიტირე!

— როგორ არა, განა დედაჩემმა ვერ დაგინახა.

სახე წამომენთო. აქამდე ვიმედოვნებდი, შეიძლება ცრემლები ვერ შემამჩნია-მეთქი და სირცხვილისაგან დამცხა.

— წამოდით, გაცივდა! — გადმოგვძახა პელო ძალომ.

— ბიჭო! — დაიძახა ზალიკომ, ხაჭმელი რომ გაგვახსენდა, კისრისტეხით გავქანდით. მივუსხედით ჯამებს და დავიწყეთ ხუსკვნა. ჯერ მოლოკილი არა გვქონდა, კიბეზე მამიდაჩემი ამოჩნდა. რატომღაც გული გადამიქანდა, კოვზი პირში დამრჩა. პელო ძალოც შეცბა, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა, მობრძანდი, მობრძანდი, დედამთილს ჰყვარებიხარო, წინ შეეგება და თვალით ანიშნა, როგორ არის საქმეო.

მამიდას ისე გაებადრა სახე — ყველაფერი გასაგები იყო.

—კარგად არის, კარგად, — ამბობდა აღტაცებული. — თურმე, ასთმის შეტევა ჰქონია, ექიმმა ახალი წამალი დაუნიშნა, გაუარა, გუშინ უკვე ფეხზე წამოდგა!

— გაგახარა ღმერთმა! — გადაეხვია პელო ძალო და აქვითქვითდა.

— მაშ ქალო, ეგრე კი იყო, უკვე ფეხზე დადგა, — იმეორებდა მამიდაჩემი და თან ცრემლებს იმშრალებდა — დილას აღარ დამაძინა. ჩადი, ბიჭი ამომიყვანეო.

—იყოს, აქ იყოს, იყავი, ზაზა, — დამიწყეს ერთხმად ხვეწნა, მაგრამ სიხარულისაგან ისე ვიყავი ფრთებშესხმული, რაღა გამაჩერებდა. მე მაშინვე მინდოდა წასვლა. მამიდამ კი გააბა და გააბა. ჯერ სამახარობლოში მირთმეული ფაფის ქვაბი მოფხიკა, მერე მოჰყვა მთისა და ბარისა, ყველაფრის თქმა ერთად უნდოდა, ჯერ ერთი ამბავი დამთავრებული არა ჰქონდა, — მეორეზე გადახტებოდა.

— ორი დღეპვის დეპეშა კიდევ მოვიდა, — თქვა ბოლოს ამოოხვრით და ისევ ცრემლები მოუვიდა. — ერთს შენც იცნობ, — უთხრა პელო ძალოს: ქეთო რომ წავიყვანეთ, მახარობელი იყო, მაღალი, დიდცხვირა.

პელო ძალომ მართლაც გაიხსენა და იმანაც იტირა.

— რამ გამომაშტერა, სულ გადამავიწყდა, — თქვა მამიდამ, კალათას ტილო გადახადა, ჯერ ისევ თბილი ხაჭაპურები და ერთი კონა არჯაკელი ამოიღო. ხაჭაპურს დავესიენით და თვალის დახამხამებაში გადავსანსლეთ, პელო ძალოს ვეხვეწე, ზალიკო ჩვენთან წამოვიდეს მეთქი, მაგრამ არ გამოუშვა, ძროხას მიხედვა უნდა, ამ სიკეთის დროს რომ გამიბერწდეს, რა გვეშველებაო.

მოშუადღევებული იყო, პელო ძალომ და ჩემმა ბიძაშვილებმა ფშანის ბოგირამდე რომ მიგვაცილეს. ეს ბოგირი იყო ხოლმე წამსვლელ-დამრჩომის გასაყარი. პელო ძალო შეგვპირდა, ლამაზო მოიგებს თუ არა, ყველანი ამოვალთო. დავემშვიდობეთ და წავედით. ჭალის ბოლოში, მოსახვევთან რომ გავედით — მოვიხედეთ. ისინი ისევ ბოგირთან იდგნენ და ხელი დაგვიქნიეს. დარიკოს ცალი ხელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პელო ძალოს კალთაზე ევლო, მერეს გამალებით გვიქნევდა. მოსახვევს რომ მივეფარეთ, მამიდამ გამომკითხა: როგორა ხარ, ხომ არ მოგეწყინა, თავს როგორ ირჩენდითო? არ მოგენატრეთ, დედა არ მოგენატრაო? გამელიმა, აბა რა უნდა მეპასუხნა? ის კი ჩქარ-ჩქარა ისევ გამიმეორებდა: მაშ დედა არ მოგენატრა, მაშ არ მოგენატრეთო?

ლაპარაკ-ლაპარაკში აღარც მახსოვს, ისე გავიარეთ რიყე. ჯერ ალექსა პაპას წისქვილს ავუარეთ, მერე მეთოდესას და ზეგანზე ავედით. კვირაცხოველის ნიშნები რომ გამოჩნდა, მამიდამ მკითხა:

— აქა შლიდით ხოლმე სუფრას? — და თან გადმომართყა, — ახლაც ხომ არ გავშალოთ?

არაფერი ვუპასუხე, მაყვლიანს რომ მივუახლოვდით, მაშინ ვკითხე.

— მამიდ!

— რა, გენაცვალოს მამიდა!

— აქეთ რომ მოდიოდი....

—ჰო, მერე რო მოვდიოდი.

— სოსია აღარ შეგხვედრია?

ეტკიცა, ირიბად გადმომხედა და მწყრალად მითხრა:

— არა!

ისევ უმძრახად მივდიოდით, აღმართის დასაწყისში ორივემ შეთქმულივით მუხისკენ გადავუხვიეთ. შინ როცა ვბრუნდებოდით, ყოველთვის აქ ვისვენებდით და ახლაც სულის მოსათქმელად ჩრდილში ჩამოვსხედით.

— მამიდ!

მან მწყრალად გამომხედა.

— თხა რამდენს იწველის?

— რა თხა?

— საერთოდ, თხა რამდენს იწველის ხოლმე?

— რა ვიცი, თხას გააჩნია, რაზე მეკითხები? — ეჭვიანად დამაცქერდა.

— პელო ძალომ ხომ თქვა, ამოვალთო და, რა უნდა ვაჭამოთ? ვიყიდოთ თხა.

— ველოსიპედი?

— ველოსიპედს რომ ჩამოვა, მამა მიყიდის.

არაფერი თქვა. ხან ყანებს გახედა, ხან ზვრებს. დროდადრო ჩემსკენ გამოაპარებდა თვალს. მერე სამყურას დაუწყო წიწკნა: ჯერ ზემო ფოთოლს წააწყვეტდა, მერე მარჯვენას, მერე მარცხენას და თვალებში ცრემლი აუკიაფდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თენგიზ კობერიძე

### გულგრილად ვინ ჩაუვლის?!

„ფედერაციულ გერმანიაში ფაშიზმს აღორძინებენ“.

(გაზეთებიდან)

სანამ დედამიწაზე
დადის ერთი ბოროტი,
ფაშისტური ურჩხულის
სვასტიკის სიმბოლოთი;
სანამ პირსისხლიანთა
ურდო კიდევ ბოგინობს,
მანამ ნატყვიარები
არ მორჩება, ძმობილო!..
აგერ გულის იარა
ისევ შემომბოჟირობს.
ორმოცი წლის წინანდელ
სისხლიანო ლოგინო...
სანამ დედას შვილს გლეჯენ,
გველს უსვამენ უბეში,
სანამ სისხლი იღვრება
კვლავ გრენადის ქუჩებში.
ტკივილი ვით დავაცხრო,
დედას ვით ვცე ნუგეში?!
სანამ ზიზღით და რისხვით
ივსება საწყაული,
მრისხანე ძეგლს დედისას
გულგრილად ვინ ჩაუვლის?!

---

## ალექსი ნამორაძე

●

ნეტავ სიზმარშიც არ ვიხილოთ
ომი წყეული.
ნგრევაც, სიკვდილიც ომით არის
გამოწვეული.
რომ ვყავარ შიშის გალიაში
გამომწყვდეული.
გამეღვიძება,
მიხარია.
მინდორ-ველებში
არის სიმშვიდე —
ხალხის ნატვრა უპირველესი.
მომაგონდება სტალინგრადი —
ჩონჩხად ქცეული —
და მტკივა, როგორც
საკუთარი სული, სხეული...
გვფარვიდეს მარად
მშობლიური მშვიდობის კალთა,
არ აიტუზოს
კვლავ სიკვდილი
სიცოცხლის კართან,
ნეტავ სიზმარშიც
არ ვიხილოთ
ომი წყეული.
არ ვიყოთ შიშის გალიაში
გამომწყვდეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სულიკო დიასამიძე

### უცნობ ჯარისკაცს

ძმის გული გახარებული,
მტრის გული დამიწებული,
არაფერი და არავინ
არ არის დავიწყებული.

შენ ძმა ხარ ყველა ჩვენგანის,
მეგობარი და ნაცნობი,
გმირული სულით უკვდავი
და შენი კაცურკაცობით.

შენი საფლავის წინაშე,
კრძალვით თავს ხრიან დედები.
შენ არასოდეს ჰოკვდები,
არასდროს დაგვიბერდები.

ძმის გული გახარებული,
მტრის გული დამიწებული,
არაფერი და არავინ
არ არის დავიწყებული!

### განახლების დღე

მობიბინე ბალახი,
მოშრიალე ტყე,
განახლების დღე,
ამაღლების დღე.

მშვიდობის და ძმობის,
შრომისა და გარჯის,
მიწა დახატული
ოქროსფერი ფარჩით.

მშვიდობის და ძმობის
ლამაზ ჰანგებს მღერის
ლურჯი ზეცის თაღი
და მდინარის ჩქერი.

მშობელ მიწის გულმკერდს
ნაირფერად ხატავს
შვენის ყვავილობა,
ნუშს, ტყემალს და ატამს.

მერცხლის ხმატკბილ ხმაზე,
ჩვენი გულიც მღერის,
დახატულა მიწა
ნაირ-ნაირ ფერით.

მშვიდობა და ძმობა,
გარჯით უსწრებს დრო-ჟამს,
ცის თაღამდე წვდება,
გამარჯვების დროშა.

## ვახტანგ ჯავახაძე

# წიგნიდან „მოშიკითხე ძღვა“

### დაბზარული ფირფიტების ციკლიდან

წაიფარა თავზე ღამის შავზე შავი თივთიკი
და საათი გზას გაუდგა ტიკ-ტიკ-ტიკ-ტიკ-ტიკ-ტიკით.
ვარსკვლავი კი ედავება უკუნეთის სიმძიმეს
და სარკმელთან ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმებს.
არც მთვარე ჩანს, არც ლამპარი, არც კოცონი გიზგიზა,
და სიჩუმემ გადაიკის-კის-კის-კის-კის-კის-კისა.
და დუმილი ახარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარდა,
ხან მამალთან გათამამდა, ხან ძაღლთან და ხან ხართან.
წყარო ჩრდილებს ეფერება, როგორც დაღლილ აბრაგებს,
ბუტ-ბუტ-ბუტ-ბუტ-ბუტ-ბუტებს და რაკ-რაკ-რაკ-რაკ-რაკ-რაკებს.
მაგრამ უკვე თან-და-თან-და-თან-და-თან-და-თან-და-თან
უკეთ მოჩანს კონტურები პალმათა და პანტათა.
და მე მჯერა, თუმცა ახლა ცოტა უღიმღამო ვარ,
დღეს ერთი მზე ჩავიდა და ხვალ ორი მზე ამოვა.
ხვალ ცარგვალი ჩახ-ჩახ-ჩახ-ჩახ-ჩახ-ჩახ-ჩახა ტიტანებს
ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ-ციმ ამოატივ-ტივ-ტივებს.

### იქნება თუ არ იქნება

კვლავ გრძელდება ძველისძველი გარიგება-დარიგება:
იქნება თუ არ იქნება?
იქნება თუ არ იქნება?
იქნება თუ არ იქნება? — მეკითხება მკითხავი,
მეკითხება პასუხებით სავსე ტელევიზორი...
მანამ მაინც ყოფილიყო,
სანამ მარტო ვიყავი!
ან მას შემდეგ მაინც იყოს,
ქვებს როდესაც ვისროლი.

იქნება თუ არ იქნება? — არესს აინტერესებს
არანაკლებ მკითხავზე და არანაკლებ ტელეზე.

დგანან კითხვის ნიშნებივით მეტეოროლოგები,
ტირადებს და დიალოგებს ცვლიან მონოლოგები.

იქნება თუ არ იქნება? — საკითხავი ეს არი,
იქნება თუ არ იქნება? — ზარებს რეკავს მეზარე.

იქნება თუ არ იქნება? — მეკითხება მესია
და ეკლები ეჭვებისა ისევ შემომესია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ,
ხშირად გვესმის: ერიჰა!
მაგრამ კარგა ხანია,
აღარ გაგვიგონია: ევრიკა!

●

იდგა პაპისპაპისპაპა სათვალთვალო გოდოლთან,
არ გამოეპარებოდა შრიალიც კი ფოთოლთა...
შვილისშვილისშვილები კი
და იმათი ელიტა
თვალს ერთმანეთს ადევნებენ კარის საჭვრეტელიდან.

●

კარგად უნდა იცნობდეს ადრესატი ადრესატს:
სად იღვწის და იღვწოდა,
ახლა სად და ადრე სად,
ხად გაცვითა ჯინსები ან ლოგინი სად ლესა,
ომის ხერხებს თუ იცნობს,
ან ბლოკადას, ან დესანტს,
მარჯვედ თუ იგერიებს მარჯვე მოძალადესა,
პატივს თუ სცემს ნაცნობს და ნათესავის ნათესავს,
რომელს გამოესარჩლა
ან რომელი ათესა,
თეთრი უყვარს, წითელი, — ხვანჭკარა თუ ადესა,
სიტყვის ფასი თუ იცის: სად ისა და სად ესა,
განასხვავა თუ არა ანტითეზა და თეზა,
აქ რამდენი მოიმკო,
იქ რამდენი დათესა,
თუ კითხულობს რუსთაველს,
შექსპირსა და დანტესა,
ჭავჭავაძეს თუ იცნობს,
თავად ალექსანდრესაც,
და თუ პრემიერებზეც დადის უპირატესად, —
შეუდგინოს ადრესი ადრესატმა ადრესატს.

●

მეც მოვედი სანახავად,
სულმა მაინც წამძლია,
უმზერს თავის წარსულივით ორიანი სამწლიანს.
ირგვლივ ასი კოცონივით ასი თვალი ანთია,
მნახველივით აკვირდება ხუთიანი ათიანს.
ტყუპებივით ერთად სხედან და მზე არეტიანებს
ცამეტი წლის ოცნებაში წასულ ცამეტიანებს.
და ფერადი ნობათები მოაქვთ გაზაფხულისგან —
ხან ზაცაცა ნიავსა და ხან ქარაშოტ ხულიგანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

რას მიქვია ხინკალი და რას მიქვია ქაბაბი,—
მესმის ყავა-კონიაკის ხოტბები და ქებები.
ფრთები გვინდა, დიდი მარხვის ოდა ჩავაბულბულოთ,
პურს და მარხვას ნუ გავტეხავთ, პური ვჭამოთ უპუროდ.
თავს დაგიკრავ, ტაშს დაგიკრავ, ტაშით შეგეგებები,
ოღონდ აღარ გამაგონო ქაბაბების ქებები.

●

შარაგზაზე მიდიოდა ერთი აისორი,
რათა ერთი? მაშ რამდენი? ორი!
გზაზე შეხვდა არაბი და თათარი და შვედი,
რათა სამი? მაშ რამდენი? შვიდი!
ჟღურტულებდა მოხალისე ბეღურების დასი,
რათა ათი? რათა ოცი? ასი!
მერცხლებს ეცვათ შავი ფრაკი ანუ მოსასხამი —
რათა ათასცხრაასოცდასამი?
გზისპირ იდგა ორიოდე — რათა ორი? — შვინდი
და ცხრა მუხა — მაშ რამდენი? — შვიდი.
ციდან მიწას დაჰყურებდა დალმა დამავალი
რათა ერთი მაცხოვარის რათა ორი თვალი.
და უსმენდა მაშ რამდენი დარდით დაგაზული —
რათა ყური? რათა გული? სული!
სამზერს აპატარავებდა ჩრდილი ყვავ-ყორანთა —
რათა ოთხი? რათა ხუთი? რათა ექვსი? რათა...
მერე ვინ და — ნოემ რა და — მოიყვანა მტრედი
და სამზეო გაამდიდრა მტრედის სიმდიდრეთი.
და ითვლიდა უკანასკნელ წამებს თოვლი შარშანდელი
და ათასი ცხრათვალა მზეც ამოვიდა... მაშ რამდენი?

●

თუნდაც კარტი გამეჩითა,
თუნდაც გაადიადონ, —
კამეჩს ჰქვია კამეჩი და
იადონი — იადონს.
ცა უკრძალავს განტევებას,
სტოვებს უედემოდაც —
განტელების განტოლებას
და დემონთა დემონტაჟს.
მე კი,
თუკი დამანებეს,
მირჩევნია ოცნება —
დემონების დამონებას
და მოძღვრების მოძღვრებას.

## პოლიგლოთი

შეიყვარა რესტორანი,
დაჰგმო სასადილო და
ინგლისურად იცინოდა,
ესპანურად ტიროდა.
ლათინურად ყოყმანობდა:
ზურმუხტი თუ ბივრიტი —
არაყი თუ კონიაკი —
იდიში თუ ივრითი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა სასმისებს ინელებდა,
რა საწყავებს,
რა დოზებს,
ბოლოს ხელი შემოირტყა
თავში ესპერანტოზე,
და თვალები,
მორჩილები
უფლის ულტიმატუმთა,
აქადურად დახუჭა და
შუმერულად დადუმდა.

## ხავსიან კედელთან

მინახავს, მაგრამ ასეთი ჯერ არაფერი მინახავს:
კედელი შეუჭამია, გადარჩენია მინა ხავსს...
და ისე გამოგვეცხადა ფანჯრიდან ჩიტი კიოტა,
თითქოსდა სააქაოში მოფრინდა საიქიოდან.

## თ ქ ვ ე ნ

წუთისოფლის სტუმრები ხართ ორიოდე თვით,
მაგრამ ისე ვერ იქცევით, როგორც ადრე თქვით,
ყველაფერი ჩამოკაკლეთ, ყველა ჩამოფქვით,
ალაგ-ალაგ ხვეტავდით და განურჩევლად გვით,
ეს ზღაპარიც დამთავრდება მარმარილოს ქვით,
ოდეს მამაზეციერი ჩამოგძახებთ: ქვით!

## ბ ა რ ა ბ ა

და პილატემ განზრახ დაი-ბარა-ბარა-ბარა-ბა,
განიზრახა სხვისი ცოდვის სხვაზე გადაბარება.
ვიგინდარებს განგებ ჩაა-ბარა-ბარა-ბარა-ბა,
ვინც სამართალს არ ექვემდებარება;
და ცოდვილმაც სული ეშმაკს მია-ბარა-ბარა-ბა,
იცნო ბერის ბერობა და იგრძნო ბარის ბარობა.
დღეს ამბობენ: რას დააკლებ, კბილებიც რომ ილესო, —
ცოდვა აპატიესო და მონანიებიესო.

## ა ნ დ ა ა ნ დ ა

აივნიდან მოჩანს პანტა,
ალბათ პანტა-მსხალი ანდა
პანტა-ვაშლი, ან ძმა ან და,
ანდა დედოფალი ანდა
მზის და მთვარის კონტრაბანდა
ანდა საჩუქარი ანდა
ნახელავი ხელოვანთა
ანდა ხელოსანთა ანდა
ჩემზე უფრო ეჭვიანთა
ანტივარიანტი ანდა
ანდაზების ანდამატი
ანდა მათი განდაგან და
ანდა ფანტაზიორების
ზიარების ზარი ანდა
სხვა ფასი და სხვა მაზანდა,
სხვა სახლი და სხვა ვერანდა,
საიდანაც მოჩანს ანდა
ჩანდა ანდა მოშელანდა
ანდა დამესიზმრა ანდა
გამითანდათანდა პანტა
ანდა ანტიპანტა ანდა
ანტიშარავანდიანთა
ანტიან და ანტიანდა.

# ბორენა ჯაჭველიანი

●

თვალებს ავახელ, მთის ტანი
ღრუბლებს დაიფენს, წმინდანებს,
— საით მიჰხარე ცისკარი? —
შემხედავენ და... მკითხავენ.
არც გზას დავხედავ, შორია,

ხევით მდინარეს ჩავყვები...
მე რომ ბილიკი მგონია,
ნისლები რძეში ახვევენ...
არც რა ნაღველი მქონია,
თვალები რაღად მამხელენ?

●

ნავსადგურია ჩემი სული
დასეტყვილ ცათა,
სად მთვარე სახლობს
და ორიონი
დასცქერის მთათა...
სად ცრემლიანი გადაივლის
ღრუბელთა ტანი,

და სველდებიან, სველდებიან
მიწა და ცანი.
ნავსადგურია ჩემი სული...
არ ეძებს დარებს,
არავის უხმობს,
აქ მზის მოსვლას
არავინ ბრძანებს...

●

ლექსებში ვეძებ დაფარულ ღელვით
რომ შეირხევა წყვილი წამწამი.
დილა — გაწვდილი იმედის ხელი,
საღამო — მკვდარი მე რომ მაწამებს.

და ასე ვცხოვრობ, პეპელასავით —
დილით ვცოცხლდები, საღამოს
მკლავენ.
მზე გაილევა, წავა დასავლეთს
ცოტაც და... ვეღარ შემოგხვევ
მკლავებს.

## ეჟვი

რად არის ასე, თითქოს დღეები
კი არ წავიდნენ, არცა ყოფილან...
არცა ყოფილან... და მონატრებით
მთვარემ სხივები მიწას მოჰფინა.

რად არის ასე, თითქოს ბავშვობა
სადღაც დავტოვეთ, გამოვეპარეთ;
გამოვეპარეთ... ახლა მარტო ვართ,
შორს კი ნაცნობი წლები რეკავენ.

რად არის ასე, რაც გადის ხანი,
რაც გადის... სევდა უფრო ძლიერობს...
შემოგვეჩვია სულის მარხვანი
და რას გვპირდება სამაგიეროს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პიეტა

ჩემო მშვენიერო დედა!
შენი მკლავები მიხმობენ,
შენს მკლავებში ისვენებს
ჩემი დაღლილი სხეული...
რისთვის მაწამებდნენ?

ჩემო მშვენიერო დედა!
ო, როგორ მტკივა ხელისგულები...
თითები შემახე,
განმკურნე, მანუგეშე, დედა,
თორემ მზე ჩადის,
მზე ჩადის და
მზარავს ადამიანთა უგულობა —
რისთვის მაწამებდნენ?

ჩემო მშვენიერო დედა!
მომწმინდე სისხლიანი ცრემლები,
დამასვენე შენს მუხლებზე,
როგორც ყრმას მასვენებდი
და დამაკვირდი, დამიმახსოვრე,
სამუდამოდ დამიბრუნე, დედა,
რომ არ გკითხო აღარასოდეს —
რისთვის მაწამებდნენ?!

●

გაშლილი ქარის მკლავები —
შენი მკლავები მგონია;
ღიმილი მთვარის ნალევის —
შენი ღიმილი მგონია;
თიბათვის ღამის თვალები —
შენი თვალები მგონია...
სამარეს მივალ წვალებით —
შენთვის თუ მივალ, მგონია.

●

მე წავალ, როცა ტალღა ძახილით
უკანასკნელად ნაპირს მისწვდება,
აწრიალდება სული დაღლილი,
მერე ხსოვნაში გადაირწევა.

როცა თვალები გაწბილდებიან.
რომ არ გამოჩნდი აღარსაიდან.
აღარსაიდან... ისე წავიდა,
„ღამე წავიდა, მთვარე წავიდა..."

ბოლო სიზმარსაც ქარი გადაშლის
და გაირღვევა ხსოვნის ნაპირი...
მე წავალ, როცა ტალღა ძახილით
შემოევლება დღეებს ძაფივით...

## წინათგრძნობა

გაზაფხულისთვის ისევ ვძერწავ
ნაზამთრალ სხეულს...
და სული —
ყვავილებივით აჩნდება დღეებს.
რას გაიმეტებს ზეცა ჩემთვის:
ზღვის ქაფივით ნაპირს მიმახლის,
თუ ბალახივით ამაბიბინებს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფიქრის გადანაცვლება

იქნებ სამყაროში ჩემამდეც უყვარდი
ასულს, რომლის შიშველი ვნება
ქვაზე ტვიფრავდა გრძნეულ
წარწერებს —
მე მხოლოდ მისი ანარეკლი ვარ?

იქნებ სამყაროში ჩემამდეც უყვარდი
და ყოველივე უკვე აღსრულდა!
სარკოფაგებში გვერდიგვერდ გძინავთ
პირამიდების ჩრდილებს ქვეშ,
მშვიდად —
მე თქვენი სიზმრის დასასრული ვარ.

იქნებ სამყაროში ჩემამდეც უყვარდი
და უცხო ძალამ, მას ეს სიტყვა რომ
ათქმევინა,
ვით მზე და მთვარე — ცად
აგამაღლათ? —
მე მხოლოდ თქვენი ღამის ჩრდილი
ვარ!

იქნებ სამყაროში ჩემამდეც უყვარდი?
მე კი ისე გადავდივარ მარადისობაში,
რომ ვერცერთ სიტყვას ვერ შევმატებ
გრძნობას, რომელიც ჩემს შემდეგაც
განმეორდება...

## ელეგია ზღვაზე

როდესაც ჩემი ბაგეების
შეხებას იგრძნობ
და სუნთქვა გამოგელევა —
მაშინ ბინდივით გადამაფარე
სიზმრების ფრთები...
ძლიერი ზვირთი შემოაღწევს
ჩემს არსებაში,
და როგორც ზეცის მაღალი ფსკერი,
მე ვიქნები შენი მკერდით
დაფარული. და სიყვარული
გადმოიღვრება ნაპირებიდან...
და სიყვარული გადაიქცევა
ვნების წუთებით სავსე მინდვრად...
სანამ შევიძლო და ამ გრძნობით,
ამ ნაყოფით ვიარო სავსემ?..
როცა მოაღწევს მშობიარობის
ნეტარი წამი,
შენგან, ზღვაო,
მე ვშობ სიყვარულს!
გადატანილი ტკივილები დამავიწყდება
და ჩვენი პირმშო
ათიათასჯერ შემოაბიჯებს
შენს სავსე მკერდზე
და მტევნებივით დაიწურები,
მის ფეხისგულებს შერჩება შენი
მკერდის სირბილე.
და ისევ იგრძნობ,
რომ დაიბადა ის სიყვარულით!
და მისი შუბლი —
გადახსნილი მთვარის ნატეხი —
შენს მკლავებში მოექცევა...
მას სასთუმალი ექნება გრილი,
ცრემლების — ჩვენი სიყვარულის
ფარული ნიშნის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ კაპანაძე

# გაქცევა

მინის ხუფის ქვეშ ბაყაყი აჭყეტდა თვალებს. ხშირ-ხშირად სუნთქავდა და ზურმუხტისფრად უბზინავდა სველი, მუქლაქებიანი კანი.

ბაყაყი ლისის ტბაზე დაიჭირეს და ახლა მაგიდას, რომელზედაც ხუფი იდო, მეცხრეკლასელები შემოხვეოდნენ. დასცქეროდნენ. ერთ-ერთი მათგანი ცდას ჩაატარებდა.

უსიამოვნო გრძნობას მოეცვა ყმაწვილები, მაგრამ სახეზე არც ერთს არაფერი ეწერა. მასწავლებელი კი იდგა და ელოდა. მოხალისე არ ჩანდა.

მაშინ მასწავლებელმა თავიდან გაიმეორა ყველაფერი. მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს, გაიღიმეს და გახევდნენ. მას კი ეჩქარებოდა. დღეს ექიმები განაჩენს გამოუტანდნენ მეუღლეს — სიცოცხლე თუ სამუდამო მიძინება, კუჭის სიმსივნე თუ მხოლოდ წყლული. თინა მასწავლებელმა შუბლზე მოისვა ხელი და მოწაფეებს გადახედა. ვინ არიან? შეუბილწავი სულების პატარა ლეგიონი? იცნობს მათ ფიქრს, შიშს, იმედს, დარდს, ქაოტიურ მისწრაფებებს, ჩუმ საუბრებს თავიანთ უსაიდუმლეს გრძნობებთან? თავად რას წარმოადგენდა? ჰგავდა სხვა პედაგოგებს?.. ძალაუფლებას შიშზე არ ამყარებდა და ყმაწვილებს ისე ეპყრობოდა, როგორც მომავალ პიროვნებებს. ერიდებოდა იძულებას და ცდილობდა გაკვეთილი ზოგჯერ მაინც პატარა ზეიმს დაემსგავსებინა, სასიამოვნო დღეს, სადაც ყველა მონაწილე, უმეტესობა მაინც, თანაბრად განიცდიდა სიხარულს, ცოდნის შეძენის მაცდუნებელ ილუზიას. მან იცოდა, ნამდვილი ცოდნა შემდეგ მოდის, მრავალი წლის მერე. მაგრამ ადამიანის სიცოცხლე, განსაკუთრებით მისი სიყმაწვილის მონაკვეთი, არ შეიძლება მთლად დაკარგულ დროდ რომ იქცეს. ამიტომ ცდილობდა. ზოგჯერ „თავისუფალ“ გაკვეთილს ატარებდა. ეს ცდაც სკოლის პროგრამით როდი იყო გათვალისწინებული... კიბო რაღაა, რა ბედენაა?

მის პირდაპირ ნიკო იდგა. თორმეტცამეტი წლის ბიჭის შესახედაობა ჰქონდა. სინამდვილეში თხუთმეტის გახლდათ, — ცარიელი ცხვირი და ცნობისმოყვარეობა. უკანა მერხზე იჯდა და კლასში თითქმის არ ლაპარაკობდა. გაუბედაობა — მისი ხასიათის განუყოფელი ნაწილი — ყოველთვის პატარა ტანჯვას ჰგვრიდა. მხოლოდ მშობლებს აღმერთებდა და პატივს სცემდა ამ მასწავლებელს. „რატომ აქვს დღეს ასეთი ნაღვლიანი გამოხედვა თინა მასწავლებელს?.. სახე დაღლილი, გულგრილი“.

ამ მურაზმა მეყსეულად წამოუარა. მუდამ სხვის ზურგს უკან იდგა. მაგრამ ახლა უცებ გადაწყვიტა თავის გამოჩენა. ამაღლება, პირველობა — მაგრამ მისი ამ ნაბიჯის მთავარი ტამარი ის გახლდათ, რომ სხვების პატივმოყვარეობა შეელახა. ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა აღარ განმეორდებოდა.

ნიკოს გული გამალებით სცემდა. სადღაც ყური მოეკრა, რომ არსებობს ნა-

ეროვნული

ხირი, ჯოგი, კლასი. მათგან განცალკევებით კი გმირი, დამრტყმელი, ჯგუფის ყოჩი დგას... გმირებს მოუხმობს საყვირი... „წინ, ნიკო!" თვალს დაუყენებს მატრაკვეცებს... ოღონდ უნდა გაბედოს.

— შეიძლება, მე გამოვიდე? — წამოსცდა ბიჭს.

— შენ? — გაუკვირდა მასწავლებელს.

— დიახ, — თქვა გაფითრებულმა მოწაფემ.

— რატომაც არა.

სულ ერთია. ნანდაური მოწაფეები არასოდეს არ ჰყავდა. როგორაა ნათქვამი? — ან ვიყო მოვის პერანგი, რომ გულზე დაგადნებოდე, ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდე.

— მაშ, შენ გამოდექი ყველაზე გულადი? — ჩამქრალი თვალებით გახედა მოწაფეს.

მაგრამ ამ განცხადებამ მაინც გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა თინა მასწავლებელზე. ჩაეღიმა.

ნიკო გაწითლდა და ღიმილზე ნაძალადევი ღიმილით უპასუხა. ლანდივით იდგა. ასეთი გაჩხიკინებული მეორე არ დაიარებოდა სკოლაში. ამიტომ აძალებდნენ სახლში საჭმელს. დედა შთააგონებდა, მთავარი მომავალია, მთავარია, მამაკაცი თავის დროზე მშოვნელი გახდეს. ამისათვის კი საჭიროა ჯანმრთელობა, მოთმინება და ზომიერება. გახსოვდეს, ცხოვრება ხშირად გარეწარივით გვექცევა. ამიტომ თუ შემოგთავაზებენ არჩევანს: ბულბული თუ ჩასუქებული კაკაბი, კაკაბს სტაცე ხელი. თუ ლატარიის ბილეთით ია მოიგე, ნიორში გაცვალე, ლექსს — ღერღილის ღომი ამჯობინე. ამბობენ, პოეზია სულის გზას ანათებსო, შეიძლება... ანათოს. სამაგიეროდ, ღომი სტომაქს ავსებს, და თუკი ხშირად მიირთმევ საცივთან ერთად, ისე შეეჩვევი, ისე გაამაყდები, რომ მალე სიბნელეშიც იოლად გაიკვლევ გზას... ასე იქცევა უმეტესობა, ასი კაციდან ოთხმოცდაცხრამეტი კაკაბს, ნიორს და ღერღილს აირჩევს. ოთხმოცდაცხრამეტი კი ყოველთვის მართალია ერთის მიმართ... დაიმახსოვრე... დაიმახსოვრა და ბევრ ჭამასაც შეეჩვია. ოღონდ წონაში უმნიშვნელოდ იმატებდა, მხოლოდ უბედური ცხვირი უგრძელდებოდა და უგრძელდებოდა.

ფრთხილად წამოსწია ხუფი და მეორე ხელი ბაყაყს ჩაავლო. ცხოველს ნამიანი, ცივი კანი ჰქონდა, ხუფი გვერდზე გადადგა და გათავისუფლებული ხელით ქინძისთავი აიღო, ქინძისთავი მოგრძო იყო და ზურგის ტვინის არეში უნდა ჩაერჭო. როდესაც საქმე დამში მოსულად ჩათვალა, ბაყაყი ხელიდან გაუსხლტა. გოგონებმა შეჰყვირეს და დაიქსაქსნენ. მასწავლებელმა სახე მოღუშა.

მიხომ, თვალები შუბლზე რომ აუფრინდა, თქვა:

— აირია მონასტერი.

ლოყებატკრეცილი ნიკო კი დაბნეული იდგა. მარცხენა ხელი, რომლითაც ბაყაყი ეჭირა, ისევ წინ გაეწვდინა. ვარდებით მოფენილ გზაზე აღარ ოცნებობდა.

— რას გაშტერებულხარ, დაიჭირე, — უთხრა მასწავლებელმა.

— ახლავე, — წაილუღლუღა ბიჭმა.

იყო დღეები, როდესაც გულგრილად შედიოდა კლასში. ახლა კი ეზიზღებოდა ეს ოთახი და ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გაქცეულიყო. „არ გადედლდე... მაშინ სახელს ვერ მოიხვეჭავ, თავისუფლებას ვერ ეზიარები".

— ხალათი გაიძვრე და გადააფარე, — ურჩია ერთმა გოგონამ.

— გამბედაობა მოიკრიბე, — შესთავაზა მეორემ.

ერთმა მუცლის გვრემა მოიმიზეზა და კლასიდან გავიდა.

— მაგისთან ვერც არსენას და ვერც კაკო ყაჩაღს ვერ მიუწვდება ფეხი, ასეთია ჩემი აზრი, — თქვა მიხომ.

მთავარია, მუხლი არ აუკანკალდეს და არ ჩაიკეცოს. მხოლოდ ცხოველები დგებიან ოთხზე... ეს რა ხათაბალაში ჩავარდი, ნიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაყაყმა ისკუპა. პარკეტზე მოხტუნავე, კიდევ უფრო შემზარავი ეჩვენა. ისევ ჩეროში ხომ არ დადგეს? ჯანდაბამდის გზაც ჰქონია მიწიერ დიდებას. ეს რომ კინოსურათში ან წარმოდგენაში ხდებოდეს, ადგებოდა და მართლაც მოუსვამდა. წიგნებშიც იტყუებიან. სინამდვილეში სად გაიქცევი?

— ნიკო, კუთხეში მიამწყვდიე და ისე დაიჭირე.

თავს ძალა დაატანა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. როდესაც ბაყაყი ხელთ იგდო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თითები მოუჭირა და მაგიდისკენ გაიქცა. წამიერად მის თვალებში ნაპერწკალმა გაიელვა. ამ გაელვებაში ძალა იგრძნობოდა. ბაყაყი ფიცარზე დადო და ხელი დააჭირა. მერე ქინძისთავი აიღო და კისერში მაგრად უჩხვლიტა...

როდესაც შინ დაბრუნდა, საპირფარეშოში არწყია. ხელ-პირი დაიბანა და გაბრაზებულმა ჩაიხედა სარკეში. ყოველთვის ისჯებოდა, როდესაც დედის რჩევას არ მისდევდა. გდებულიყო თავისთვის, სად ეჩხირებოდა? ყველაზე ახლობელი ქალი მის თვალში კიდევ უფრო ამაღლდა.

მეორე დღეს კიკეთში გაემგზავრნენ. ბურუსში გახვეული დახვდათ სოფელი, ცივი, განურჩეველი. ეს მხარე ნაკლებად იზიდავდა. მას ზღვა ხიბლავდა, ზღვა ატყვევებდა, რომელიც არასოდეს ენახა, ზღვა შორეული, მიუწვდომელი. სოფლებიდან კი მხოლოდ დილიკაურში უხაროდა გამგზავრება. მაგრამ ბოლო დროს დედა ველარ ეგუებოდა ბებიას და ზემო იმერეთში აღარ ისვენებდნენ. შეიძლება ამიტომაც არ ეჯდა გულში კიკეთი.

აივნიდან ქოროღლი ჩანდა. დიდებულიაო, ამბობდნენ მნახველები. შესაძლებელია. ოღონდ მთა დღეს ნისლში გახვეულიყო და შემოფარგლული თვალსაწიერი მთლად უბადრუკი ეჩვენა. ნიკო აივნის მოაჯირს დაეყრდნო. ეზოში დეიდა ნატო მამას ელაპარაკებოდა. ქალ! შავი სამოსი ეცვა, მეუღლე, გულმხია ული ძია ლევანი ქერჩთან დაღუპულიყო. პაპა ლავრენტი, სახლის პატრონი, საწოლიდან ველარ დგებოდა. თითქოს ამირანივით მიაჯაჭვეს, სამუდამოდ, უშეღავათოდ. ვინ იფიქრებდა მის წაქცევას. უეცრივ ჩაკეცილა მინდორში, ამირანივით გოლიათი და გულუბრყვილო. შეიძლება იდარდა ლევანის დაკარგვა?.. მარიკო სადღაა? სუსტი გოგონა სულ არ ჰგავდა სოფლელს. მისდამი რაღაც სიბრალულს განიცდიდა ნიკო, როდესაც დედა წყაროზე აგზავნიდა მარიკოს, ბიჭიც თან მიჰყვებოდა, გოგონას თავი შეურაცხყოფილად რომ არ ეგრძნო. ზოგჯერ ერთადაც თამაშობდნენ...

ნიკომ კეფა მოიფხანა. ნისლი და ყომრალი ღრუბლებით დაფარული ცა. და თბილისს, როგორც შენს საკუთარ ყურებს, ისე ვერ იხილავ სექტემბრამდე. ბიჭი ოთახში შევიდა. უმცროსი და თოჯინას არწევდა, საკვირველი ხალხია პატარა ჩერჩეტი გოგონები. თვითონ რა ქნას? მთლად რომ არ გაფუჭებულიყო, ბუზებს გამოუდგა. ზოგჯერ თბილისშიც ერთობოდა ასე, ბუზს სხარტად იჭერდა მარჯვენა ხელით, ცალ ფრთას მოაგლეჯდა და გაუშვებდა. „უსამართლობა და უნამუსობაა, ბუზი არწივივით ორ ფრთას რომ ატარებდეს... ფეთიანივით იხტუნავეთ ახლა, გიულარებო და ლაზლანდარებო“.

ეს რომ ეკამ დაინახა, უთხრა:

— ბოროტი ხარ.

მაშინ ნიკომ ნაწნავი დაქაჩა. დამ ენა გამოუყო. ვითარება დაიძაბა.

— ახლა შენს ყალთაბანდობას ბოლოს მოვუღებ, — გამჭოლ შეხედა დიდმა პატარას.

— მამას ვეტყვი.

— ერთს მაინც ჩაგაფარებ.

მერე ისევ აივანზე გავიდა, გადაიხედა და გახევდა. ვაშლის ხესთან მარიკოს მოჰკრა თვალი. როგორ გაზრდილა და როგორ გამოცვლილა ერთ წელიწადში. ცოცხალი მარიკოა, თუ მოჩვენებაა, სოფლის გოგოა, თუ ფერიაა?..

როდესაც ჩამოღამდა, სახელდახელოდ ივახშმეს. დედამ ქურთუკი მოა-

ხურა ნიკოს. მამამ პაპიროსის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან. ნიკოსაც შესთავაზა.

— ხომ არ ინებებთ?

— სიამოვნებით გავაბოლებდი, გული რომ არ მაწუხებდეს, — მიუგო ბიჭმა.

გაიცინეს. დედამ პატარა ეკას თავზე გადაუსვა ხელი და დასაძინებლად გაისტუმრა. მამა და ნიკო ერთ საწოლზე დაწვებოდნენ. სხვისი სხეულის მიკარება ბიჭს მაინცდამაინც არ ეხამუშებოდა. ყველას გვერდით შეეძლო წოლა — დედასთან, დასთან თუ ამხანაგთან. ხოლო მამის სიახლოვეს ყოფნა ახარებდა კიდეც. მშიშარა იყო, როგორც უმეტესი ყმაწვილი.

შუაღამისას გაეღვიძა. სიბნელეში თავიდან ვერაფერი გაარჩია. რამდენიმე წამით სამყაროსთან მხოლოდ ყურებით იყო დაკავშირებული. ქვემოთ, პირველ სართულზე, რაღაც დაძაბული, ხმადაბალი ლაპარაკი ისმოდა. მერე მამას მოჰკრა თვალი. შილიფად იდგა და ხელში რევოლვერი ეჭირა. სერაფიონი მომმარაგებლად მუშაობდა რომელიღაც სამხედრო დაწესებულებაში და იარაღს ხშირად თან დაატარებდა. დედა ლოგინზე წამომჯდარიყო. მხოლოდ ეკას ეძინა მშვიდად.

მამამ ტუჩებზე მიიდო თითი, მიახვედრა, კრინტი არ დასძრაო. „ნუთუ ყაჩაღებია?“ თავში გაუელვა ბიჭს. ყური მიუგდო, ვერაფერი გაარჩია. მაშინ ფრთხილად გადაიწია საწოლიდან და ნასვრეტებიან იატაკს ჰკიდა თვალი. არაფერი ჩანდა და მოეჩვენა, თითქოს შელახულ რეპროდუქტორში ისმოდა ხმები.

რატომღაც არ შეშინებია. თითქოს წარმოდგენას ესწრებოდა მოზარდ მაყურებელთა თეატრში. დედა და მამაც მსახიობები იყვნენ. რა ყინჩად უჭირავს რევოლვერი! დილით კი მეზობლები პირისახეს დაიხოკავენ. ვიგინდარები დაისჯებიან, ან გაძვრებიან, მიიმალებიან, როგორც სცენაზე. ბოლოს და ბოლოს ადამიანები გადაეხვევიან ერთმანეთს, საღ-სალამათად დარჩენას მოულოცავენ და ისევ ძველებურად გაგრძელდება სიცოცხლე. როდის მოიწყურება აგვისტო?

უცებ ნიკომ სიტყვები გაარჩია.

— მაგრად ჩაჩარე პირში, რომ არ იყრანტალოს, — თქვა ვიღაცამ დაბალი ბოხი ხმით. — შენ კი ზევით ახტი, დათირე იქაურობა.

— რა აზრი აქვს, მეორე სართულზე არავინ ცხოვრობს,

ერთხანობას ჩამიჩუმი არ ისმოდა. მამა გაქვავებული იდგა და კარს მიშტერებოდა. რევოლვერი წინ გაეწვდინა და სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. კიბეზე არავინ ამოდიოდა.

— დედაკაცო, ხმა ამოიღე, სად გაქვთ ოქროები? — მოისმა ქვემოდან.

დედამ მაგიდაზე, რომელიც ოთახის კუთხეში იდგა, ლები და საბნები დააფინა და მძინარე ეკა ფრთხილად გადაიყვანა. შემდეგ ნიკო აიყვანა ხელში და დის გვერდით დასვა. შედარებით მყუდრო ადგილი ჩანდა, სროლის შემთხვევაში ტყვიაც ნაკლებად მიაღწევდა.

— კი მაგრამ, დეიდა ნატოს არ მიეხმარებით? — გულუბრყვილოდ იკითხა ნიკომ.

— ეგ შენი საქმე არ არის, — მამას ყელი ამოხლანძვოდა და რაღაც საცოდავად დაპატარავებულიყო.

დედაც გაუწყრა ნიკოს:

— რას ჩერჩეტობ, ბიჭო! — შემდეგ ქმარს მიუბრუნდა, — ღმერთი არ გაგიწყრეს და ფეხი არ მოიცვალო.

— ერთხელ მაინც გაისროლე, — თითქმის ხვეწნით თქვა ნიკომ.

დიდხანს დაძვრებოდნენ ქვემოთ. ბიჭს კი მოსწყინდა და რულიც მოერია. როდესაც დის გვერდით წამოწვა, ქვემოდან ისევ შემოესმა ხმები.

— მოეშვი მაგას, ლობე-ყორეს ნუ ედები.

— ავიბარგოთ და გავშორდეთ აქაურობას... მატრაბაზობის დრო არ არის ახლა.

— ჯერ ამ გოგოს ვიხმარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯიგარ, ფათერაკს გადავეყრებით... მერე, ბავშვია...

— კაი, ბავშვია... შენხელა ცალი ბარძაყი აქვს.

უცებ ნიკომ გაიფიქრა, რომ სპექტაკლი დამთავრდა და რომ ახლა მსახიობები ნიღბებს მოიხდიდნენ და ნამდვილ სახეებს გამოაჩენდნენ. როდესაც უნიჭო მსახიობები სცენაზე სხვადასხვა როლებს ასახიერებენ, შეიძლება გაგეღიმოს. მაგრამ როდესაც ცუდი ადამიანები ალვირს აიწყვეტენ, შეიძლება მართლაც დამაჯერებელი და შემაძრწუნებელი სცენები შექმნან. წარმოიდგინა, რაც ახლა მოხდებოდა და შერცხვა. ასეთ საჩოთირო საკითხზე მათ ოჯახში გადაკვრითაც კი არ ლაპარაკობდნენ. როგორც სხვა ბავშვებმა, მანაც ქუჩაში შეიტყო ამდაგვარი საიდუმლოებანი. მალე კი ძალაუნებურად მშობლებთან ერთად მოწმე გახდებოდა სამარცხვინო ძალადობისა.

„ახლა კი გაისვრის მამა“.

ყურთასმენად იქცა. შეძრწუნებულს მაინც აინტერესებდა ის, რაც ქვემოთ მოხდებოდა.

— უჰ, შენი, როგორ ისვრის ტლინკებს...

„ახლა გაისვრის!“

მერე ყველაფერი მიწყნარდა. ბიჭმა ისევ გაახილა თვალები და მოიკუნტა.

— შენც მიდი, იშვიათი ვარიაა.

— მართლა?..

გარიჟრაჟზე გადაიკარგნენ.

— შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო, — თქვა მამამ და პაპიროსი მოქაჩა.

— მადლობა ღმერთს, რომ გადავრჩით, — დედამ ღრმად ამოისუნთქა.

— მოდი, იმ უბედურებსაც მივხედავ.

— აფრაკად ხომ არა ხარ, უკან რომ დაბრუნდნენ?..

— კი მაგრამ...

— არაფერი არ ვიცით, არაფერი გაგვიგონია... ამათ რო რამე დამართვოდათ, თავს მოვიკლავდი.

ნიკომ იცოდა, რომ დედა სიმართლეს ლალადებდა.

როდესაც სერაფიონი ქვევით ჩავიდა, ბიჭმა საბანი გადაიხურა თავზე. არაფერი დავინახო, არაფერი ვიგრძნოო.

შემდეგ შეიძლება ბევრი კითხვა დაუსვას თავს. შეიძლება ისე განვლოს წუთისოფელი, ერთი აზრიც კი არ დაებადოს. შეიძლება უმნიშვნელო წვრილმანებში ჩაეფლოს. ყველაფერი მოსალოდნელია. მაგრამ ახლა ერთადერთმა კითხვამ შესძრა: რა მოხდა, სინამდვილეში, რა დატრიალდა ქვეყნიერებაზე? შეიძლება კითხვაც არ იყო, შეიძლება ერთმანეთში აირია ტკივილი, სევდა, სინამდვილე, ნისლი, უხეშობა, იდუმალება, სიყვარული, უსუსურობა, გაწურჩევლობა?.. მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, მშობლები სუფთანი იყვნენ ყოველგვარი მწიკვლისაგან. თუნდაც ხმამაღლა იტყვის, იყვირებს...

გვარიანად გათენებულიყო, როდესაც ნიკომ თავი გამოჰყო საბნიდან. ეკას ეძინა და ღიმილი დაჰფენოდა სახეზე. ბიჭი წამოხტა, სარკმელთან მიიჭრა და გაიხედა. ყაჩაღებივით გამქრალიყო ნისლი, სხვა მხარისკენ გაეწია, მიმალულიყო. მზის სხივებში გახვეული დიდებული ქოროღლი, მარადიული ზურმუხტი მთები, სიზმარზე მეტად მსუბუქი და გამჭვირვალე სივრცე. გაჰყურებ და გიტაცებს სიამე ქვეყნისა. კრთომა, ტკბილი მოლოდინია დაღვრილი ირგვლივ. შეუძლებელია, სასიამოვნოდ რომ არ აძგერდეს პატარა გული. დილიდანვე ბურთს გააგორებს მინდორში, ისარს გასტყორცნის ცაში, დედას დაუფრთხობს ბარტყებს.

შემობრუნდა და ბიჭს მოჰკრა თვალი, ჩხირის სისხო მკლავებიანს, ფერმკრთალს. რატომ შესცქერის მქირდავი თვალებით?

— ვინ ხარ? — ჰკითხა უცნობს, — საიდან გამოტყვერი?

არ უპასუხა. ნიკო შორიდან დააკვირდა, მიახლოება ვერ გაბედა. თითქოს მას ჰგავდა. ოღონდ რაღაც არაამქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიური, ჰაეროვანი ჩანდა. „ვისი ტიკი-ტომარაა?“

— რას მომჩერებიხარ?.. არაფერი შეგეშალოს, ეს ჩემი ოთახია! — დასაშინებლად მუშტიც მოუღერა.

უცნობმა ბიჭმა აინუნშიაც არ ჩააგდო. დუმდა და უტიფრად შესცქეროდა. ნიკო მოუსვენრობამ მოიცვა. ფრთხილად დაიხია უკან, საწოლთან გაჩნდა, დაწვა და ისევ წაიფარა საბანი თავზე. „ამ ოჯახის კედელ-კუთხე, ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე“, — რამდენჯერმე გაიმეორა დედის საყვარელი გამოთქმა. მცირე ხანს გატრუნული იწვა. შემდეგ საბანი ნელ-ნელა გადაიხადა. უცნობი აღარ იდგა კარადასთან. თავისუფლად ამოისუნთქა და გაიღიმა. ეტყობა, წეღან მოეჩვენა. უწინაც შემთხვევია უცნაურობა. ერთხელ დილიკაურში საღამო ჟამს წისქვილთან ჯირკი ეშმაკად მოეჩვენა. მაშინ მთვარე ზანტად ანათებდა და წყლის ჩხრიალი ისმოდა... მაინც სულ სხვაა დილიკაური, ყვირილა და ძველი წისქვილი... დღესაც მსგავსი რამ განმეორდა, გაიფიქრა ნიკომ და მკვირცხლად წამოხტა.

ორჯერ ჩაბუქნა. შემდეგ რიგრიგობით მარჯვნივ და მარცხნივ გადაიზნიქა. მამამ შთააგონა დილის ვარჯიშის სიკეთე. როდესაც გასწორდა, ოთახის კუთხეში ბიჭის დამცინავ მზერას გადაეყარა.

— რა გინდა, რას გადამეკიდე? — იკითხა ნიკომ, — გამოგიწერო ქოთი?! „ერთი, დილიკაურში, წისქვილთან მომცა შენი თავი, მაშინ ნახავდი სეირს“. უკან-უკან დაიხია. საწოლის ქვეშ თუნგულა ეგულებოდა. მზაკვრულმა აზრმა გაუელვა თავში. მარჯვედ მოიქნევს დოქს და მოწინააღმდეგეს თვალის დახამხამებაში მოსპობს. მაგრამ გზადაგზა გადაიფიქრა განზრახვა, ხმაურზე დას გაეღვიძებოდა და ქვემოდანაც ამოცვივდებოდნენ. შესაშინებლად მაინც წაატანა ხელი დოქს. ორეული არ განძრეულა, ვერ დააფრთხო.

რაღაც უნდა მოემოქმედა. მაინც, რა? მანეთიანით რომ მოისყიდოს?.. არაფერი გამოვა, მიხოს არ ჰგავს...

„ნიკო, იფიქრე ბისკვიტზე, ბურთზე, თინა მასწავლებელზე... ხომ გიყვარს თინა მასწავლებელი?“

ამ დროს დედამ შემოაღო კარი. ხელში რძით სავსე ქოთანი ეჭირა. ოთახში შემოვიდა და ვაჟიშვილს გაუღიმა. ბიჭი შეკრთა. „გაარჩევს ჩვენ ორ შორის რიოშ ნიკოს?“ დედამ ქოთანი ფანჯრის რაფაზე დადგა. როდესაც შემობრუნდა, ნიკო გადაეხვია, იმ ბიჭის ჯინაზე მოეფერა, ლაწირაკის, რომელსაც ეჭვი შეჰპარვოდა მისი მშობლების კაიკაცობაში. დედამ თავზე გადაუსვა ხელი, პირი დაიბანეო. ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან და ნიკო ისევ პირისპირ დარჩა უცხოსთან.

მცირე ხნის შემდეგ გაქცევა გადაწყვიტა. ნელ-ნელა დაეშვა კიბეზე, სწრაფად გადასერა ეზო და შარაზე გავიდა. მზე კირჩხიბზე შესულიყო. მთიდან კი ნიავი უბერავდა, თავისუფალი, თავქარიანი, თავნება. ხის რტოები ირწეოდნენ, შრიალებდნენ ფოთლები. ჭანჭახში ბატები თავს იქცევდნენ, თან მედიდური იერით გასცქეროდნენ ქვეყნიერებას. ანაზდეულად ნიკოს მოაგონდა, რომ ორეული, გვერდში რომ ედგა, კიდევ ენახა სადღაც — სიზმარში, მინდორში თუ თავის პატარა ოთახში. შეიძლება ეს მოგონებაც მოჩვენებაა? ან უძილობის ბრალია. შუადღეზე გემრიელად გამოიძინებს და უცნობიც გაქრება. მაგრამ ის კი ცხადია, სადღაც, ერთი წამით მაინც, ამ უსიამოვნო ბიჭისთვის თვალი რომ მოეკრა... „გახსოვს, შარშან მამამ ძეხვი მოიტანა საიდანღაც. მერე ყური აგიწია, კლასის ამხანაგს რატომ გაუნაწილეო...“

— მიმიფურთხებია შენთვის, — სწრაფად შემობრუნდა ნიკო და უთხრა ორეულს, — გგონია, მამაჩემი დამნაშავეა?.. მაგრად მიმიფურთხებია.

მაშინვე მეზობლის ეზოში მამას მოჰკრა თვალი. დედაკაცს ელაპარაკებოდა და ხელებს იქნევდა... „ნუთუ ლაჩარია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სისხლი აქვს ბაყაყისებური?.. ბაყაყისებური...“

რატომ იქნევდა ასე ბრიყვულად ხელებს? რა აწუხებს?.. ნიკომ მკერდი შეუშვირა ნიავს და თავი ჩაქინდრა. ბაყაყი მოაგონდა და რატომღაც ესიამოვნა, ცდა მან რომ ჩაატარა და არა სხვამ. გულს ახარებდა ამაზე ფიქრი. დაღმართზე დაეშვა. ქვემოთ გუბე ეგულებოდა.

გუბეში მყვარი გამოიჭირა. „ერთი მყვარი დაემძობილა ბიჭსა... არა, მყვარო?.. ის ბიჭი ყანჩა გამოდგა, ბაყაყიყლაპია...“ რაც ძალ-ღონე ჰქონდა მოჰქაჩა ფეხში. ვერ მოაგლიჯა კიდური. ისევ ზიზღს ჰგვრიდა ცხოველი, როგორც მაშინ, კლასში, ოღონდ ახლა სურდა, რომ ეს გულისამრევი განცდა კიდევ უფრო გამძაფრებულიყო, უფრო შემზარავი გამხდარიყო, უზარმაზარი, ყოვლისმომცველი. ეს დაავიწყებს წუხანდელ სიზმარს, სამუდამოდ ამოაგდებს მეხსიერების ყუთიდან, გაუქარწყლებს წინათგრძნობას, რომ სიცოცხლე მხოლოდ სუნთქვა, სმა-ჭამა, გაკვეთილების დაზეპირება, თავაზიანი მისალმება ან ბურთაობა როდია.

ნიკომ წვეტიანი ქვა მოძებნა და ბაყაყს გამალებით დაუშინა. როდესაც ორად გაგლიჯა, ერთი ნახევარი აჩრდილს გადაუგდო.

— ახლა მომწყდები თავიდან?

თმაგაწეწილი იდგა და თექვსმეტი წლის ყმაწვილის შესახედაობა ჰქონდა.

კარგა ხანს იდგა.

ვერ მოიშორა თავიდან ის უცხო, ვერც უცხო გრძნობა.

მაშინ გაიქცა. დილიკაურში გარბოდა?

# ფოსტის გამგის ფერისცვალება

მალაქიამ კოპიტის ტოტები ფრთხილად გადასწია და გაიხედა.

ღელეში ლეონინა იბანდა ტანს. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ ქალის ქათქათა სხეულზე წყლის შხეფები ხმაურობდნენ საოცრად, გამაოგნებლად. აქეთ-იქით კი მარგალიტის მარცვლები იბნეოდნენ. მზის სხივები ძლივს ატანდნენ ოდნავ მოძრავ ფოთლებს შორის და ირგვლივ წყლის, ნეშოს, ხეებისა და ველური ყვავილების სურნელება დაფრქვეულიყო. გამარინდებელი იყო ეს სიმყუდროვე. უცებ სადღაც კოდალამ ატეხა კაკუნი. რაღაც უჩვეულო, სასიხარულო წამი დგებოდა ქვეყანაზე.

ხავსმოკიდებული ლოდები და მათ შორის დაკლაკნილი ნაკადული, ხახამა, დუმფარა, გვიმრა, ანწლი, ზღმარტლი, მაყალო, პანტა, ბირკაბირკა... და სისხლითა და ხორცით სავსე ქალის სხეული... ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ღელეს ჩიტი ჩამჯდარიყო.

როდესაც ლეონინა შემობრუნდა, ფოსტის გამგემ ველარ გაუძლო, თვალები მოხუჭა და ხეს მიეყრდნო. უპირველეს ყოვლისა, სინანულმა მოიცვა, ასე იშვიათად რომ ამოდიოდა ღელეზე ტანის დასაბანად. შემდეგ სევდა-ვარამი დაეუფლა, მწუხარების ყველაზე მტკივნეული ნაირსახეობა, საკუთარი თავის უგუნურობისა და უმეცრების აღმოჩენა, თვალნათლივ დანახვა. „მალაქია, დაგეფსო თვალები, უჭკუო კაცის მნახველსა, რა მოაშორებს ნაღველსა?“

როდესაც გამოფხიზლდა, დაინახა, რომ ლეონინა ნიგვზის ფოთლებით იმშრალებდა ტანს. შემდეგ გახუნებული კაბა ჩაიცვა, თავზე ნაჭერი წაიკრა და მხარზე თეთრეულით ავსებული ტაშტი შეიდგა.

ხიბლი გაქრა. მაგრამ სამუდამოდ დარჩა მოგონება და სასიამოვნოდ მტკივნეული, მოუშუშებელი ჭრილობა.

მალაქია საფარიდან გამოძვრა და გულუბრყვილო იერი მიიღო. ცაცხვის ხიდან ქორი აფრინდა. საით, მშვენიერო მტაცებელო? თვალი გააყოლა და ჯიბი-

დან პაპიროსი ამოაძვრინა. ოდნავ უკანკალებდა ხელი. ბილიკზე ქრონიკული შიმშილით შეწუხებული, კალენიკეს კუდამოძუებული ბახულა გაძუნძულდა, ლეონინას ჩაურბინა და გაუჩინარდა. ლეონინამ მალაქიას უთხრა:

— გამარჯობა, მალაქია.

— გაგიმარჯოს, ლეონინა, — კაცმა შნოიანი და მრავლისმეტყველი მზერა შეაგება.

ქალმა წენგოსფერი თვალები შეანათა:

— გასაგრილებლად მოდიხარ?

— აპა, სალაბუცოდ ხომ არ ამოვიდოდი, შე ქალო?

— უი, რავა გეკადრება... აპა, წავედი.

ლეონინა გზას გაუყვა, ჩვეულებრივი ლეონინა, ყოველდღიური.

— ლეონინა, — დაუძახა მალაქიამ.

— რა იყო?

— შენს ადგილზე, ყოველდღე ამოვიდოდი ღელეზე და წყლიქვეშ დავდგებოდი დიდხანს.

—რავა?.. რას ბლიყინებ, ვერ მიგიხვდი.

-- რაა მისახვედრი?!

ერთხანობას ლეონინა გაყუჩებული იდგა. მერე აილანძა, ტაშტი ძირს დადგა და იწივლა:

— უი, შე ჭლექიანო, შე მუნიანი ტურების დასაგლეჯო.

მალაქიამ გააბოლა, ყურის ბიბილო მოისრისა, პაპიროსი მიწაზე დააგდო, ფეხით გასრისა და თვალმოჭუტულმა გახედა მეზობლის ქალს.

—ქალო, ქალო, კვანწია, თეთრი კაბა გაცვია... ლეონინა, წელზე ნიკოლოზის მანეთიანისხელა ლამაზი ხალი რომ არ გქონდეს მიტყეპნილი, არ შეგარჩენდი მაგ სიტყვებს.

— უი, შე გაგრია, შე შუბლგარეცხილო, შე დასამიწებელო!.. ამოწყდი, აშენდი... არა, მაპატიე, ამოშენდი, შეჩვენდი!.. მიშველეთ! მიშველეთ!

მალაქიას ერიდებოდნენ სოფელში. მატაროცი გახლდათ, უთქმელის წამთქმელი, მწლაკვე ენის პატრონი, გამქილიკებელი. მათრახივით ხმარობდა, უპატრონო, ობოლ სიტყვებს. იმ [illegible] ისე გააწბილა ვასილა, რომ ამ პატიოსანმა კაცმა მთელი სამი დღე ასლოკინა. ვასილა ისტორიას, ბოტანიკას და გეოგრაფიას ასწავლიდა სოფლის სკოლაში. იმ დღეს მშვენიერი საღამო იდგა, გრილი, მშვიდი, ნაზად დაბინდული და ციცინათელებით დამშვენებული. სოფლის რამდენიმე მკვიდრი წყლის პირას იჯდა და ტკბილად საუბრობდა. ვასილამ ზურგი მოიფხანა, გრიგოლამ დაამთქნარა, მთვარეც ამოვიდა და მწუხრი მშვიდობიანად უნდა დამთავრებულიყო, რომ უეცრივ მალაქიამ აიტეხა, დედამიწა ბრტყელიაო, ფოსტის მარკასავით ოთხკუთხედი ფორმისაა და გარშემო წყალი არტყია, წყალი, მარა რანეირი, უზარმაზარი... გეოგრაფიის მასწავლებელმა წაუყრუა. გრიგოლამ, ორი თვის წინ სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ გამოუცხადა მაგარ სასმელებს, თქვა: „ცდები, აფხანაკო, დედამიწა ჭურის ფორმისაა“. მაშინ გეოგრაფიის მასწავლებელმა ველარ მოითმინა და იუკადრისა, დედამიწა მრგვალიაო. შემდეგ წვეტიანი ისარიც სტყორცნა ორთავეს, ეს ყველა მესამეკლასელმაც კი იცისო. მრგვალი რომ იყოს, ნიშნის მოგებით მიუგო მალაქიამ, შავი ზღვა გადაიქცეოდა და თურქებს დიდი ხანია წალეკავდაო. „გევიდა წვეროში“, — თქვა ვასილამ. „ბურთის ქვედა მხარეზე მყოფი ადამიანები კი ცაში გაფრინდებოდნენ, — მშვიდად გააგრძელა მალაქიამ, — რადგან კაცი ხე როდია, ფესვებით რომ იყოს მიმაგრებული მიწას“. „წორია“, — კვერი დაუკრა გრიგოლამ. „ჩუ! — იყვირა ვასილამ, — ქარაფშუტობას არ აჰყვეთ, სჯობია, პირში წყალი ჩაიგუბოთ ან ბოქლომი დაიდოთ ტუჩებზე. მოკუმულ პირში ვერც ბუზი შეფრინდება და ვერც სიჩერჩეტე გამოხტება... არავინ გაგიგოთ, თავი მოგეჭრებათ“. მაშინ მალაქიამ სევერიანეს საზამთრო მოატანინა და ხელში ჩააჭერინა. საზამთრო-

ზე თხის კურკლი დადო. „ეს შენ ხარ“, — უთხრა ვასილას. ვასილას ეწყინა და ინდაურივით გაიფხორა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. „მართალია, მოგზაურობა არ გიყვარს, მაგრამ, ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს ნამუსმა შეგაწუხა, როგორც გეოგრაფი და გზას დაადექი... რა მოხდება მაშინ?“ მალაქიამ კურკლი საზამთროს მოპირდაპირე მხარეზე გადააადგილა. მერე ხელი გაუშვა. „აი, ასე მოსწყდებოდი, დედიკო, მიწას და სამუდამოდ გაუჩინარდებოდი“. „წყალი არ გაუვა“, — თქვა გრიგოლამ. — ახლა დარწმუნდი, რომ დედამიწა არ შეიძლება მრგვალი იყოს?“ ვასილა მაინც არ დაეთანხმა. „გაშანშალებული ჭორია და ახლავე გაგაკრავთ სამარცხვინო ბოძზე, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რადგან აგნოსტიციზმის პლატფორმაზე დგახართ და ვულგარული გეოგრაფიის თაყვანისმცემლები ბრძანდებით“. „ბულგარული კიტრი ჯიშიანია“, — დასძინა სევერიანემ. „რა შუაშია კიტრი?!“ — იყვირა გეოგრაფიის მასწავლებელმა. „იმ შუაშია, რომ... მარტოთუბნის კარტოგრაფია თუ გაქვს შედგენილი?“ — იკითხა მალაქიამ. „მე მსოფლიო გეოგრაფიას ვასწავლი ბავშვებს“. „ამაშია მთელი უბედურება, ვასილა... მარტოთუბნელ ბალღებს ვიდრე აპენინების და ჰიმალაის ადგილმდებარეობას ასწავლიდე, ჯერ მშობლიური სოფლის მთა-კორტოხები, ხოდაბუნები და წყაროები უნდა აჩვენო, ფეხით მოატარო ჭალები და მინდვრები, ღრანტეები და ფერდობები... აპა, თუ მეტყვი, საანაა ყვირილას სათავე?... აპა, თუ დამისახელებ იმ ადგილს ზემო იმერეთში, საიდანაც ორი ნაკადული იწყება, რომელთაგან ერთი შემდეგ შავ ზღვაში ეშვება, მეორე კი კასპიის ზღვაში... ვასილა, შეიძლება სადმე კიდევ წააწყდე ესეთ სასწაულს, თუნდაც ედემის ბაღში?.. მისისიპის ან ნილოსის არსებობა თუ არ იცის ჩვენებურმა კაცმა, დიდი უბედურება როდია. უბედურება ისაა, ერთხელ მაინც თუ არ დაგიყვინთია ყვირილაში, ძირულაში ან რიკოთულაში“. „ორი ერთს მესტაკეთ ხომ?.. მაგრამ იცოდეთ, — არ დაგნებდებით და სიმართლისათვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდის ვიბრძოლებ... ხოლო ბოლოს და ბოლოს, რას ამიხირდით?! — წამოხტა გაბრაზებული მასწავლებელი, — ბოლოს და ბოლოს, გეოგრაფიას შეთავსებით ვასწავლი, ჩემი ძირითადი საგანი ბოტანიკაა“. „მოგეცა ლხენა, ესეც უბედურებაა, ყველაფერს რომ მივედ-მოვედებით... არც ბოტანიკის ინჩიბინჩი გესმის... სინამდვილეში გლეხი ხარ და ყაზახად რომ დარჩენილიყავი, შენისთანა სანდომიანი და ბრძენი მეორე არ იქნებოდა მარტოთუბანში. კაცი მაშინ ფუჭდება და გლახაკდება, როდესაც მისთვის შეუსაბამო ადგილს, თანამდებობას იკავებს. მაშინ მიმართავს ხრიკებს და სამარცხვინო ილეთებს... კაი კაცი ხარ, პატიოსანი, ჩერჩეტი და კეთილი... დედამიწა კი ბრტყელია. გარემო ისეთი სახით უნდა მიიღო, როგორც სინამდვილეშია. სად გინახავს მომრგვალებული ტბა ან ველი? არაწრფელი დამოკიდებულება ხალას ბუნებას შეურაცხყოფს. ამიტომ დროზე უჩვენე ბრანწი ტყუილს“. „დედამიწა მრგვალია, ფოსტის გამგე მოწინავე შეხედულების ადამიანი უნდა იყოს. ხოლო თუ არ გადათქვამ, სასამართლოში გიჩივლებ“. ბევრი იპაექრეს და ლანძღეს ერთმანეთი. ერთი ორჯერ თითქმის ისე მოიქცნენ, როგორც ორღობის ძაღლები. ვასილას ლოყაზე ორი კურცხალი გადმოუვარდა და სლოკინი აუვარდა. მაგრამ ბოლოს მაინც შეარიგეს, რადგან შეუძლებელია თანასოფლელები მტრად იქცნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ერთს მრგვალი ფორმა იზიდავს, მეორეს კი ბრტყელი. „საერთოდ კი, — დასძინა სევერიანემ, — დიდი მოწყენილობა და სიტუტუცე დამყარდებოდა დედამიწაზე, ყველა ერთ აზრს რომ იზიარებდეს და შავი ყოველთვის შავად ეჩვენებოდეს, თეთრი კი თეთრად... მითხარით, რა კაცია ის კაცი, რომელსაც ეჭვი არაფერში ეპარება. მაშინ კაცობრიობა ვერ შექმნიდა პირამიდებს და მფრინავ ხა-

ლიჩებს, ხელოვნურ ხიზილალას და დაშაქრულ ღვინოს“. გადაწყვიტეს ამ საპაექრო საკითხზე გეოგრაფიის ინსტიტუტში გასაგზავნად წერილი გაეშანშალებიათ. პასუხს მოთმინებით დალოდებოდნენ. მანამდე კი თავი შეეკავებიათ უპატივცემლო გამოხდომებისაგან და ერთმანეთს ისევ დარბაისლურად მოპყრობოდნენ. მერე ავი ქარი ამოვარდა და წავიდ-წამოვიდნენ...

მალაქიამ ზურგი შეაქცია ლეონინას და აღმართს აუყვა. კაცი სოფელში ეძებს განმარტოებას, მოფარებული ადგილისაკენ მიისწრაფვის, მიეშურება.

ჩერო მოძებნა და წამოწვა.

იქვე, შორიახლოს, ჭრელი პეპელა დაფარფატებს, შავწინწკლიანი ჭიამაია დედას დაეძებს, სხარტი ხვლიკი ქვებს შორის სხლტება, ღელის წყალი მირაკრაკებს დაქანებულზე, ქორი წიწილას მიაქროლებს გაღმა ტყეში. ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ მაღლა, ჰაუ, მალაქია, ნუ პეიტრობ, წაუძინე, რა მოხდა, თუ მეზღვაური ვერ გახდი. ხვითო არ არსებობს, სამყაროსავით მოგონილია. დიდი ქალაქებიც დიდი ბედენა როდია. არ აგისრულდა წადილი, მოტყუებული დარჩი?.. წაუძინე, გაგივლის... გახსოვს, ერთხელ, შემოდგომაზე, ენკენისთვეში, ურემზე დაგდებული მკვდარი მამა რომ შემოიყვანეს ეზოში?.. რამდენი წლის იყავი მაშინ?.. თორმეტის... მამა უმცროს ძმასავით გეპყრობოდა, ოცი წელი განსხვავება თითქმის არაფერია. ერთად დადიოდით ტყეში, ყანაში, წისქვილში. დანა დაარტყეს შორაპანში და მეზობლებმა მეორეს დღეს ამოიტანეს სოფელში. მაშინ შუშის თვალებით შემოგხედა საბოლოოდ და სამუდამოდ შეგირყია მოუმწიფებელი, მოუმზადებელი სული... ეშმაკმა დალახვროს, რას არ უძლებს ადამიანი! ორი წლის შემდეგ ჭლექით დასნეულებული დედა გარდაგეცვალა ჭიათურის საავადმყოფოში. ახლა კი გაჯიბგირდება, თქვენ თანასოფლელებმა. მაგრამ ამით თავიანთი უმეცრება გამოამჟღავნეს. გაუძელი. ოღონდ, ვინ იცის, რა არის უბედურება, მაგნიტია თუ ჭაობი? ერთხელ ფეხი ჩაგითრია, არ შეგეშვება. თექვსმეტი წლისამ ჯოყოეთთან მარჯვენა ხელი დატოვე, შეხტომისას საბარგო მატარებლის ვაგონის ქვეშ ჩავარდი და იდაყვზემოთ გადაგიარეს ბორბლებმა. დროა მკურნალი? ალბათ არა, თვითონ ადამიანია ექიმი და ჯადოქარი. ხოლო თუ ბედი ბოროტია, სამაგიეროდ ხალხია კეთილი, ორიოდე კაცი მაინც. ფოსტალიონად დაგნიშნეს. შემდეგ გამგე გახდი. რემა, ფარა და ნახირი არ გაგაჩნდა, ზღვა, გემები, კუნძულები გაქრნენ, და დაგრჩა ჩუმი, უცნაური სევდა და ტანჯვა. გაბოროტდი კი? ცოტათი, ალბათ... მაგრამ დღეს რაღაც შეიცვალა, რაღაც სხვანაირად აფორიაქდი, მშვენიერმა სხეულმა სულ სხვანაირად დაგანახა სამყარო, მისი სამკაულები — ქორი, ჭიამაია, წაბლი, ბახულა, ყვირილა და უზარმაზარი თვალი პატიოსანი — ადამიანი... სილამაზე, მშვენიერება გვიხსნის... ჰაუ, ბუნებით მეკობრე მალაქიავ, წაუძინე, გაგივლის...

წაუძინა.

როდესაც წამოჯდა, გაიზმორა. მზე დასავლეთისკენ გადაწვერილიყო. მდორე წყალში თავკომბალებს მოჰკრა თვალი. „ხომ არ გამოვუდგე? — გაიფიქრა მალაქიამ, — ღირს კი, დაიბრუნებ უკან ამით იმ წლებს?“ დიდი ხანია მიხვდა, რომ მოთმინება და ბედთან შერიგება საიმედო იარაღია მამაკაცისთვის, ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანისათვის, რომელსაც ცალი ხელი აკლია.

წყაროსთან გრიგოლას და სევერიანეს გადაეყარა. ორი მარტოთუბნელი სეირს უყურებდა და იღრიჭებოდა... ძიძგი-ძიძგი, მამალა!.. უთანასწორო იყო ბრძოლა. თუმცა არა, ბრძოლა არ ყოფილა. დიდი, დონდროხა ჭრელი მამალი დაუნდობლად კორტნიდა მამლაყინწას, გამხდარს, უჯიშოს. გაქცევას ცდილობდა და ვერასგზით ვერ ახერხებდა. ძალიან შეფერთხილი გამოიყურებოდა. წელან,

რამდენიმე წუთის წინ, ღობის ქვეშიდან გამოძვრა და პირისპირ შეეჩეხა უბედურებას. არ მოელოდა აქ თავის მტერს. დაბნეული, დარეტიანებული საცოდავად წრიალებდა ერთ ადგილზე. სასიკვდილოდ უნისკარტებდნენ. მალაქიამ ფეხი მოუქნია მამალს. ფრინველმა დაიფრთხიალა, განზე გახტა და გაკვირვებულმა გამოხედა. ამასობაში მამლაყინწამ დრო იხელთა და მიიმალა. ჭრელი მამალი კი ერთხანობას გაქვავებული იდგა, შემდეგ ყიყლიყო დასძახა და ამაყად გასწია თავის ჰარამხანისკენ. აკაკანებული დედლები თანდათან წყნარდებოდნენ. როდესაც მალაქია წავიდა, გრიგოლამ აზრი გამოთქვა:

— რაღაც ძველებურად არ გამოიყურებოდა. ეტყობა, ბზიკმა უკბინა ერთ ადგილზე.

— ხი-ხი-ხი, — ჩაიცინა სევერიანემ და წითელი ღრძილები გამოაჩინა.

— არა, რავა მშვიდობის მტრედივით გაიფხორა.

მალაქია აგურის სახლთან შედგა. ვასილას ბიჭი ჭიგოს თლიდა ეზოში. ღიღინებდა.

— მშრომელებს დიდება, — დაიძახა მალაქიამ.

— გამარჯობა, ბიძია, — მკვირცხლად უპასუხა ბესომ, — შემობრძანდით... კიკინასი არ შეგეშინდეს, არ ირქინება.

გამოპენტერებული თხა შუა ეზოში იდგა.

— მამაშენი სახლშია?

— კიე.

— გამოუძახე.

— ახლავე, ჩემო უფროსო.

ვასილას არ ეჭაშნიკა მალაქიას დანახვა. უსიამოვნო ჟრუანტელმა დაურბინა ტანში.

— უჰ, როგორ გამახარე, შემობრძანდი, რას გაკვეხებულხარ მაგ ორღობეში.

მალაქია ეზოში შევიდა. წუმპეში ამოზუნზლული ღორი ბიის ხეზე ზურგს იფხანდა გამალებით. „აუჰ, რა მწვადები გამოვა!“, — ნერწყვი გადაყლაპა ფოსტის გამგემ.

— საქმე მაქვს შენთან, — მალაქიამ თავი მოიქექა.

— რა საქმე? — იკითხა დაეჭვებულმა გეოგრაფიის მასწავლებელმა და შვილიშვილი მიწაზე დაუშვა. „რაცხა ოინს მიმზადებს... ისევ ამიხირდება, მაგრამ ახლა აღარ მოვუთმენ, გლობუსს გამოვუტან“. ვასილა ტუჩების კვნეტას მოჰყვა. „შაკიკი ხომ არ მოვიმიზეზო?“

ამ ორჭოფობაში რომ იყო, საიდანღაც ბახულა გამოვარდა, ვასილას სამი წლის შვილიშვილს ხელიდან მჭადის ნატეხი გამოსტაცა და მოუსვა. ატყდა ალიაქოთი.

როდესაც დაშოშმინდნენ, ფოსტის გამგემ გეოგრაფიის მასწავლებელს უთხრა:

— უბადრუკი გარეგნობის მიუხედავად, მაინც ოქროსავით ხალასი ხარ.., მომწონხარ, სიმართლეს რომ არ გაექეცი და გამოქვაბულში არ დაიმალე.

— რა მოხდა, ადამიანო? რა მოგელანდა?

— ეხლა უფლება გაქვს, ტყეში ფიჩხი მობოჭო, რიყეზე გამოიტანო, ცეცხლი დაანთო და დამწვა... გრიგოლასათვის რომ შემეტია, მაშინვე კუდს ამოიძუებდა და ნამამაძაღლარ ღვინოს მიეტანებოდა, ვითომ დარდის გასაქარვებლად. პირდაპირ გეტყვი, შენ კი მოვალეობას არ უღალატე და მტკიცედ დაიცავი ობოლი დედამიწა.

— რაცხა ცუდი ფერი გადევს, მალაქია.

— ჯანდაბას ჩემი თავი, დედამიწა იყოს საღ-სალამათად.

— რა მოხდა, მაინც?

— დედამიწა მრგვალია, ცამდე მართალი ხარ.

— რავა, წერილი მიიღო სევერიანემ?

— არა, ჩემით მივხვდი... მოკლედ, ხაბურზაკია.

—აგაშენა ღმერთმა, მარტოთუბანშიც შემოვიდა სინათლე და განათლება, — გული აუჩუყდა მასწავლებელს.

— ასეა, წყვდიადს ნათურა ენაცვლება, ჭირს — ლხინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი სურვილი მაქვს, გადაგეხვიო. მალაქია გადაეხვია.

— ასეც ვიცოდი, — თქვა ვასილამ. — გონებით დაჯილდოებული რომ იყავი, ისეთი ვაჟკაცი, რომ მეტიც არ შეიძლება. ყველა იმედი გაამართლე... ახლა კი ჩემი ალალი გულით სასწრაფოდ ჰურისთავზე გპატიჟობ.

— რა მეთქმის, მხოლოდ ამას დავძენ, ჰურისთავიც მშვენიერებაა... წამიძეხი წინ.

მუნმა ქავილი იცის, აურაცხელმა გაჰირვებამ — ცხვირის წაწვეტიანება, ღორის მწვადმა — ნერწყვის ყლაპვა (წარმოდგენათა ასოციაციის ჟამსა), იმერულმა ცოლიკაურმა კი — გულის გადაშლა, ტკბილი მასლაათი და ეშმაკივით ამჩატება.

ღვინოს წრუპავდნენ და თვალებში შესციცინებდნენ ერთმანეთს. ყოვლის უწინარეს მშვიდობა შეაქეს და ომი აძაგეს. მერე ახსენეს მსწრაფლწარმავალი დრო, ეტლის სიმუხთლე. ადღეგრძელეს წინაპრები. შიგადაშიგ ვასილო ვირეშმაკულ კითხვებს აძლევდა მალაქიას. ფოსტის გამგე გულღიად პასუხობდა. იმ საღამოს მეზობლის ყველა საიდუმლო შეიტყო მასწავლებელმა, გარდა ერთისა. რამდენი არ უტრიალა, მაინც ვერ გამოსცინცლა ფოსტის გამგეს საოცარი და სასიამოვნო ფერისცვალების მიზეზი.

ძალიან მოილხინა ვასილამ. ისე დაარხეინდა, რომ ბოლოს იკითხა:

— ბიჭო, მართლა ჰურის ფორმის ხომ არ არის დედამიწა? რაცხა ძალიან სასწაულმოქმედია ეს აპიპინებული ეშმაკის ჰურჭელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გენო კალანდია

### შამგონა

(ბიოგრაფიული)

პატარა კუნძულია შამგონა, —
პატარა, ცისფერი კუნძული.

გვიმრის ფოთოლზე უდევს ზურმუხტი,
ალუბლის შტოზე — მთვარის პერანგი...
და ჩალისფერი ტოტი მდინარის
მკერდზე მიუკრავს...

თვალებში სევდა ჩასდგომია კოლხი ქალივით.

პატარა კუნძულია შამგონა, —
პატარა ცისფერი კუნძული.

●

ისევ საქართველოა
თქვენი გულის მკურნალი,
ისევ ისე ბრძანდებით
სიტყვის ხელისუფალი.
ისევ მიფრთხიალებენ
ზვირთნი ფაზისისანი,
ლიხით ისევ მიფრინავს
შვიდი ჭრელი ციცარი.
ისევ წყვდიადს მიარღვევს
თქვენი თეთრი ბაიდა,
ისევ ისე გახარებთ
„ურაიდა-რაიდა“.
ისევ შარიშურობენ
შქერის ლურჯი ფოთლები,
ისევ ისე შფოთავენ
ახალგაზრდა მგოსნები.
ისევ ძიძგილაობენ
შარშანდელი მამლები,
ისევ ერთად არიან
ქრისტეს შთამომავლები.
ისევ ელაციცება
ირმებს წყნეთის ნიავი,
ისევ მიქრის მხედარი
თვალებნაპერწკლიანი.
ისევ საქართველოა, —
თქვენი გულის მკურნალი,
ისევ ისე ბრძანდებით
სიტყვის ხელისუფალი.

### მწუხრის ბალადა

ზაზა ჯანელიძის ხსოვნას

წაგიგია სიცოცხლე, წაუღიათ ძლვნად...
მხოლოდ ქვიშის საათი, მხოლოდ მწუხრის გზა.

ჩაგეშრიტა თვალები, დაგეკარგა ხმა,
არ გექნება საშველი, არ გექნება ხსნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ქვიშის საათი,
მხოლოდ მწუხრის გზა.

როგორც ორი იმედი, როგორც ორი ფრთა,
აქეთ-იქით დამდგარა ორი მორჩი და.

დაწყევლილი მშობელი მისდევს ემმას კვალს,
ვეღარ აღებს წყვდიადის გაქვავებულ კარს.

სოფლის სიბრძნე-სიცრუეს დასდებია მტლად,
ფრთამოტეხილ ჩიტივით მარტოობა კლავს.

ჯავრის ახალ ხელეურს ზეზეულად კრავს,
საფლავის ქვას იხუტებს, როგორც უფლის კრავს.

უიმედოდ გასცქერის წუთისოფლის ცას,
თიხის ძველი ჯამიდან შხამს და ბალღამს სვამს.

მარჯვნივ შავი ხრამია,
მარცხნივ — ცრემლის ზღვა,
მხოლოდ ქვიშის საათი,
მხოლოდ მწუხრის გზა.

●

მზე ნეკერჩხლებში ჭახჭახებს,
ღუის ძოწისფრად ველი,
ცხენის ტახტაზე ჰკიდია!
ღრუბლის ფარდაგი ჭრელი.

წითლად ლაპლაპებს მდინარის
სველი ლაჟვარდის თვალი,

გადაღმა შენი სახლია
ჩემთვის დახშული კარით.

მიდის და მიიზლაზნება
ჩემი ცრემლების მტკვარი.
გადაღმა ვარდის ბაღია
ფიჭვის ცისფერი კვარით.

●

მზე გაუჯდება ტანში ბროწეულს, —
თმები — ალმური, ბაგე — სოველი,
და ჩამოდგება ვერცხლის წყაროსთან
სველი თუნგებით მთელი სოფელი.

მზეს ჩამოიღებს ციდან მახარე, —
არშიყი ძველი, თვალუკრთომელი,
და დევკაცივით წყლისპირ ხარხარებს
ზაფხულის ხვატით მთვრალი სოფელი.

●

### მცირე ელეგია

როდესაც გულზე დამაკვდება საღამო ჩუმად,
როდესაც ფართოდ განიხვნება ქვესკნელის კარი,
გთხოვ,
ჩემი სული ეძიო ცაში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძიო ტყეში,
ეძიო მინდვრად,
ეძიო მთაში,
ეძიო გზაზე,
ეძიო ნაღდი
პოეტის თქმაში,
ეძიო დღისით,
ეძიო ღამით, —
როდესაც გულზე დამაკვდება საღამო ჩუმად.

●

ალბათ, დაცხრება ზაფხულის სუნთქვა,
ცა გაბაცდება უფრო და უფრო,
ალბათ, ეს ლექსიც მოკვდება ჩუმად,
ვით ღამის სუსტი ფარვანა, სულო!

მალე, სულ მალე,
ხეს სიცოცხლისას
ჩემი სულივით აჰყვება სურო.

## კაცი, რომელიც ასე მიყვარდა

ცხოვრება იყო, როგორც ღვიძლი და,
როგორც ოცნების ვარდი ფოფინა,
კაცი, რომელიც ასე მიყვარდა,
ჩემი პირველი მტერი ყოფილა.

ჩიტივით თბილად მყავდა უბეში
და ვასწავლიდი ზმას და კაფიას,
ჩემი სისხლით და ჩემი სახელით
წერდა საკუთარ ბიოგრაფიას.

გული სკივრივით ჰქონდა დახშული,
მალავდა თავის შხამს და ხვაშიადს,
და მშობლიური ცის აბრეშუმი
ეგონა ჩემი ეზოს არშია.

ღვთისთვის ნაკურთხი თიხის ქვევრიდან
სვამდა ზედაშეს კვლავ ძველებურად,
ჩემს ციხე-კოშკში იჯდა ნებივრად
და ანგელოზის ქუდი ეხურა.

უმადურობის მადლით დამთვრალი
ჩემს მოსაშთობად ძმობდა სალიერს.

. . . . . . .

ო, დამიფარე,
ამგვარ კაცთაგან,
უზენაესო, აწ და ამიერ!

## გუბაზ მეფის სიკვდილი

ვით დაკარგული ბალახში ხვითო,
ქვეყნის წარსული იფეთქებს უცებ: —
ქარი გიმშრალებს ოქროსფერ ქიტონს
და ჩუმად მისდევ ფაზისის ქუჩებს.

ავად ჭრიალებს სასახლის კარი,
ღალატის ბადეს ქსოვენ მსტოვრები,
მთით გაზაფხულის ჩამოდის წყალი,
ცა ფოთოლივით არის სოველი.

სისხლის მდინარეს მდინარე ერთვის
და მიწის წიაღ იქცევა კირად,
ოი, მეფეო, რომ იყოს ღმერთი,
ვით გაგწირავდა ამ ვარდის კვირას?

დედოფლის კოშკით რეკავენ ზარებს
და მინდვრად ლაგამს ხრავს თეთრი
რაში,

. . . . . . .

და ვარსკვლავები ბეჭდებად ყრია
ბალახმორეულ სასახლის ბაღში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შოვით — უწერა — შოვით

არ დაგავიწყდეს რაჭა,
მთები, სათიბი, მთები,
გაყინული მაქვს მაჯა,
მგონი უშენოდ ვკვდები.
იქნებ მეჩვენო შორით,
თიბათვის ჭრელი ფრთებით,
ჰაუ, აფრინდა ქორი
ეშმას წყეული ფრთებით.
იქნებ მეჩვენო გედის
უნატიფესი ყელით,

დასერილი მაქვს მკერდი
ელვის ელვარე ცელით.
შემართულია თოფი,
დნება თითებში ტყვია,
შოვით — უწერა — შოვით
მთვარის ხანჯლები ყრია.
გაყინული მაქვს მაჯა,
შუბლი — ქვასავით ცივი,
მემშვიდობება რაჭა,
ცრემლის ცისფერი მძივით.

●

მიყვარხარ? არა! სიყვარულის დავხურე გვერდი,
უარვყავ იგი, — უხილავი მომდური ჩემი,
მაფიქრებს ღამე, ვით მწუხარე ვიოლონჩელო,
ვით გრიგალ-ქარში მიმავალი ხომალდის ბედი.

მაფიქრებს ღამე... სიზმარ-ცხადი... დახშული კარი...:
ბალიშისპირზე გაბნეული იების მძივი,
ავიტან სირცხვილს ამქვეყნიურს, ავიტან ტკივილს,
როგორც რაინდი, როგორც მწირი, მიჯნური მთვრალი.

დე მცემდეს ქარი მოვარდნილი ცხრაკარით, ჯვარით,
ოღონდ ნუ ივლით შხამით სავსე იმ ვერცხლის თასით,
იმ ძველ ჭრილობებს ნუ აღვიძებთ, ხელს ნუ შეახებთ.

დე, დამრჩეს გული მოუვლელი, ვით ზამთრის ბაღი,
ოღონდ ნუ ივლით ერთგულების ყალბი ნიღაბით,
ნუ აჭრით ვარდებს — გაზაფხულის ცისფერ ხავერდებს.

●

ფიროსმანის ქუჩით
მზე ჰკიდებდა ხურჯინს.

გადახსნოდა ღრუბელს, —
მაგნოლიის უბე.

ვით სამოთხის ძელი, —
ჩანდა უფლის ხელი.

ციმციმებდა მტკვარი, —
იაგუნდით მთვრალი.

გადამქონდა ფუნჯით
შენი კურდღლის ტუჩი.

მხრები. ხოხბის ყელი, —
ჩემი ცოცხლად მკვლელი.

ფიროსმანის ქუჩით
მზე ჰკიდებდა ხურჯინს.

კმაყოფილი ბედით
მოგყვებოდი გვერდით.

მოგყვებოდი გვერდით,
გვერდით. გვერდით. გვერდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნოდარ ჯალაღონია

## პლანეტა „საქართველო" № 781

I

გრემი, ჯვარი, ზარზმა, მცხეთა
და სამოთხე რიწაში...
ეს მიწაზე რასაც ხედავთ,
ეხლა ნახეთ მიწაში.

იქით ნაქალაქევი და
აქ არმაზის ნანგრევი.
ის ვარძიაც გვიმზერს კლდიდან,
ნაბრძოლი და ნაგვემი.

ჩაკირული ის ქვაში — ქვა
წინაპართა სულია.
საქართველო ჩვენ ზღვაშიც გვაქვს —
ნახეთ დიოსკურია.

უკვდავება მათი მზეა,
წლები როგორ წაშლიან.
განა მარტო მიწაზეა
საქართველო ცაშია...

II

ყურში მაინც ცუდად მხვდება,
სევდად შემეპარება.
ქვევით, მკვდრების სამარხები,
ზევით, მკვდარი პლანეტა.

გულში მაინც ცუდად მხვდება,
დარდად შემეპარება.
დანომრილი სამარხები,
დანომრილი პლანეტა.

III

ცის და მიწის სიყვარულით
თუმც სავსე ვართ ყელამდე,
ჩვენ ცოცხალი საქართველო
გვირჩევნია ყველაფერს.

თუმც გვიყვარხარ, წლებო ძველო,
ძველო ქვებო, სამარხო —
დანომრილი საქართველო
ღმერთმა ნუღარ გვანახოს.

## პავლე ინგოროყვა

გინდათ, გაიგოთ, ჰქონდათ რა გვარი
სახე —
მერჩულეს ანდა მთაწმინდელს?
აგერ, ბატონო, ნახეთ, აქ არი,
ნახეთ, შეხედეთ, წმინდანს აწინდელს.

გიკვირთ სენაკის იმ ძველ ბინადრებს
საიდან ჰქონდათ სულის სიკერპე.
გინდათ დანახვა ასეთ წინაპრის?
აგერ ბატონო, ნახეთ, ინებეთ.

გინდათ, სიმძიმე ნახოთ იმ ოფლის,
ზოგჯერ რომ ხდება ქვეყნისოდენა.
გინდათ, მოთმენა ნახოთ იობის?
ნახეთ, ბატონო, პავლეს მოთმენა.

გინდათ, გაიგოთ, ნახოთ ბოლომდე
ის ძველი სენი დღემდე რომ მოგვყვა?
აგერ ის შური, ის სიბოროტე,
აგერ ის ჯვარი და ინგოროყვა.

გინდათ, გაიგოთ როგორ წირავდნენ,
როგორ იბრძოდნენ ხშირად მარტონი,
გინდათ დანახვა დიდი წინაპრის?
აგერ, ბატონო, პავლე ბატონი!

### მინაწერი სიკვდილის შემდეგ

არა, ნამდვილად არ არის ჭორი,
რაც ძველ წიგნებში ზღაპრებად იქცა,
მე თვითონ ვნახე მოტირალთ შორის
თვალცრემლიანი პილატეც იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აკლდა ხალხის წუხილი წრფელი
დაღვრილ ცრემლებს და მოტანილ
ყვავილს.

და იმ ცრემლებში პილატეს ცრემლი
ერია როგორც მტრედებში ყვავი.

## მიტევება

ღმერთო! შეუნდე შხამი და გესლი
და ის ძაღლური ბედი აკმარე,
ვინც დაეძებდა მეძებრის გეშით
ჩემს სიტყვას, ფიქრებს, გზას თუ
ნაკვალევს.

მე რომ სუფთა და წმინდა მეგონა,
ვინ დამიბრუნებს იმ დღეებს უკან.
მაინც შეარგე ცოდვილ მეგობარს,
ჩემზე ღალატით ნაშოვი ლუკმა.

მაინც შეუნდე იმ კაცს, უფალო,
მაინც მოწყალედ ექმენ ასწილად,
ვინც გამიმეტა ასე უბრალოდ,
ვინც მიორგულა ანდა გამწირა.

ვინც გამომტაცა ტკბილი წამები
ანდა სიხარულს ვინც მაშორებდა.
ჭორებითა და ცილისწამებით
ვინც მიწამლავდა სულს და
ცხოვრებას.

ყველას შეუნდე და შეიცოდე,
ვინც ჩემს დღეებთან არის ნაჯერი.
ვისაც ყოველდღე ჩემი სიცოცხლე
მიჰქონდა, როგორც პურის ნაჭერი.

ვინც ცივი გულით, ცივი ხელებით,
ეს ჩემი სული ასე ათრიეს.
ჩემი სისხლი და ჩემი ცრემლები
ღმერთო, შეუნდე და აპატიე.

შენა ხარ ჩემი ბოლო იმედი,
შენ გევედრები, წმინდა სამებავ.
გადაუხადე ყველას სიკეთით —
ჩემი ტანჯვა და ჩემი წამება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გულიკო დოლიძე

### შემოდგომა

აშრიალებულ ფოთლებში მდგარი
სივრცეს გასცქერის ჭაღარა ქალი.

ვერ უერთგულა ფოთოლს ფოთოლმა,
მოვიდა ქარი და შემოდგომა.

ო, ფოთოლცვენის სევდავ, მალულო,
როგორ ჭირს ყოფნა უსიყვარულოდ.

●

შენს სულს უცხო სენი დარევია,
ცაში ალანდულან მწვერვალები.
კარს კეტავ. გულს კეტავ. სულს კეტავ,
საკუთარ ორეულს ემალები.

ორეულს შენ ველარ შეურიგდი,
ველარ შეერთდით და გამთლიანდით.
და ამ სამყაროში გამოკეტილს
კარზე გიკაკუნებს განთიადი...

### ტირიფი

პატარა ტირიფს ვხედავ ხოლმე ჩემი ფანჯრიდან,
ტირის ტირიფი, საცოდავი ჩემი დაია.
წელს გაზაფხულის მოსვლა ასე რატომ გაჭირდა,
რა უსასრულო თოვლია და რა ზამთარია.

მარადის თვალებცრემლიანო და თმებგაშლილო,
რას გლოვობ ასეთს,
რას მისტირი, ან რა გადარდებს.
ვინ განუგეშებს, საყვარელო,
ვინ დაგამშვიდებს,
ასე მწუხარი გასძლებ სადამდე.

არაა შენთვის სიხარული,
სითბოც არაა,
მოგეხურება თეთრი ნისლი მხრებზე ფოფინით.
მორცხვად აჰკვრია ჩემი ეზოს ყვითელ გალავანს
მარადის თვალებცრემლიანი ჩემი დობილი...

ეროვნული

მამუკა დოლიძე

# ტიციანი

ვენეციის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში, ლაგუნის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვიდან ამოზრდილი სასახლის აივანზე იჯდა ტიციანი და შესცქეროდა წმინდა მარკოზის ტაძარს, საღამოს ბინდში განაზებულს, რბილ, ხავერდოვან სხივებში გახვეულს. ტიციანი ნაბიჯების ხმას ელოდა მარმარილოს კიბეებიდან, ცივ ქვაზე ღამის მდუმარების დამარღვეველ კაკუნს. ეს მოლოდინი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მხატვარი დოჟების სასახლეში დაიბარეს და ინკვიზიციამ მას გარდაცვლილი მეგობრის მხილება შესთავაზა.

სენატის სხდომათა დარბაზი, სადაც ბერი დახვდა, ვერონეზეს ნაზი, მომწვანო ფერწერით იყო განათებული. ჩუქურთმებით მოქსოვილ კედელთან მაგიდა იდგა. აქ სამთა სამსჯავრო იკრიბებოდა, რათა ბრალდებული ან ზევით გაესტუმრებინათ, ტყვიით გადახურულ სხვენში, ან კვნესის ხიდის გავლით მიწისქვეშა ციხეში ჩაეგდოთ.

არავინ ესწრებოდა მხატვრისა და სასულიერო პირის გასაუბრებას. მხოლოდ მარსი და ნეპტუნი, ქვის უტყვი მოწმენი, სმენადქცეული მდუმარებით ირეკლავდნენ მზის ცეცხლს.

— ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება თქვენს ერთგულებაში. — არწმუნებდა მას ბერი. — სწორედ ამიტომ, მოქანდაკეთა კრემაციის შემდეგ უნდა გამობრძანდეთ და განაცხადოთ, რომ თქვენმა მეგობარმა თავი მოიკლა როგორც ნილაბჩამოგლეჯილმა მოღალატემ. მკვდარს ამით მაინც არაფერი დააკლდება, ბრბოს კი რწმენა შეემატება სულიერი მამების მიმართ, რომლებმაც თურქების ჯაშუში თვითმკვლელობამდე მიიყვანეს.

ტიციანმა ბერს ზურგი შეაქცია და კარი მოიჯახუნა. მხდალი არ იყო, მაგრამ გულზე მოეშვა, როცა დარბაზი უვნებლად დატოვა და მოედანზე გამოვიდა. ყურში ჯერ კიდევ ედგა ცივი, სისხლის გამყინავი ხმით გამოხატული მუქარა:

„ვიდრე უარს იტყოდე, დაფიქრდი, ჩვენ ხუმრობა არ გვიყვარს“.

მთელი დღე ქუჩების დინებას მიჰყვებოდა უმისამართოდ, უმიზნოდ და ასევე უაზროდ დაცურავდნენ მხატვრის გონებაში ფიქრები. გაიქცეს? საით? ინკვიზიციას მთელი ქრისტიანული სამყარო მსტოვართა ბადეში ჰყავს მოქცეული. მასაც ეჭვით უთვალთვალებდნენ. სოფლის ამაოების მქადაგებლები მკრეხელობად მიიჩნევდნენ ტიციანის სიცოცხლით სავსე მხატვრობას, მაგრამ საბაბის გარეშე, დღის სინათლეზე ვერ ბედავდნენ ნიჭის ხელყოფას. მზე დარაჯად უდგას სიაში შეტანილთა სიცოცხლეს და მხოლოდ მაშინ, როცა ჰელიოსს წყალი ჩაყლაპავს, უიღბლო ხეტიალით გაბოროტებული მონადირე ღამესთან ერთად შემოვა ქალაქში...

თვალი ახლა ხარბად ეწაფებოდა გარე სამყაროს, ემშვიდობებოდა საყვარელ ქუჩებს. ხავსმოდებული კოშკები, სარეცხით მოფენილი სართულები, გონდოლების ჩრდილთა თამაში სევდანარევი ბურუსით ირეკლებოდა ცისფერ ტალღებში. წმინდა მარკოზის ტაძარი, ფრარის ეკლესია, სამრეკლო, ზარი — ეს ყოველივე ზღვას ეკუთვნოდა.

დილით, როცა მშობლიური კადორეს მთები მოჩანდნენ, ვენეცია ხმელეთის კიდეზე იდგა. ახლა, როცა მწვერვალები ღრუბლებმა დახურა, ქალაქი მოსწყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწას და თავისი მსუბუქი, ჰაეროვანი სასახლეებით ზღვას შეუერთდა. მოუსვენრობამ შეიპყრო. აივნიდან ჩამოვიდა და პიაცეტას მოედანზე აღმოჩნდა. სენატის ბიბლიოთეკასა და სასახლეს შორის ტევა არ იყო. მგზნებარე სიტყვებში, მქუხარე ტაშსა და ნაძალადევ სიცილში ბერის მათრახი იგრძნობოდა. საზღვარს გადასული მხიარულება თავის თავს კარგავდა და დაძაბულ მოლოდინში გადადიოდა; დღეს, მზის ჩასვლისას, სიცილიელი ჯალათი სიკვდილით დასჯიდა ხალხის მოღალატე მოქანდაკეებს. ტიციანი საგანგებოდ დაპატიჟეს ამ სანახაობაზე, მოსაწვევიც კი გამოუგზავნეს, რაც მას ფეხზე დგომის უფლებას ანიჭებდა წმინდა მამების ლოჟაში. ეს გადამეტებული ყურადღება, ეს გამორჩეულობა, ბრბოს მოსატყუებლად იყო გათამაშებული. ბერი ხშირად ეპატიჟებოდა მხატვარს წვეულებებზე, ნახატებს უკვეთავდა, სანადიროდ დაატარებდა, მაგრამ მისი სიყვარული ურჩხულის ვნებას ჰგავდა მსხვერპლად მოტანილი საკბილოს მიმართ. ტიციანი გრძნობდა ამას, გრძნობდა, რომ მის უღრუბლო ცხოვრებას სხვა დრო წამოეწია, რომ ღრმა ღელეში სხვებთან ერთად მისი თავიც დაგორდებოდა, მაგრამ ვერავის უმხელდა გულში ჩაკირულ ბაღლამს...

ეგვიპტურ სვეტებთან მთელ ვენეციას მოეყარა თავი. მონაცრისფრო ღრუბლებს შავ-თეთრი განათება მიეცა ფერთა სიუხვით განთქმული ქალაქისათვის. ჭექა-ქუხილით დამძიმებულ ჰაერში ქალალდის გველეშაპები დასრიალებდნენ, ანაფორაჩაცმული ბიჭები ფიჩხს აგროვებდნენ; აკრობატები ვარჯიშობდნენ; ჯადოქრები სასწაულებს ახდენდნენ; ტრიბუნები ყრუდ გუგუნებდნენ, მაშხალებსა და სატკაცუნებლებს ისროდნენ. საყვირის ხმამ ერთბაშად სიჩუმე ჩამოაგდო. მავრებმა ფარდა გადასწიეს და დოჟების სასახლის აივანზე ბერი გამოჩნდა თავისი ამალით. ბრბო ვაშას ძახილით შეეგება რომის პაპის მეგობარს და მარჯვენა ხელს, ვენეციის ავტონომიური რესპუბლიკის განუკითხავ მსაჯულს, მკაცრ, მაგრამ სამართლიან და მოსიყვარულე მამას. გაისმა დოლის ცემა და სიცილიელმა ჯალათმა მოქანდაკეები გამოიყვანა. სამეფო კარის მასხარამ სიცილთან ერთად ბურბუშელები დააყარა სიკვდილმისჯილებს. რისხვის შეძახილმა ტალღასავით გადაურბინა მორწმუნეთა რიგებს. „ცეცხლი!“ — ბრძანა სიცილიელმა და ნაპერწკლიდან ავარდნილმა კოცონმა შთანთქა შეჩვენებულთა სიცოცხლე. კუპრის კვამლი აიწეწა ნაცეცხლარზე, სილუეტებად მოიხატა, თითქოს ცის სარკემ გაადიდა და ისე გამოსახა მოწამეთა ლანდები, შემდეგ ბოლი ღრუბლებს შეერია, გაიფანტა და ნახატიც გაქრა.

გამოვიდა პოეტი და აღტაცებულმა ხოტბა შეასხა რომის პაპს, მადლობა გადაუხადა სარწმუნოების მტრების დასჯისთვის.

გამოცვივდნენ ბიჭები და ყვავილებით შემოეხვივნენ ძია ბერს, სადარაჯოზე რომ ედგა მათ ბედნიერ ბავშვობას.

— უნეტარესო და უტკბესო, — წამოდგა ფეხზე მემატიანე. — როგორ შევიტანოთ ისტორიაში ეს ღონისძიება, როგორც დასჯა თუ როგორც შეწყალება?

— რა შუაშია დასჯა. — აფეთქდა ბერი. — მოქანდაკეები ხომ ჭირმა გაწყვიტა. განა არ იცით, რომ ვენეციაში დღეს ჭირი მძვინვარებს და სნეულებამ ქალაქის საუკეთესო შვილები იმსხვერპლა?

— და კიდევ მრავალს მოუღებს ბოლოს. — დაამთავრა მისი აზრი ჯალათმა.

ტიციანმა თვალები დახუჭა. განუკითხავმა სიცრუემ ისე არ შეაძრწუნა, როგორც მომავალი თაობის გულგრილობამ და სისასტიკემ. ინკვიზიციასთან ვალმოხდილი ბიჭები მოწამეთა ფერფლში თამაშობდნენ და ბერის ნაჩუქარ ჯვარს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ.

მხილებაზე უარი განაცხადა. ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ანგარიშმიუცემლად გაჰყვა ქალაქის დინებას. ბიჭების კუდი ფეხდაფეხ აედევნა. გასაოცარი იყო ბავშვების ასეთი ბრმა, ძაღლური ერთგულება ინკვიზიციის მიმართ. ბიჭები ხან

ქანდაკებებს ეფარებოდნენ, ხან გზას უჭრიდნენ. ასე მიაცილეს სახლამდე და როცა მხატვარმა ეზოში შეაბიჯა, ბავშვები უკვე დაჭერობანას თამაშობდნენ პიშკართან.

კარი ღია დახვდა. სახელოსნო დარბეული იყო. გაღმოპირქვავებული თაროებითა და დაფლეთილი წიგნებით მოფენილ იატაკზე ეგდო დანაია, წმინდა სებასტიანე, მწვანეთვალებიანი კაცი: ვიღაცას ფარდა ჩამოეგლიჯა და კედელზე სამი სიტყვა დაეწერა:

ვაშა რომის პაპს!

რომი გაახსენდა. მხატვართა თავყრილობა, სადაც პირველად დაადგეს თვალი. დღის წესრიგში იყო რელიგიისა და შემოქმედების ურთიერთობის საკითხები. გულწრფელად აღშფოთებულ ხელოვანთა ბრბო ერთხმად მოითხოვდა რწმენადაკარგული მოძმეების დასჯას, რომლებმაც სხეული აღორძინეს და სული ეშმაკს მიჰყიდეს. უზენაესი ჩუმად იჯდა. ვითომ მერყეობდა, სასიკვდილოდ ვერ იმეტებდა გზააბნეულ მხატვრებს. სამაგიეროდ, ორატორები აფრქვევდნენ სიტყვებს, ევედრებოდნენ პაპს შეუბრალებელი ყოფილიყო მავნებლების მიმართ. ტიციანმა მაშინ განზე დგომით და თავშეკავებით მიიქცია ავ თვალთა მზერა. ცუდი რომ ვერავისზე ათქმევინეს, თავად ამოიღეს მიზანში და ერთმა პატარა მხატვარმა ტრიბუნიდან შეუყეფა — ნეტა რომში ადრე ჩამოსულიყავი, ლაპარაკს თუ არა, მიქელანჯელოსგან ხატვას მაინც ისწავლიდიო.

საომარმა ყიჟინამ გამოაფხიზლა. ბიჭები თამაშ-თამაშით აივანზე ამოდიოდნენ. ქარმა დოჟების სასახლიდან დამწვრის სუნი მოიტანა. დაიფერფლა, განქარდა ნიჭი. რა დარჩა ქალაქში? წვრილფეხობა, შიშით გაბოროტებული. სიკვდილით დასჯაზეც იმიტომ დაპატიჟეს, რომ მისი თანდასწრებით ვერ გაბედავდნენ ოთახის გაჩხრეკას, მაგრამ სწორედ ეს გაუბედაობა, ეს სიმხდალე იყო საშიში. ეს ღრღნიდა, აბოროტებდა, ამხეცებდა წვრილფეხობას. კაცუნა უფრო დაუნდობელია, ვიდრე კაცი, რადგან მეტი სისასტიკე, მეტი სიბრაზე სჭირდება თანდაყოლილი უძლურების დასაფარავად.

მოლბერტს მიუახლოვდა და გადაბრუნებულ სკამზე ჩამოჯდა. ბიჭები უკვე აივანზე ამომძვრალიყვნენ და შეძახილებით — ძირს თურქეთი! გაუმარჯოს ცისფერსისხლიან ვენეციას! — ცხენ-ჯოხებს დააჭენებდნენ. ზოგი სახეს იჩრდილავდა, მის ფანჯარას ეწებებოდა. ერთი რკინის ბადეზედაც აძვრა, სარკმლიდან შემოიპარა და ფარდას დაეკიდა. უცებ კარადა ახმაურდა. ტიციანმა კარი გამოაღო, პერანგები გადაქექა და ტანსაცმლის გროვაში ვიღაცის სახეს ჩაავლო ხელი. პატარა მსტოვარი ჩანასახივით მოკუნტული იჯდა და სიძულვილით აღსავსე მზერას არ აშორებდა მასპინძელს. კარადა ჩაკეტა. სარკეში მისი ორეული დაილანდა. ამ ლანდს ფეხაკრეფით ეპარებოდა ჩრდილი. შემობრუნდა და მაჯაში წვდა დანაშემართულ ხელს. ბიჭმა დასჭყივლა, ეშვები გადმოაგდო, მაგრამ მხატვარმა დაასწრო და თვალებში ჩახედა. ბიჭი ქონდრის კაცი აღმოჩნდა! ტკივილისაგან დაეღრიჯა ბებერი სახე. ჯუჯამ ვერ გაუძლო ადამიანის გამოხედვას, თავი დახარა, დანა დააგდო და უკან, სიბნელეში ისკუპა.

სანთელი აანთო და ხატვა დაიწყო. არ იცოდა, რას ქმნიდა. მთავარი იყო, ის დაეხატა, რაც აწუხებდა და როცა გამოსახა გულში ჩახვეული განცდა, როდესაც გამბედაობა მოიკრიბა და ერთიანი მზერა მოავლო ტილოზე დადებულ ფერებს, მიხვდა, რომ შიში დახატა და იგრძნო, რომ განთავისუფლდა ამ შიშისგან. ტიციანი ალსდგა. ქონდრის კაცები გაუჩინარდნენ. მხოლოდ შორს, ეზოს კიდეზე, ბავშვები თამაშობდნენ თავისთვის...

გაქრა აღსასრულის მოლოდინი. და თუმცა ვენეციის მიმწუხრებულ ცაზე სისხლის კვალს სტოვებდა მომაკვდავი მზე, ხოლო ზღვადმოქცეული ქუჩების ბურუსში ჯალათები ახლოვდებოდნენ, საკუთარ თავზე გამარჯვებულ მხატვარს

ალარ აშინებდა გარეშე მტერი. ზვავივით მოწყვეტილ სიბნელეს წინ აღუდგა თავისუფლების ნათელი განცდა. გაიხსნა შიშით გაქვავებული სული, მოირღვა შეწყვეტილი და გაიშალა ის ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც სამყაროს უხილავმა მხატვარმა მას, დედამიწის ულამაზეს კუთხეში დაბადებულ ხორციელ შემოქმედს გადასცა.

და როცა ძილად მიგდებული ქალაქი ღამის წყვდიადმა მოიცვა, როდესაც მონადირეთა ჩექმებმა აივანი დაიპყრო და სახელოსნოს კარი შეამტვრია, ხატვით გატაცებულ ტიციანს არც შეუხედავს მათთვის. ბერმა იგრძნო, რომ სანამ ოცნებაში წასულს თავს არ გაახსენებდა, ქედს არ მოახრევინებდა და მიწაზე არ დააბრუნებდა, მანამდე ხელს ვერ აღმართავდა მასზე. ამიტომ ზურგშექცეულს მიეპარა და სურათს დამბაჩა დაუმიზნა. ტიციანმა მოიხედა და თვალი დაადგა ბერს. კაცუნამ ვერ გაუძლო ადამიანის გამოხედვას, თავი დახარა, მაგრამ მხატვარმა დაასწრო და მისი დამცინავი მზერა ტილოზე გადაიტანა.

— დაიჭირეთ! არ დამხატოს! — იკივლა ბერმა და დამბაჩა გაისროლა, მაგრამ ტყვია აცდა სურათს და ფანჯრიდან ღამის წყვდიადში გაიჭრა.

აირია მონასტერი. ჯალათებს არ სურდათ ნახატზე მოხვედრა. საცოდავად იკრუნჩხებოდნენ, სახეებს იჩრდილავდნენ, მიწაში ძვრებოდნენ, მაგრამ მხატვრის თვალსა და ხელს ქვესკნელიდან ამოჰყავდა ისინი. ბოლოს ყველა დაიხუტა, ყველამ დაკარგა სიღრმე და ფუნჯით დაჭერილი, ზედაპირზე ამოგდებული ბოროტება ბრტყელ სახეებად დააკვდა ტილოს. მხოლოდ ბერი არ ისვენებდა, გველეშაპივით იგრიხებოდა, აწყდებოდა სურათის ჩარჩოს, რომელშიც მისი მზერა იყო გამომწყვდეული; ყირაზე გადადიოდა, გზად ყველაფერს ამსხვრევდა, გლეჯდა, ანადგურებდა, მაგრამ რაც მეტს ბობოქრობდა, მით უფრო ავლენდა საკუთარ ბუნებას და ფუნჯის უზუსტესი მოძრაობებით ტილოზე გადადიოდა. ბოლოს დაქანცული შეჩერდა, სანთელს სული შეუბერა, მაგრამ მხატვარმა დაასწრო, მიწას მოსწყვიტა, ფერში განაზავა და მისი ლოყებდაბერილი, სანთლის ალზე აელვარებული სახე ერთგული ჯალათებით გარშემორტყმულ ტანს მიახატა.

სურათი დასრულდა. ჩარჩოში დატყვევებულმა ურჩხულმა მრისხანე მზერა გაუსწორა მხატვარს, რომელსაც ბოლომდე უნდა მიეყვანა ბრძოლა, უნდა დაეძლია ნახელავით ტკბობის სისუსტე და მოესპო ბერის სახსენებელი, რათა მომავალში არავის მოსვლოდა აზრად მისი გაცოცხლება და აღდგენა. ტიციანმა ძალა მოიკრიბა, სურათი მოლბერტიდან ჩამოხსნა, ჩარჩოდან ამოიღო, შუაზე გადახია და გასაცოდავებული, წელში გაწყვეტილი ურჩხული ხახადაღებული ბუხრის მარადჩაუქრობელ ჯოჯოხეთში ჩააგდო.

# ტაძარი

იმ დღეს ყველანი ბაღის კიდეზე ვისხედით. ტრამვაის ზარი (თითქოს ჩაის კოვზი ოდნავ აწყდებოდა ჭიქის კედლებს) არ არღვევდა ბაღის სიჩუმეს. სამყარო ახალშობილივით სუფთა და აუმღვრეველი იყო. საწყისის სიცხადე იგრძნობოდა ყველაფერში. ამ საწყისიდან მინდა მოვქსოვო ამბის აბლაბუდა, წარმოსახვაში უცაბედად გაჩენილი ხილვიდან, რადგან თავისით გაჩენილსა და შემთხვევითში ის შეიძლება აღმოაჩინო, რასაც ვერასოდეს მიწვდები მონდომებით. ამიტომ ვიწყებ თხრობას იმ ჩუმი და წყნარი შემოღამებიდან, როცა ყველანი უზარმაზარი მაგიდის ირგვლივ ვისხედით და ნექტარივით ტკბილ, სურნელოვან სასმელს შევექცეოდით. უეცრად მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბაღში სტუმარი შემოვიდა. მოგონებებმა ერთბაშად დაკარგა ჯადო, წარსულს ძირი გამოეცალა და ყველანი ღია ვაგონში აღმოვჩნდით, საშინლად რომ ქანაობდა სტუმრის სიმძიმით. ბევრი გადავარდა, მწვერვალზე თითო-ოროლა ავედით. ტრამვაიდან გადმოვაბიჯე თუ არა, ჭექა-ქუხილი მომესმა. გონება გამინათა მეხივით გაელვებულმა ფიქრმა, რომ ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი ამოიწურა და საჭირო იყო რაღაც ახალი. შემდეგ მახსოვს, ახლადამოყრილ ნაძვნარში ვიწექი, ვფიქრობდი ცაზე, ოქროყანის მთვარესა და ვარსკვლავებზე, ვაზისუბნიდან ამომავალ მზეზე, ჩემს ცხოვრებაზე და საერთოდ, ყოფნა-არყოფნაზე. თავისით, ძალდაუტანებლად მოდიოდა ეს ფიქრი და ლაღი პეპელასავით ხან რას აჯდებოდა, ხან რას. ასეთ ზმანებაში დაკარგულმა, დილით აივანზე აღმოვაჩინე საკუთარი თავი — ქალაქს გადავცქეროდი და შამპანურს ვუსინჯავდი გემოს. სუფრას სტუმარი თამადობდა. მის ანთებულ თვალებში ამ დროს ბაღი ირეკლებოდა. მოსჩანდა აგურის ფხვნილით მოფრქვეული ბილიკი, ცარიელი აუზი და თოფიანი დარაჯი ბაღის კიდეზე, მავთულხლართებით შემოღობილ სახლთან. მარცხნივ ეშმაკის ბორბალი ტრიალებდა და ერთ-ერთ საქანელაზე ჩვენ ვისხედით. თავს ახლად გაცნობილი სტუმარი გვადგა.

— მე გახლავართ ამირანი. — გვეუბნებოდა ის. — მე შემიძლია სიმძიმისა და სივრცის გადალახვა, დრო-ჟამის კედლების გარღვევა და ახალ სამყაროში გასვლა. შეხედეთ ამ მწვანე მიწას. — ამ სიტყვებით ამირანი ბალახებში ჩაჯდა. — რაც უფრო ჩაიძირები მის სიმწვანეში, მის ფერსა და სურნელში, მით უფრო შთანთქავ და გადალახავ მას, მიადგები ცარიელ სივრცე-დროს, შესძლებ მისი განზომილებებით თამაშს. აბა გაიხსენეთ, სად შევხვდით ერთმანეთს?

— ეშმაკის ბორბალზე. — უპასუხა ერთმა.

— სუფრასთან. — თქვა მეორემ.

— ბაღში. — შეეკამათა მესამე.

„აქ" — გავიფიქრე მე.

— საქმეც ესაა, — შემოგვანათა თეთრი კბილები სტუმარმა. — ჩვენი შეხვედრა ერთდროულად ყველგან მოხდა და ამიტომ არსად არ მომხდარა. პირველთაგან იყო სიტყვა და რადგანაც სიტყვაა ჩადებული ჩვენი სამყაროს საფუძველში, მე ისეთი სიტყვები შევარჩიე, რომ დარწმუნებით ვერ იტყვი, სად ვხვდებით ერთმანეთს — აქ თუ იქ. ჩვენი შეხვედრა ხდებოდა ყოველთვის, ყველგან და არასოდეს, არსად. ჩვენი შეხვედრა ხდება დროისა და სივრცის გარეთ, რათა გაჩვენოთ, რომ სიტყვას ძალუძს იმის გადალახვა, რაშიც მოქცეულია თქვენი ცხოვრება. დღეს ამით დავამთავროთ. — გამოგვიცხადა ამირანმა და კათედრიდან ჩამოაბიჯა. ჩვენც ავიშალეთ მერხებიდან წავედ-წამოვედით.

●

ლექციის შემდეგ ამირანი აეროსადგურზე გაქანდა. თვითონ არ ვიცი, როგორ გავყევი უკან და უკვე მიწიდან აწეულ მანქანას თოკზე დავეკიდე. თოკი აიკეცა და ღია სარკმელიდან ჩაბნელებულ სალონში მოვხვდი. ზევით მაგნიტის ლიანდაგი ბრწყინავდა. ეს გზა მიწიდან კოსმოსამდე იყო გაბმული და ზედ მიკრულ ხომალდს ელვის სისწრაფით მიაქანებდა. ატმოსფეროს გარეთ გზა შემობრუნდა და სადგურის ვერცხლისფერ შენობას მიადგა.

დარბაზში, სადაც ტრანზიტის მგზავრები გადასხდომას უცდიდნენ, ერთად შევედით. სახურავზე დამჯდარი ხომალდებისგან საშინელი ხმაური იდგა. სარკმელებიდან ფერადი ჩრდილები შემოდიოდნენ და კედლებს აბლაბუდებივით ქარგავდნენ. ამირანმა ჩამქრალ ციფერბლატს შეხედა და ხელი ჩაიქნია.

— არც კი დაუწყიათ რეგისტრაცია. ღმერთმა უწყის, როდის გავფრინდებით.

ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა. დავრჩით ჩვენ და სადგურის უფროსი. კუთხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანზისტორი ეკიდა, საიდანაც მონოტონურად სცემდნენ დაფდაფებს და ოდნავ ფეთქავდა ჰანგი. კარს ახლა ქარი თუ გამოაღებდა და სიცივესთან ერთად კუდიანი ვარსკვლავების ცეცხლი იფრქვეოდა დარბაზში. ეს ცივ-ცხელი ნაკადი სახეს მითუთქავდა. ამირანს ალაგ-ალაგ კანი აუჭრელდა, თითქოს უხილავმა ხელმა მათრახი გადაჰკრა.

„ნეტა ვიცოდე, საით მივფრინავთ, რა გველოდება“. — გავიფიქრე.

„დაკარგული ტაძარი მინდა მოვძებნოთ“. — ფიქრითვე მიპასუხა ამირანმა. „გზა აღარც კი მახსოვს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. რატომღაც იქ უფრო ვგრძნობ უიმედობას, სადაც ყველაფერი ნაპოვნია და თავის უჯრაში ჩადებული, იდუმალებაც კი, თითქოს რახან სახელი გამოუგონე უსახელოსა და შეუცნობელს, ამით უკვე ხელთ იგდე იგი და შეგიძლია თაროზე შემოდო“.

კარი კვლავ ქარიშხალმა შემოგლიჯა და შუქის ნიაღვარმა თვალი მომჭრა. ოთახში ღრუბელი შემოიჭრა, კედელს შეემსხვრა და ცისარტყელებად გაიხსნა. გაფანტულ ღრუბელში ორი აბჯარ-მუზარადიანი არსება იდგა. ასტრონავტებს საშინლად დაქანცული სახეები ჰქონდათ. ერთმა ვაზნების ქამარ-სარტყელი მოიხსნა და მაგიდაზე მიაგდო. მეორე პირდაპირ ბუხრისკენ გაემართა, ცეცხლს მიეფიცხა, გათბა და ხალიჩაზე წამოწვა.

— რას დალევთ? — გადასძახა სადგურის უფროსმა.

ასტრონავტებმა ერთმანეთს რაღაც უსიტყვოდ აგრძნობინეს და მაგიდასთან მჯდარმა პასუხად ორი თითი ასწია.

სადგურის უფროსმა ღილს თითი დააჭირა და სამზარეულოდან რობოტი გამოვიდა ბოთლით და ჭიქით ხელში.

— თქვენი დღეგრძელობა იყოს. — ჭიქა აგვიწია პირველმა და მეორეს ნახევრად სავსე ბოთლი გადაუგდო.

— შორიდან მობრძანდებით? — ვკითხე.

— ირმის ნახტომიდან მოვდივართ. — მიპასუხა მეორემ.

— ტაძარს ხომ არსად მიაგენით? — მიუბრუნდა მას ამირანი.

— ის სისტემა სულ მოვიარეთ. — თქვა პირველმა. — კვალიც კი ვერ ვნახეთ.

— სამაგიეროდ იქაურებს გადავეყარეთ. — ჩაურთო მეორემ.

უეცრად სიჩუმე ჩამოწვა. სავარძელში მთვლემარე სადგურის უფროსმა ცალი თვალი დააჭყიტა, ტრანზისტორი ახალ ტალღაზე გადააწყო და კვლავ ძილს მისცა თავი.

— კუდი ხომ არ აგედევნათ? — დაარღვია დუმილი ამირანმა.

— არა მგონია, — წამოდგა მაგიდიდან პირველი. — ძალიან სწრაფად მოვფრინავდით და რომც აგვდევნებოდნენ, აქამდე მოყოლას ვერ გაბედავდნენ.

ამ სიტყვებით მან კარი გამოაღო და გარეთ გაიხედა. არემარე სიჩუმეს მოეცვა. ქარი ათამაშებდა ბაქანზე ჩამომდგარ ხომალდს. კაცმა ერთიც მოიხედა და სიცარიელეში გადააბიჯა. მოსწყდა თუ არა სადგურს, სიბნელე ტყვიამ გაანათა. ასტრონავტი ყირამალა ამოტრიალდა და თავის ხომალდს შეეჯახა. ამასობაში მეორე უკვე ზღურბლზე იწვა და ცდილობდა მიზანში ამოეღო უხილავი მტერი.

— არ გახვიდე, დაჭრილს მაინც ვერაფერს უშველი. — დავუყვირე.

— უნდა გახვიდე, უნდა მოშორდე აქაურობას. — უბრძანა სადგურის უფროსმა. — გარეთ გაასწორეთ ანგარიშები.

ასტრონავტი ზღურბლზე გადაძვრა და ხომალდისკენ ისარივით გაიტყორცნა. მტრის ტყვია უფრო სწრაფი აღმოჩნდა. სისხლით შეიღება ჯაჭვის პერანგი. მომაკვდავმა თავი გვერდზე გადააგდო, თვალები გადააბრუნა და ნელ-ნელა აორთქლება იწყო. ამ დროს ტყვიების ნაკადმა ისევ გაიელვა წყვდიადში, ცეცხლის ზოლი ალმაცერად დაეშვა, ხომალდის ქვეშ გაძვრა და იქაურობა წამით განათდა. გამოჩნდა პირველის ჭრილობებით დასერილი სხეული, ანკესზე წამოგებული თევზივით რომ ფართხალებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ცეცხლი რკალად იკვრებოდა მის გარშემო. გასაქცევად რჩებოდა ვიწრო სრუტე სადგურის კედელსა და ხომალდს შორის. დაჭრილი მანქანას მოსწყდა და კედლისკენ გაფრინდა, მაგრამ ის იყო სრუტეში უნდა შეცურებულიყო, რომ ზევიდან უშველებელი თეფში ჩამოეშვა, თეფშის ანთებული თვალიდან ხელი გამოცოცდა, ხელმა თოკი შემოიქნია, ისროლა და რგოლი თავზე ჩამოაცვა ასტრონავტს. იმავ წამს თვალი ჩაქრა, თეფში ადგილს მოსწყდა და თოკზე გამობმული სხეული საშინელი სისწრაფით გაქანდა. ცხადად დავინახე, როგორ გაკვეთა თეფშმა დედამიწის ატმოსფერო და როგორ დაიწვა ჰაერის მკვრივ სარტყელში მეტეორივით შეჭრილი მსხვერპლი.

სადგურის უფროსს კუნთიც არ შერხევია სახეზე. მხოლოდ ქვედა ტუჩს ლურჯად დააჩნდა ნაკბილარები და ყვრიმალთან ძარღვებმა ფეთქვა იწყეს. ეს იყო მაღალი ტანის კაცი, ცხვირ-პირის მსხვილი ნაკვთებით და ღრმად ჩაარდნილი, არაფრისმთქმელი, განურჩეველი ფერის თვალებით. ნელა, მოზომილი ნაბიჯით მიუახლოვდა გადამცემს და დედამიწაზე ელვა აფრინა ასტრონავტების დაღუპვისა და ჩვენს სისტემაში სამტროდ მოსული თეფშების შესახებ.

— შენი ბრალია მათი დაღუპვა. — უთხრა ამირანმა. — გარეთ არ უნდა გაგეგდო.

— სხვა გზა არ მქონდა. სადგურია ჩვენი თავშესაფარი ამ ჯოჯოხეთში. აქედან ერთი გასროლაც კი ზავის დარღვევად ჩაგვეთვლება და მაშინ, თავდაცვის საბაბით, თეფშები ნანგრევებად აქცევენ აქაურობას. მეტსაც გეტყვით: ვეჭვობ, ასტრონავტები მოგზავნილები იყვნენ. განზრახ, ბრძოლაში ჩვენს გამოსაწვევად გაითამაშა ორივე მხარემ ეს ტრაგედია. ადამიანური იერ-სახის მიღება მათთვის პერანგის გამოცვლაა მხოლოდ.

ამ სიტყვებით სადგურის უფროსმა კარი გამოაღო, დროშა გაშალა და ბაქანზე შეუჩერებლად ჩავლილ ხომალდს დაუქნია, შემდეგ ისევ შემობრუნდა და ბუხარში ცეცხლი გააჩაღა. რობოტმა სასმელ-საჭმელი შემოიტანა, განათება შეასუსტა და მიზიდულობის ველი გამოთიშა. სინათლე წვრილ ნამცეცებად მოედო კედლებს, ჭურჭელი ჰაერში დაეკიდა და ჩვენ სხვადასხვა მხრიდან მივცურდით სუფრასთან.

— ზევახს გაუმარჯოს! სადგურის უფროსსა და სულისჩამდგმელს! თეფშების რისხვას! მგზავრების მფარველს! ჩვენს მამასა და ღმერთს! — დაქოქილივით ამეტყველდა რობოტი.

— ნეტავ იმ დროს, როცა მართლა ღმერთივით ვიყავი. — ამოიოხრა სადგურის უფროსმა. — როცა ოლიმპზე ტაძარი იდგა და მისი ცეცხლი ჩემდამი რწმენას აფრქვევდა. მაგრამ გათენდა შავი დღე, ადამიანებს მობეზრდათ ბედნიერება და სიამაყით დაბრმავებულმა მონამ ჩემთან გათანაბრება ისურვა. საკუთარმა სულგრძელობამ და ლმობიერებამ დამღუპა.

— ჩემს გულ-ღვიძლს დღესაც ატყვია შენი ლმობიერების კვალი. — თქვა ამირანმა.

— ურჩობას თუ არ მოიშლი, უარესს დაგმართებ. — დაიქუხა ზევახმა. — მართალია, ოლიმპიდან ჩამომაგდეს და ეს სადგურიც სამადლოდ მომცეს, მაგრამ ძალღონე კიდევ შემწევს კლდეზე გაგაკრა. რაც ოდესღაც დაგაკელი, ახლა მოგიზღავ.

— არ ღირს ძველი ჭრილობების გამწვავება. — ვუთხარი მე. — ის კედელი დრომ ჩამორეცხა.

— ყველაფერს აზრი გინდა დაუკარგო? — თავი გააქნია ზევახმა.

— პირიქით, ისეთ რამეს ვცდილობ მივწვდე, რასაც ჟამი ვერ მოერევა და ეჭვი ვერ დაანგრევს.

— მშურს შენი სითამამე. — გამიღიმა ზევახმა. — ახალგაზრდობაში მეც შენსავით მეამბოხე ვიყავი, თვით ქრონოსი, ყოვლისმჭამელი დრო ჩამოვაგდე ტახ-

ტიდან; მაგრამ გონება არასოდეს დამიკარგავს, ბრმად და უაზროდ არ გამიწირავს თავი.

„თუ ყველაფერი აწონ-დაწონე, მიწასაც ვერ მოწყდები" — გავიფიქრე.

— თავს გაუფრთხილდი. — მითხრა ზევახმა. — მრავალი ემსხვერპლა იმ ტაძრის ძებნას. მართალია, ოდესღაც ამირანმა მიაგნო და მისი საკურთხევლიდან ცეცხლიც მოიტაცა, მაგრამ მადლობის მაგივრად ბორკილები დაადეს, გულ-ღვიძლი დაუგლიჯეს.

— ის ცეცხლი უკვე განელდა, ახალია საჭირო — წამოვდექი.

— ხელს აღარ შეგიშლით, — თქვა ზევახმა. — დასაღუპავად არ მემეტებით, მაგრამ რა ვქნა? სიტყვა არ გესმით და განსაცდელს ვერ ხედავთ. თქვენ თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ.

გამოვედით თუ არა, ცა წამით ჩამობნელდა და განათდა. თითქოს ბრმად მივიკვლევდი გზას და თან ცხადად ვარჩევდი ყველაფერს. არნახული სილამაზე იყო. მთვარის ბილიკი, ზღვის ქაფივით მხოლოდ თამაშსა და მოძრაობაში არსებული, ათასნაირად იგრიხებოდა, გარს მეხვეოდა, ფეხიდან მისხლტებოდა და წინ გარბოდა.

— არ იჩქარო. — ჩამძახოდა ხმა. — მთავარია სულის წონასწორობა და ცხადი, დაწმენდილი აზრი, რადგან თუ საკუთარ თავს მოწყდი, ვეღარაფერი გიხსნის თავდავიწყების უფსკრულიდან.

ამირანი სხივიდან სხივზე გადახტა და თვალს მიეფარა. ვარსკვლავების მტვერსა და ნისლში ბრმად მივაბიჯებ. ვგრძნობ, რომ არ ვიკარგები, რომ ობლად დარჩენილი, მეგზურის გარეშე ვუახლოვდები მიზანს, რომ სხვისი ხელით არ შეიძლება დაკარგული ტაძრის პოვნა, რადგან ის თავისთავად კი არ არსებობს, მსხვერპლად შეწირული სულისა და სამყაროს შეერთებით იბადება.

ნისლი თანდათან გაიკრიფა და სინათლის ტალღებმა მთა შეადგინეს. კოსმოსში რელიეფი შუქ-ჩრდილებით იქმნება. ათასფერი სინათლე ქარივით დაფრინავს და ათას ფორმებსა და ფიგურებს აგებს. მის ტალღებში გახვეული შევიგრძენი, რომ ფერთა მიმოქცევა და სხივთა თამაში ყოვლისწარმომშობი არსის უფრო ზუსტი და ნათელი სახეა, ვიდრე ის სიმძიმე, რაც მდგრადობის და თავდაჯერების განცდას განიჭებს. შეუპოვრობით და ბრძოლით ვერ მიაღწევ მას. მის სილამაზეში უნდა დაიკარგო, გაითქვიფო და მაშინ გაიხსნება კარი! მაშინ გამოჩნდება შენთვის გაკვალული გზა! რაც უფრო შორს და მაღლა მივიწევ, მთვარის ბილიკი მით უფრო ფართოვდება. თვალით დაუნაწევრებელი ფერები დნებიან ფეხქვეშ, ვით ტოტებს მოწყვეტილი და მიწას დამკვდარი შემოდგომის სიყვითლე. სხივები ისე ეთამაშებიან ერთმანეთს, რომ მზეს ძაფებად არღვევენ და ცის კიდეზე გუმბათს ქარგავენ. ბილიკი შეწყდა, აღმართი ამოიწურა და თეთრი გუმბათი წამოვიდა ჩემსკენ. ღია, მოცისფრო შარავანდედი ადგა თავს. ეს ოდნავი სილურჯე ხავსმოდებული ნაპრალებიდან იფრქვეოდა. ახლოს რომ მივედი, ამირანი დავინახე, რომელიც მეხდაცემულივით იდგა და მისჩერებოდა მას. შემზარავი სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ: იისფრად ჩაბნელებულ სივრცეში თეთრად ანათებდა ტაძრის ჩონჩხი! დროს შეეჭამა მისი ქვადქცეული ფერ-ხორცი. ნანგრევებზე ამოუცნობი წარწერები მოსჩანდა და ჟამით გაცრეცილი, სახეგანაზებული ფრესკები სევდიანად იღიმებოდნენ. იმ საუკუნეებში, როცა ტაძარს რწმენა ასაზრდოებდა, ეს სილამაზე მთლიანი და გაუბზარავი იყო.

— მაგრამ გაბატონდა ყოვლისმომცველი ეჭვი და ტაძარიც გატყდა, დაეცა, ნანგრევებად იქცა. — თქვა ამირანმა.

— აღდგენითი სამუშაოები თუ მიმდინარეობს? — ვკითხე.

— რისიც აღარ გჯერა, იმას უკვე ვეღარ დაიჯერებ. — ხელი ჩაიქნია.

ნანგრევებიდან წამოვიდა მიწის და დამჭკნარი ყვავილების მკვეთრი სუნი. რწმენა დაიკარგა, სამყაროს ღერძი გამოეცალა და აბლაბუდებით დაიფარა ჩამქრალი ტაძარი. მიზანი, რისთვისაც

იხლართებოდა ეს ფათერაკებით სავსე ამბავი, არარსებული აღმოჩნდა. უეცრად ცამ დაიქუხა, ქარმა დაიღრიალა და ფოთოლივით დაბზრიალებული ამირანი უფსკრულში წაიღო. მეც გამექცა საყრდენი, მკვდარი ყვავილების სუნმა თავბრუ დამახვია და გულისწამსვლელ სიმსუბუქეში ვიგრძენი, როგორ შემომადნა სხეული, როგორ გამეფანტა აზრი...

ის იყო სულ უნდა გავმქრალიყავი, რომ ნანგრევებს შორის რაღაცამ იელვა და მიიზიდა ჩემი თვალი. ამ მიზიდულობამ დამიბრუნა სიმძიმე, დამაყენა ფეხზე. აზრი მოვიკრიბე და მთელი არსებით ჩავებღაუჭე ჩემს გადასარჩენად გახსნილ სასწაულს. ეს იყო ქვის უნაზესი ჩუქურთმებით მოქსოვილი კედელი და ზედ გამოძერწილი ვაზი. გამაოცა არა ვაზის სილამაზემ, არამედ იმ მღელვარებამ, იმ ცეცხლმა, რომელიც ქვიდან გადმოვიდა ჩემში. თბილი, საამო ჟრუანტელი ჩამიდგა სხეულში. ვიგრძენი, რომ გადავრჩი. ქარი ჩადგა, ქაოსი მოწესრიგდა და სამყარო დატრიალდა ქვაზე გამოძერწილი მტევნის ირგვლივ. ერთბაშად თვალწინ დამიდგა მთელი ჩემი მოგზაურობა და მივხვდი, რომ სწორედ ამ ცეცხლის საპოვნელად მოვწყდი მიწას, გადავლახე სივრცე და დრო, გამოვიარე ფათერაკები და გარდასული რწმენის ნანგრევებში ვპოვე ტაძარი — ჟამით მიუწვდენელი ხელოვნების მარადიული ქმნილება.

# დავით კაკაბაძის ავტოპორტრეტი

გაზაფხულის ერთ საღამოს მხატვრის სახელოსნოში შევედი. თვალში მეცა პატარა სურათი — ქელეხი იმერეთში. ფეხი აღარც მომიცვლია, ისე მომაჯადოვა მწუხრში ჩაძირულმა ეზომ, სადაც ძლივს იგრძნობოდა აწეული კუბო, ქალის დაღვრემილი, ცრემლით ნაწვიმარი სახე და ტლანქი, ყველგანმავალი ჩექმა. ყველაფერი ეს, ფერად შუქ-ჩრდილებში გარდატეხილი, არ არღვევდა საღამოს სიმშვიდეს, ჩაქსოვილს მზის მკრთალ სინათლეში, მაგრამ ვუერთდებოდი ამ წყნარ, სუსტ შეღამებას და მაინც ვერ ვწყნარდებოდი: მარჯვნივ და მაღლა მიმიწევდა მზერა, სადაც თვალის კუთხით მკაფიო, ღრმა ფერებს ვგრძნობდი. მხოლოდ ერთი წამით, ერთი გაფიქრებით შევავლე თვალი ზემოდან დაცემულ ელვარებას (შავგვრემანი კაცის სურათი აღმოჩნდა) და კვლავ იმერული ქელეხის რბილ-ხავერდოვან, რაღაც ფარული მუსიკალობით აღსავსე ფერებს დავუბრუნდი. შავად მოელვარე ნახატზე თვალის ამ უცაბედმა გაქცევამ გაამძაფრა ჩემი აღქმა. შემოღამების ბურანში ახლა ერთფეროვნებას და სიმშვიდეს კი არ ვეძებდი, არამედ ვცდილობდი ამ მწუხრით აღსავსე სიჩუმეში ყვირილი მეგრძნო, ყვირილის ცოცხალი, მეწამული ფერი, რომელიც ყოფნა-არყოფნის ბინდისფერ სოფელს მეტ გარკვეულობას და სიცხადეს მისცემდა; მაგრამ ეს სიცხადე არ იგრძნობოდა სურათში, ის სადღაც, ზევიდან იღებდა სათავეს და როცა დარბაზიდან გამოვედი, დაბურული ეზო უკვალოდ გაქრა და სულის სიღრმიდან ამოტივტივდა სადად ჩაცმული კაცის პორტრეტი, რომელიც კი არ ირეკლავდა, თვით ასხივებდა სინათლეს და მაშინ ვიგრძენი, რომ წამის უკან განცდილი მწუხრი მხოლოდ იდუმალი ანარეკლი იყო ამ კაცის თვალებიდან გადმოღვრილი სევდის, რომ იმ მსუბუქი, ჰაეროვანი არყოფნის მოლოდინით იყო დამძიმებული ეს ნაღვლიანი სახე, მისი ყოველი ნაკვთი, რომ მზერის გაბნევა

---

**მამუკა დოლიძე**
მოთხრობები

ქელეხის ჯერ დაუდულარ ფერებსა და ფორმებზე იყო ერთგვარი განტვირთვა, ერთგვარი თავდაღწევა, ერთგვარი გაქცევა სხვის მახსოვრობაში ჩამარხული და ჩემი აღქმისათვის მიუწვდენელი წარსულისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაღი

დღის ბოლოს მოიწყინა ბაღმა. მზე დაბლა დაეცა. გამუდმებული წვიმებისაგან ფოთლების ქსოვილი დაირღვა. წვიმა ძალიან ნელა მოდიოდა. თითქმის ვერ აღწევდა შავ ნაძვნარში, სადაც ადამიანი იჯდა. ბაღის მოწყენილობა მასაც გადასდებოდა. ბუნებასთან შეერთება უნდოდა, რომ მარადიული გამხდარიყო. ბაღი კი ყურადღებას არ აქცევდა მას, აგრძნობინებდა, რომ მისი სიმშვენიერისა და სიმშვიდისათვის სულერთი იყო — არსებობდა თუ არა ადამიანი. ადამიანს სწორედ ეს განურჩევლობა ხიბლავდა. სადღაც მწვანე სიბნელეში ტოტი გატკაცუნდა, მაგრამ ესეც ბაღის ხმა იყო, მის სიმშვიდეს ეკუთვნოდა. ოდნავ თავი დააქნია აკაციამ, თითქო ბუზი მოიგერიაო და სიჩუმე გამეფდა. ადამიანმა თვალები დახუჭა. მარმარილოს კიბეებს ქანდაკება მოსწყდა და ნელ-ნელა მის ფეხებთან დაგორდა. ეს იყო ქალის დაუმთავრებელი ქმნილება. ხელს სანახევროდ გამოეჭრა მისი ნაკვთები და თავი გაენებებინა. სწორედ ამით იყო ის მიმზიდველი. მის დაუსრულებლობაში იგრძნობოდა მინიშნება იმაზე, რაც მასში ა რ ი ყ ო დ ა ვ ე რ ც ვ ე რ ა ს ო დ ე ს გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ო დ ა. ნაკვთების დასრულება, შეკვრა, რა თქმა უნდა, გააქრობდა ამ მიმზიდველ სიღრმეს, არყოფნას, სინანულს, წერტილს დაუსვამდა მათ... ადამიანმა თვალები გაახილა. ბაღის გისოსებს მიღმა სწრაფად მოძრაობდა ავტომობილი. ჩაიარა თმადაუთოებულმა, ბეწვისქურქიანმა ქალმა, ჩაიარა და თავის ადგილზე ბინდის იისფერი მოლანდება დატოვა. ამ მოლანდებიდან, როგორც ძირგავარდნილი ბოთლიდან მელნისფერი გაჩნდა და სივრცეში მიმოიღვარა. ქალმა საღამო მოიტანა. ბაღის მხრიდან გალიაში მოქცეულმა ავტომობილებმა ფარები აანთეს, წვიმამ სიბნელესთან ერთად იმატა. ადამიანი ადგა. დატოვა ფიქრები და ქუჩას დაუბრუნდა. ერთმანეთზე გადაკერებული სახლების მწკრივი შავ, წვიმით მოსარკულ გზაზე აირეკლა. თვალშეუსწრები ავტომობილები სინათლის ზოლებს ტოვებდნენ. იყო რაღაც სიზმრისეული შუქთა ამ დაუსრულებელ ორომტრიალში; ბაღი კი იდგა თავისთვის გადაგორებული დღის სიღრმეში და ჩუმად ეძლეოდა შემოდგომის ფერიცვალებას.

## გაქირავებული წარსული

ერთ მშვენიერ დღეს სახლიდან გამოსულმა გადავუხვიე ყოველდღიურ გზას და მოგზაურობა გადავწყვიტე. ჯერ ტრიალ მინდორზე მივქროდი, შემდეგ გზა ხეობაში შევიდა და წარსულში ჩაეშვა. ავტობუსი რბილად, თითქოს ფეხაკრეფით შეიპარა ჩემი ბავშვობის ქალაქში, რათა მის გუგუნს არ დაერღვია ის სიმშვიდე, რაც მოგონებით შეჩერებულ დროში წარსულის ანარეკლს წარმოშობს. ეს ანარეკლი ქალაქს გამოსახავდა, ხეობაში მომწყვდეულ იმ პატარა დასახლებას, რომელიც დღეს უკვე სახეშეცვლილი და განახლებული იყო.

ავტობუსიდან გადმოსული, ფრთხილად მივყვებოდი წარსულის ქუჩას.

მეშინოდა უხეში მოძრაობით არ ამემღვრია მისი არსებობისთვის აუცილებელი სიწმინდე.

ქუჩა წვიმით იყო მოკრიალებული. ნაადრევ შემოდგომას სიყვითლე შეეტანა მწვანე ფოთლებში. მთის ფერდობზე ნისლი დაცურავდა და ამ ნისლში იგრძნობოდა ცისფერი სახლი. მისი დანახვა ყოველთვის მამშვიდებდა და გაუცნობიერებელ სიხარულს მგვრიდა. ქვევით ბაღი იდგა. მატარებლის სუნთქვა და კივილი ბგერებად გარდაქმნიდა მის სიყვითლეშეპარულ სევდას. ნაწვიმარი გზა სარკესავით ირეკლავდა ხეივანს. სარკეში გადაბრუნებული ბაღი მოსჩანდა, თავდაყირა კინოთეატრი და ფსკერზე ღრუბლებად დალექილი ცა. წრიული საქანელა უსასრულოდ ბრუნავდა და სათამაშო ცხენზე ჩამოძინებულ დარაჯს ატრიალებდა. დარაჯი იმდენად იყო შერწყმული ყვითელ-მწვანე ფიქრებში ჩაძირულ ბაღთან, რომ არ არღვევდა ჩემს მარტოობას. კიბეზე დავეშვი. ბაღი მომიახლოვდა, შემომეხვია, ფიქრებში შემეპარა და ჩემს განუყოფელ ნაწილად იქცა. აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და ეს ხეივანი, ეს სადგური, სამუდამოდ ჩამრჩა გულში.

წვიმამ სიბნელესთან ერთად იმატა. გზა-სარკე წვეთებისაგან აიმღვრა. ტირიფები ბნელს შეერივნენ. ცა ჩამოიძენძა სველი სიმწვანით. აღარ შეიძლებოდა სკამზე ჯდომა. ზედა ქუჩაზე სახლი მიხმობდა. ეს ბინდისფერი სახლი ჩემთან ერთად გამოიძერწა, გამაგრდა, გაქვავდა და დანგრევის პირას მივიდა. ბავშვობაში, როცა გული ნაზი ღრუბელივით ისრუტავდა ყოველ შთაბეჭდილებას, სახლიც მოძრავი, სახეცვლადი და ათასფერი იყო. იმ სახეებიდან მხოლოდ ერთი შემორჩა წუთისოფელს, შემოდგომის ფოთოლივით ხმელი და დამჭკნარი. თვალს არ ვაშორებდი ამ მონატრებულ სახეს, ჯაჭვზე გამოღებული კარიდან რომ ცდილობდა შორეული ნათესავის გახსენებას.

ბოლოს გაიხსნა კარი. ისევ ის ოთახი, ის მკრთალი აბაჟური. ფანჯარაზე ღამე იყო მოწოლილი და ქარი პირსახოცივით იქნევდა წვიმას. შუაში აგურებზე შემდგარი ბუხარი გუგუნებდა. ზედ სარეცხი ეფინა.

„შემოსაშვები არა ხარ, როგორ დამივიწყე". — ბუტბუტებდა მოხუცი და ხაჭაპურს ამტვრევდა. თავშეუკავებლად მომინდა გულში ჩამეკრა ეს პატარა არსება, პატიება მეთხოვა გულმავიწყობისთვის.

— მადლობას არავისგან ველი. — თქვა ქალმა და ჭიქა შემივსო — ამ ქვეყანას ვერაფერი გაასწორებს.

ბუხარში კუნძი აელვარდა. ხელმა ოდნავ შეანძრია ხე და ალი ტოტებსაც გადაედო. სახეს შეჯახებულმა სითბომ გამაბრუა, მომთენთა და საამო ძილბურანში ჩამძირა.

„არ დაიძინო". — მომესმა ჩურჩული. „აქ ვერ გაგათევინებ ღამეს".

შეიცვალა რამე? თუ მასპინძელი დაბერდა? დაავიწყდა, რომ ბავშვობის ქალაქში მარადისობა მეფობს. რატომ არ შეიძლება სიცხადეს გაექცე და მოგონებებში ჰპოვო თავშესაფარი?

„იმიტომ, რომ დრო გადის". — მიპასუხა ხმამ. — „ის, რაც ოდესღაც იყო, არასოდეს გამეორდება. სწორედ თავისი მიუწვდომლობით, თავისი ხელშეუხებლობით არის წარსული მიმზიდველი და ამაღლებული".

„მაგრამ მე ხომ იგივე ოთახში ვზივარ, იმავე ბუხართან, ისევ იმ მკრთალი აბაჟურის ქვეშ".

„არ დაიჯერო". — ფიქრი გამიწყვიტა ხმამ. — „ეს ყველაფერი იგივეა და არც არის იგივე. თავიდან გამეორებული წარსული კარგავს იმ დაუჯერელ სურნელებას, იმ თავისებურ მიმზიდველობას, რაც მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ მაშინ მიანიჭა მას დრომ.

აქ მასპინძელმა სინათლე ჩართო და მეც ამეხილა თვალი. ოთახი განათდა.

---

მამუკა დოლიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდრული ავეჯის ფონზე სასაცილოდ გამოჩნდა აგურებზე შემდგარი ბუხარი. ოთახის ცენტრმა მარჯვნივ გადაინაცვლა, სადაც ფორტეპიანოზე ქალი უკრავდა. იქვე წყვილი ტრიალებდა. კაცები არაყს სვამდნენ. ტახტზე წამოწოლილი ბავშვი ტელევიზორს ადევნებდა თვალ-ყურს.

— ესეც ჩემი მდგმურები. — გამიღიმა მოხუცმა და მოულოდნელად დაამატა:

— იქნებ სასტუმროში გადახვიდე, იქ უფრო თავისუფლად მოისვენებ.

## არაფერი

ფირუზისფერი, ტალღებად აგორებული მიწა... სიჩუმით სავსე მწვანე უსასრულობა... ქვევით, ტაფობში ქალაქს სძინავს. ქარს მოაქვს მისი ცხელი სუნთქვა. ქალაქი მძვინვარებს, ვერ ეტევა ორმოში, ცდილობს აქაც ამოძვრეს და მწვანე სიჩუმე შთანთქას. მისი მოციქულები — თეთრი, ბეტონის აგარაკები უკვე ზვერავენ ტყის პირს. ამიტომ მინდორი უკუიქცევა და რადგან გასაქცევი აღარსადაა — ცას უერთდება. თითქოს ნახატში ხარ. ყველაფერს ერთი განათება აქვს გადასხმული. ეს ნათელი სულშიც ილვრება და ფიქრს გარე სიმშვიდესთან ახამებს. უკვე ქედზე ვარ. ქვესკნელში ათასი მანქანის ღმუილით ქალაქი ილვიძებს. მას სოკოსავით ფარავს ბენზინის ბული. აქეთ კი სულ სხვაა. წვიმის მოლოდინში ცას ფერი აქვს წასული. ცისქვეშეთი მხურვალებას და სიცხადეს ჰკარგავს. ბაცი, სიმკვეთრედაკარგული საღებავებისგან უფრო ფაქიზდება სურათი. ფერთა სიღრმეში ხე გაშრიალდა, საყდარი აღსდგა და საქარავნო გზა სოფლისკენ დაეცა...

ტყე გავიარე და ისევ მარტო დავრჩი ცისქვეშ. ღრუბლები შეთხელდნენ და სივრცეში ბინდისფერმა იმატა. თვალისმომჭრელი სიმწვანე დარბილდა, მაგრამ თავისი სიღრმე არ დაუკარგავს. ის თითქოს წვიმით გადაირეცხა და სურათის ჩარჩოზე დაილექა როგორც მოგონება. სიცარიელე სოფლის გრაფიკამ აავსო. ჩონჩხადქცეულ ნასახლარს წვიმის წვეთები დაასხდნენ. ეს წვეთები უეცრად ერთმანეთში გადათამაშდნენ და სილუეტი შეადგინეს, რომელსაც მკაფიო სახე გამოეყო.

— მოსაწევი არა გაქვს? — ხელი გამომიწოდა სილუეტმა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. მერე იმ მთას შევახედე — საიდანაც ჩამოვედი.

— აქლემს არა გავს?

— ეგ უძოა. — გაიღიმა გლეხმა და თავისი გზით წავიდა.

და თუმცა ისევე ჩუმად გადაგორდა დღე, როგორც დაიწყო და გაირბინა, მე მაინც კმაყოფილი ვარ იმით, რომ არაფერი არ მოხდა, რადგან ეს არაფერი იმდენად სავსეა ფიქრით, სიჩუმით და სიმშვიდით, რომ მას აღარ სჭირდება თავგადასავლით შევსება.

## ის დღე...

ეს სტრიქონები იწერება შემოდგომის ერთ უძილო ღამეს, ცივი, უსიცოცხლო შემოდგომის ღამეს, როცა სახურავზე წვიმა ეცემა და უკუნეთი მეფობს გარშემო. თითქოს სამყარო მოკვდა, მაგრამ მოკვდა არა ნგრევითა და გოდებით, არამედ უხმოდ, უხმაუროდ გაიპარა თავისი ქალაქებით და სოფლებით, თავისი სიცოცხლით. თავისებური განცდა ასეთ სიკვდილსაც თან სდევს. მას

არ მოაქვს სიცარიელე, არამედ სევდა... და ისევ სიჩუმე, ბრმა, უსინათლო სიჩუმე და მოგონებები ან უსიზმროდ გდება ნაწვიმარ ლოგინში, ორთქლის სვეტებად დამდგარ სუნთქვაში! არ იგრძნობა სივრცე, არ იგრძნობა თავისუფლება, ყველაფერი ვიწროა, შემოტმასნილი! და ასე მგონია — არასოდეს დაილევა წვიმა, არასოდეს გათენდება ღამე, ყოველივე ასე იყო და ასე იქნება, უსიცოცხლოდ, უმიზნოდ, სხეული გალიაა და სული იხუთება მასში! და არ შემიძლია გადმოვცე სევდა, რაც ჩემს თავს აღემატება. ერთი ხმა მაინც, ერთი ყვირილი მაინც იპარებოდეს ამ მიძინებულ ქალაქში! და ვარ მთვლემარე, თვალდაბინდული და სინანულით ვიხსენებ წარსულს, მიუწვდომელი სიცოცხლით სავსეს:

გრილი აივანი, აივნის სიღრმეში გაშლილი სუფრა. ლანდები ოდნავ ირხევიან. ცრემლი მერევა. ვიცი, რომ დამნაშავე ვარ, ვიცი, რომ ვერაფრით გამოვისყიდი ჩემს გულგრილობას და მეშინია ამ ცოდნის, ამ შეუბრალებელი სიმართლის. აივანზე კი შორეული, ჩემი ბავშვობის დრო იწურება. ყოველივე იგივეა და ყველაფერი სულ სხვა. გარდასულს რაღაცა აძლევს სურნელებას, მაგრამ ეს რაღაც აკრძალული ხილია ჩემთვის. მე მას ვერ ვხედავ, თუმცა თვალში მეჩხირება, მე მასზე ვერ ვფიქრობ, თუმცა გონებას მიმღვრევს; და ასე ვიძაბები შემოდგომის ცივ, მოსაწყენ ღამეს; ვიძაბები, რადგან არ მინდა გაფრინდეს დასაკარგავში ძველი აივანი, აივნის სიღრმეში მდგარი მაგიდა, მაგიდასთან ჩამომჯდარი მამა; რადგან ვიცი, რომ ამაზე ტკბილი არაფერი მომაგონდება.

ახლა ისევ წვიმას უბრუნდება ჩემი ზმანება. იისფერ მთვარეში აბრეშუმის ძაფებივით ეშვება წვიმა, ეშვება და თვითგვემის სიამოვნება მოაქვს ჩემთვის. ვგრძნობ, რომ მარტო ვარ, მაგრამ ამ მარტოობას ახლა შიში და წუხილი კი არ მოაქვს, არამედ ტკბობა, უცნაური ტკბობა, დაახლოებით ისეთი, როცა კბილებით გლეჯ საკუთარ სხეულს, რათა გზა მისცე გულში ჩახვეულ განცდას. ეს ტკბობა ოდნავ უფრო რბილია, უფრო მათრობელი, მაგრამ უფრო ძლიერი, უფრო ღრმა, რადგან მარტოობა აძლევს ძალას; და წარმომიდგება ჩემი ქალაქი, ბნელში მოცეკვავე სილუეტებით და საოცარია! როგორც არ უნდა მტკენდეს გულს ეს ქალაქი, მაინც მისი ჰაერით ვარ თავბრუდახვეული, მისი ქუჩებისკენ მიმიწევს გული! და ასე ვწევარ ნაწვიმარ ფურცლებში, შემოდგომის ცივ, მოსაწყენ ღამეს, ვწევარ უსასრულოდ, უფიქროდ და მეჩვენება, რომ სხვა ვარ, რომ ბედმა ჩემი ქალაქიდან სხვა სამყაროში გადამისროლა, ნაცნობი სახის უცნობ ადამიანებს შორის, რომელთა ენა მე არ გამეგება და ჩუმი, ღრმად ჩამარხული ტკივილი გაყუჩებულა გულში, ტკივილი, რომელიც შეიძლება გაიფიქრო, მაგრამ ვერ იგრძნო. არ მახსოვს, საიდან გაჩნდა ის, ან რა სახელი უნდა დავარქვა, მაგრამ ის მოდის, მატულობს, მახსოვრობაში ჩარჩენილი, უსახური, თეთრად გათენებული ღამეებიდან იღებს სათავეს და ალმა ვერ შებრუნდება, როგორც ყოველდღე მეორდება და მაინც ვერასოდეს განმეორდება ის აივანი, ის მაგიდა, ის ფერდაკარგული მოგონება და ის ყვავილგაშლილი აკაციის სურნელით შეზავებული დღე...

# შაქრო სამადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ მწერალს შაქრო სამადაშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია და მისი სარედაქციო კოლეგია ულოცავენ იუბილარს მნიშვნელოვან თარიღს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და წარმატებებს როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში.

მკითხველს ვთავაზობთ მწერლის ერთ მოთხრობას.

# სამოთხე ემება

### მოთხრობა

ალა ათიოდე წლისა იყო, როცა სიკვდილმა ჯერ მამა გამოსტაცა, მერე დედა. ეს ორი უბედურება ერთი წლის სხვადასხვა დროს მოხდა. თორმეტი წლით უფროსმა ძმამ არც დას მოაკლო ზრუნვა, არც ოჯახს. მან მშობლების დანატოვარი სახლი გააფართოვა, ვენახს მოვლა-პატრონობა გაუძლიერა და ვეებერთელა სოფელში თითით საჩვენებელ მაცხოვრებლად იქცა. ალამ სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა, ძმისგან მიჩენილ ერთ მზიან და მოხდენილ ოთახში თავისთვის დაბინავდა. ალა ძმას თავის მხრივ მოვლას არ აკლებდა, იმასაც ურჩევდა, ცოლი მოეყვანა, რომ მის ცხოვრებას მეტი შინაარსი და სიტკბო მისცემოდა. ძმამ დის სამართლიანი რჩევა აწონ-დაწონა, ჭკუაში დაუჯდა და შეასრულა კიდეც. ძმის ბედნიერებას ალა უნდა გაეხარებინა, მაგრამ პირიქით კი მოხდა, რძალმა პირდაპირ სიცოცხლე გაუმწარა საწყალ გოგოს.

— როდემდე უნდა ეგდო აქა, აღარაა დრო შენი გათხოვებისა? წასვლა სჯობს წამავალისაო, არ გაგიგონია?! — აი, ასეთი სიტყვები ესმოდა ყოველდღე მუდამ გახარბებული რძლისაგან.

სოფელში, სადაც ალა ცხოვრობდა, იყო დიდი საავადმყოფო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფრიად სწავლული და გამოცდილი ექიმი ქალი. მას განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, უმცროსებიცა და უფროსებიც ნინო მიხეილის ასულს ეძახდნენ. ნინო არა მარტო გულისხმიერი მკურნალი იყო, არამედ კარგი საზოგადო მოღვაწეც. იგი როგორც რაისაბჭოს დეპუტატი, ენერგიულად გამოესარჩლა ალას და მისი ბრიყვი და თავგასული რძალი ჭკუაზე მოიყვანა. ნინომ ალა თავისთან სამუშაოდ მოაწყო, რამაც დაჩაგრული გოგონა სულიერად გაამხნევა და საუკეთესო მუშაკი გახადა. ძმას დის წარმატება დიდად ესიამოვნა, მან ნინოს დიდი მადლობა მოახსენა და ერთ დღეს ალას ჰკითხა:

— ყოჩაღ, დაო, შენი კარგი ქალობა მარტო ჩვენმა სოფელმა კი არა, მთელმა რაიონმა იცის, როგორ მოხდა ყოველივე ეს?

— სულ უბრალოდ...

— მაინც?

— ნანო მიხეილის ასულმა მტკივან გულზე თანაგრძნობის მალამო დამადო, ამას მიემატა მომუშავე ადამიანების მოყვარული გულების სითბო, რამაც გამახარა, გამამხნევა, ძალა და ენერგია შემმატა და ჩემი მოკრძალებული ადგილი დამაკავებინა ამ ცხოვრებაში.

— აბა, შენ იცი, იყავი სახელოვანი, ჩემგან ძმური დახმარება არ მოგაკლდება! — შეჰპირდა დას გახარებული ძმა.

ნინო მარტო ცხოვრობდა, ცხოვრობდა სამაგალითოდ, მისი კეთილმოწყობილი კარ-მიდამო ყოველი მნახველის მოწონებას იმსახურებდა. ნინოსთან ავადმყოფები მარტო მისი სოფლიდან კი არა, ახლომახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ. ექიმი ყველას უანგაროდ ემსახურებოდა. მარტოდმყოფს ახულდგმულებდა რწმენა, ვისაც თავისი საქმე და წიგნები უყვარს, მარტოობა ვერ დაჩაგრავსო. როცა ალას ლამაზ სულში ჩაიხედა, ამგვარი შეხედულება რამდენადმე გაუფერმკრთალდა, ახლა კი თავის თავს აჯერებდა, ალასთან შრომა და ცხოვრება უმაღლესი სიამოვნებააო. თავის მხრივ ამასვე ფიქრობდა ალაც, მაგრამ მათს ურთიერთობაში საოცარი

ის იყო, რომ ერთიმეორეს ჯერჯერობით არაფერს უმხელდნენ... გულუბრყვილოა, მაგრამ მაინც საინტერესო და საგულისხმო ერთი ამბავი, რაც მათ ურთიერთობაში მოხდა:

... ალას დარდიანობა ეტყობოდა, ცრემლებს ველარ მალავდა.

— ალა, შენ ტირი, რა მოხდა?

ალა პასუხს არავის აძლევს.

— ალა, რა გატირებს? — ეკითხება ნინო.

მაინც ტირის ალა, არ უნდა რომ იტიროს, უნებურად ეტირება, ცრემლები თვითონ იკვლევენ გზას, ჩერდებიან წამწამებზე, ბრწყინავენ, გროვდებიან, ცვივიან, ერთიმეორეს მოჰყვებიან, იხარჯებიან და მაინც არ ილევიან.

ცრემლებმა ღრმად დააფიქრა ნინო.

— ალა, რა მოხდა, რატომ ტირი?

— მაშ, რა ვქნა, რომ არ ვიტირო? — ბედავს ხმის ამოღებას ალა.

— რა არის სატირალი?

— რა და...

... ნინო როგორც საუკეთესო მუშაკი გადაჰყავთ რაიონის მთავარ ექიმად და რაისაავადმყოფოს გამგედ, ამას ქალიშვილში გამოუწვევია მისთვის მეტად უსიამოვნო ფიქრი: ნინოს როგორ მოვცილდეო. ეს რომ ნინომ გაიგო, გემრიელად იცინა, იცინა დიდხანს, ადამიანურად.

— მაშ, შენ გწყენია ჩემი დაწინაურება? — თქვა ყასიდად ნინომ და ჩაიღიმა.

ალამ თავი ასწია, სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

— მე მწყენია?!

— ჰო, შენ!

— მაგას რაზე ფიქრობთ?

— იმაზე, რომ ჩემი კარგი გამოიტირე, სიხარული არ შეიმჩნიე.

ალა დაფიქრდა, შეშფოთდა, ეს რა მიქნიაო.

— არა, არა, ეგ არ იფიქროთ, ნინო მიხეილის ასულო, მაპატიეთ და აღარ ვიტირებ, ოღონდ... ჰო, მე მაინც ვერ გავძლებ უთქვენოდ... წამიყვანეთ თან, მამუშავეთ იქ, თქვენს ახლოს, თქვენს გვერდით.

„სულელი ალა..." — მოფერებით გაიფიქრა ნინომ, მერე მიიზიდა, გულში ჩაიკრა, თბილი მკერდი მიათბუნა, ტკბილად უთხრა:

— შენი ცრემლები გულუბრყვილობაა და ცხოვრების არცოდნა. ცხოვრება თანდათან შეგასწავლის თავს, მის კანონებში რომ გაერკვევი, მაშინ მიხვდები, თუ როგორ უნდა ასეთ შემთხვევაში განშორების ატანა. მე ყოველთვის ვეცდები აგარიდო ცხოვრებისეული სირთული, არ მოგეცეს მიზეზი ატირებისა, ძნელია, ჩემო ლამაზო, ამგვარი უმანკო ცრემლების ხარჯვა, ძნელია, რადგან გულიდან მოდიან, გულს ერთვიან, გულს ეწურებიან, ცრემლებს ხშირად ხარჯვა გულს აცოტავებს, გული რომ ცრემლებად დაადნო, უგულოდ დარჩები, უგულობა კი სიკვდილია.

— და განა არ შეიძლება კვლავ თქვენთან ვიმუშავო? — ხვეწნის კილოთი ჰკითხა ალამ.

— შეიძლება... განა ამაზე მე არ დავფიქრებულვარ?

მეორე დღეს, როცა ისინი კვლავ მარტო დარჩნენ, ნინომ თქვა:

— დიახ, ჩემო მტირალა გოგოვ, დავფიქრებულვარ, მაგრამ შენსავით კი არ მიტირია, სიძნელეს ძლევა უნდა, ტირილი კი... თუმცა თავის დროზე მეც ბევრი ვიტირე...

— იტირეთ?

— ჰო.

— შვილი არ გეყოლათ, გულქვამ, რომელმაც თქვენი ფასი არ იცოდა, მიგატოვათ, ერთი სიტყვით, ბუნებამაც დჰჩაგრათ და კაცმაც. ასეა, ხომ? — რიდითა და კრძალვით იკითხა ალამ.

— კი, ჩემო ალა, კი...

— სამაგიეროდ, იგივე ბუნებამ დაგაჯილდოვათ ყველა ადამიანური თვისებებით, რამაც გამოიწვია თქვენდამი საყოველთაო სიყვარული. ერთმა გიღალატათ, სამაგიეროდ, გიერთგულათ ხალხმა, მთელმა ქვეყანამ. ნინო მიხეილის ასულო, აბა კარგად დაფიქრდით, ხართ თუ არა უბედნიერესი ადამიანი?

— ეჰ, რა ვიცი...

ნინომ ჯავრი მოიგერია, ალამ განაგრძო:

— ნეტარებაა თქვენს ახლოს ყოფნა.

ნინომ ალას ხელი დაადო, თითები თმაში შეუცურა, მოეფერა, მოეალერსა და განაცხადა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბოლო უნდა მოვუღო ჩემს მარტოობას.

— ძალიან კარგს იზამ.

— მეგულება ადამიანი, რომელიც მიყვარს, ძალიან მიყვარს...

— ვინ არის ის ბედნიერი? — გულის ფანცქალით იკითხა ალამ.

— ამის გამოცნობა შენ არ გაგიჭირდება.

ალა დიდი სიხარულისაგან ატირდა.

ნინომ ალას ძმას — გოგის განზრახული გაანდო, ძმამ იფიქრა, იფიქრა და პასუხი დააყოვნა.

— შენ ფიქრობ, რომ სოფელი გაგკიცხავს, ერთადერთ დას ვერ მოუარა, სხვის ხელში ჩააგდოო? — თქვა ნინომ.

— კი, ვფიქრობ, იმასაც ვფიქრობ, რომ ალას ეგებ, რჩგიანი მთხოვნელი გამოუჩნდეს და პატრონს ჩავაბარო, — თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა გოგიმ.

— ალას გათხოვებაზე ფიქრი ზედმეტია, ჯერჯერობით გაუმართლებელიც.

— რატომ? — იკითხა გოგიმ.

— იმიტომ, რომ ალა სწავლას აპირებს, ჩემი რჩევაა: გამოუშვი ეგ გოგო ჩემთან, პირობას გაძლევ, შენს დას არაფერს მოვაკლებ, ერთხანს სოფელში ხან რას იტყვიან, ხან რას, ბოლოს ყველა ყველაფერს დაივიწყებს, კეთილი საქმის მხილველნი დადუმდებიან, კრინტს აღარ დაძრავენ, ამასობაში შენს ცოლსაც იქნებ ხასიათი გამოუკეთდეს, თავი დააღწიოს სიბრაზის საძრახ გრძნობას, ამის შემდეგ ჩვენს შორის ურთიერთობა და მიმოსვლა ყველასათვის სამაგალითო, შესაშურებელი შეიქმნება.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, — თქვა გოგიმ.

— ჰოდა, გამოუშვი ალა ჩემთან, შენ შენს ცოლ-შვილს მიხედე, თუ რამ გაგიჭირდეს, გვაცნობე, მე და ალა მზად ვიქნებით თქვენდა საშველად, თქვენდა დასახმარებლად.

— ჩემის მხრივ, არც მე მოგაკლებთ მზრუნველ ხელს, — წასვლის წინ ეს სიტყვა დაუტოვა გოგიმ ნინოს.

გადასვლის წინ ნინომ ალა ტკბილად გააფრთხილა: ნურაფერს ნუ წამოიღებ, რაც შენ დაგჭირდება, ყველაფერი წინასწარვე გავამზადეო.

— დედისა და მამის გადიდებული სურათი მაქვს შავი ჩარჩოთი, საწოლ ოთახში თავთან მიკიდია, არც ის წამოვიღო? — მოკრძალებით იკითხა გოგონამ.

— წამოიღე!

მალე ალა ნინოსთან მართლაც დაბინავდა. ქალები ერთიმეორეზე ზრუნვაში ათენებდნენ და აღამებდნენ.

ერთ კვირა დილას ნინომ ალას ჰკითხა:

— რა ვქნათ, როგორ მოვაწყოთ შენი სწავლის გაგრძელების საქმე?

— ამისთვის დიდი ხანია ვემზადები.

ნინომ შვებულება აიღო, ალა თბილისში ჩაიყვანა, მცდელმა და ნიჭიერმა ქალიშვილმა მისაღები გამოცდები ჩააბარა და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. ალა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მოეწყო, დედობილმა უკან დაბრუნებისას ალას მიმართა:

— აბა, შენ იცი, იბეჯითე, არც ფულს მოგაკლებ, არც ნახვას, შაბათს ჩამოვალ, თორმეტი საათისათვის შინ დამხვდი!

იმ ნეტარ შაბათს ალა მოუთმენლად ელოდა. ნინო დანიშნულ დროზე ჩამოვიდა. ალამ საჭმელ-სასმელი თანაკურსელებისა და მეგობრების დახმარებით ოთახში სიხარულით აზიდა. ნინოს არაფერზე ხელი არ მიაკარებინეს. ალა გააოცა საზამთროების სიდიდემ.

— დედა, სად იშოვე ამხელა საზამთროები?

— შენმა ძმამ მომართვა, ასე თქვა, ჩემმა სიმამრმა რამდენიმე ცალი გამოგიგზავნაო, იქიდან ნაწილი შენი რძლის სურვილით ჩვენ გვეწილადა.

ალას სახე გაუბრწყინდა, გაკვირვებულმა იკითხა:

— ჩემი რძლის სურვილით?

— კი.

— მაშ, მთლად ქვაგულიანი არ ყოფილა.

— გოგიმ შემოგითვალა, მომდევნო შაბათს მე და ჩემი მეუღლე გნახავთო.

— ნუთუ ეს მართალია? — ალას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ეგეც მართალია და სხვა რამეც.

— კიდევ რა არის მართალი?

— ის, რომ შენი რძლის მამის ოჯახი, ამ ოჯახის ყოველი მოკეთე ჩემს მზესა ფიცულობს, ამ მოკეთეთა შორის ყველაზე აღტაცებული შენი რძალია.

— ისეთი რა მოხდა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არაფერი.

— მაინც? — არ ეხსნებოდა ნინოს ალა.

— შენი ძმის სიმამრს ოპერაცია გავუკეთე.

— ეს ხომ თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავია!

— წარმოიდგინე რომ, სირთულის თვალსაზრისით, ოპერაცია ჩემთვის უჩვეულო იყო, ხელიდან მიმავალი სიცოცხლე, როგორც იქნა, შემოვაბრუნე და მყარ ნიადაგზე დავაყენე. ახლა შენი ნათესავის ოჯახში სიკვდილზე გამარჯვების ზეიმია...

— ამ დიდი ზეიმის მიზეზი და შემოქმედი თქვენ ბრძანდებით, — მიმართა ალტაცებულმა ალამ გამოცდილ დასტაქარს. ასეთივე მაღალი შეფასება მისცეს ქირურგი ქალის შრომას ალას ამხანაგებმაც, თან გულში გაიფიქრეს: იმდენი უნდა ვისწავლოთ და ვეცადოთ, რომ ნინო მიხეილის ასულს დავემსგავსოთ. განგების ძალავ, აუსრულე ახალგაზრდებს გულითადი ნატვრა!

სახეგაბრწყინებულ ალას თავი ტკბილ სიზმარში ეგონა.

ნინო იმ დღესვე დაბრუნდა სოფელში, იგი, რა თქმა უნდა, ალამ გააცილა. გოგონამ უკან დაბრუნებისას გულიდან მედალიონი ამოიღო, ნინოს სათნოების მღაღადებელ სახეს დიდხანს უმზირა, ეამბორა, მერე ისევ გულში ჩაიდო, ირგვლივ ფართოდ გახელილი თვალებით მიმოიხედა და ტკბილად თქვა: შენ გეკითხები, ღმერთო, ამ დალოცვილ დედამიწაზე დადის ვინმე ჩემზე ბედნიერი?

მერე გაიფიქრა: ბედნიერზე ბედნიერსა და მჯობნის მჯობნს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე! ეს ასეა, მაგრამ მე მსურს ჩემს მიერ დასმულ კითხვას მევე გავეპასუხო ერთადერთი სიტყვით:

— არავინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლერი ალიმონაკი

## მისტერია

ისევ ძველ-სოფლის სიჩუმე მეფობს,
ისევ დუმს ღამე, და ისევ ცივა...
მეც ჩუმი ვარ, უდაბურ სიჩუმესავით...
მხოლოდ ფიფქის შრიალი ისმის,
თოვლის მუსიკა — ღამეული და იდუმალი...
აქ კი — ქოხში:
ცეცხლი როკავს და ცეცხლი მღერის,
ცეცხლი —
უხსოვარ მისტერიას ასრულებს ბნელში
და ჩამესმის შენი სიმღერა — შორეული და ბუნდოვანი...
პირველ-სოფლის დუმილში დგახარ,
თვალდანამული ღვთაებრივი მშვენიერებით,
უბიწოებით უსირცხვილო და მიწვდი საცთურს —
მარადიულ სატანჯველის და მწუხარების...
შენ კვლავ ილვიძებ ამ უხსოვარ მისტერიაში
და მეც ცეცხლივით ვროკავ და ვმღერი...

და ოდეს ვმღერი:
შენ გგონია — მე მართლა ვმღერი?!.
ოდეს ვროკავ:
შენ გგონია — მე მართლა ვროკავ?!.
მე მწუხარების მისტერიას ვასრულებ ცეცხლში,
შენ — პირველცოდვის მისტერიას და შეჩვენების...
ოდეს გეხები:
შენ გგონია — მართლა გეხები?!
ოდეს გიმზერ:
შენ გგონია — მე მართლა გიმზერ?!
მე პირველხილვის მისტერიას ვასრულებ შენში,
შენ — პირველცოდვის მისტერიას და განტევების...
შენი თვალები — უხსოვარი ტბებია ზეცის:
მე ამ ტბებში შენს სიზმრებს ვხედავ.
შენი თმები — უდაბური გზებია ცეცხლის:
მე ამ გზებზე დაწყევლილი დავეხეტები.
ო, სიქალწულე — ტანჯვა და ცრემლი:
მახსოვრობას ამ ცრემლში ძინავს...
შენ ძველ-სოფლის მიმწუხრში დგახარ,
თვალცრემლიანი, — როგორც ჩვილი, — გაჰყურებ სივრცეს
და გლოვობ რაღაც გაურკვეველს და დავიწყებულს...
და ოდეს გლოვობ:
შენ გგონია — შენ მართლა გლოვობ?!.
ოდეს მწუხარებ:
შენ გგონია — მართლა მწუხარებ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ უხსოვრობის მისტერიას იხსენებ ჩემში,
მე — პირველცოდვის მისტერიას და შეჩვენების...
და მეც რომ ვტირი:
შენ გგონია — მე მართლა ვტირი?!
ოდეს ვმწუხარებ:
შენ გგონია — მართლა ვმწუხარებ?!.
მე სიხარულის მისტერიას ვასრულებ ცრემლში,
შენ — სინანულის მისტერიას და შეცოდების...

ო, რა უკუნი სიჩუმე მეფობს!..
ო, როგორ ცივა, და როგორ ბნელა!..
შენც ჩუმი ხარ, უდაბური სიჩუმესავით...
მხოლოდ ფიფქის შრიალი ისმის,
თოვლის მუსიკა — ღამეული და იდუმალი...
იქაც — ქოხში:
ცეცხლი როკავს და ცეცხლი მღერის,
ცეცხლი —
უხსოვარ მისტერიას ასრულებს შენში
და ჩაგესმის ჩუმი ვედრება — შორეული და უხსოვარი...
და შენც ცეცხლივით როკავ და მღერი...
და ჩვენ რომ ვმღერით:
შენ გგონია — ჩვენ მართლა ვმღერით?!.
ოდეს ვმწუხარებთ:
შენ გგონია — მართლა ვმწუხარებთ?!.
ჩვენ სიყვარულის მისტერიას ვასრულებთ თოვლში,
მისტერიას — ღვთაებრივი ფერიცვალების...

## მე დავბრუნდები

ისევ ღამეა, ისევ თოვს და ისევ ქარია.
რაღაც ელავს მახსოვრობის უტყვ ნაპრალებში,
რაღაც იღვიძებს შორეულში და უხსოვარში:
იქაც ღამეა, იქაც თოვს და იქაც ქარია...
უდაბურების უდაბურ ველზე
ქარავანი უგზო-უკვლოდ მიედინება
და ტირის ქარი ამსოფლიურ წარმავალობას.
უხსოვრობის უხსოვარ გზებზე
ისე ქრებიან თვალმწუხარე მოქარავნენი,
ვით დამარცხებულ მოლაშქრეთა ჩირაღდნები —
გადაცხედრილ, ღამეულ ველზე.
მიდიან სადღაც და მიაქვთ ხსოვნა,
მიაქვთ ხსოვნა ქარიშხლების და ქარავნების...
კვდება დუმილში აქლემების ფარული ოხვრა
და ცრემლიანი, მათი მძიმე ნატერფალები, —
წარმავლობაში წამიერად ამოტვიფრული
და წამიერად გათელილი თოვლით და ქარით, —
გრიგალს მიაქვს უარსებო არსებობაში
და მიაქვთ სევდა — დათოვლილი უდაბნოების...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მივლასლასებ ქარავანში და მივირწევი,
მივირწევი თვალმწუხარე, სიზმარეული,
ბედისწერის ურჩი მორჩილი,
და მიმაქვს ხსოვნა დათოვლილი უდაბნოების,
ქვიშაში დაფლულ ქარიშხლების და ქარავნების.
და ცრემლიანი, ჩემი უტყვი ნატერფალები, —
გრიგალს რომ მიაქვს უარსებო არსებობაში, —
დაფარფატებენ უხსოვრობის მიუვალ ტბებში...
და არ ვიცი — სიდან მოვდივარ,
არც ის ვიცი — საით მივდივარ,
სად მიდის ეს გზა საქარავნე, საით მხარეში,
საიდან მოდის, სად იწყება და სად თავდება.
და თუ იწყება, რად არ თავდება,
რად არ თავდება თოვლისა და ქარის თარეში!
და თუ თავდება, — სად თავდება, სად შეჩერდება.
მეც რომ შევდგე, მეც რომ შევჩერდე
და ვიხილო დასაწყისი და დასასრული:
უდასაწყისოვ და უაჩრდილოვ!
აგინთო ლოცვა შელამების და გაფითრების,
მოგიძღვნა კრავი — სანავარდოდ, სათავისუფლოდ
და შემინდო ბედისწერის გზებზე წანწალი...
მაგრამ ღამეა, ისევ თოვს და ისევ ქარია.
უდაბურების უდაბურ ველზე
კვლავ ტირის ქარი ამსოფლიურ წარმავალობას
და ქარავანი უგზო-უკვლოდ მიედინება...
ისევ ქრებიან ცრემლიანი ნატერფალები,
ქრებიან ისევ და ბრუნდებიან
და მოაქვთ სევდა — დათოვლილი უდაბნოების...

მეც დავბრუნდები, გამოვარღვევ უხილავ ბჭეებს,
დავბრუნდები და ჩალის ქოხს ავაშრიალებ.
ჩავიცვამ ჯვალოს და აგინთებ ჩაფერფლილ ლოცვებს:
უარსებოვ და უაჩრდილოვ!
მოგიყვან თეთრ კრავს — შელამების და გაფითრების
და მოგიძღვნი ახალ სიცოცხლეს.
მე დავბრუნდები, გამოვარღვევ უდაბურ ბჭეებს
და კვლავ მოვუხმობ პირველ-სოფლის იდუმალ შრიალს...
და როს ამოვალ, როცა აღმართს ამოვათავებ —
წელში მოხრილი და სამოსელშემოფლეთილი:
კვლავ იქ დამხვდები მილურსმული... და მომიტევებ!..
ჯერ კი ღამეა, ისევ თოვს და ისევ ქარია.
უდაბურების უდაბურ ველზე
ქარავანი უგზო-უკვლოდ მიედინება
და ტირის ქარი ამსოფლიურ წარმავალობას.
ტირის ქარი და მიაქვს ხსოვნა,
მიაქვს ხსოვნა — დათოვლილი უდაბნოების...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედა არაბული

●

ფრინველმა იცის ასე მოწყენა,
ფრინველმა იცის ასე ნაღვლობა —
სხვამ არავინ და სხვამ არაფერმა —
ფრინველის დარდმა დაგიახლოვა...

ჩამოგცვენია ფრთები დაღლილი,
გადაგლიბრვია სევდით გუგები,
შეიწრებულა გული იჩქითად
განუკითხავი და განუგები...

გიახლოვდება დიდი ქარები —
ერთად: სიბერის... სიუმწიფარის...
და გადარჩენის ველურ სურვილით
თავს მხრებქვეშ იყოფ და ფრთას
იფარებ...

ფრინველმა იცის ასე მოწყენა,
ფრინველმა იცის ასე ნაღვლობა,
სხვამ არავინ და სხვამ არაფერმა,
ფრინველის დარდმა დაგიახლოვა...

●

ნეტავი როდის ჩადგება ქარი
ან ქარს როდემდე გაუძლებს კარი?! —
კარების უკან მთრთოლვარედ მდგარი
მაინც იმედით მოველი შედეგს...

ან რა იქნება ამ ქარის შემდეგ —
დილა თუ მწუხრი? თავსხმა თუ დარი?

კიდევ რამდენ ხანს გამიძლებს მხარი,
მე რომ ვუნაცვლებ მორყეულ კარებს?..

ნეტავი როდის ჩადგება ქარი?
ნეტავ როდემდე შემრჩება კარი?
კარების უკან მთრთოლვარედ მდგარი
საით წავიდე ამ ქარის შემდეგ?..

●

ცა ახლოა და ისე თბილია,
როგორც უბე და მანდილი დედის...
და ცისიერი ეტლით ილია
მშობელი უფლის წიაღში შედის...

მეც ჩემს მიწიერ ცოდვებს მოვრჩები,
რომლებიც მიწყივ ძვალ-რბილში
მჟეჟენ,
და მანქანების ბასრი ღოჯებით
დაღერღილ ძარღვებს დავაწყობ
მზეზე...

●

მზე ჩავიდა.
სარკმლის გასწვრივ
ნისლში გადნა ბეთანია.
ნისლში გადნა, თუ ღრუბლებში ოქროს
ჯაჭვით ავიდა...

სინანულის სახატესთან მარტოდმარტო
ვლიტანიობ, —
თუკი როსმე,
ამ დღეს უნდა დავიბადო თავიდან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ისევ ფაჩუნით ცვივა კაკალი,
ისევ და ისევ დის ბიის სუნი,
ისევ და ისევ გულის კანკალით
ვუახლოვდები ღვთაებრივ სურვილს...

ნეშოს ჩურჩული და თხელი ჩერო,
ნოტიო ზროზე მთვარის ნიკელი...

ვერ დავეუფლე, ო, ღმერთო ჩემო,
მე ეს წყურვილი ვერ მოვიკალი...

და ისევ გულზე მიკრული ხელი,
ხშირი სულისთქმა და ცემა გულის...
ისევ და ისევ ძველებურ ღელვით
ვუახლოვდები ღვთაებრივ სურვილს...

●

სევდა უჯიგო საჯიგის ნახვის,
უსახლეულო სახლის ხილვისა
იოგებს მიშლის და თავბრუს მახვევს,
აზრის და მზერის ზეცას მინისლავს...

ვწევარ... კვლავ უსტვენს ბალახი
ყურთან,
კვლავ ამოდ ისმის ლიკლიკი ჩქერთა...
მაგრამ არ არის, რაც იყოს უნდა,
რაც უფლის თვალმა განსაზღვრა
ერთად...

## სუყველამ უნდა...

სუყველამ უნდა იომოს, უნდა ეცადოს საცადი,
თუმცა: კაცი არ ყველა კაცია, დიდი დევს კაცით კაცამდი!..
სუყველამ უნდა ივაჟოს, უნდა დასძლიოს ცთუნება,
თუმცა: ბევრის კაცისა კაცობა ბევრისგან დაიწუნება!..
სუყველამ უნდა იხემსოს, უნდა სვას, ვისაც სწყურია,
თუმცა: სუყველას ღვინო არ ღვინობს, არც პურობს ყველას პურია!..
სუყველამ უნდა ამრავლოს თავის მოდგმა და ნაშენი,
თუმცა: ვერ გაიზრდება სუყველა მშობლის და სოფლის მაშველი!..
სუყველამ უნდა დაფეროს თავის ცელი და ნამგალი,
თუმცა: ერთს ვერ აიჭრის მოსავალს სუყველას სათიბ-სამკალი!..
სუყველამ რკინა უნდა ხრას, სანამ კბილები დასცვდება,
თუმცა: სუყველას ფეხის წადგმითა არ ყველა ხმალი დასწვდება!..
სუყველამ უნდა იფხიზლოს, უნდა აფხავოს ხმალია,
თუმცა: ხარსა კამეჩთან მებრძოლწა არ შერჩენიან რქანია!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დარეჯან ბატიაშვილი

## ავტოპორტრეტი

შენს ახლოს ვსახლობ ციცქნა სამყურა
და არად ვაგდებ ასე რომ ღელავ,
ბედმა შენს გვერდით ყოფნა მარგუნა,
წუხილი წრფელი და მარტოხელა.

შენი ტალღები ანთებენ კოცონს
და მზით ერთობა სიმლაშე ტალღის,
მარჯნით გამივსო სამყოფი მომცრო
თუ მორჩილება ეული სახლის.

ლურჯი ზეციდან ნაკმევი სული
ჩიტის ენაზე მიგალობს თითქოს
და ხმელეთისკენ წრეგადასული
მიემართება იების სითბო.

ჩემი მზის სხივებს ვით მოჭრილ ტოტებს
ყოველთვის ახლავს ნიშანი კითხვის,
და, თუმც ზღვა ახლა ჩემსავით შფოთავს,
ზღვა ჩემოდენას მაინც ვერ იტყვის.

კრძალვით დავფარე ჩემი კუნძული,
როგორც სიმღერა ფარავს ტერასებს.
კენტად შემოვრჩი ზღვას გალურსული
და ვფიქრობ ყველა მარტოხელაზე.

იქნებ იმიტომ, რომ ყველას გენდეთ
და არ შემეძლო არავის ვნება,
გამუდმებული ქარების შემდეგ
გარშემო ვუვლი დამსხვრეულ გემბანს.

ლურჯი ზეციდან ნაკმევი სული
ჩიტის ენაზე მიგალობს თითქოს
და ნაპირისკენ მზით შეფაკლული
მიემართება იების სითბო.

## კენტი ფანჯარა

მე მზის ჩასვლისას მეწვის ფანჯარა,
დიდი ხანძარი ჩნდება მინაზე,
ღამემ თუ სევდა შემომაჯარა,
თუ სიმძიმილით გადავირაზე,

რაღა დამრჩება დუმილის გარდა,
რაღა აზრი აქვს საღამოს ზარებს,
მე მარტოობა დამხვდება კართან,
იისფერ კართან და... შემიფარებს...

და თუ უჟმური ფიქრი განქარდა,
ვერ შევაჩვიე თვალი სიბნელეს,
ვერვინ დამიხსნის ჩემი მზის გარდა,
ვერ გადამარჩენს სხვა რამ სიქველე.

ხომ შუქი მძლავრობს ჩემში აშკარად,
რატომ არ გაცვდა მაშ ეს ნაღველი?
... მე ყოველ დილით მეწვის ფანჯარა,
მე ყოველ დილით მეწვის სარკმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭიჭინაძე

# ბერლინის შტურმი

სანამ ამ სტრიქონების წერას დავიწყებდი, დიდხანს ვყოყმანობდი, რამდენი იყო ამ ომის მონაწილე და ყველამ თუ ომის დღეების მოგონებებს მიჰყო ხელი, რა გამოვა-მეთქი. მართალი გითხრათ, არც ახლა ვარ დარწმუნებული, სწორად რომ ვიქცევი. ერთადერთი ის მამოძრავებს, რომ მინდა ჩვენს ახალგაზრდობას ვაჩვენო ომის არა მარტო ტრიუმფალური, არამედ შეძლებისდაგვარად რეალური სახე, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ, რა არის ომი და ამ საშინელების დროს ვის ხელში იყო გერმანელი ხალხის ბედი. ჩემი ყველაზე უფრო დიდი სურვილია, ჩვენს ახალგაზრდა თაობას არასდროს მოუწიოს ომში მონაწილეობამ. გარდა ზემოაღნიშნულისა, იქნებ საინტერესოც იყოს ომის აღწერა არაპროფესიონალის თვალსაზრისით, მე ხომ ომმა სტუდენტის მერხზე მომისწრო.

ამბობენ, ომი პოლიტიკის გაგრძელებააო. მე ვიტყოდი, — ომი არის პოლიტიკის ყველაზე საზიზღარი გაგრძელება. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ თავდაცვითი ომები. საინტერესო ფაქტია ის, რომ წინათ არც ერთი სახელმწიფოს მეთაური არ ცდილა ომი სხვისთვის, თავის მოწინააღმდეგისათვის გადაებრალებინა, არც ალექსანდრე მაკედონელს, არც იულიუს კეისარს, არც ჩინგისხანს და არც ნაპოლეონს ასეთი საზრუნავი არ ჰქონდათ. პირიქით, ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, ახალი ბრძოლა აუცილებელია, რათა ახალი დიდებით შეიმოსოს სახელმწიფოო.

სხვა სიტუაციასთან გვქონდა საქმე პირველი მსოფლიო ომის დროს. ყველა იმდროინდელი სახელმწიფოს მეთაური: ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ნიკოლოზ II, ვილჰელმ II ერთმანეთს აბრალებდნენ ომის დაწყებას. ყველა ამტკიცებდა, რომ მას არ უნდოდა ომი და იგი აღმოცენდა მოწინააღმდეგის მიზეზით.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ომი დაიწყო ნაცისტურმა გერმანიამ. ჰიტლერის მიერ გამოთქმულმა აზრმა, თითქოს ეს ომი მას თავზე მოახვიეს, მხოლოდ და მხოლოდ ირონიული ღიმილი შეიძლება გამოიწვიოს. ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენი ომი გერმანიის წინააღმდეგ მიეკუთვნება თავდაცვით ომს. თავდაცვით ომებს მომავალში ყოველთვის ექნება გამართლება. სხვა საკითხია, აქვს თუ არა აზრი დაპყრობით, აგრესიულ ომებს. ასეთი ომების მიზეზები შეიძლება იყოს საერთაშორისო ბაზრების ხელში ჩაგდება სხვადასხვა რესურსების უქონლობის შემთხვევაში, ისეთი ქვეყნების დაპყრობა, სადაც ეს რესურსები არსებობს, სხვა ქვეყნების ხარჯზე თავისი ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესება და სხვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხთა და მათ მეთაურთა ინტელექტი, ალბათ, ავა შესაბამის სიმაღლეზე, და ისინი დარწმუნდებიან დაპყრობითი ომების უაზრობაში. საერთაშორისო ბაზრის გაფართოება შეიძლება უომრადაც, თუ ხალხს შესწევს უნარი შექმნას მაღალი მატერიალური ფასეულობანი. რაც შეეხება რესურსების უქონლობას, იაპონიის მაგალითმა დაამტკიცა, რომ მშვიდობის პირობებში რესურსების უქონლობა ბევრს არაფერს ნიშნავს. ომის დაწყება კი იმ მოტივით, რომ დაიპყრო სხვა ქვეყანა და მისი დოვლათის ხარჯზე გააძლიერო შენი ქვეყანა, ალბათ საერთაშორისო ბანდიტიზმის კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს. ვიმეორებთ, რომ ინტელექტისა და კულტურის საერთო დონის ამაღლება შემდგომში ხელს შეუშლის ამ მიზეზებით ომის წარმოშობას. დარჩა კიდევ ერთი მიზეზი, ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის გავრცელება სხვა ქვეყნებზე. უფრო სწორად რომ ვთქვათ, რაც შეიძლება მეტი ხალხების დამორჩილება რომელიმე მძლავრი სახელმწიფოს მეთაურთა დიქტატისადმი, რასაც ადგილი ჰქონდა ნაცისტური გერმანიის შემთხვევაში.

მოძველებულად და ძირითადში არასწორად

უნდა ჩაითვალოს ის აზრი, თითქოს სხვისი ტერიტორიის ხელში ჩაგდება და სხვა ხალხების დაპყრობა საკუთარი ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საწინდარია. ჰიტლერი სწორედ ამით ცდილობდა თავის ხალხში ავტორიტეტის ამაღლებას. ასეთ შეხედულებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ რამდენად საფუძვლიანია და აუცილებელი, ეს უკვე სულ სხვა საკითხია. მაგალითისთვის ისევ იგივე გერმანია ავიღოთ: დამარცხებულმა და მთლიანად დანგრეულმა ქვეყანამ შეძლო ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალ საფეხურზე აეყვანა, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მაღალზე, ვიდრე მას ჰქონდა ომის დაწყების წინ — 1941 წელს; არ შევცდები თუ ვიტყვი, ფაშისტებს რომ არ ჩაეგდოთ ხელში ძალა-უფლება და ომი არ დაეწყოთ, გერმანიის ცხოვრების დონე უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. იგივე შეიძლება ითქვას იაპონიაზე. ვფიქრობ, იაპონიის ეკონომიკისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის არ იყო საჭირო სისხლისმღვრელი ომების დაწყება, იაპონიას შეეძლო სამშვიდობო პოლიტიკით მიეღწია ამ მიზნისათვის.

საბჭოთა კავშირს ნაცისტური გერმანია თავს დაესხა 1941 წლის 22 ივნისს. ცოტა ხნის შემდეგ მე და ბევრი ქართველი ახალგაზრდა ქ. ბაქოს საზენიტო არტილერიის სასწავლებელში მოვხვდით. თბილისიდან ჩასულთა უმრავლესობა სტუდენტები ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები იყვნენ. ეს იწვევდა ზოგიერთ უხერხულობას, ვინაიდან ამ სასწავლებლის ოფიცრების დიდ ნაწილს საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი — ლეიტენანტი ჩმუროვი აღწერილი ჰყავს ცნობილ პროფესორს, აწ განსვენებულ მიხეილ კვესელავას. ჩმუროვი მეტად კოლორიტული ფიგურა იყო. მას ჰქონდა სამკლასიანი [განათლება და ორგანულად ვერ იტანდა იმ პირებს, ვინც უმაღლესი განათლებით იყვნენ და, მათ შორის, პირველ რიგში, მიხეილ კვესელავას, „ბოლოს და ბოლოს მე შენ გაგხდი კაცად“, ეუბნებოდა ჩმუროვი კვესელავას.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავამთავრეთ სასწავლებელი და გაგვაგზავნეს სხვადასხვა ნაწილში. მე მოვხვდი დივიზიაში, რომელიც იცავდა ობიექტებს ქ. ტამბოვის შემოგარენში. როსტოვამდე ჩვენ საკმაოდ უზრუნველად ვიმგზავრეთ. როსტოვში პირველად ვნახეთ ომის ნამდვილი სახე: ქალაქი მთლიანად დანგრეული, სადგურის შენობა დამწვარი. როსტოვის შემდეგ ჩვენმა ეშელონმა გეზი ვორონეჟისაკენ აიღო. ფრონტის წინა ხაზი სულ ახლოა. ჩვენი მატარებელი იყო უკანასკნელი, რომელმაც ამ მარშრუტით გაიარა. ვორონეჟთან მიახლოებისას მატარებელი გაჩერდა, ქალაქს სასტიკად ბომბავენ, იგი მთლიანად ცეცხლშია გახვეული. გასაკვირი ის იყო, რომ თვითმფრინავები ჩვენი მატარებლის თავზე შემობრუნდებოდენ ხოლმე და ისევ მიეშურებოდნენ ქალაქის დასაბომბად, მაგრამ, რატომღაც, ჩვენთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ. ბოლოს, როგორც იქნა, დამთავრდა დაბომბვა და ჩვენი მატარებელი შევიდა ქალაქში. სადგური მთლიანად ცეცხლში იყო გახვეული...

ჩავედი დანიშნულების ადგილას და გამოვცხადდი დივიზიის შტაბში. დამნიშნეს 788-ე საზენიტო პოლკის ერთ-ერთი ბატარეის (რომელიც ქ. კოტოვსკში იდგა და იცავდა მეტად მნიშვნელოვან ობიექტს) ოცეულის მეთაურად. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ ბატარეა შეიარაღებული იყო ძველი, 1915 წლის ნიმუშის 75 მილიმეტრიანი ქვემეხებით. ასეთი ქვემეხებით არ შეიძლებოდა ცეცხლი გაგეხსნა, თვითმფრინავებისათვის, რომლებიც 4000 მეტრზე მაღლა მიფრინავდნენ. პირველივე ღამეს გერმანელებმა აღნიშნულ ობიექტზე განახორციელეს სასტიკი თავდასხმა. ქარხანა, თურმე, გერმანელი სპეციალისტების მიერ იყო აშენებული და მათ მშვენივრად იცოდნენ ობიექტის განლაგება და ის პროდუქცია, რასაც აქ ამზადებდნენ. უბედურება ის იყო, რომ ჩვენი ცეცხლი თითქმის არაფერში უშლიდა მათ ხელს, ვინაიდან მტერი ბომბებს გვიშენდა 4500 მ. სიმაღლიდან. ერთ კვირაში მივიღეთ ახალი ტექნიკა, 85 მილიმეტრიანი ქვემეხები და საზენიტო ცეცხლის მართვისათვის გამიზნული ხელსაწყო — «ПУАЗО-8».

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის მოულოდნელი იყო არა მარტო ომის დაწყება, არამედ პირველ ეტაპზე ომის მსვლელობაც. ჩვენ, ახალგაზრდები, ისე ვიყავით გაზრდილნი, რომ ეჭვი არ გვეპარებოდა, უმოკლეს ვადაში გავანადგურებდით მტერს, და თანაც თავისავე ტერიტორიაზე. ამაში გვარწმუნებდა პრესა, კინო, თეატრი, რადიო, ამაში გვარწმუნებდა მარშალ ვოროშილოვის სიტყვები, რომ თუ იმპერიალისტები ომს გააჩაღებდნენ, მაშინ ჩვენ ამ ომს მყისვე გადავიტანდით მათ ტერიტორიაზე, რომ ჩვენს მიწაზე ფეხს ვერ შემოდგამდა მტრის ვერც ერთი ჯარისკაცი.

სამწუხაროდ, ომის პირველმა პერიოდმა გვიჩვენა საწინააღმდეგო სურათი. გერმანელი ჯარისკაცები უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი. ჩვენ არ გვყოფნიდა უბრალო შაშხანებიც კი. მაშინდელი ჩვენი გამანადგურებელი „И—16“ ვერ უწევდა წინააღმდეგობას გერმანელების უახლეს თვითმფრინავებს „Me — 109“-ს. ჩვენ გვყავდა შესანიშნავი ტანკი, რომელიც გაცილებით სჯობდა გერმანელთა ტანკებს, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე ცოტა იყო. ჰაერში მტრის უპი-

რატესობამ წაგვაგებინა არაერთი ბრძოლა. კერძოდ, ის ტრაგედია, რომელიც დატრიალდა ქერჩში 1942 წლის მაისში, შედეგი იყო გერმანელების ჰაერში უპირატესობისა. როგორც ცნობილია, აქ დაიღუპა ბევრი ქართველი მებრძოლი. აქვე, ვლადისლავსკას მისადგომებთან წევს ჩემი სიყრმის მეგობარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ირაკლი ხაბურზანია.

ომის პირველმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ არც მხედართმთავართა მხრივ იყო სახარბიელო მდგომარეობა. მხედართმთავართა ძველმა გვარდიამ: ვოროშილოვმა, ბუდიონიმ, გოროდოვიკოვმა, კულიკმა ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები. ალლო ვერ აუღეს თანამედროვე მანევრულ ომს ტანკების მასიური გამოყენებით. ამ ომში არ შეიძლებოდა გვეხელმძღვანელა იმ მეთოდებით და ტაქტიკით, რომელმაც წარმატება მოგვიტანა სამოქალაქო ომში. უმაღლესმა მთავარსარდალმა მალე გამოასწორა მდგომარეობა და დაიწყო მეთაურთა შეცვლა. წინა პლანზე წამოვიდა ახალი თაობა: ჟუკოვი, კონევი, ვასილევსკი და სხვები.

ომის დასაწყისში მარშალ ჟუკოვის განმგებლობაში, რომელიც ხელმძღვანელობდა ბრძოლებს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, იყო 80 დივიზია, აქედან, 45 ფეხოსანი, 20 სატანკო. 10 მოტორიზებული და 5 კავალერიის. მის წინაალმდეგ მოქმედებდა მტრის 45 დივიზია, ესე იგი, გაცილებით ნაკლები, ვიდრე ჟუკოვს ჰყავდა, მაგრამ ჩვენი დივიზიები ჯარისკაცთა რიცხვით ჩამორჩებოდნენ გერმანულ დივიზიებს (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ციფრობრივი მონაცემები აღებულია ჟუკოვის წიგნიდან).

გენერალ პავლოვს, რომელიც დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდალი იყო, ჰყავდა 44 დივიზია, ხოლო მის წინაალმდეგ მოქმედებდა გერმანელთა 50 დივიზია. საერთოდ, ჩვენი მხრიდან ომში მონაწილეობდა 149 დივიზია, გერმანელებისა კი 158. როგორც ვხედავთ, ცოცხალი ძალის მიხედვით გერმანელებს დიდი უპირატესობა არა ჰქონდათ დასაწყისში. მაშ რაში იყო საქმე? პირველ რიგში, უკეთეს შეიარაღებაში და უკეთეს ორგანიზაციაში. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოულოდნელი თავდასხმის ფაქტორსაც. გარდა ამისა, ომის პირველმა დღეებმა აჩვენა, რომ ჩვენს არმიებში ძალზე ცუდად იყო გადაწყვეტილი ჯარებისათვის ისეთი სასიცოცხლო პრობლემა, როგორიც იყო კავშირგაბმულობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კარგა ხნის განმავლობაში უმაღლესმა მთავარსარდალმა არ იცოდა, სად იყო დასავლეთის ფრონტის სარდალი გენერალი პავლოვი და კიდევ უარესი — მარშალი კულიკი. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენს ნაწილებში ომის წინ კავშირგაბმულობის ძირითადი საშუალება იყო სატელეფონო კავშირი, რომელიც ძალიან ადვილი გამოსაყვანია წყობიდან. ჯარები არ იყო აღჭურვილი რადიოკავშირით და ამან მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხედრო ოპერაციების წარმართვაში.

ცნობილია ის კრიტიკა, რომელიც ომის დამთავრების კარგა ხნის შემდეგ გამოითქვა. პირველი პერიოდის წარუმატებლობაში უმთავრესად სტალინს ედებოდა ბრალი. მარშალმა ჟუკოვმა ნაწილობრივ გაასწორა ეს შეხედულება.

როგორც ცნობილია, 1941 წლის დეკემბერში ომში ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატები. მოხდა ის, რასაც ასე ერიდებოდა გერმანია და რასაც სულმოუთქმელად ელოდა ინგლისი. მოკავშირეთა მძლავრი კოალიციის შექმნამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ომის მსვლელობაზე. მე ვთხოვ მკითხველს, კარგად გაიგოს. ამ ომში ნაცისტური გერმანიის წინაალმდეგ ძირითადი დატვირთვა საბჭოთა კავშირმა გაიტანა. გერმანიამ აღმოსავლეთის ფრონტზე მიიღო რამდენიმე გამანადგურებელი დარტყმა: სტალინგრადთან, მოსკოვთან, ლენინგრადთან, კურსკთან. ეს ფაქტია და ამის უარყოფა არავის ძალუძს. მეორე მხრივ, არ შეიძლება დავივიწყოთ მოკავშირეთა, კერძოდ, ინგლისისა და ამერიკის როლი ამ ომში. საქმე იმდენად მეორე ფრონტის გახსნაში არ არის, თუმცა ამ ფრონტის არსებობამ, მარშალ ჟუკოვის წიგნში მოყვანილი ცნობების თანახმად, ჩვენ ჩამოგვაშორა არცთუ ისე ცოტა ძალა (74 დივიზია). საქმე ისაა, რომ მეორე ფრონტი გაიხსნა მაშინ, როდესაც გერმანელებს მთავარი ბრძოლები უკვე წაგებული ჰქონდათ აღმოსავლეთის ფრონტზე. ამ დროისათვის, მართალია, ჰიტლერული გერმანია არ იყო მოსპობილი, მაგრამ უკვე წელში იყო გატეხილი. მოკავშირეთა წვლილი ამ ომში მდგომარეობდა უპირატესად იმ გამუდმებით სტრატეგიულ დაბომბვებში, რომლებსაც ისინი ახორციელებდნენ 1942 წლიდან. ვინც დასავლეთ გერმანიის ქალაქებში ყოფილა ომის შემდგომ პერიოდში, ის ადვილად შეამჩნევდა, რომ ეს ქალაქები ხელმეორედ არის აშენებული. გერმანიის მრეწველობა, მისი ქალაქები მძიმე დარტყმებს იღებდა ჰაერიდან. ეს იყო არა მთავარი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ შევძელით რიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობრივი უპირატესობა მოგვეპოვებინა მტერზე შეიარაღების თითქმის ყველა სახეობაში. არ უნდა დავივიწყოთ ის დახმარებაც, რაც მოკავშირეებმა გაგვიწიეს იარაღით, აღჭურვილობით და რესურსების მომარაგების მხრივ, და იმ ბრძოლების გადატანაში, რაც დაკავშირებული იყო საზღვაო ქარავნების დაცვასთან. ამ საზღვაო ოპერაციებში თანაბრად იბრძოდნენ აგრეთვე ჩვენი საზღვაო ძალები. ომი მარტო ფრონტის წინა ხაზზე გმირობა როდია. ომი დაკავშირებულია რესურსებთან, იარაღთან, საკვებთან, აღჭურვილობასთან, ავტომანქანების და ტრანსპორტის სხვა საშუალებებთან, და თუ ეს ყველაფერი არ გექნა, მარტო გმირობა და თავგანწირვა საქმეს ვერ უშველის. ვისაც სურს დარწმუნდეს მოკავშირეთა დახმარების მნიშვნელობაში, უნდა წაიკითხოს წიგნი, რომელიც სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის მიწერ-მოწერას ეხება.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაება იაპონიის თავდასხმის შედეგად სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, პირლ-ჰარბორში. იაპონიის მმართველობის შეცდომა იყო ელემენტარული, შედეგი კი ამ ქვეყნისათვის კატასტროფული. მათ ვერ შეაფასეს ჯეროვნად შეერთებული შტატების სამხედრო, სამრეწველო და აგრეთვე სამეცნიერო პოტენციალი. მართალია, პირველად იაპონიამ მძიმე დარტყმა მიაყენა ამერიკას, მთლიანად მოსპო მისი წყნარი ოკეანის ფლოტი, დაიკავა ფილიპინის კუნძულები, მოახდინა წყნარი ოკეანის კუნძულების და ინდონეზიის ოკუპაცია და უშუალოდ მიადგა ავსტრალიას, მაგრამ იაპონიის მმართველმა წრეებმა ვერ გაითვალისწინეს ის, რომ ამერიკას, თურმე, შესწევდა ძალა საკმარისად მოკლე დროის განმავლობაში არამცთუ აენაზღაურებინა მძიმე დანაკლისი, არამედ შეექმნა გაცილებით უფრო ჭარბი იარაღი, ვიდრე ეს იაპონიას შეეძლო.

ანალოგიური მდგომარეობა იყო გერმანიაშიც. ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, თუ რა ხალხი იდგა სათავეში ნაცისტურ გერმანიას. შესაბამისი მასალის შესწავლა ცხადყოფს, რომ უახლოესი პირების დახასიათებითაც კი, გერმანიის ხელმწიფოს მეთაური იყო დილეტანტი, თანაც დილეტანტი ყველა დარგში. მას არ მიუღია რაიმე სერიოზული განათლება. ჰიტლერი არც ერთ უცხო ქვეყანაში არ იყო ნამყოფი. არ იცოდა ენები. როგორც წესი, ჰიტლერი უპირატესობას აძლევდა იმ პირებს, ვინც განათლებით მის დონეზე იდგა. ამ გარემოებაში ის თავს უფრო მყარად გრძნობდა. ჰიტლერის შეიარაღებული ძალების მინისტრი შპეერი ამბობდა: „თუკი ვინმე მეგობარი ჰყავდა ჰიტლერს, ეს მე ვიყავი". შპეერის თქმით, მას არასოდეს შეუმჩნევია, რომ ჰიტლერი როდისმე დაინტერესებულიყო რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოებით. უმთავრესად ის კითხულობდა წიგნებს სამხედრო მეცნიერებაზე და არქიტექტურაზე. ჰიტლერი გადაჭარბებულად პატივმოყვარე იყო. ამას ადასტურებს თუნდაც მისი შემდეგი სიტყვები: „მე არასოდეს არ ვითხოვ ცოლს. რად ღირს მარტო ის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების ყოლასთან. ალბათ, შეეცდებიან, რომ ჩემი შვილი მომავალში გახდეს ჩემი შემცვლელი, მაგრამ ცოტა შანსია იმისა, რომ ისეთს, როგორიც მე ვარ, ჰყავდეს ნიჭიერი შვილი. ასე ხდება საერთოდ. გოეთეს ხომ ჰყავდა არაფრის-მაქნისი შვილი". ჰიტლერს არ ჰქონდა იუმორის გრძნობა. თუ ვინმე ხუმრობდა, ის, როგორც წესი, მას არ უსმენდა. ჰიტლერი ამბობდა: „მამაჩემი ხშირად მწარედ მცემდა. მე მგონია, ეს აუცილებელი იყო და ამან მიშველა მე".

ჰიტლერი თავის თავს თვლიდა გენიოსად ყველა დარგში და ამაში ოდნავადაც არ ეპარებოდა ეჭვი. ეს იყო ძირითადი მიზეზი მისი პატივმოყვარეობისა და იმისაც, რომ არავის უწევდა ანგარიშს, არავის რჩევას არ იღებდა, ანდა თუ იღებდა, მარტო იმ შემთხვევაში, თუ ეს აზრი მისას ემთხვეოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰიტლერს არ გააჩნდა რაიმე სპეციალური ცოდნა, ან საიდან უნდა ჰქონოდა; პირველ მსოფლიო ომში ეფრეიტორად იყო, ხოლო შემდეგ იაფფასიან პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. აქედან გამომდინარე, როგორც ამას ამტკიცებენ ცნობილი უცხოელი ექსპერტები, მას არ შეეძლო გაეხსნა რთული კომპლექსური პრობლემა. ის ცდილობდა მის დანაწევრებას და მიღებული ნაწილების ანალიზს. მაგრამ, როგორც ცნობილია, რთული პრობლემის ასე გადაწყვეტა არ შეიძლება, ვინაიდან გათვალისწინებული უნდა იყოს ის კავშირები, რომლებიც არსებობენ ამ ცალკეულ ქვეპრობლემებს შორის. ჰიტლერი ცდილობდა ემოქმედა სტანდარტულ იდეებზე დაყრდნობით. წინა წლებში მიღწეულმა გამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვებებმა ცუდი სამსახური გაუწია მას. ამ მიღწევებმა დააჯერა თავის ჱენიალობაში და შეუცდომლობაში. ცნობილია, რომ ეს გამარჯვებები შედეგი იყო საფრანგეთის და ინგლისის ხელმძღვანელების სისუსტისა, მათი უნებისყოფო და ახლოსმხედველი პოლიტიკისა. გერმანიის ადრინდელი პერიოდის გამარჯვებები შედეგი იყო აგრეთვე ამ ქვეყნის სამხედრო უპირატესობისა, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ არ მიიღო საჭირო ზომები, რათა თავისი ქვეყანა სათანადოდ შეეიარაღებინა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ოპერაციების პირველ პერიოდში ჰიტლერი ნაკლებად ერეოდა უშუალოდ ამ ოპერაციებში, უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდათ მაშინ მინიჭებული გენერლებს, რომლებიც თავისთავად ცხადია, უფრო კომპეტენტურები იყვნენ, ვიდრე ჰიტლერი. ერთი სიტყვით, მიღწეული გამარჯვებების შედეგად ჰიტლერი გახდა აბსოლუტურად თვითდაჯერებული. ომის ბოლო ფაზაში, როდესაც ფაქტიურად თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო — ჩვენმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს გერმანელთა ჯარებს ლიტვაში, კურლანდიაში — არმიის შტაბის უფროსი გენერალი გუდერიანი ცდილობდა დაერწმუნებინა ჰიტლერი, რათა განხორციელებულიყო ცდა ალყაშემორტყმული ნაწილების ზღვით გამოსაყვანად. ყველა საჭირო გაანგარიშებანი ამისათვის შტაბს მზად ჰქონდა. ჰიტლერი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. „ჩვენი უბრალო ვალია, გადავარჩინოთ ეს ხალხი. ჩვენ კიდევ გვაქვს დრო, გამოვიყვანოთ ისინი", — ყვიროდა გუდერიანი. გაცოფებული ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იქ, ამ ტერიტორიას ჩვენ ვერ დავთმობთ". „მაგრამ ეს ხომ უაზრობაა, გავწიროთ ხალხი, მაშინ, როდესაც გამოუვალი მდგომარეობაა", პასუხობდა გუდერიანი. გენერალმა ეს ბრძოლა წააგო. მეორე მაგალითი: 1944 წლის 28 ივნისს ფელდმარშალი რომელი მიმართავს ფელდმარშალ რუნდშტეტს: „ჰერ რუნდშტეტ, მე და თქვენ ორივენი ვფიქრობთ, რომ ეს ომი უნდა დამთავრდეს. მე არ ვაპირებ ყოყმანს, ეს ყველაფერი უნდა ვუთხრა ჰიტლერს". ამის შემდეგ რომელი მიმართავს თავისი შტაბის ოფიცერს ვოლფრამს: „ხვალ მივდივარ ფიურერთან. ამ ხნის განმავლობაში მე ვიგრძენი ჩემი პასუხისმგებლობა გერმანელი ხალხის წინაშე. მე მაქვს შესაძლებლობა ვიკისრო პასუხისმგებლობა არა მარტო როგორც სამხედრო პირმა. პოლიტიკური სიტუაცია ცხადია: ჩვენ მთელი მსოფლიო გვყავს ამხედრებული ჩვენს წინააღმდეგ. არ არის არავითარი შანსი, რომ გავიმარჯვებთ". ჰიტლერი ამ დროს იმყოფებოდა ბერხტესგადენში. იქ გამგზავრების წინ რომელმა უთხრა მეუღლეს: „შენ შეიძლება ვეღარასოდეს მნახო". თათბირი, სადაც გაემგზავრა რომელი, დაიწყო 1944 წლის 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე. ჰიტლერი, რომელი და რუნდშტეტი იდგნენ გრძელი მაგიდის ერთ მხარეს. მაგიდაზე იყო საბრძოლო რუკა. მაგიდის მეორე მხარეს იყვნენ მინისტრები, ზოგიერთი დიპლომატი და სხვა ოფიციალური პირები. ჰიტლერმა დამსწრეებს აჩვენა ფოტოსურათები, სადაც ასახული იყო, თუ რა ნგრევა მიაყენა ლონდონს გერმანელთა „V-1" ტიპის რაკეტებმა. ამის შემდეგ ჰიტლერმა სიტყვა მისცა რომელს. „ჩემო ფიურერო, — დაიწყო რომელმა, — მე აქ ვიმყოფები როგორც არმიების ჯგუფის სარდალი. ახლა გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ, დროა მოგახსენოთ არსებული მდგომარეობის შესახებ. მე მინდა დავიწყო პოლიტიკური მდგომარეობიდან. მთელი მსოფლიო გერმანიის წინააღმდეგ შეიკრა". აქ ჰიტლერი აწყვეტინებს რომელს: „ფელდმარშალო, თუ შეიძლება ილაპარაკეთ სამხედრო მდგომარეობაზე". რომელი აგრძელებს: „ჩემო ფიურერო, ისტორია თხოულობს ჩემგან, რომ მე პირველ რიგში განვიხილო საერთო მდგომარეობა". ჰიტლერი უხეშად აწყვეტინებს: „თქვენ ილაპარაკეთ იმ სამხედრო მდგომარეობაზე, რომელიც თქვენ უშუალოდ გეხებათ და სხვა არაფერზე". აქ რომელს არაფერი დარჩენია, უნდა დაემორჩილოს. ჰიტლერი უკმაყოფილოა რომელის და რუნდშტეტის მოქმედებით დასავლეთის ფრონტზე და, კერძოდ, ნორმანდიაში, შერბურგის ნახევარკუნძულზე. ცოტა ხნის შემდეგ რომელი ისევ უბრუნდება თავის თემას: „ჩემო ფიურერო, მე არ შემიძლია აქ ვიყო და არ ვილაპარაკო ისეთ პრობლემაზე, როგორიცაა გერმანია". აქ ჰიტლერმა აუწია ხმას: „ფელდმარშალო, კეთილი ინებეთ და დასტოვეთ ოთახი. მე ვფიქრობ, ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება". რომელმა დასტოვა ბერგჰოფი. ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა ჰიტლერთან. გავიდა ცოტა ხანი და რომელი გადაყენებული იქნა თანამდებობიდან. მალე ამის შემდეგ ბერლინიდან ტელეფონით რეკავს გენერალი კეიტელი და თხოვს რომელს, ჩამოვიდეს ბერლინში. რომელი ხვდება საქმის ვითარებას და ავადმყოფობას იმიზეზებს, უარს ამბობს ბერლინში წასვლაზე. მაშინ რომელთან გამოცხადდა ჰიტლერის სამხედრო ადიუტანტი, რომელის უახლოესი მეგობარი — ბურგდორფი. ბურგდორფმა განზე გაიხმო რომელი და უთხრა: „თქვენ გბრალდებათ ფიურერის ხელყოფაში მონაწილეობა". და წაუკითხა დაპატიმრებული ჰოფაკერის, შპეიდელის და სხვათა ჩვენებანი. რომელი ეკითხება ბურგდორფს, იცის თუ არა ამის შესახებ ჰიტლერმა. ბურგდორფმა თავი დააქნია და დასძინა: ფიურერი თვლის, რომ თუ რომელი დათანხმდება თვითმკვლელობაზე, მაშინ ვერავინ ვერაფერს გაიგებს მისი გამცემლობის შესახებ და მას დიდი პატივით დაასაფლავე-

ბენ, ხოლო მეუღლე მიიღებს ფელდმარშლის პენსიას. რომელი კატეგორიულად უარყოფს შეთქმულებაში მონაწილეობას, ცოტა ხნის შემდეგ კი ამბობს: „მე გამიჭირდება პისტოლეტის ხმარება“. „ჩვენ ეს გავითვალისწინეთ, — პასუხობს ბურგდორფი, აჩვენებს ამპულას და დასძენს: — ეს მოქმედებს სამ წამში“. ამის შემდეგ რომელი შედის მეუღლესთან და ეუბნება: „თხუთმეტი წუთის შემდეგ მე აღარ ვიქნები“. ბურგდორფი და რომელი მანქანით მიემგზავრებიან. მათ არ ჰქონდათ გავლილი 70 მეტრი, რომ ბურგდორფმა თქვა „მე გადავალ მანქანიდან“. ასე დაამთავრა სიცოცხლე ჰიტლერის უსაყვარლესმა ფელდმარშალმა.

სიჯიუტე, რომელსაც ჰიტლერი იჩენდა მძიმე და კრიტიკული მდგომარეობის დროს, ნაწილობრივ გამოწვეული იყო ჩვენი ჯარების და სარდლების მტკიცე მოქმედებებით ანალოგიურ მდგომარეობებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ჰიტლერმა გაკვეთილად აიღო აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი სიტუაციები, როდესაც ჩვენი მებრძოლები უკან არ იხევდნენ და გააფთრებით იბრძოდნენ. მაგრამ სიბეცეც იმაშია, რომ მან ვერ დაინახა განსხვავება. ჩვენ ამის საშუალებას გვაძლევდა ჩვენი დიდი რეზერვები, როგორც სხვა სახეობაში, ისე, განსაკუთრებით, ცოცხალ ძალაში. გერმანიას ეს რეზერვები არ ჰყავდა და ანალოგიურად მოქმედებაც სისულელე იყო. მეორე — ჩვენ გვქონდა სიღრმეში დიდ მანძილზე დახევის საშუალება, გერმანია ამას მოკლებული იყო მას შემდეგ, რაც ბრძოლებმა მის საზღვრებს მიაღწია.

1942 წლის ივნისში გერმანიამ წამოიწყო ახალი დიდი შეტევა სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით. ჰიტლერი აღტაცებული იყო: კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ის მართალია, გენერლები კი სტყუიან, ვინაიდან ურჩევდნენ, არ დაეწყოთ შეტევა და ეწარმოებინათ თავდაცვითი ოპერაციები. ეს სიტყვები იწერება არა იმიტომ, რომ გვინდა ვაჩვენოთ, თითქოს ყველაფერში ჰიტლერი იყო დამნაშავე და, რომ მას თავისი გენერლებისათვის ყური დაეგდო, ომის ბედი შეტრიალდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. გერმანიის უდიდესი შეცდომა იყო საერთოდ ომის დაწყება, ხოლო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — ფატალური შეცდომა. ჩვენ გვქონდა გაცილებით მეტი რესურსები, ტერიტორიული უპირატესობა. გერმანელი ჯარისკაცი ნამდვილად კარგი მებრძოლია, მაგრამ რუსი ჯარისკაცი მაინც სჯობია მას, გამძლეობით, ხასიათის სიმტკიცით და სიკვდილის შიშის უგულებელყოფით. სიკვდილის შიში კი ომში მნიშვნელოვანი ფაქტორია. ალბათ, გახსოვთ ცნობილი ფრაზა: „სიკვდილი არლეკინის მალაყი არ გეგონოთ. სიკვდილის შიში უფრო საშინელია, ვიდრე თვით სიკვდილი“. ჩვენი ღრმა რწმენით, გერმანია ომს მაინც წააგებდა, მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს სათავეში იქნებოდა ჰიტლერი თუ სხვა ვინმე. როგორც სტალინმა 1941 წლის 3 ივლისს ხალხისადმი მიმართვაში თქვა, „ჩვენი რესურსები გამოულეველია. გათავხედებული მტერი მალე დარწმუნდება ამაში“.

1942 წელს გერმანიის მოწინავე ნაწილებმა მიაღწიეს სტალინგრადს, აიღეს მაიკოპი, ბრძოლები წარმოებდა თერგის ნაპირებთან და ასტრახანის სტეპებში. ამ დროისათვის ძალზე გაიწელა გერმანელთა კომუნიკაციები. ზურგი ვეღარ ახერხებდა მომარაგების შესაბამისი ფუნქციების განხორციელებას. ცნობილია, რომ მძიმე ტანკები ყოველი 700-800 კილომეტრის გავლის შემდეგ საჭიროებენ შეკეთებას. გერმანიის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა იმაზე ნაკლები იყო, რასაც მოითხოვდა ეს შეტევითი ოპერაციები. გერმანიას ძალები არ ჰყოფნიდა ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე კონტროლის განსახორციელებლად. ჰიტლერს ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გაგონებაც კი არ სურდა. მას უნდოდა, როგორც გერმანელი მემუარისტები წერენ, რაც შეიძლება მალე მიეღწია საქართველომდე. ჰიტლერმა ბრძანა, შეტევა განეხორციელებინათ სოჭის და შემდეგ სოხუმის მიმართულებით. გენერალური შტაბის უფროსი ჰალდერი წინააღმდეგი იყო ამისა, ვინაიდან თვლიდა, რომ შეტევა ამ შემთხვევაში განხორციელდებოდა ძალიან ვიწრო გზით, ეს კი საშიშად მიაჩნდა. ჰიტლერი არ ეთანხმებოდა: სიძნელეებს ჩვენ დავძლევთ, ჩვენ სამხრეთ კავკასიაში უნდა შევქმნათ დასაყრდენი პუნქტები და შემდეგ შევუტიოთ ბრიტანეთის იმპერიასო. ენერგიის მინიმალური დახარჯვით ჩვენ გავათავისუფლებთ ირანს და ერაყსო. დაგვეთანხმებით, რომ სულელური ბოდვაა. ისე გამოდის, თითქოს ჩვენ აღარ ვარსებობდით. გერმანელებმა ტუაფსემდეც ვერ მიაღწიეს. მათი შეტევა ჩაქრა კავკასიის მთებში. ძალიან მალე დაიწყო სტალინგრადის ძლევამოსილი ოპერაცია და გერმანელები იძულებულნი იყვნენ, სასწრაფოდ როსტოვის იქით დაეხიათ. არა და, ლაიფციგში უკვე იბეჭდებოდა სპარსეთის რუკა. ასე დამთავრდა ქვიშაზე აგებული მორიგი სტრატეგია. სტალინგრადის ოპერაცია, ჩვენი მხედართმთავრობის მიერ განხორციელებული, იყო და არის სამხედრო ხელოვნების უმაღლესი ნიმუში. ფლანგებზე შესანიშნავი გარღვევების განხორციელებით ალყაში მოექცა პაულიუსის სამასი ათასკაციანი მეექვსე არმია, ეს ოპერაცია დაწვრილებით არის აღწერილი ლიტერატურაში და, ვფიქრობ, მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი. საინტერესოა, რა ხდებოდა ამ დროს ფრონტის იქითა მხარეს. სტალინგრადის ოპერაციის დაწყების წინ ჰიტლერი რასტენბურგში ამბობდა: „ახლა

რუსები ბრძოლებში სამხედრო სახწავლებლის კურსანტებს აგზავნიან. ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ მათ მიაღწიეს თავის დასასრულს". ამაზე მეტი სიბეცე რაღა შეიძლება. ამას ამბობს უმაღლესი მთავარსარდალი, სწორედ მაშინ, როდესაც მისი ჯარების ფლანგებზე, სტალინგრადთან, მთავრდება უდიდესი ძალების თავმოყრა.

სტალინგრადთან ჩვენი ჯარების შეტევა ჰიტლერმა შეიტყო ობერზალცბურგში. გენერალური შტაბის უფროსი ცეიცლერი მაშინვე მიხვდა, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს შეტევა. მან მოითხოვა ალყის გარღვევის ნებართვა. ჰიტლერი აფეთქდა: „სტალინგრადი უნდა შევინარჩუნოთ. ეს პოზიცია არის გასაღები პოზიცია. ვოლგაზე ტვირთის გადატანის ჩაშლით რუსებს ძალიან ძნელ მდგომარეობაში ჩავაყენებთ. როგორ უნდა გადაიტანონ მათ ხორბალი სამხრეთ რუსეთიდან ჩრდილოეთში?" მთავარსარდლის ბანაკში სიტუაცია თანდათან იძაბება. ჰიტლერს სურს გაიგოს, რამდენი ტონა ტვირთი არის საჭირო დღეში, რომ მიეწოდოს ალყაშემორტყმულ ჯარებს. ამის შემდეგ ჰიტლერი ეკითხება გერინგს: რას იტყვით სტალინგრადში მყოფი ჯარების ჰაერიდან მომარაგების შესახებ?" გერინგი წარბსაც არ იხრის: „ჩემო უფროსო, მე პერსონალურად ვიძლევი სტალინგრადის დაჯგუფების საჰაერო გზით მომარაგების გარანტიას". როდესაც ამ პრობლემის შესახებ ჰკითხეს ფელდმარშალ მილხს, მან თქვა: საჰაერო ძალების შტაბმა მოახდინა სათანადო გაანგარიშება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჰაერიდან შეუძლებელია ალყაშემორტყმული ძალების საკმარისი რაოდენობით მომარგება. ცეიცლერმა გამოთქვა თავისი აზრი გერინგის დაპირების შესახებ. გერინგი აცხადებს, რომ ეს მის კომპეტენციაში შედის და ამიტომ უნდა დაუჯერონ მას. საბოლოოდ ჰიტლერი ამბობს: „სისულელეა უკან დახევა. მე-6 არმია რჩება სტალინგრადში". ძალიან მალე ირკვევა, რომ გერინგის დაპირება ფუჭი სიტყვები იყო. რაკი გერინგზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა შევეხო ერთ ფაქტს. გერმანელთა გამანადგურებელი ავიაციის სარდალი იყო გენერალი გალანდი. მან ერთხელ მოახსენა ჰიტლერს მნიშვნელოვანი ფაქტი. ქ. აახენთან ჩამოგდებული იყო რამდენიმე ამერიკული ავიაგამანადგურებელი. ჩამოგდებული თვითმფრინავების შესწავლამ გალანდი მიიყვანა მეტად არასასიამოვნო დასკვნამდე, რომ უახლოეს დროში ამერიკელი ბომბდამშენები, ავიაგამანადგურებლების თანხლებით, შეიჭრებიან გერმანიის ღრმა ზურგში. ჰიტლერმა გალანდს დაავალა ეს უველაფერი მოეხსენებია გერინგისათვის. როდესაც გალანდი გერინგთან გამოცხადდა, ამ უკანასკნელმა დაასწრო: „რაო, რა უთხარით ფიურერს, თითქოს ამერიკული ავიაგამანადგურებლები შეძლებენ გერმანიის ღრმა ზურგში ფრენას?" გალანდმა უპასუხა: „ბატონო რაიხსმარშალო, ისინი მალე იფრენენ ძალიან ღრმად ჩვენს ტერიტორიაზე". გერინგი გაცოფდა: „ეს სისულელეა, გალანდ, საიდან გაქვთ ასეთი ფანტაზია? ეს ხომ სუფთა ბლეფია". გალანდმა თავი გააქნია. „ეს ფაქტია, ბატონო რაიხსმარშალო. ამერიკული ავიაგამანადგურებლები ჩამოაგდეს აახენთან. არავითარი ეჭვი ამაში არ არის". გერინგი: „ეს, უბრალოდ, არ არის მართალი, გალანდ. ეს შეუძლებელია". გალანდი სწრაფად აძლევს პასუხს: „თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ და საკუთარი თვალით შეამოწმოთ, სერ. ჩამოგდებული თვითმფრინავები აახენშია". გერინგს სურს შეარბილოს საუბარი: „მოდი აქ, გალანდ. ნება მომეცი, გითხრა ერთი რამე. მე თვითონ ვარ გამოცდილი ავიაგამანადგურებელი. მე ვიცი, რა არის შესაძლებელი და რა არა. თქვენი აზრი მცდარია". ცოტა ხნის შემდეგ კი განაგრძობს: „მომისმინე ახლა, ჰერ გალანდ. მე ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ამერიკულ ავიაგამანადგურებლებს არ მიუღწევიათ აახენამდე. გალანდი: „მაგრამ, სერ, ისინი იყვნენ იქ". აქ გერინგმა უკვე დაკარგა კონტროლი: „მე ოფიციალურად გიბრძანებთ, რომ ისინი იქ არ ყოფილან. გაიგეთ? ამერიკული ავიაგამანადგურებლები არ ყოფილან იქ. წადით აქედან. ასეც მოვახსენებ ფიურერს". გალანდს გასვლამდე გერინგმა მიაძახა: „ეს არის ჩემი ოფიციალური ბრძანება". გალანდმა ღიმილით უპასუხა: „ბრძანება არის ბრძანება, სერ".

ცნობილია გერინგის სიხარბე და მომხვეჭელობა. მარტო ის რად ღირს, რომ მან თავის სახლში მუზეუმიდან გადმოიტანა რუბენსის ცნობილი სურათი „დიანა ირემზე ნადირობის დროს". ეს მოხდა ნაცისტების გაბატონების ადრინდელ პერიოდში, მას აქეთ გერინგის გაუმაძღრობას საზღვარი არ ჰქონდა.

ჰიტლერს, როგორც ყველა დიქტატორს, უყვარდა, როდესაც მას ყველაფერში ეთანხმებოდნენ და ხოტბას ასხამდნენ მის გადაწყვეტილებებს. სწორედ ეს იყო მიზეზი გენერალ კეიტელის კარიერისა. ფიურერმა, საერთოდ, იცოდა, რა ცოდნის პატრონი იყო კეიტელი. „ძაღლივით ერთგულიაო", უყვარდა ხოლმე თქმა. ერთ-ერთი თათბირის დროს კეიტელმა ერთმანეთში აურია 75 მმ. კალიბრის მქონე ტანკსაწინაალმდეგო ქვემეხი და ჰაუბიცი. „გესმით რას ამბობს? — თქვა ჰიტლერმა. — და ეს არის არტილერიის გენერალი".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე მოვხვდი საზენიტო არტილერიაში. უნდა ვაღიარო, თავდაპირველად უკმაყოფილოდ შევხვდი ასეთ გადაწყვეტილებას. მე მინდოდა გავეგზავნეთ ავიაციაში. ამ მიზნით ომის დასაწყისშივე მივედი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალების სარდალ პოლკოვნიკ კალინინთან, ვუთხარი, რომ

აეროკლუბი მქონდა დამთავრებული და ვთხოვე გავეგზავნე რომელიმე საჰაერო სასწავლებელში ავიაგამანადგურებლის სპეციალობით. მან დარეკა სამხედრო კომისარიატში და დახვალა, რომ მე არ გავეგზავნეთ არსად, სანამ არ მოვიდოდა განაცხადი საჰაერო სასწავლებლიდან. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ დამიბარეს ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომხსარიატში და მითხრეს, რომ უნდა გავემგზავრო სამხედრო-საჰაერო სასწავლებელში. მეორე დღეს დანიშნულ საათზე მივდივარ სამხედრო კომისარიატში. იქიდან გავყავარ რკინიგზის სადგურზე, აქ ვხვდები ძველ ნაცნობებსაც. ირკვევა, ჩვენ გვგზავნიან ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელში. უკვე ალარავითარი პროტესტი ალარ ჰრის.

ჩვენ, მეზენიტეებს, დავალებული გვქონდა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა საჰაერო თავდასხმებისაგან. ზოგიერთი საზენიტო ნაწილი საკმაოდ ღრმა ზურგში იდგა. იყო ისეთი ნაწილებიც, რომლებსაც, ისე დამთავრდა ომი, არც გაუსვრიათ ხეირიანად. მაგალითად, ქ. ბაქოს საჰაერო თავდაცვის ოლქი საკმაოდ დიდი ძალებით იყო დაცული, მაგრამ ამ ოლქს არამც თუ არ განუცდია ბომბარდირება, მტრის ერთი ან ორი მზვერავი თვითმფრინავისთვის თუ მოუკრავს თვალი ჰაერში. ბაქო არ იყო გამონაკლისი, საჰაერო დაბომბვა ხორციელდებოდა ხოლმე მარტო იმ ობიექტებზე, რომლებიც შედარებით ახლოს იყვნენ ფრონტის ხაზთან. რომ გერმანელებს არ გააჩნდათ სტრატეგიულ ბომბდამშენთა ძალები და დაბომბვებს ახორციელებდნენ ტაქტიკური ავიაციის თვითმფრინავები, როგორიც იყვნენ „Ю-88“ „ჰეინკელ-111“ და მოპიკირე ბომდამშენები „Ю-87“. სხვათა შორის, მძლავრი სტრატეგიული ავიაცია არ გვყავდა არც ჩვენ. ამ მხრივ დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინა ავიაციის მარშალმა გოლოვანოვმა, მაგრამ მას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ასეთი სახის ავიაციის შექმნა არ არის მაინცდამაინც აქტუალური. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ არ იყო შესაბამისი თვითმფრინავები. მაგალითად, ისეთი თვითმფრინავიც კი, როგორიც იყო „ДБ-3“ არ იყო დიდი რადიუსის მქონე და დიდი ტვირთის წამღები. მიუხედავად ამისა, გოლოვანოვმა მოახერხა შეექმნა შედარებით შეზღუდული საჰაერო ძალები, რომლებიც მარტო პირობითად თუ შეიძლებოდა მიკუთვნოდა სტრატეგიული ავიაციის კატეგორიას.

ინგლისის და ამერიკის სტრატეგიული ავიაციის მოქმედების მწარე გამოცდილების საფუძველზე, გერმანელებმაც გადაწყვიტეს ამ მხრივ რაიმე ნაბიჯი გადაედგათ და ჩამოაყალიბეს მე-6 საჰაერო კორპუსი გენერალ მაისტერის სარდლობით. სხვისა არ ვიცი, მაგრამ ჩვენმა პოლკმა კი განიცადა ამ კორპუსის დარტყმის ძალა. ეს იყო ქ. ბრიანსკში. როგორც ცნობილია, ბრიანსკი არის მსხვილი სარკინიგზო კვანძი. 1944 წლის გაზაფხულზე აღნიშნული კორპუსის ძალები ღამით თავს დაესხნენ ამ კვანძს. ობიექტის საჰაერო დაცვა ჩვენ და, თუ არ ვცდები, 82-ე საჰაერო ავიაგამანადგურებელ დივიზიას გვქონდა მინდობილი. როგორც საერთოდ იყო დაწესებული, ავიაგამანადგურებლები მტრის თვითმფრინავებს ხვდებოდნენ ობიექტის მისადგომებზე, ხოლო თვითონ ობიექტზე თავდაცვა უნდა განეხორციელებია საზენიტო არტილერიას. ეს იყო ერთ-ერთი დიდი მასშტაბის საჰაერო თავდასხმა. რადიოლოკაციის სისტემა, სამწუხაროდ, არ მოქმედებდა. ვერც პროჟექტორებმა მოახერხეს მტრის თვითმფრინავების განათება. მტერმა გამოიყენა ორტონიანი ბომბები. ამ ბომბების აფეთქების ძალა ისეთი დიდი იყო, რომ ორთქლმავალი, რომლის ახლოსაც დავარდა ბომბი, სათამაშოსავით გადაისროლა საკმაოდ დიდ მანძილზე.

1967 წელს ქ. ვენაში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც კოსმოსური ხომალდების მართვის პრობლემებს მიეძღვნა. ამ სიმპოზიუმის ერთ-ერთ სექციას, კერძოდ, სექციას, რომელიც იხილავდა ადამიანისა და მანქანის ურთიერთდამოკიდებულებას, მე ვხელმძღვანელობდი. სექციაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა დასავლეთგერმანელი მეცნიერი, თუ არ ვცდები, გვარად ვოლფი. სიმპოზიუმის დახურვის შემდეგ, ბანკეტზე, მე და ვოლფი ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. გამოირკვა, რომ ის ომის დროს მფრინავი იყო და იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე. ვოლფი რატომღაც შეჩერდა ერთ-ერთ ოპერაციაზე, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა მიეღო. ეს ოპერაცია იყო ქ. ბრიანსკის ის დაბომბვა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. „გადამირჩით მაშინ მისტერ ვოლფ“, — ვეუბნები მე. — „მე ვიცავდი რკინიგზის ამ კვანძს სწორედ იმ საჰაერო თავდასხმისაგან“. ვოლფი იცინის: „იქნებ თქვენ გადაურჩით ჩემს ბომბებს?“ საოცარია ადამიანთა ბედი — 25 წლის წინათ ერთმანეთს არ ვინდობდით, ახლა კი კოქტეილს ერთად ვსვამთ და მეცნიერულ პრობლემაზე ვსაუბრობთ.

უნდა ითქვას, რომ სტრატეგიულმა ავიაციამ საშუალება მისცა ინგლისს და ამერიკის შეერთებულ შტატებს გაეჩაღებინათ ეგრეთ წოდებული ტექნოლოგიური ომი, რაც მდგომარეობდა სამრეწველო ობიექტების მასიურ და პერმანენტულ დაბომბვაში. თავდასხმებში ერთდროულად 1000-ზე მეტი ბომბდამშენი მონაწილეობდა. საინტერესო იყო ამ ავიაციის სტრატეგიული მოქმედება. იგი უმთავრესად ბომბავდა ელექტროსადგურებს, ქიმიურ ქარხნებს, სადაც ხდე-

ბოდა ხელოვნური საწვავის დამზადება, როგორიცაა ბენზინი, ნავთობი და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ ამ ობიექტების მწყობრიდან მთლიანად გამოყვანა ნიშნავდა ყველა ხაზის მრეწველობის გაჩერებას.

1943 წლის 22 ნოემბერს დაიწყო მასობრივი თავდასხმები ბერლინზე, რის შედეგადაც 1945 წლისათვის ბერლინი მთლიანად იყო დანგრეული.

სტრატეგიული მასალების მიხედვით, გერმანიას 1944 წელს გააჩნდა შემდეგი მარაგი: მარგანეცი — 19 თვის, ნიკელი — 10 თვის, ქრომი — 5,16 თვის, ვოლფრამი — 6,10 თვის, მოლიბდენი — 7,8 თვის, სილიციუმი — 6,9 თვის. ცნობისათვის ალვნიშნავთ, რომ ქრომის გარეშე შეუძლებელია თვითმფრინავების, ტანკების ძრავების, წყალქვეშა ნავებისა და სხვა მნიშვნელოვანი საბრძოლო ტექნიკის წარმოება. 1944 წლის 19 მაისს შეიარაღებული ძალების მინისტრი მოახსენებს ჰიტლერს კეიტელის თანდასწრებით: „მტერმა დაგვარტყა ყველაზე უფრო სუსტ ადგილას. თუ ასე გაგრძელდა, ადრე თუ გვიან, აღარ გვექნება საწვავი. ერთადერთი იმედია ის, რომ მტრის საჰაერო ძალების შტაბი ისეთივე თავქარიანია, როგორიც ჩვენი“. კეიტელი, როგორც ყოველთვის, ცდილობს ახიამოვნოს ჰიტლერს: „ჩვენ რამდენი მძიმე სიტუაციიდან გამოვედით უვნებელი, გამოვალთ აქედანაც, ჩემო ფიურერო“.

1944 წლისათვის შეიარაღებული ძალების ბალანსი, თანახმად მარშალ ჟუკოვის წიგნში მოყვანილი ცნობებისა, შემდეგნაირად გამოიყურება: გერმანიის ნაწილებს, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდნენ, ჰქონდათ 59000 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 7800 ტანკი, 3200 საბრძოლო თვითმფრინავი. გერმანიის ჯარის ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტზე შედგებოდა 179 დივიზიისა და 5 ბრიგადისაგან. სულ გერმანიის არმიაში ამ დროისათვის ითვლებოდა 324 დივიზია და 5 ბრიგადა. ჩვენს წინააღმდეგ მოქმედ არმიებში იყო 4,8 მილიონი მებრძოლი.

ჩვენს არმიაში ამავე დროს იყო 6,6 მილიონი მებრძოლი. ჩვენ გვქონდა 98100 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 7100 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 12900 საბრძოლო თვითმფრინავი.

მე მგონი, საუბარი გამიგრძელდა. მინდა დავუბრუნდე უშუალოდ ნანახს და გადატანილს. 1945 წლის იანვარში ჩემი ბატარეა იცავდა ქ. კარაჩევის ერთ-ერთ ობიექტს, როდესაც მოვიდა ბრძანება რკინიგზის პლატფორმები ჩემი ბატარეის ტექნიკური აღჭურვილობით დამეტვირთა. ბრძანება შევასრულეთ და დავიძარით დასავლეთის მიმართულებით. არავინ იცის, სად მივდივართ. ჩვენი პოლკი განლაგებულია სამ ეშელონად. პირველ ეშელონში პირველი დივიზიონის პირველი, მეორე და მესამე ბატარეებია. მეორე ეშელონში ჩვენი — მეორე დივიზიონის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბატარეები. მესამე ეშელონში განლაგებულია მცირეკალიბრიანი საზენიტო დივიზიონის მეშვიდე და მერვე ბატარეები და პოლკის შტაბი. ეშელონები გასცდნენ ქ. ბრესტს და გაჩერდნენ ქ. ლუკოვში. ეს უკვე პოლონეთის ტერიტორიაა. ვაგზლის კომენდანტისაგან ვგებულობ, რომ ჩვენი ეშელონი რამდენიმე საათს გაჩერდება. გადავწყვიტეთ, დაგვეთვალიერებინა ქალაქი. ფრონტი აქედან უკვე საკმაოდ შორს იყო. მივდივართ ქალაქის ცენტრისაკენ. „ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თუ დაგვეწევა ეშელონი, სადაც მცირეკალიბრიანი საზენიტო არტილერიის ბატარეებია განლაგებული?“ — მეკითხება სანინსტრუქტორი ლიდა ჩერნოზუბოვა, სიმპათიური შესახედაობის გოგონა. „მაინც, ვინ გაინტერესებთ?“ ვეკითხები. გოგონა წითლდება. საქმე ისაა, რომ ჩერნოზუბოვას უყვარს მე-8 ბატარეის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი კოროვინი. „ქორწილზე ხომ ვიქნებით?“ — ვეკითხები ჩერნოზუბოვას. „კარგით ერთი, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ვინ მოჩმახა ასეთი რამე“, — მპასუხობს იგი. წინასწარ მინდა ვთქვა, რომ ქორწილი ჩაიშალა. ოდერზე ბერლინის შტურმის დროს, გერმანელთა თვითმფრინავებმა ჩამოყარეს ეგრეთწოდებული „ბაყაყის“ ტიპის ბომბები. ეს ბომბი მიწაზე შეხებისას ხტება 1,5 მეტრის სიმაღლეზე და მხოლოდ ამის შემდეგ ფეთქდება. ბატარეაზე გაისმა ბომბის აფეთქების ხმა. ოცეულის მეთაური თავით-ფეხამდე სისხლშია მოთხვრილი. გასინჯეს, არავითარი ჭრილობა არა აქვს. „სად არის სანინსტრუქტორი, ის უფრო კარგად გასინჯავს“, თქვა ვიღაცამ. გაფითრებული ოცეულის მეთაური ამბობს, რომ ლიდა ეს წუთია, მასთან ახლოს იდგა. ყველაფერი ცხადია, ლიდა ჩერნოზუბოვა გაქრა. მისი დასაფლავებაც ვერ მოხერხდა.

როგორც ირკვევა, ჩვენი პოლკი მიემართება ქ. პოზნანისაკენ. ქ. ლუკოვის შემდეგ გავიარეთ მინსკ-მაზოვეცკი და ჩავედით პრაღაში, რომელიც ქ. ვარშავის გარეუბნად ითვლება. მათ ყოფთ მდინარე ვისლა. პრაღა გადარჩა დანგრევას. საბჭოთა ჯარების სწრაფმა შეტევამ გადაარჩინა ვარშავის ეს ნაწილი. ჩვენი ნაწილების გამოჩენა პრაღაში და მის მიდამოებში სიგნალი გახდა ქ. ვარშავის მოსახლეობის აჯანყებისა. ამ აჯანყებას, როგორც ცნობილია, გენერალი ბურ-კომაროვსკი მეთაურობდა. თითქმის ორი თვის განმავლობაში ვარშავის მცხოვრებლები უთანასწოროდ ებრძოდნენ გერმანელ დამპყრობლებს. ერთ-ერთი გადარჩენილი მცხოვრები მომიყვა, რომ 13-14 წლის ბავშვებს გრანატებით იერიში მიჰქონდათ ტანკებზე. აჯანყება ჩააქრეს. გაკვირვებას იწვევს ის უმაგალითო გმირობა, რომელიც ვარშავის მოსახლეობამ გამოიჩინა. ჩვენი ნაწილი პრაღაში მივიდა მაშინ, როდესაც ვარშავა მთლიანად გაწმენდილი იყო დამპყრობლებისაგან და ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები მიმდინარეობდა სილეზიასა და ოდერის მისადგომებთან. ბრძოლები მიმდინარეობდა ქ. პოზნანშიც, რომელიც გარშემორტყმული იყო გვარდიის მე-8 არმიის ნაწილების მიერ. ჩვენც ქ. პოზნანისაკენ გავემართეთ. მდინარე ვისლაზე გადასვლისას გამოჩნდა ქ. ვარშავა. იგი მთლიანად იყო დანგრეული. მთელი ომის განმავლობაში, იმ ქალაქებიდან, რომლებიც მე ვნახე, ოთხი ქალაქი გამოირჩეოდა. ესენია: სტალინგრადი, ვორონეჟი, ვარშავა და ბერლინი. აქ დაუბომბავი თითქმის არც ერთი სახლი არ იყო დარჩენილი. უფრო მეტიც, იშვიათად შეხვდებოდით შენობას, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა სახურავი.

თუ არ ვცდები, 20 თებერვალს ჩავედით პოზნანიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარე დასახლებულ პუნქტ პაჩკოვოში (ასე ვეძახდით ჩვენ, სამწუხაროდ, მე არ ვიცი, როგორ გამოითქმება ამ პუნქტის სახელი პოლონურად ან გერმანულად). აქ ჩვენი დივიზიონი გადმოიტვირთა და გაემართა პოზნანისაკენ. მე გავემგზავრე წინ, პოზიციის ასარჩევად. პოზიცია ავირჩიე მდინარე ვარტას მაღალ ნაპირზე, საიდანაც კარგი ხედი იყო ქალაქის ცენტრისაკენ. სასწრაფოდ დავამყარეთ როგორც სატელეფონო, ისე რადიოკავშირი დივიზიონისა და პოლკის ხელმძღვანელობასთან. ანალოგიური კავშირი დამყარდა რადიოსალოკაციო დანადგართან. მოწინააღმდეგე გარშემორტყმული იყო ძველებურ ციხესიმაგრეში, ეგრეთ წოდებულ ციტადელში, რომლის ფართობი 1 კვ კილომეტრი იქნებოდა. ციხესიმაგრე გარემოცული იყო სამი მეტრის სისქის აგურის კედლით, მისი გარღვევა მარტო ქვემეხებით თუ შეიძლებოდა. ის ადგილი ჩემი პოზიციიდან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. ჩემი ძირითადი ამოცანა იყო, არ დამეშვა მტრის თვითმფრინავების ფრენა ციტადელის თავზე. საქმე ისაა, რომ ალყაშემორტყმულები იარაღს, სასმელს და საურსათს ღებულობდნენ ჰაერიდან, პარაშუტების საშუალებით. პირველსავე ღამეს ცეცხლის გახსნა მომიხდა. მტრის თვითმფრინავების ჯგუფი მიემართებოდა ციტადელისაკენ. ჩვენ ცეცხლი გავხსენით რადიოლოკატორის მიერ მოცემული კოორდინატების საფუძველზე. ეს იყო პირველი შემთხვევა არა მარტო ჩემი, არამედ ჩვენი პოლკის პრაქტიკაში, როდესაც ვისროდით რადიოლოკატორის საშუალებით. მანამდე ასეთი ცდა ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ამჯერად ჩვენ შევძელით თვითმფრინავების უკან გაბრუნება. მართალია, ვერც ერთი თვითმფრინავი ვერ ჩამოვაგდეთ, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ამოცანის შესრულება და ტვირთის მოწოდება ალყაშემორტყმულებისათვის.

ჩვენი ჩასვლის შემდეგ პოზნანში ბრძოლები მალე დამთავრდა. შტურმის შედეგად გერმანელთა გარნიზონმა კაპიტულაცია მოახდინა. გერმანელთა ჯარების სარდალმა კონელმა თავი მოიკლა.

1 თუ 2 აპრილს მოვიდა ბრძანება გავმგზავრებულიყავით ქ. კიუსტრინში. ეს ქალაქი ბერლინიდან სამოციოდე კილომეტრით არის დაშორებული და მდებარეობს მდინარე ოდერზე. აქ გადიოდა ფრონტის ხაზი. ბრძანება იყო ლაკონიური: გადაადგილება პოზნან-ბერლინის გზით ქ. კიუსტრინამდე. კიუსტრინში შესვლისთანავე უნდა გადავუხვიოთ მარჯვნივ, გავიაროთ ხუთიოდე კილომეტრი, ავირჩიოთ პოზიცია მდინარე ოდერის პირას და გათენებამდე მოვასწროთ სანგრების გათხრა და მატერიალური ნაწილის, ესე იგი, ქვემეხებისა და ხელსაწყოების მოთავსება ამ სანგრებში. გაფრთხილებული ვარ, თუ გამომეპარა გადასახვევი მთავარი გზიდან მარჯვნივ, მაშინ სულ ცოტა ხანში თავს ამოვყოფ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. მანძილი პოზნანიდან კიუსტრინამდე დაახლოებით 190-200 კილომეტრია.

გზის პირველი ნაწილი გავიარეთ ყოველგვარი ხიფათის გარეშე. მალე მივადექით გერმანია-პოლონეთის 1939 წლის საზღვარს. ვიღაცას უკვე დაუწერია **«вот она, проклятая Германия»**. ეს არის ქალაქი ბირნბაუმი. მოშორებით მეორე პლაკატია — უკვე გერმანულ ენაზე: „ერთი სამშობლო, ერთი იმპერია, ერთი ფიურერი“.

მოსაღამოვდა და გამოჩნდა გერმანელ თვითმფრინავთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი. მე მოწინავე მანქანაში ვიჯექი. საჩქაროდ გადმოვხტი და ბატარეა ტყეში შევიყვანე. რატომღაც გერმანელებმა არ მოგვაქციეს ყურადღება და ავცდით ხიფათს. საკმაოდ დაბინდდა. ფარების ანთება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მივყვებით გზას. ტყე გათავდა. გზის ორივე მხარეს წყალია. ეს, ალბათ, წყალდიდობის შედეგია. ჩემი ანგარიშით, გადასახვევი ახლოს უნდა იყოს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს. ვერაფერი საქმე იქნება, თუ მე, ჩემივე მეთაურობით, მთელ ბატარეას შევიყვან გერმანელების ტერიტორიაზე. არადა, ჩემი ვარაუდით, გერმანელთა პოზიციები ახლოს უნდა იყოს. მეტად არასასიამოვნო სიტუაციაში ჩავვარდი. აი, რას ნიშნავს რუკის უქონლობა. ამასობაში გამოჩნდა განშტოება მარჯვნივ. რატომღაც, მგონია, რომ ეს ის გადასახვევი არაა. ასევე გამოვტოვე კიდევ ორი გადასახვევი და მესამეზე გადავუხვიე. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ქ. კიუსტრნის მკრთალი სილუეტები. უფრო სწორად, ამ ქალაქის ნანგრევების სილუეტები. ახლა უკვე ქუჩებში გვიხდება გადაადგილება. უკუნეთი სიბნელეა. მაგრამ მაინც შევამჩნიე, რომ ქუჩა იყოფა რამდენიმე მაგისტრალად. მე ვიცი, რომ უნდა ვიაროთ რაც შეიძლება მარცხნივ, ესე იგი, მდინა-

რე ოდერისაკენ. მივდივარ რიხკზე და მძღოლს ვეუბნები, ჩართოს და უცებვე გამორთოს ფარი. იმავე წუთში წამოვიდა ჩვენკენ ავტომატის ჯერი, მაგრამ მე უკვე მოვკარი თვალი, საითკენაც უნდა წავსულიყავი. გვესროლეს ჩვენებმა. მოდის ვიღაც სერჟანტი. „თქვენი თავი თუ არ გებრალებათ, ჩვენ რა შუაში ვართ?“ მეუბნება. მე იმ ფორმებში, როგორიც შეეფერება ფრონტის წინა ხაზს, ვუბოდიშებ და თავს ვიმართლებ იმით, რომ არავითარი შუქურა არ დგას და ფაქტიურად, არ ვიცი, საით წავიდე. „ეს თქვენს უფროსებს მოჰკითხეთ. კეთილი ინებეთ, მოაგვარეთ ეს საკითხი, თორემ მეორედ შეიძლება ასე იოლად ვერ გადამირჩეთ“. კაცმა რომ თქვას, სერჟანტი მართალია. ჩვენმა პოლკის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა ჩვენი გადაადგილების ზუსტი ორგანიზება და ამის გამო კინაღამ წავაგეთ თავი. როგორც იქნა, მივიყვანე ბატარეა დანიშნულ ადგილას. უკვე ღამის 2 საათია. გათენებამდე უნდა ჩავძვრეთ მიწაში ჩვენი ქვემეხებითურთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დილა შეიძლება უკანასკნელი იყოს ჩვენთვის. საქმე ისაა, რომ ჩვენ პოზიცია დავიკავეთ ოდერის ნაპირას. გერმანელების პოზიციებამდე დაახლოებით 1,5 კილომეტრია, ესე იგი, ცეცხლის ყოველგვარი საშუალება მოაღწევს ჩვენამდე და თუ ღრმად არა ხარ ჩასული სანგარში, ცხადია, მსხვერპლი დიდი იქნება. ამიტომ ამბობენ, რომ ჯარისკაცისათვის ყველაზე საყვარელი იარაღი ნიჩაბი არისო.

გათენებამდე არაადამიანური მუშაობით მოვახერხეთ სანგრების გაჭრა და მებრძოლების და მატერიალური ნაწილის ჩასანგრება.

ბერლინზე შეტევის დაწყების წინ სიტუაცია ჩვენს უბანზე შემდეგი იყო: მდინარე ოდერის მარცხენა ნაპირას ჩვენს ჯარებს ეკავათ პატარა, ძალიან ვიწრო პლაცდარმი. ჩვენს სექტორში, ოდერზე მესანგრეების მიერ აგებულია რამდენიმე ხის ხიდი, რომლებზეც ბერლინზე შეტევის დაწყების შემდეგ უნდა გადავიდეს ორი არმია: მე-5 დამკვრელი, რომლის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ბერზარინია, და მე-2 სატანკო არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალი ბოგდანოვი. ეს ორი არმია ჩვენს უკან დაახლოებით 8 კილომეტრზე არის ტყეში განლაგებული. ამოცანა, როგორც ჩვენთვის, ისე მტრისათვის მარტივია. თუ გინდა დაიწყო შეტევა ბერლინზე, რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა შეინარჩუნო ოდერზე გადასასვლელი ხიდები. პირიქით, თუ გინდა ბერლინის დაცვა, ეს ხიდები აუცილებლად უნდა დაინგრეს. ოდერი დიდი მდინარეა და ასეთი პატარა პლაცდარმის არსებობის პირობებში შეუძლებელია რაიმე სერიოზული შეტევის დაწყება, თუ არ იქნა მდინარეზე გადასვლის საშუალებანი. მარშალი ჟუკოვი წიგნში «Воспоминания и размышления» ამბობდა: „ნებისმიერი, თუნდაც სამხედრო საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ცნობილია, რომ ბერლინის გასაღები ოდერზე იყო“. იგივე აზრი გამოთქვა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა იოდლმა: „გენერალური შტაბისათვის ცნობილი იყო, რომ ბერლინისათვის ბრძოლა გადაწყდებოდა ოდერზე“. ვინ იყო ამ ბრძოლების გადამტანი? ჩვენ და მესანგრენი. ჯარის დანარჩენი სახეობები ჯერჯერობით მაყურებლის როლში უნდა ყოფილიყო.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, ბრძოლა დაიწყო. პირველი საჰაერო შეტევა მოვიგერიეთ, დანაკლისი არ გვქონია. დღის მეორე ნახევარში საკმაოდ დაბალ სიმაღლეზე (დაახლოებით 2000 მეტრი) გამოჩნდა ბომბდამშენი “Ю-88“. ჩვენ დროზე გავუხსენით ცეცხლი და პირველივე ჭურვებმა თვითმფრინავი დააზიანეს, მისი სიჩქარე შემცირდა. გავაკეთე კორექტირება. ვხედავ, ყველა ჭურვი პილოტის კაბინასთან ძალიან ახლოს სკდება, თვითმფრინავი მაინც არ ვარდება და განაგრძობს ფრენას ჩვენი ზურგისკენ. თვითმფრინავის სიჩქარე კიდევ უფრო შემცირდა. ჩემთვის გაუგებარია, როგორ ახერხებენ მფრინავები წონასწორობის შენარჩუნებას. შემდეგმა ჭურვებმა თავისი გააკეთეს, თვითმფრინავმა მკვეთრად დაიწყო დაშვება. ორი მფრინავი გადმოხტა. ერთ-ერთის პარაშუტი არ გაიხსნა და მფრინავი ჩავარდა ჭაობში. მეორეს პარაშუტი გაიხსნა, მაგრამ როდესაც ახლო მყოფი ჯარისკაცები დაშვების ადგილას მივიდნენ, ნახეს, რომ მფრინავი ცოცხალი აღარ იყო.

ეს თვითმფრინავი ჩვენ დავცხრილეთ ყოველგვარი რისკის გარეშე, რომ ჩვენთვის რაიმე საპასუხო ზიანი არ მოეყენებინა. მას არ შეეძლო ჩვენი დაბომბვა თუნდაც იმიტომ, რომ მისი კურსი არ გადიოდა ჩვენი ბატარეის თავზე. გარდა ამისა, მე მგონია, თვითმფრინავი უკვე დაზიანებული შემოვიდა ჩვენს ზონაში. ეს ამბავი ძალიან ჰგავს იმას, მონადირემ დაბმული ნადირი რომ მოკლას. რას იზამ. რაინდობის გრძნობითაც რომ გვეხელმძღვანელა, ალბათ, იგივე უნდა გაკეთებულიყო. რა გარანტია იყო, რომ თვითმფრინავი არ შეცვლიდა გეზს და ჩვენზე არ მოიტანდა იერიშს, ან, რაც უარესია, ხიდებისკენ ან სხვა ობიექტებისკენ არ წავიდოდა, რომელთა დაცვა ჩვენი წმინდა ვალი იყო.

შუაღამისას გერმანელთა თვითმფრინავებმა ჩამოყარეს მნათი ბომბები. ეს ბომბები პარაშუტის საშუალებით ნელ-ნელა ეშვება და როგორც დღე, ისე ნათდება ირგვლივეთი, ისე რომ ჩვენი პოზიცია მტრისთვის ხელისგულივით ჩანდა, ჩვენ კი მათ ვერ ვხედავდით. ასეთ პირობებში ძალები, რა თქმა უნდა, უთანასწორო იყო და ჩვენ აღმოვჩნდით იგივე მდგომარეობაში, როგორშიც იყო ის თვითმფრინავი, დღე რომ ჩამოვაგდეთ. დაიწყო მოპიკირე თვითმფრინავების სასტიკი იერიშები. ვერ მოქმედებს ვერც რადიოლოკატორი, ვერც პროჟექტორი და ვერც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ხელსაწყო „ПУАЗО-3“. შეიძლება მარტო პირდაპირი დამიზნებით სროლა. ჩვენც ვისვრით, მაგრამ უშედეგოდ, არაფერი ჩანს, გადავწყვიტე: ცეცხლი გადამეტანა თვით მნათ ბომბებზე. არავითარი შედეგი. მათი ჩამოგდება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. დროდადრო პარაშუტს ვაზიანებდით ჭურვების ნამსხვრევებით. მაგრამ დიდი-დიდი, რასაც მივაღწიეთ, იყო ის, რომ მნათი ბომბის დაშვების სიჩქარე მატულობდა. ჩვენ პირადად გვიშველა იმან, რომ ღრმა სანგრებში ვიმყოფებოდით. მთელი ღამე ბრძოლაში გავატარეთ, იმ ღამეს ხიდებზე იერიში არ მოუტანიათ: ეტყობა, გადაწყვიტეს, ჯერ ჩვენ გაგვსწორებოდნენ და მერე მოევლოთ ხიდებისათვის. გათენდა და დაიწყო მოპიკირე თვითმფრინავების იერიშები.

სიტყვამ მოიტანა და, უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა სახეობის ჯარის ნაწილები, გარდა საზენიტო არტილერიისა, ფსიქოლოგიურად ვერ იტანენ საჰაერო იერიშებს, განსაკუთრებით მოპიკირე თვითმფრინავების შეტევას. მოპიკირე იერიშები ხორციელდება შემდეგნაირად: თვითმფრინავი ობიექტთან მიახლოებისას გადატრიალდება და თითქმის ვერტიკალურად ეშვება დაბლა. საკუთარი თვალით ხედავ, როგორ გამოეყო თვითმფრინავს ბომბების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც საშინელი სიჩქარით მოისწრაფიან შენკენ. ამავე დროს თვითმფრინავი ისვრის როგორც ქვემეხიდან, ისე ტყვიამფრქვევებიდან. ომის პირველ პერიოდში, გარდა აღნიშნულისა, მფრინავი შემზარავი ხმის სირენასაც რთავდა, რასაც გარკვეული ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა. ფეხოსანი ჯარისკაცი არ უშინდება ტყვიამფრქვევის ან ავტომატის ცეცხლს, მაგრამ შეიძლება შედრკეს, როდესაც თვითმფრინავები ახდენენ პიკირებას. ჩემთვის ხშირად უკითხავთ, მქონდა თუ არა შიშის გრძნობა. უნდა ვთქვა, რომ როდესაც იერიშით მოდიოდნენ მოპიკირე თვითმფრინავები, მე პირადად არ ვფიქრობდი რაიმე საფრთხეზე. ამ ამბის გარეშე მაყურებელი კი არ შეიძლებოდა შიშის გრძნობას არ ეტანა. სხვათა შორის, ასევე იყო, როდესაც ვსწავლობდი უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შესრულებას. ეს იყო აეროკლუბში. თუ მგზავრად ვიჯექი და თვითმფრინავს ჩემი ამხანაგი ან ინსტრუქტორი მართავდა, უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების და, განსაკუთრებით მკვდარი მარყუჟის ან შტოპორის შესრულების დროს ცუდ მდგომარეობაში ვვარდებოდი. წარმოიდგინეთ რამდენიმე ას მეტრზე ავარდნა, გადატრიალება, ზემოთ დედამიწაა, ქვემოთ — ცა. გარდა ამისა, მაშინდელ თვითმფრინავს ჰქონდა ღია კაბინა. თუ პილოტი მცირე შეცდომას დაუშვებდა, ზემო წერტილში თვითმფრინავი ოდნავ დაყოვნდებოდა და თუ კაბინაში რაიმე არ იყო დამაგრებული, ყველაფერი ძირს ცვიოდა, ხოლო ჩვენ ვეკიდებოდით დახამაგრებელ ქამრებზე და თუ ისინი ცოტათი სრულად გვედგა, მაშინ კარგა გვარიანადაც გამოვდიოდით კაბინიდან და ვქანაობდით ახე ქამარზე დაკიდებული 1200 მეტრის სიმაღლეზე. დამერწმუნეთ, ვერაფერი სასიამოვნო გრძნობაა. მაგრამ თუ თვითონ მართავ თვითმფრინავს, მაშინ ამას ყველაფერს ვერ გრძნობ და არავითარი შიშის გრძნობა არა გაქვს. სიტყვამ მოიტანა და, მინდა გავიხსენო ერთი ძველი ამბავი. ჩვენი აეროდრომი მაშინ იყო იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ქალაქი რუსთავია, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ზონაში, რომელიც კუმისის ტბის თავზე იყო, უნდა გავფრენილიყავით მე და ჩემი ინსტრუქტორი ბალანჩივაძე. ჩავსხედით თვითმფრინავში, დავემაგრე ქამრებით. მივიღე ნებართვა და ჩავრთე გაზი. ავფრინდით. დაახლოებით 150 მეტრის სიმაღლეზე ვაბრუნებ თვითმფრინავს მარჯვნივ და მივემართებით ზონისკენ. იქ მისვლისას ვუყურებ ალტიმეტრს, სიმაღლე 1200 მეტრია. პირველი ფიგურა, მკვდარი მარყუჟი, მეუბნება ტელეფონში ინსტრუქტორი. ვუმატებ სიჩქარეს და თვითმფრინავს ოდნავ ვხრი დაბლა. სიჩქარე სწრაფად მატულობს. სახელურს მკვეთრად ვწევ ჩემკენ. თვითმფრინავი ღრიალით იჭრება ვერტიკალურად მაღლა. აი, ჩვენ უკვე უმაღლეს წერტილში ვართ. ფიგურა კარგად გამომივიდა. ეს იქიდან ჩანს, რომ ამ წერტილში არავითარი დაყოვნება არ ყოფილა. სკამს არ მოვშორებივარ, ისე გადატრიალდა თვითმფრინავი. გამომყავს პიკიდან და ვიღებთ ნორმალურ მდგომარეობას. ვუცდი ახალ დავალებას. მოულოდნელად ინსტრუქტორი მეუბნება: „წავიდეთ შინ!“ გაუგებარია, ჯერ დროის მეოთხედიც არ ამოწურულა. რას იზამ, ბრძანება ბრძანებაა. ვიღებ კურსს აეროდრომისაკენ. ვჯდები ნორმალურად. თვითმფრინავი ჩერდება. ინსტრუქტორი გადმოდის მიწაზე. ამას ვაკეთებ მე. ვხედავ, ჩემი ინსტრუქტორი გაფითრებულია, მაგრამ მაინც ღირსეულად უჭირავს თავი. „შენიშვნები არ მაქვს, კარგად მოქმედებდით“, მეუბნება. ვერ გამიგია, რატომ შეწყვიტა მეცადინეობა, გამოირკვა, რომ მას დავიწყებოდა ქამრებით დაბმა. მე რომ ფიგურა ცუდად გამომსვლოდა, ინსტრუქტორი გადმოვარდებოდა კაბინიდან და, ვინაიდან ჩვენ პარაშუტებს არ ვხმარობდით, ცხადია, დაიღუპებოდა.

ისევ ოდერს დავუბრუნდეთ. კვლავ გამოჩნდნენ მოპიკირე თვითმფრინავები. ერთმა კურსი აიღო ჩვენკენ, ჩვეულებრივ გადატრიალდა, დაეშვა თითქმის ვერტიკალურად, სწორედ ისე, ქორი რომ ეცემა წიწილას. როგორც კი ვასწრებ ქვემეხს გადავცე სათანადო სიდიდეთა მნიშვნელობა, სახელდობრ, მიზანი, ანუ კორა, ყუმბარის აფეთქების საჰაერო დანაყოფი, ესე იგი, რა მა-

ნძილზე უნდა აფეთქდეს ჭურვი, ხწორმა მონაცემებმა და ქვემეხის მებრძოლთა შეთანხმებულმა და ზუსტმა მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ მოვახწარით და თვითმფრინავს წინ დავახვედრეთ ოთხივე ჭურვი. თვითმფრინავს არ შეუცვლია კურსი, ისე ჩავარდა ოდერში. როგორც იქნა, დაღამდა მაგრამ საკითხავი იყო, რომელი სჯობდა, დღე თუ ღამე. მთვარიანი ღამეა. მოისმა თვითმფრინავების გუგუნი. ბატარეის ყველა მებრძოლი დაძაბულია. ამოვდივარ სანგრიდან, რათა უფრო უკეთესად მივაწვდინო ბრძანებები ქვემეხებს და სხვა ქვეგანაყოფებს (წესის თანახმად, ამოსვლის უფლება არ მქონდა). „კომბატ-თვითმფრინავი“! მესმის ოცეულის მეთაურის ოსეჩნიუკის ხმა (ოსეჩნიუკი ამჟამად ცოცხალია, იგი ფილოსოფიის დოქტორია). ვხედავ, შედარებით მცირე კუთხით პიკირებას ახდენს უცნაური საფრენი აპარატი. იგი თითქოს ორი თვითმფრინავისაგან შედგება. ერთი საკმაოდ მოზრდილია და ეს არის ბომბდამშენი. მას ფრთებზე მოთავსებული აქვს ავიაგამანადგურებელი. უცებ ავიაგამანადგურებელი მოშორდა ბომბდამშენს, აიღო სიმაღლე და დაგვშორდა. ქვემოთ მყოფი თვითმფრინავი მოდის პირდაპირ ჩემზე. ვიკადრე მიწაზე დაწოლა. მოხდა გასაკვირი ამბავი, თვითმფრინავმა გადამიარა დაახლოებით რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე, გაიფრინა კიდევ 800 მეტრი და პირდაპირ დაეჯახა ერთ-ერთ ხიდს. გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. აფეთქების ძალა ისეთი ძლიერი იყო, რომ დაწოლილს, ქუდი მომგლიჯა. რა თქმა უნდა, ხიდისაგან ალარაფერი დარჩენილა. ეს იყო გერმანელების მიერ პირველად გამოყენებული იარაღი ჩვენს წინააღმდეგ, ეგრეთ წოდებულ „СПАРКА-Ю-88“ ტიპის ბომბდამშენზე ზემოდან მაგრდება ავიაგამანადგურებელი „ფოკევულფ-190“. მფრინავი მარტო ამ უკანასკნელში იმყოფება. ბომბდამშენში არავინ არის და იგი მთლიანად ავსებულია ასაფეთქებელი ნივთიერებით. ეს იარაღი ასე მოქმედებს: ავიაგამანადგურებელზე მყოფი მფრინავი მთელ აგრეგატს მიმართავს მიზნისაკენ, ხოლო შემდეგ მოეხსნება და გასცილდება ბრძოლის ველს. ბომბდამშენი განაგრძობს მოძრაობას იგივე კურსით მიზნისაკენ. შემდგომში, ბერლინის აღების შემდეგ გავიგე, რომ ეს არცთუ ისეთი სიახლე ყოფილა. როგორც ბერლინის საჰაერო თავდაცვის უფროსმა მითხრა (რომელიც ომის დამთავრების შემდეგ ტყვედ იყო ჩვენთან და ჩემს ერთ-ერთ ოცეულს ჰქონდა დავალებული მისი დაცვა), მათ ეს „СПАРК“-ები გამოიყენეს ამერიკის ავიაციის ბერლინზე საჰაერო თავდასხმების საწინააღმდეგოდ. ამერიკელები ბერლინს და აგრეთვე სხვა ქალაქებს ბომბავდნენ სიფრთხილის ყოველგვარი ზომების გარეშე. ქალაქზე დღისით-მზისით ახდენდა თავდასხმას 1000-2000 მძიმე ბომბდამშენი „ბოინგ 29-ა“. როგორც ბერლინის საჰაერო თავდაცვის უფროსმა თქვა, გერმანიის საზენიტო არტილერია და ავიაგამანადგურებლები უძლურნი იყვნენ რაიმე მოემოქმედათ. 1000-2000 თვითმფრინავი მიდიოდა შემჭიდროებული წყობით. ავიაგამანადგურებლები ვერ ახერხებდნენ არმადასთან საკმარის მანძილზე მიახლოებას, ვინაიდან ბოინგებს თითქმის არ ჰქონდათ ეგრეთ წოდებული მკვდარი ზონები, მათ შეეძლოთ ცეცხლი მიემართათ ნებისმიერი წერტილისკენ. მაშინ გერმანელებმა შექმნეს «СПАРК»-ები და ვინაიდან ამერიკელები მოდიოდნენ მეტად მჭიდრო წყობით, «СПАРК»-ის გაშვების შედეგად ისინი დიდად ზარალდებოდნენ. შემდგომში ამერიკელებმა ხელი აიღეს ასეთ საალყუმო წყობაზე, გადავიდნენ ღამის ოპერაციებზე და ვარსკვლავურ თავდასხმაზე, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქს თვითმფრინავები თავს ესხმოდნენ შედარებით მცირე ჯგუფებად, სხვადასხვა მოპირდაპირე კურსით შემოსულნი. აღნიშნულ ჯგუფთა ჯამი იგივე 1000-2000-ს უდრიდა. განსხვავება ის იყო, რომ თვითმფრინავები ამჯერად მოქმედებდნენ გაფანტულად, რაც ამცირებდა დანაკარგს.

გრძელდებოდა ბრძოლები მდინარე ოდერზე. ვიმეორებ, განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებოდით ჩვენ და კიდევ უარესში — მესანგრენი, რომლებსაც ხიდების აღდგენა უხდებოდათ ცეცხლის პირობებში.

დადგა 1945 წლის 15 აპრილი. საღამო ხანი იყო, რომ მივიღეთ ქ. ბერლინზე შეტევის ბრძანება, გარდა ამისა, მივიღეთ I ბელორუსიის ფრონტის სარდლის მარშალ გ. ჟუკოვისა და ამავე ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრის კ. ტელეგინის მიმართვა. აი ამ მიმართვის შემოკლებული ტექსტიც:

„ბელორუსიის ფრონტის ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებს და გენერლებს.

მებრძოლო მეგობრებო!

უმაღლესმა მთავარსარდალმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა, სტალინმა სამშობლოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ჩვენი ფრონტის ჯარებს უბრძანა, დათრგუნონ მოწინააღმდეგე ბერლინის უახლოეს მისასვლელებთან, აიღონ ფაშისტური გერმანიის დედაქალაქი ბერლინი და აღმართონ ამ ქალაქზე გამარჯვების დროშა. მოვიდა დრო, მივაყენოთ მტერს უკანასკნელი დარტყმა და სამუდამოდ ავაცილოთ ჩვენი ქვეყანა ომის საშიშროებას გერმანელი ყაჩაღების მხრივ.

მოვიდა დრო, გავათავისუფლოთ ჩვენი მამები და დედები იმ საშინელი ბოროტებისაგან, რომელიც ჰიტლერელმა კაციჭამიებმა ჩაიდინეს ჩვენს მიწა-წყალზე. მოვიდა დრო, საბოლოოდ განადგურდეს მტერი და გამარჯვებით დამთავრდეს ომი...

საბჭოთა დევგმირებო!

მე მოგიწოდებთ თქვენ, მთელი თქვენი ძალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებისყოფა და უნარიანობა, ურყეობა, გმირობა და გამბედაობა მიმართოთ ჩვენი ბელადის, ამხანაგ სტალინის ბრძანების თავდადებით შესრულებისათვის. ჩვენი დედა სამშობლოს ბრძანების შესრულებისათვის. ამისათვის ყველაფერი საჭირო ჩვენ გვაქვს საკმარისი რაოდენობით. თქვენზე, ამხანაგებო, დამოკიდებულია, სწრაფი დარტყმით გადალახოთ უკანასკნელი თავდაცვითი ზღუდეები და შეხვიდეთ ბერლინში.

ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის, სტალინის სახელით წინ, ბერლინისაკენ!..

I ბელორუსიის ფრონტის სარდალი, I ბელორუსიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-ლეიტენანტი კ. ტელეგინი.

საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი.

ქ. ბერლინის დასაცავად გერმანელებს ჰყავდათ ოთხი არმია. ამ არმიების შემადგენლობაში შედიოდა 1500 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 3300 მებრძოლი თვითმფრინავი. I ბელორუსიის ფრონტი ბერლინს უტევდა 10 არმიის შემადგენლობით.

ბერლინზე ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მეორე ეშელონში მყოფი მე-3 არმია. ამ ბრძოლებს ჰაერიდან მხარს უჭერდა მე-18 საჰაერო არმია. როგორც ცნობილია, ბერლინზე ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო პირველი უკრაინის ფრონტის ორმა არმიამ. ამგვარად, სულ ბერლინს უტევდა 13 სახმელეთო და 1 საჰაერო არმია. რა თქმა უნდა, ძალები არ იყო თანაბარი. ჩვენ გვქონდა ძალზე დიდი, როგორც რიცხობრივი და მატერიალური, ისე ფსიქოლოგიური უპირატესობა.

როგორც აღნიშნეს ეს მარშალმა ჟუკოვმა და გენერალმა იოდლმა, ბერლინის ბედი წყდებოდა ოდერზე. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ბერლინის ბედი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო. არც ისე გავიგოთ, თითქოს მდინარე ოდერზე გადასვლის შემდეგ ჩვენი ჯარები გამარჯვების მარშით მიიწევდნენ წინ. სულაც არა. სისხლისმღვრელი ბრძოლები იმართებოდა ყოველ სახლთან, ყოველ ბორცვთან, ყოველ მდინარესთან. ეს ბრძოლები 2 მაისამდე არ შემწყდარა. ამას მოჰყვა უამრავი მსხვერპლი, როგორც მოწინააღმდეგის, ისე ჩვენი მხრიდან. მარტო ის მინდა ვთქვა, რომ ამ ბრძოლებს გერმანიისთვის აზრი აღარ ჰქონდა. შედეგი უკვე თავისთავად ცხადი იყო. ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდათ ჰიტლერს და გებელსს. მათი ჯიუტობის ერთ-ერთი მიზეზი, გარდა მათი შეუგნებლობისა, იყო ის, რომ სურდათ, რაც შეიძლება მეტი ხალხი წაეყვანათ თან საფლავში. ჰიტლერი და გებელსი არ მალავდნენ ამას. ამბობდნენ, გერმანელი ხალხი არ გამოდგა ღირსი იმისა, რომ იარსებოსო.

დილის 5 საათზე, მოსკოვის დროით, ხოლო ადგილობრივით, ასე, 3 საათზე დაიწყო არტმომზადება. 2 საათის განმავლობაში ჩვენი არტილერია ცეცხლს უშენდა მტრის პოზიციებს. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა 15000 ქვემეხი და ნაღმტყორცნი და 1531 არტილერიის რეაქტიული დანადგარი — „კატიუშები". შეტევამდე ცოტა ხნით ადრე მტრის პოზიციები გაანათა 140 პროჟექტორმა, რომლებიც იდგნენ 200-200 მეტრის დაშორებით. მარშალი ჟუკოვი თვლიდა, რომ პროჟექტორების განათებამ დიდი წვლილი შეიტანა ბერლინზე შეტევის საქმეში, ვინაიდან იგი აბრმავებდა მტრის ცოცხალ ძალას.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვთისო არჩემაშვილი

# ბოლშევიკური პრესის ისტორიის ფურცლები

## მუშათა კლასი — ფრონტს

ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ 1941 წლის 22 ივნისს ჩვენი ქვეყანა უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა.

პარტიას კარგად ესმოდა ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტკიცე ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყონებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან".

ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის ამ მითითებას, კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის გმირულ შემართებას, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, თითოეული საბჭოთა ადამიანის ნებისყოფა შეადუღაბა ერთ რკინისებურ ძალად, რომლის მიზანი იყო არა მარტო ვერაგი მტრის განდევნა საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებიდან, არამედ ფაშიზმის უღელქვეშ მოქცეული ევროპის ხალხების განთავისუფლებაც.

შექმნილი ვითარების გამო მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში თავმოყრილ იქნა ახალშექმნილ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ბ. სტალინი.

ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტზე წავიდა მუშათა კლასის მილიონობით საუკეთესო წარმომადგენელი. მიუხედავად მუშახელის მკვეთრი შემცირებისა, ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა ფრონტის მომარაგება საბრძოლო იარაღით. პარტიის ლოზუნგი — „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის" — გადაიქცა საბჭოთა ხალხის შრომისა და ცხოვრების დევიზად.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა ფრონტსა თუ ზურგში რკინისებური დისციპლინის დამყარებით.

ომის ვითარებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული, პროლეტარული შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში უდიდეს დახმარებას უწევს საბჭოთა პრესა. ბოლშევიკური პრესის ძირითადი ფუნქციები, რომელთა კლასიკური განსაზღვრა, ვ. ი. ლენინმა მოგვცა, ახალი ძალით გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის პერიოდში.

გაზეთების „პრავდის", „იზვესტიის", „ტრუდის", „კომსომოლსკაია პრავდის" მხარდამხარ საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლმა ორგანომ „კომუნისტმა" ენერგიულად გაშალა მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისთვის. 1941 წლის 23 ივლისის მოწინავეში — „გმირული შრომით დავეხმაროთ ფრონტს" — გაზეთი „კომუნისტი" მოითხოვს: „თვითეული საბჭოთა პატრიოტის წმინდათაწმინდა მოვალეობაა ყველაფერი გააკეთოს ფაშიზმის მოსასპობად, იმუშაოს მაქსიმალური მაღალნაყოფიერებით, სტახანოვურად! არნახულად ვითარდება და კიდევ განვითარდება მრავალდაზგოსნობა, პროფესიათა შეთავსება, რათა მუშახელის ნაკლები რაოდენობით მეტი პროდუქცია — მეტი შაშხანა, თვითმფრინავი, ქვემეხი, ყუმბარა, ტანკები, ტყვიამფრქვევები და ვაზნები მივცეთ ჩვენს ქვეყანას, უზრუნველვყოთ ფრონტი ყველა იმით, რაც საჭიროა ვერაგი და მუხანათი მტრის — ჰიტლერული გერმანიის დამარცხებისათვის". საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1941 წლის 20-21 ნოემბერს გაიმართა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოთა საზეიმო სხდომაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების საფუძველზე შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი ახალი სამხედრო პროდუქციის ათვისებისა და მისი სათანადო რაოდენობით გამოშვებისათვის. პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს, განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა, სტახანოვური მოძრაობის გაშლის საფუძველზე მიეღწიათ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, აემაღლებინათ კომუნისტის ავანგარდული როლი წარმოებაში, კოლმეურნეობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე, ეჩვენებინათ სამშობლოსადმი თავდადებისა და ერთგულების მაგალითი. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის „კომუნისტი" ბეჭდავს მუშების, კოლმეურნეების, პარტიული მუშაკების წერილებს, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებშიც მოთხრობილია საწარმოო დავალებათა შესრულებაზე, საწარმოო კოლექტივთა მზადყოფნაზე — ყველაფერი გააკეთონ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შეკვეთების დროულად შესასრულებლად.

უპირველესი ამოცანა, რაც საქართველოს მუშათა კლასის წინაშე დაისახა, იყო მთელი მრეწველობის გადაყვანა სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე. ფრონტი მოითხოვდა საჭურველს, სურსათს, ტანსაცმელს. შენდებოდა თავდაცვის ახალი ობიექტები. მარტო თბილისის საავიაციო ქარხნის აგებაზე 1941 წელს 1. 000-ზე მეტი კაცი მუშაობდა. დამონტაჟებას მოითხოვდა ევაკუირებული საწარმოები. ეს ამოცანები წარმატებით შესრულდა.

1940 წლის 26 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „რვა საათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“.

„კომუნისტში“ საერთო სათაურით „თავგანწირული შრომით უზრუნველვყოთ წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ყველაფრით, რაც კი საჭიროა მტერზე გამარჯვებისათვის“ — გაზეთის სამივე გვერდზე წარმოდგენილია საქმიანი, კონკრეტული წერილები წარმოების სრულყოფის, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. წერილში „თავდადებულად ვიმუშავებთ სამშობლოს გაძლიერებისათვის“, რომელსაც ხელს აწერენ მოწინავე მუშები, ნათქვამია: „ერთი წელი გავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნების დღიდან. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ამ ბრძანებულების განხორციელებით სერიოზული წარმატებანი მოიპოვა. წინათ ჩვენი ქარხანა ჩამორჩებოდა. ბრძანებულების შემდეგ კი კარგად ვმუშაობთ. გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ, ხოლო შრომის ნაყოფიერება 11,6 პროცენტით გავზარდეთ... ჩვენი ქარხნის კოლექტივი მეტი თავდადებით იმუშავებს, ქვეყანას მისცემს იმის მაქსიმუმს, რისი მიცემაც მას შეუძლია. ჩვენ კიდევ უფრო დისციპლინირებულნი, ორგანიზებულნი, ფხიზელნი ვიქნებით. ჩვენ სტახანოვური შრომით დავეხმარებით წითელ არმიას“.

გაზეთის ყოველ ნომერში შეხვდებით ფრონტისა და ზურგის ერთიანობის ამსახველ წერილებს. საქართველოს მშრომელები, სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლები შრომით მიღწევებს უპატაკებენ სამშობლოს, პარტიას, ამხანაგ სტალინს, გმირ მებრძოლებს, მათი საამქროებიდან ფრონტზე წასულ თანამემამულეებს, გამოთქვამენ მზადყოფნას პირველი დაძახილისთანავე იარაღით ხელში დადგნენ მათ გვერდით.

მოსკოვის გმირ დამცველთა შორის იბრძოდნენ თბილისის სახელოვანი მუშათა კლასის აღზრდილნი — სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაკომპლექტებული ჯავშნოსანი მატარებლის მებრძოლი ეკიპაჟის წევრები, რომელთაც თბილისის ტროლეიბუსების მძღოლი დავით ჯახიევი მეთაურობდა. მთელი ომის მანძილზე არ შეწყვეტილა ცოცხალი კავშირი ჯავშნოსანი მატარებლის ეკიპაჟისა მშობლიურ ქარხანასთან, მშობელ ქართველ ხალხთან, ფრონტისა და ზურგის ერთიანობის დაუღალავი პროპაგანდისტის — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასთან. მოვიყვანთ ამ ერთიანობის ამსახველ პატარა ფურცელს: „თბილისი, გაზეთ „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკახ“ რედაქციებს, ორდენოსანი საქართველოს მშრომელებს!

ჩვენი მგზნებარე წითელარმიული სალამი ორდენოსანი საქართველოს მშრომელებს ჯავშნოსანი მატარებლის პირადი შემადგენლობიდან, რომელიც ჩვენი სამშობლოს გულს — მოსკოვს იცავს... თქვენ, მზიური საქართველოს მშრომელებო, დაკისრებული გაქვთ საპატიო ამოცანა — უზრუნველყოთ ფრონტი ყველაფრით, რაც მას ესაჭიროება. ჩვენ არაერთხელ წაგვიკითხავს გაზეთებში თქვენი თავდადებული შრომის შესახებ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ქარხნებსა და ფაბრიკებში, აჭარის ჩაისა და მანდარინის პლანტაციებში. ზურგი და ფრონტი ერთიანი სამხედრო ბანაკია.

ჩვენ, ჯავშნოსანი მატარებლის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, ფიცსა ვდებთ — მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ და, თუ საჭირო იქნება სიცოცხლეც შევწიროთ იმას, რომ შევასრულოთ ამხანაგ სტალინის მითითება უკლებლივ ყველა გერმანელის მოსპობის შესახებ, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ, როგორც ოკუპანტები. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი პირსისხლიან მტერზე გამარჯვებისათვის. შორს არ არის ის დღე, როდესაც ჩვენ გამარჯვებულნი დავბრუნდებით თქვენთან. გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს!..

ჯავშნიანი მატარებლის მეთაური კაპიტანი ჯახიევი
სამხედრო კომისარი პოლიუსუკი
პარტბიუროს მდივანი სმირნოვი
კომკავშირის ბიუროს მდივანი ქადეიშვილი
1941 წლის 12 დეკემბერი“.

1941 წელს, ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი განსაცდელის ჟამს, მასების შემოქმედებითი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინიციატივა უმაგალითოდ იზრდება. მუშათა კლასის თაოსნობით დაიწყო მოძრაობა — დროის მაქსიმალური ეკონომიით საფრონტო დაკვეთების ვადაზე ადრე შესრულების შესახებ, ყოველი საათი, ყოველი წუთი მეტად ძვირფასი გახდა.

გაზეთ „კომუნისტის“ მუშაობის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად იქცა ოპერატიული მხარდაჭერა ყველა შესანიშნავი თაოსნობისა, რაც მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის ყოველდღიურ გმირულ შრომაში იბადებოდა. ხშირად გაზეთი თვითონ იყო ახალ, საინტერესო თაოსნობათა ინიციატორი. ამ სახალხო ინიციატივისა და თაოსნობათა მხარდასაჭერად გაზეთი ამზადებდა თემატურ, მიზნობრივ გვერდებს, რომლებიც მაღალ-იდეური წერილებით, ილუსტრაციათა პოლიგრაფიული დონით დღესაც ინტერესს იწვევს.

„კომუნისტი“ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათავეში ჩაუდგა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის ინიციატორად მოსკოვის პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის კოლექტივი გამოვიდა. მოსკოველებმა შეჯიბრება წამოიწყეს მოწოდებით „ახალი საწარმოო მიღწევებით, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით შევეგებოთ დიდი ოქტომბრის 24-ე წლისთავს“.

„მებრძოლურად შევასრულოთ წინასაოქტომბრო ვალდებულებანი“ — ასეთი მოწინავით გამოვიდა „კომუნისტი“ 1941 წლის 26 ოქტომბერს. მოწინავეში ღრმა ანალიზი ჰქონდა გაკეთებული სოციალისტურ შეჯიბრებას რესპუბლიკაში, ამავე დროს, იგი მოაგონებდა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დარჩენილ პერიოდში მუშაობის დაჩქარების შესახებ.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების პროცესში, სტახანოვური მოძრაობის წიაღში იშვა თვისობრივად ახალი პატრიოტული მოძრაობა — ორასოვანთა მოძრაობა, რომლის ინიციატორი ჩვენს რესპუბლიკაში ლენინური კომკავშირი იყო. მოძრაობა მიზნად ისახავდა მეტი პროდუქციის გამოშვებას მუშათა ნაკლები რაოდენობით, შრომის ნაკლები დანახარჯებით.

გაზეთ „კომუნისტს“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ომის პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაშლის, ორასოვანთა მოძრაობის გაშუქებისა და ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადების მუშაობის გამოცდილების პროპაგანდაში. ჯერ კიდევ ის-ის იყო ფეხს იდგამდა ორასოვანთა მოძრაობა, როცა გაზეთმა „კომუნისტმა“ მასში სწორედ შენიშნა და შეაფასა სტახანოვური მოძრაობის ახალი, ომის ვითარებით ნაკარნახევი ფორმა სოციალისტური შეჯიბრებისა. გაზეთმა ფართოდ გააშუქა რესპუბლიკაში პირველი, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ორასოვანთა შეკრების მუშაობა და შეკრების მონაწილეთა მიმართვა საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშაკისადმი თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა.

სამამულო ომის წლებში ახალ გაქანებას პოულობს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორად 1942 წელს წინა სამაისო სოციალისტური შეჯიბრებისას კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივი გამოვიდა. საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 4 მაისს მოიწონა წინადადება მეტალურგთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ, დაამტკიცა შეჯიბრების პირობები და წინადადება მისცა შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატს და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს ხელმძღვანელობა გაეწიათ პატრიოტული მოძრაობისათვის ეკონომიკის ამ ერთ-ერთ გადამწყვეტ დარგში.

მეტალურგებს მიბაძეს ავია და ტანკმშენებელი მრეწველობის მუშაკებმა, რაც ასევე მოწონებული იქნა ცკ-ის მიერ, სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ყოველდღე ფართოვდებოდა და მან მთლიანად მოიცვა ჩვენი ქვეყნის მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა.

გაზეთი „კომუნისტი“ რესპუბლიკაში სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ერთ-ერთ დაუღალავ ორგანიზატორად გვევლინება.

1942 წლის მაისიდან „კომუნისტის“ მუდმივ რუბრიკებად იქცა „სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება“, „სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ქრონიკა“ „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, „სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნა“ და სხვა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „კომუნისტის“ 1942 წლის 6 ივნისის ნომერი. გვერდი იხსნება კვალიფიციური მოწინავე სტატიით „უკლებლივ ყველა მუშა უნდა ასრულებდეს გეგმას“. მოწინავეში დაყენებულია საკითხი იმის შესახებ, რომ უნდა მივაღწიოთ თითოეული მუშის მაღალ შრომის ნაყოფიერებას, შეჯიბრება უნდა გახდეს მასობრივი, ყოვლისმომცველი. ამასთან დაკავშირებით გაზეთს მოჰყავს მ. ი. კალინინის შესანიშნავი აზრი, რომელიც მან გამოთქვა 1942 წლის 21 აპრილს მოსკოვის საწარმოთა პარტიული მუშაკების თათბირზე: „ჩვენ რომ შევძლოთ ყველა მუშის, სწორედ ყველა მუშის შრომისნაყოფიერების გადიდება 10%-ით, რამდენ სარგებლობას მოგვიტანდა ეს, სამრეწველო წარმოების როგორი ზრდა იქნებოდა ეს! მაგრამ ამის მიღწევა უფრო ძნელია, ვიდრე ცალკეული რეკორდების დამყარება“.

რუბრიკით — „სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება“ — წარმოდგენილია მთელი რიგი საინტერესო მასალები. სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრადიციული ტრიბუნა ეთმობა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს ორდენოსან მღუნავ მექვაბეს მ. გეწაძეს, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველს ს. პავლიაშვილს და სხვებს.

გაზეთი ამავე ნომერში გვაცნობს ორი შესანიშნავი სტახანოველის, ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატის პავლე სტეხოვისა და სვერდლოვსკის სამრეწველო მშენებლობის ტრესტის შრომის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორის ვ. შელიაევის თაოსნობებს. პირველი გამოვიდა ახალგაზრდა მუშების აღზრდის, ხოლო მეორე პროფესიათა მონაცვლეობის, შეთავსების ინიციატივით. აქვე კონკრეტულ მაგალითებზე ნაჩვენებია ამ ინიციატივათა უპირატესობა და დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

საინტერესო თემატური გვერდებია მომზადებული 1942 წლის 7, 11, 16, 17, 30 ივნისს, სადაც წამყვანი ადგილი სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნას უკავია. ამ ტრიბუნით ასეულ ათასებს ესაუბრებიან, აცნობენ შრომის მოწინავე მეთოდებს რესპუბლიკის სახელოვანი მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები. სულ სამამულო ომის პერიოდში გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 2.000-ზე მეტი რიგითი მშრომელის წერილი, შრომითი პატაკი. მათ გამოსვლებში ერთხელ კიდევ ცხადად გამოჩნდა საბჭოთა პრესის დემოკრატიული ხასიათი, მისი განუყოფელი ნიშან-თვისება — გაზეთი იყოს მასობრივი, მშრომელი ადამიანების ნების, ფიქრიხა და მისწრაფებათა გამომხატველი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წარმატებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა შრომის მოწინავე მეთოდებმა, კერძოდ, ურალელი მაღაროელის ალ. სემივოლოსის შრომის ნოვატორულმა მეთოდმა. მისი მეთოდის ძალა და შედეგიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან მრავალსანგრევიანი ბურღვის მეთოდი დანერგა და თავის მოწაფეებთან ერთად 60 სარეკორდო გამომუშავება მოგვცა, რითაც შრომის ნაყოფიერება 10-ჯერ გაიზარდა. ამ თაოსნობას საქართველოში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სამთამადნო მრეწველობის მუშაკებმა. „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს ქვანახშირის ნგრევის ოსტატის ორდენოსან ბიძინა თოდაძის წერილი „ჩემი გამოცდილება სემივოლოსური მეთოდით მუშაობაში“.

ბიძინა თოდაძის წერილი მრავალმხრივ საყურადღებოა. ჯერ ერთი, მან ამ წერილით ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ალექსი სემივოლოსის თაოსნობას, ამასთანავე გაგვაცნო თავისი მიღწევები ახალი მეთოდით მუშაობაში. ეს წერილი არის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკთა ცხოვრებასთან, წარმოებასთან ცოცხალი კავშირის მკაფიო დოკუმენტი; ბიძინა თოდაძე წერს: „8 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ წავიკითხე ტყიბულის მაღაროების ძველი მუშის, ამჟამად ფრონტელი ამხ. ნანიკაშვილის წერილი ტყიბულის ქვანახშირის მაღაროელებისადმი. ამხ. ნანიკაშვილი მოგვიწოდებს ყველაფერი გავაკეთოთ ჰიტლერული ოკუპანტების გასანადგურებლად, გადაჭარბებით შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის გეგმები და გვისურვებს მოწინავეთა რიგებში ჩადგომას. ამ მოწოდებამ ახალი ძალა შემმატა გავაძლიერო ქვანახშირის ამოღება.

როგორ გამეუმჯობესებინა მუშაობა?

ამ კითხვაზე პასუხი ვიპოვე „კომუნისტის“ იმავე ნომერში მოთავსებულ წერილში, სადაც ლაპარაკია სახელოვანი მაღაროელის ალექსი სემივოლოსის მუშაობის ახალ მეთოდზე. დავფიქრდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვიმუშაო რამდენიმე სანგრევში, როგორც ამხანაგი სემივოლოსი მუშაობს...“

სემივოლოსურმა მოძრაობამ, რაც გაზეთ „კომუნისტის“ უშუალო, აქტიური მონაწილეობით გაიშალა აქ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივის წარმატებებს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაც არაერთხელ აღინიშნა გარდამავალი დროშით და ფულადი პრემიით.

„კომუნისტს“ დიდი მუშაობა აქვს გაწეული ნოვოსიბირსკელი მემანქანის ნიკოლოზ ლუნინის თაოსნობის ამიერკავკასიის რკინიგზაზე გავრცელებისათვის. ნ. ლუნინის თაოსნობის მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ომის პირობებში თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ ლოკომოტივს, გაეხანგრძლივებინათ მისი მუშაობის ვადა, — საკუთარი ძალებით ჩაეტარებინათ რემონტი და სხვა.

გაზეთმა „კომუნისტმა“ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რაც შექმნილმა ვითარებამ დააყენა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისა და მრეწველობისათვის ადგილობრივი ნედლეულის გამოსანახავად. ამ მხრივ უაღრესად ნიშანდობლივია გაზეთ „პრავდის“ გამოსვლები ადგილობრივი რესურსების ეფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტურ გამოყენებაზე. კერძოდ. „პრავდამ“ 1941 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა კორესპონდენცია „შორიდან ნუ ვეზიდებით იმას, რაც შეიძლება ადგილზე დამზადდეს“. კორესპონდენციაში მოყვანილი ორი ფაქტი მან სპეციალურად განაზოგადა მოწინავე სტატიაში: „დიდი სამეურნეო მნიშვნელობის ინიციატივა“. საქმე ეხებოდა სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის გონივრულ მუშაობას ისეთი ნაწილებისა თუ დეტალების დამზადებისათვის, რასაც უკვე მასთან კოოპერირებაში მყოფი სამრეწველო საწარმოები, რომელთა რიცხვი 200-ს აღემატებოდა, ვეღარ აწვდიდნენ. ასევე საკუთარი ძალებით შესძლო მდგომარეობიდან გამოსვლა დონეცკის ქარხნის ერთერთმა საამქრომ. „პრავდამ“ ამ ფაქტებში მაშინვე შენიშნა დიდი საქმის საიმედო ჩანასახი და მას საქვეყნოდ დაუჭირა მხარი.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმოდა, რომ ჩვენი ქვეყნის დასავლეთის სამრეწველო რაიონების დროებითი დაკარგვის გამო გარდაუვალი იყო შეფერხება საწარმოთა კოოპერირებაში. ყოველივე ამის გამო არაჩვეულებრივად გაიზარდა მოთხოვნილება ადგილობრივი რესურსების გამოვლინებისათვის, გაძლიერდა საწარმოო-ეკონომიური თანამშრომლობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

ფრონტის დასახმარებლად სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა ერთობლივ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურმა მიტინგმა, რომელიც 1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში გაიმართა. ამიერკავკასიის სახელოვანი მუშათა კლასის მტკიცე ნება გამოხატა მიტინგზე ბაქოს პარიზის კომუნის სახელობის მექვაბემ, მუშა გ. ხარიტონოვმა. მან თქვა: „თუ საჭირო იქნება, მთელი ნავთის ქალაქი ბაქო ხელში აიღებს იარაღს, რათა დაიცვას თავისი მშობლიური მხარე. მოვკვეთოთ ფაშისტური ტორები, რომლებიც გამოწვდილია კავკასიის ზღაპრული სიმდიდრისაკენ! ჰიტლერელები ვერ იხილავენ ბაქოს ნავთს! აღვმართოთ აქ შეურყეველი ციხე-სიმაგრე! არ დავთმოთ მშობლიური კავკასია ბარბაროსების მიერ წასაბილწავად. ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა უნდა იქნეს და იქნება კიდეც ის სალი კლდე, რომელზეც დაიმსხვრევიან ჰიტლერელთა ურდოები“.

მშრომელთა მიერ ფრონტისათვის სულ უფრო მეტი იარაღ-საჭურველისა და ტანსაცმლის შეუფერხებელ მიწოდებაში ასევე დიდი როლი შეასრულა თბილისელ შრომის ნოვატორთა პატრიოტულმა წერილმა სტალინგრადის გმირი დამცველებისადმი.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის, მრეწველობისათვის ადგილობრივი რეზერვების გამონახვისათვის ზრუნვა განსაკუთრებით აუცილებელი გახდა 1942 წლის მეორე ნახევარში, როცა რესპუბლიკა თითქმის მოწყვეტილი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებიდან.

გაზეთი „კომუნისტი“ უფრო ხშირად გამოდის კონკრეტული, მიზნობრივი მოწინავე წერილებით, ღრმა ანალიზს უკეთებს ყოველი კვარტლის, ყოველი თვის მუშაობას, ეხმარება წარმოების ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს უფრო ნათლად გაერკვნენ შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში, სიტუაციაში. ასე მაგალითად, გაზეთის 1943 წლის 3 აპრილის ნომერში დაბეჭდილია მოწინავე „მეორე კვარტლის პირველი თვე“. „კომუნისტი“ აჯამებს პირველი კვარტლის შედეგებს, მიუთითებს ცალკეულ ჩამორჩენილ საწარმოებს, სახავს ჩამორჩენის დაძლევის გზებს.

„მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! — მოუწოდებს გაზეთი, — აპრილში მივაღწიოთ მრეწველობაში და ტრანსპორტზე ახალ საწარმოო გამარჯვებებს!.. მეტი პროდუქცია, მეტი ლითონი, მეტი ელექტროენერგია! განუხრელად დავიცვათ ნედლეულის, მასალების უსასტიკესი მომჭირნეობა! გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, შემდგომ გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ეს იქნება წითელი არმიისადმი მზარდი დახმარება ჰიტლერელ ავაზაკთა სრული განადგურებისათვის.“

მრეწველობაში ნედლეულის, მასალანაწილების ადგილობრივი შემცვლელების გამონახვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა, რომელთა საქმიანობა „კომუნისტის“ ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა.

„დღეს იწყება რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შეგროვების ორკვირეული“ — იუწყება „კომუნისტი“ 1941 წლის 5 სექტემბერს. გაზეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ღონისძიებას და ამავე წერილში გვაცნობს დედაქალაქის მოწინავე რაციონალიზატორებს, მათი წინადადებების წარმოებაში დანერგვის ეკონომიურ ეფექტიანობას.

„კომუნისტი“ გამოდის ახლის, მოწინავე ტექნიკური აზრის პროპაგანდისტად, იბრძვის მისი განხორციელებისათვის. ამაზე მიუთითებს 1943 წლის 14 აგვისტოს მოწინავე: „ნაკადური მეთოდისათვის წარმოებაში“. მოწინავეში აღნიშნულია, რომ ნაკადურ მეთოდზე უკვე გადავიდნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი და კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნების ცალკეული საამქროები. ნაკადური მეთოდით მუშაობამ საწარმოებში 30-35%-ით გაზარდა პროდუქციის გამოშვება, თვითღირებულება შეამცირა 40%-ით, ხოლო დამხმარე მუშახელი

50%-ით, რაც გამოუყენებულია სხვადასხვა სამუშაოზე.

„კომუნისტის" 1941 წლის 18 ივლისის ნომერში ნათქვამია, რომ თბილისის კალინინის სახელობის ქარხნიდან ბევრი წითელ არმიაში წავიდა. მიუხედავად ამისა, ქარხანას ასეთი მაჩვენებლები უკანასკნელი ორი წლის არცერთ თვეში არ ჰქონია. ორდენოსანი ზეინკალი ამხ. ბ. ძამაშვილი წითელ არმიაში წავიდა. ქარხანაში მეორე დღესვე გამოცხადდა მისი მამა დავით ძამაშვილი და განაცხადა: მომეცით ყველაზე მძიმე სამუშაო, მზად ვარ შევასრულო იგი და ამით დავეხმარო ჩვენს გმირულ წითელ არმიას გაანადგუროს გერმანიის ფაშიზმი.

წარმოებისაკენ იბრუნეს პირი ძველმა კვალიფიციურმა მუშებმა, რომლებიც იმჟამად პენსიაზე იყვნენ გასული. გაზეთი ფართო პროპაგანდას უწევს მათ ინიციატივას და სისტემატურად ბეჭდავს მათ წერილებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა იმ დიდ შრომით და საბრძოლო შემართებას, რაც სამამულო ომში გამოიჩინეს საბჭოთა ქალებმა. ჯერ კიდევ ერთი თვეც არ იყო გასული ომის დაწყებიდან, რომ „პრავდის" ფურცლებიდან გაისმა საბჭოთა ქალების მრისხანე საპროტესტო მოწოდება.

ჩვენი ქვეყნის ქალები აქტიურად გამოეხმაურნენ მოსკოველ პატრიოტებს და სულ უფრო და უფრო იზრდება მათი ხვედრითი წილი მრეწველობაში, განსაკუთრებით მის წამყვან დარგებში. ქალთა რაოდენობამ მუშათა საერთო რიცხვის 45% შეადგინა.

მომდევნო პერიოდში ქალთა რიცხვი მრეწველობაში კიდევ უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ დარგებზე, როგორიცაა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობა. ამ დარგებში ქალთა ხვედრითი წილი საკავშირო მასშტაბით 70%-ს აღწევს, ხოლო საქართველოს სსრ რესპუბლიკაში უფრო მეტს — თითქმის 80%-ს.

გაზეთი „კომუნისტი" მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკაში მუშათა კადრების მომზადებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 თებერვლის ბრძანებულების „ომიანობის დროის პერიოდში წარმოებასა და მშენებლობაში სამუშაოდ ქალაქის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის შესახებ" შესრულებისათვის. ამ ბრძანებულებას მიეძღვნა გაზ. „პრავდის" 1942 წლის 15 თებერვლის მოწინავე, რომელიც „კომუნისტმა" გადმობეჭდა და ამასთანავე მთელი რიგი საინტერესო მასალებიც გამოაქვეყნა.

გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე ვეცნობით წარმატებებს, რომლებსაც ამიერკავკასიის რკინიგზელებმა მოიპოვეს: მათ ხუთ კვარტალში ზედიზედ შეინარჩუნეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი დროშა, რისთვისაც ამ დროშის სამუდამო მფლობელები გახდნენ. ამასთანავე 4 რკინიგზელს: ნ. ვ. გელაძეს, შ. ტ. კოხრეიძეს, ა. ვ. წიკლაურს და გ. ს. კიკნაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო 2500-ზე მეტი მუშაკი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

მუშათა კლასის საბრძოლო და შრომითი მამაცობის ამაღლებაში, მისი შემოქმედებითი ძალების გაშლაში, რასაც ესოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მტერზე გამარჯვებისათვის, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის პარტიულ და საბჭოთა პრესას.

„გამოხატავდა რა საბჭოთა ხალხის სისხლხორციელ ინტერესებს, გაზეთები მოუწოდებდნენ საბჭოთა ადამიანებს მთელი ძალა და ენერგია მოეხმარებინათ მტერზე გამარჯვების საქმისათვის, — წერს ბოლშევიკური პრესის სამამულო ომის პერიოდის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ნ. მ. კონონიხინი, — ბეჭდვითი სიტყვა მხარს უჭერდა და ანვითარებდა სახალხო ინიციატივის სხვადასხვა ფორმებს, რაც მიმართული იყო ფრონტის დასახმარებლად, აძლევდა მძლავრ ბიძგს ყოველივე ახალს, რაც იბადებოდა ხალხში და აჩქარებდა ჩვენს გამარჯვებას". ასეთივე მაღალ შეფასებას იმსახურებს საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლი ორგანოც — გაზეთი „კომუნისტი", რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის პარტიის გარშემო რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვაში.

„კომუნისტის" 25 წლისთავზე, აღნიშნავდა რა გაზეთის დიდ დამსახურებას, 1945 წლის 3 ივნისს „პრავდა" წერდა: „ჩვენ სამშობლოზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის პირველი დღეებიდანვე „კომუნისტმა" გაშალა ლოზუნგის „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის" ფართო პროპაგანდა, კონკრეტული ნიმუშებით იგი აჩვენებდა, თუ როგორ უნდა გარდაექმნათ სამხედრო ყაიდაზე საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების მუშაობა, აკრიტიკებდა ჩამორჩენილებს, ეხმარებოდა მათ დაწეოდნენ მოწინავეებს".

დავით გოგოჭური
ივანე ლიქოკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამამულო ომი ქართულ ხალხურ პოეზიაში

ზეპირსიტყვიერება კულტურის ერთ-ერთი უძველესი დარგია ყველა ქვეყნისათვის და „მასში როგორც სარკეში — წერდა ა. წერეთელი — ისე ჩანს ერის წარსული“. დიდ პოეტს სწორედ საქართველოს ზეპირსიტყვიერება ჰქონდა მხედველობაში. მდიდარი და ძირძველი ტრადიციის მქონე ქართული ხალხური პოეზია დღემდე ასრულებს თავის დიდ ფუნქციას.

სამამულო ომის დროს მთელს ჩვენს ქვეყანაში არ დარჩენილა არც ერთი ხალხური მელექსე, რომელსაც თავისი შემოქმედების თემად არ ექციოს სოციალისტური სამშობლოს დაცვა და დამპყრობლების განადგურება. მათ შორის ქართველმა მელექსეებმა სამამულო ომის ამსახველი მდიდარი და მრავალფეროვანი პოეზია შექმნეს.

ომის დაწყებისთანავე საბრძოლო მოწოდებად გაისმა ცნობილი სახალხო მთქმელის ალ. ქუშხეველის (კულანაშვილის) პოეტური ამოძახილი:

ახლა სჭირდება ქვეყანას
სიბრძნე და ძალა გმირისა,
ახლა სჭირდება სამშობლოს
მსხვერპლად შეწირვა შვილისა.

ახლა სჭირდება მშრომელებს
სიმტკიცე ვით ქვიტკირისა,
ახლაა, ახლა საჭირო
გული ქვისა და რკინისა,

დრო დადგა განსაცდელისა,
დღე შეგვეცვალა ლხინისა.
თავს დაგვტრიალებს აჩრდილი
მიხაკისფერი ჭირისა...

ამხედრებულან გმირები,
ისმის ზათქი და ყიჟინი,
სამშობლოს მოწოდებაა,
ფრონტზე მიდიან ყველანი...
ბორკილაწყვეტილ ამირანს
ომს გაუსწორებს ვერავინ.

სამშობლოს დაცვისა და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ასახვა ქართული ხალხური სიტყვიერებისათვის ახალი და უცხო რამ არ არის. მას ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა ადრინდელ ხალხურ სიტყვიერებაშიც. შესანიშნავ ხალხურ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებებში მახვილი ყოველთვის დასმულია თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და მშობლიური კულტურის დაცვის მოტივზე. „საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი, — აღნიშნავს პროფ. ქს. სიხარულიძე, — იქმნებოდნენ იმ ბრძოლების საფუძველზე, რომელთაც თავისი დამოუკიდებლობისა და კულტურის დასაცავად ეწეოდა ქართველი ხალხი უცხო დამპყრობლებისა თუ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ“.

ქართული საგმირო პოეზიის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ომის მონაწილეთა კუთვნილებაა. ხალხმა სათუთად შემოინახა, სიმღერად აქცია და თაობიდან თაობას გადმოგვეცა დიდგორის, ბახტრიონის, ასპინძის, კრწანისის, ნიახურისა თუ სხვა ბრძოლების მონაწილეთა მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა. არანაკლებ მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება დაგვიტოვეს იმპერიალისტური ომის მონაწილეებმაც.

საზოგადოდ, ომის მონაწილეთა პოეზიას ის თავისებურება გააჩნია, რომ მათი შემქმნელები თითქმის ისტორიული სიზუსტით გვისურათებენ ბრძოლის ბატალიებსა თუ პერიპეტიებს, გვაცნობენ მეომართა განწყობასა და ომისადმი დამოკიდებულებას.

მთავარი ნიშანი მეომართა შემოქმედებისა მაინც ის გახლავთ, რომ აქ მეტად მცირე ადგილი უკავია გამონაგონსა და ფანტაზიით შეთხზულს. მებრძოლთა ლექსებში ნათლად, ობიექტურად და თითქმის დოკუმენტური სიზუსტითაა გადმოცემული. ამიტომაც ფრონტელთა პოეზიას მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებთან ერთად დიდი საისტორიო მნიშვნელობაც გააჩნია.

საბჭოთა მეომრები თვით ბრძოლის მძიმე წუთებშიც კი დროს პოულობდნენ და ლექსებად წერდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და განცდებს. მხატვრული ნაწარმოებები ზეპირად ვრცელდებოდა მებრძოლთა შორის და არაიშვიათად სიმღერადაც იქცეოდა ხოლმე. მრავალი მათგანი ქვეყნდებოდა საფრონტო გაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებში. ფრონტელთა პოეზია წერილების სახით განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა და სწრაფად ვრცელდებოდა მოსახლეობაში. იგი ზურგის მუშაკებს რაზმავდა და მტერზე გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა. მტერზე გამარჯვების საწინდრად იქცა ფრონტისა და ზურგის ერთიანობა.

„დიდი გმირობა ჩაიდინეს — ვკითხულობთ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — ომის წლებში ზურგის მშრომელებმა, მუშებმა, კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა... კულტურის მოღვაწეებმა, მწერლებმა, პოეტებმა... ჟურნალისტებმა. თავიანთი ნაწარმოებებით ისინი საბჭოთა ადამიანებს უნერგავდნენ მგზნებარე პატრიოტიზმსა და მამაცობას“.

სამამულო ომის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხალხური ლექსების შემქმნელთა რიცხვი. ომმა გააქტიურა ცნობილი მელექსეები, გამოავლინა მანამდე სრულიად უცნობი ნიჭიერი ავტორ-მთქმელები და შემსრულებლები. სამამულო ომის თემაზე შექმნილი რჩეული ნაწარმოებები ქვეყნდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ პრესაში, გადაიცემოდა რადიოთი. პატრიოტული სიმღერებით გაამდიდრეს თავიანთი რეპერტუარი მეჭიანურეებმა, მეფანდურეებმა.

ზურგში დარჩენილი საბჭოთა პატრიოტი ადამიანები, — ჯარისკაცთა მეგობრები თუ ახლობლები გაგზავნილ წერილებში ლექსებად აწყობდნენ ზურგის შრომითი გმირობა-მამაცობის ამბებს, მოუწოდებდნენ და აღაფრთოვანებდნენ ფრონტზე მყოფ მებრძოლებს ვერაგი მტრის განადგურებისა და სამშობლოს განთავისუფლებისკენ, აქებდნენ მათ, მიუთითებდნენ გმირ წინაპართა მაგალითებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამამულო ომის ამსახველი ხალხური პოეზია ორ სხვადასხვა გარემო პირობებში — ფრონტსა და ზურგში იქმნებოდა, მისი იდეა და მიზანდასახულება ერთი და იგივეა — სამშობლოს დაცვა და ვერაგი მტრის განადგურება

მართებულად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, შევჩერდეთ მეომართა ლექსებსა და სიმღერებზე. როგორც უკვე ითქვა, ეს პოეზია უშუალოდ ნანახს, ნაგრძნობსა და განცდილს გადმოგვცემს. საზოგადოდ, ფრონტელთა პოეზიისათვის დამახასიათებელია მძიმე მდგომარეობის ნათლად შეგნება. მეომარი კარგად ხედავს, რომ მტერი ძლიერი და ვერაგია და საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც ჟამთა ბრუნვამ „დღე გაუთენა მზებნელი“ დიდი განსაცდელის წინაშე დგას, რადგან:

აფორიაქდა ქვეყანა,
ცეცხლი წვავს მწველად მდებელი,
გვებნევა დიდი სიმდიდრე,
ენით ფასდაუდებელი;

მაგრამ მტერი არა მარტო ხალხის სიმდიდრეს, სიცოცხლესაც ემუქრება და ამიტომაც ასეთი ტაეპებიც გვხვდება მებრძოლთა ლექსებში:

სასწორზე დასდებ სიცოცხლეს,
დროებავ ღალატიანო.

აი, როგორ გვიხატავს მეომარი მტრის ვერაგული თავდასხმის პირველსავე წუთებს:

შეიქმნა ომი ფიცხელი,
ცეცხლი ედება მიწასა,
შეინძრა ზღვა და ხმელეთი
დანგრევასა ჰგავ ცისასა.

მსგავსი მძაფრი სურათები უხვად გვხვდება ფრონტელთა პოეზიაში. მიუხედავად იმისა, რომ მეომრებს კარგადა აქვთ შეგნებული ომის სიმძიმე, რომ იგი აურაცხელ მსხვერპლს მოითხოვს, ფრონტელთა შემოქმედებაში ვერ ვნახავთ უიმედო და მოწუწუნე სტრიქონებს. მრავალი ლექსის ლაიტმოტივი სწორედ გამარჯვების რწმენაა. მხედრული დიდსულოვნებაა გადმოცემული ლექს-ბარათების იმ ტაეპებში, რომლებითაც მეომრები საკუთარ დედებს მიმართავენ:

დედაო, ხევსურის ქალო!
გვარ არ აყივლო გვარზედა,
ვიცი რომ მოგაგონდები,
ცრემლ არ მოუშო თვალზედა,
ომში წასული ვაჟკაცის
გულ მაგარია ქვაზედა.

დედისადმი მიმართულ ამ ტაეპებში ცოცხლდება საგმირო პოეზიის ტრადიციული პატრიოტული მოტივი — გამარჯვება ან სახელოვანი სიკვდილი:

ისევ მოგივალ ცოცხალი,
დედავ, ნუ გეშინიანო!
ან სამშობლოსთვის მოვკვდები
ველარვინ შაგარცხვნიანო.

მაშინაც კი, როდესაც სიკვდილის ცელი უწყალოდ მუსრავს სიცოცხლეს, საბჭოთა მეომარი იმედის თვალით გაჰყურებს მომავალს; სწამს, რომ შინ გამარჯვებული დაბრუნდება და თავის მეგობრებთან ერთად კაი ყმის საქებ სიმღერებს იტყვის:

ის დღეც გათენდეს, როდესაც
თავის შინ ვიჯდე სკამზედა,
გვერდითა მყვანდნენ სწორები,
ქება ვთქვათ კაი ყმაზედა.

მეომარმა, რომელიც სამი წელი იმ დევიზით იბრძოდა, რომ მტერს „წყალიც არ დავალევინოთ ამ ჩვენი მიწა-წყლისაო“, ვრცლად მოგვითხრო თავის საბრძოლო თავგადასავალზე, ბერლინის მისადგომებთანაც იბრძოდა და ლექსის დასასრულს საფუძვლიანი სიამაყის გრძნობით გაგვიმხილა:

---

დავით გოგოჭური,
ივანე ლიქოკელი
სამამულო ომი ქართულ ხალხურ პოეზიაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედლად ვერავინ ახსენებს,
თუშ გიგნაიძის სახელსა.

ასევე ურთავს ლექსში თავის ვინაობას სამამულო ომში გმირულად დაღუპული, გომბორელი გიორგი ჩარბედაშვილი:

არ დამივიწყოთ, ბიჭებო,
რაც უნდა დავიგვიანო,
მანამა ვცოცხლობ, იცოდეთ,
სანამ ჩარბოდა მქვიანო.

მეომართა ლექსებში ხშირად გვხვდება რამდენადმე გადაკეთებული და ტექსტებში ჩართული ხალხური აფორიზმები და ანდაზები. მელექსე, რომელსაც მხედველობაში ფაშისტი ოკუპანტების ვერაგობა და მუხანათობა აქვს, ლექსის დასასრულს ამბობს:

რასაცა სთესვენ მთესველნი,
იმასვე მოიმკიანო.

ან კიდევ:

ვინც სხვისას მიეტანება,
თავისიც ოხრად დარჩება.

საბრძოლო თემატიკაში არაიშვიათად გამოერევა ხოლმე საყოფაცხოვრებო მოტივები. ერთ-ერთი მელექსე — მეომარი ლექსს ბრძოლის მძიმე სურათის დახატვით იწყებს, შემდეგ კი რამდენადმე იუმორისტული სტრიქონებით აგრძელებს:

მაგრამ ის არის სათქმელი
საცოლე კენტად მრჩებაო.
ან ჩვენი სოფლის ქალები
ვინ სად რას გათხოვდებაო.

რაც შეეხება ზურგში შექმნილ ომის ამსახველ პოეზიას, იგი შინაარსის მიხედვით ორ ჯგუფად შეიძლება გავყოთ. პირველი, ეს არის ლექსებისა და სიმღერების ის ნაწილი, რომელიც ზოგადად ეხება ომს, ხოლო მეორე ნაწილს კი კონკრეტული ადრესატი ჰყავს ცალკეული მეომრისა თუ სარდლის სახით, ანდა მიძღვნილია ქერჩის, სტალინგრადის თუ სხვა რომელიმე ბრძოლის მონაწილეებისადმი.

ზემოთ ვნახეთ, რა გულთბილად ანუგეშებენ მტრის პირისპირ მდგომი შვილები ზურგში მყოფ დედებს; ვალში არც დედები დარჩენილან. მხედველობაში გვაქვს არა იმდენად ის სიმღერები, რომლებიც დედების მაგიერ პოეზიის მოყვარულებმა შექმნეს, არამედ ლექსების სწორედ ის ნაწილი, დედების ხელმოწერით რომ ეგზავნებოდათ ფრონტზე მყოფ შვილებს:

იცოდე, დედაშვილობას,
ნაკლებ არ დარჩე სხვაზედა.
მამაც კარგ გყვანდა, პაპაცა
მტერთან ხმლის ხმარებაზედა.

საბრძოლო მოწოდებებთან ერთად არაიშვიათად გაიელვებს დედობრივი გრძნობა:

ნეტა სადა ხართ, შვილებო,
რა კუთხეს, რომელ მხარესა...
უთქვენობითა შავსწუხდი
ცრემლებს ჩამოვჰყრი ცხარესა,
სულ დღე და ღამე მოგელით,
ღიასა ვტოვებ კარებსა.

ფართო ადგილი უკავია საფრონტო პოეზიაში მამათა მიერ დაწერილ ლექსებს. შევეხებით ერთ-ერთ ტიპიურსა და პოპულარულ ლექსს, რომელიც ომიანობის წლებში ჯერ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი იყო შეტანილი. თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში მცხოვრებმა 80 წლის მელექსემ ხვთისო ანთაურმა ფრონტზე გაგზავნილ შვილებს სახელგანთქმული ცხენი „ფერანგიც" თან გააყოლა. ფრონტზე წასვლის წინ ლევანსა და ივანეს კვლავ გაახსენა მამულიშვილის მოვალეობა:

გამოქცეულის მოსვლასა,
არ მოსვლაი ჯობ შინაო.

ღრმა იდეურობითა და ემოციურობით გამოირჩევა ცნობილი მელექსის, ა. ქუშხეველის ლექსი მიწერილი მებრძოლ ნიკო გორთამაშვილისათვის:

მხნედ გახლავს დედა მოხუცი,
სულ ციბრუტივით ტრიალებს,
დღედაღამ თქვენთვის ლოცულობს,
თქვენთვის თვალს იცრემლიანებს,
ნუ შიშობთ, ზურგი მაგრაა,
დასცხეთ მაგ ლალატიანებს.

მებრძოლთა პოეზიაში ვერ შეხვდებით ისეთ ლექსს, რომელშიც ავტორს გადარჩენის იმედი დაჰკარგვოდეს. ეს მხოლოდ ტყვეთა ლექსებში გვხვდება და არც თუ უსაფუძვლოდ. ისინი ხედავენ, თუ რა განუკითხავად ავლებენ მუსრს ფაშისტები საბჭოთა ტყვეებს. აი, ტაეპები კახელი ტყვე ჯარისკაცის ლექსიდან:

ამ ლექსის დამლექსებელი
პლენი ვარ დაკარგულია...
მე საფრანგეთში მოვკვდები,
სახლში მოგივათ სულია.

მოგონებები კუნძულ ტექსილის ტყვეობაზე კოშმარულ სიზმრებად ქცევია ლექსის ავტორს:

ვაი, შენ კუნძულ ტექსილო,
ქართველებისა ბინაო,
რად მეჩვენები ძილშია,
წარმომიდგები წინაო.

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ სამამულო ომის ამსახველი ლექსები და სიმღერები იმთავითვე ურყევი ოპტიმიზმით ხასიათდებიან, თვით ომის დაწყების დღეებში შექმნილ ნაწარმოებებშიც კი ნათლად არის ასახული ვერაგ მტერზე გამარჯვების რწმენა და ეს რწმენა ფრონტელთა პოეზიას მთელი ომის განმავლობაში არ მოცილებია.

ომის დასასრულისთვის ლექსებში გაჩნდა სიამაყის გრძნობის გამომხატველი, ხალისიანი, მაჟორული ტონი, ძველი საგმირო პოეზიისათვის დამახასიათებელი საშაირო-საჩონგურო სტრუქტურა და ვერსიფიკაცია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გატყდა მტერი მკვეხარა,
აწ იხაროს ველარა!
აქ ზეიმი ეწადა,
სიკვდილს გადაეყარა.

ბერლინს მიახლოებული მეომარი მტრის დამარცხების შემდგომ დანგრეული ქვეყნის აღდგენასა და მშვიდობიან, შემოქმედებით შრომაზეც ფიქრობს:

ომ დამთავრდება მალედქე,
მალე ჩადგება ქარია.
ბერლინში აღიმართება
წითელი დროშის ტარია.
სამოთხეს დაემსგავსება
ქვეყანა ნაომარია.

ომში გამარჯვება ქვეყანას დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა. ფრონტისა თუ ზურგის მელექსეთა შემოქმედებაში წინ წამოიწია შინმოუსვლელთა თემატიკამ.

რად სტირით შვილის დედებო,
ტანთ რად გაცვიათ შავია,
რად არის გასაკვირველი
შვილ სამშობლოსთვის მკვდარია.

მიუხედავად ამისა, მებრძოლის დაღუპვა მაინც მძიმე ტკივილსა და მწუხარებას იწვევს. ამიტომაც შექმნეს თვითონ მეომრებმა თავის დაღუპულ თანამებრძოლებზე მგრძნობიარე მოსაგონარი ლექსები:

ომში წასული ბიჭები
ფრონტზე ვინც დარჩა მკვდარია.
ვის სახლი დარჩა ოხრადა,
გამოეკეტა კარია.
ვის დედა დარჩა მტირალი,
ტანზე ჩაიცვა შავია.

ცხადია, ომის დამთავრებაც უნდა ასახულიყო ხალხურ პოეზიაში და იგი აისახა კიდეც. მრავალ ასეთ ლექსთაგან აქ ერთი ლექსის ბოლო სტროფს მოვიტანთ:

სახელოვანი დავბრუნდი,
სხვას არ ვნატრობდი არაფერს.
ჩემი მხედრული სალამი
რაჭის მთებსა და ქარაფებს.

ხალხურ პოეზიას სამამულო ომის არც ერთი ეტაპი არ დარჩენია ყურადღების გარეშე. შესანიშნავი ლექსები, ხოლო რიგ შემთხვევაში კი ლექსების მთელი ციკლი მოგვეპოვება, მოსკოვის, სმოლენსკის, ლენინგრადის, სტალინგრადის და სხვა გმირულ ბრძოლებზე. ქართული პოეზია მდიდარია ყირიმის, კერძოდ კი ქერჩისათვის წარმოებული ბრძოლების ამსახველი ლექსებითა და სიმღერებით. ხალხური ნაწარმოებები შეიქმნა ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებზე, სარდლებზე, საბჭოთა კავშირის გმირებზე, თავდადებულ მებრძოლებზე.

ჟანრების მხრივ ომის ამსახველ პოეზიაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. „დიდი სამამულო ომის ფოლკლორში — წერს პროფ. ელ. ვირსალაძე — წამყვან ჟანრად საქართველოში გვესახება შაირები და მოკლე ლირო-ეპიკური სიმღერები“. აღნიშნავს რა ამას, მკვლევარი იქვე დასძენს: „მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ აშკარა ტენდენციას ფართო მასშტაბის ეპიკური პოემებისაკენ“.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია სატირულ-იუმორისტული შაირები, რომლებშიაც გამათრახებულია ჰიტლერი და მისი დამქაშები. ეს კილო განსაკუთრებით გადაჰკრავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მტრის გაქცევას ეხება. ლექსებში: „პირსისხლიანი“, „ბერლინს დავხედოთ ზედაო“, „ჰიტლერმა თქვა“... ხალხი დასცინის მტრის ვერაგულ ზრახვებს, უსუსურობას.

ამრიგად, დიდი სამამულო ომი საკმაოდ ფართოდ და დამაჯერებლად აისახა ქართულ ხალხურ პოეზიაში. ამ პოეზიის დიდი შემეცნებითი როლი იმითაც განისაზღვრება, რომ იგი მძლავრი გაფრთხილებაა ომის გამჩაღებლებისათვის. სკკ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად უკვე ორმოცი წელია, რაც მსოფლიო ინარჩუნებს სანუკვარ მშვიდობას. „დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა გამარჯვება მოიპოვა ქვეყნად მშვიდობისა და სიცოცხლისათვის. ფაშისტური დამონების საფრთხისაგან თავის დახსნას, თავისუფლებას კაცობრიობა უდიდეს წილად უნდა უმადლოდეს მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, მტერზე მის ისტორიულ გამარჯვებას“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიზო ნიშნიანიძე

# გმირი ქალაქების ქართველი გმირები

ხალხთა, ლენინურმა ძმობამ კიდევ ერთი მძიმე გამოცდა ჩააბარა. ბრესტში, მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინგრადში, სმოლენსკში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, კავკასიაში, ხანკოს ნახევარკუნძულზე, მცირე მიწაზე, კურსკის რკალზე, დნეპრზე, დიდ სამამულო ომში ახალი ძალით იელვა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ.

მთიელ ბიჭს, მოიერიშე მფრინავს, 19 წლის ზაქარია ხიტალიშვილს, სამამულო ომის არც ერთი დღე არ გაუცდენია. იგი 1941 წლის 22 ივნისიდან მიუჯდა გამანადგურებლის შტურვალს. იბრძოდა მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის დასაცავად. ლენინგრადის პირქუშ ცაზე გაიელვეს დ. ჯაბიძის, მაჩაბლის სახაერო ხომალდებმა. „სიკვდილის გზად აქცია მიხეილ დიასამიძემ გერმანელთა ბატალიონების გზა, ჩარაღდნულებივით მორთო იგი დამწვარი ტანკებით“ — წერდა გაზ. „იზვესტია“ 1943 წლის საახალწლო ნომერში.

ამ ბრძოლებში იშვა ა. მაშაშვილის ლექსი „დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი“:

ჰგავს მწვავე ჰრილობას, მტარვალთა
ნაბიჯი,
ნევიდან ვოლგამდე გზა სისხლით ნალაქი,
დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი,
ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი

ქალაქს, სადაც დაირწა დიდი ოქტომბრის აკვანი, მკერდით იცავდნენ ქართველი გენერლები: ვ. ხუბულური, მ. ჯინჭარაძე, ვ. მჟავანაძე და საქართველოს სხვა ღირსეული შვილები.

სსრ კავშირის გმირი, მესამე რანგის კაპიტანი, მოუხელთებელი იაროშირ იოსელიანი სვანი თანამემამულეების შრომითი დანაზოგით აგებული წყალქვეშა ნავით („საბჭოთა სვანეთი“) მტრის რისხვად იქცა ოდესის, სევასტოპოლის, ყირიმის ნაპირებზე.

სევასტოპოლის 250-დღიან შერკინებაში თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის გმირმა, საზღვაო ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა არკადი გეგეშიძემ და უმცროსმა მეთაურმა ხნაიპერმა ნოე ადამიამ, რომლის საბრძოლო ანგარიშზეა 250 ჰიტლერელი.

კურსკის რკალზე, თავდაცვითს ბრძოლებში მე-13 არმიის გენერალ ა. ბ. ბარინოვის 81-ე და პოლკოვნიკ ვ. ნ. ჯანჯღავას მე-15 დივიზიებს დაეჯახა მტრის ფეხოსანთა ოთხი დივიზია და 250 ტანკი, რომლებსაც 100-მდე ფაშისტური თვითმფრინავი ეხმარებოდა, უთანასწორო ბრძოლაში ჩვენი ხალხის ლენინურმა სიმტკიცემ და ძმობამ კვლავ გაიმარჯვა.

სტალინგრადის ეპოპეაში ოქროს ასოებით ჩაიწერა გენერალ-მაიორ კ. ჯახუას 66-ე გვარდიული დივიზია, რომელიც მონაწილეობდა პოლტავისა და კრემენჩუგის განთავისუფლებაში. აქ გვარდიულის სახელი მოიპოვა 76-ე სომხურმა სამთო მსროლელმა დივიზიამ ქართველი გენერლის ნიკოლოზ თავართქილაძის მეთაურობით. ლეგენდად ქცეული „პავლოვის სახლის“ დამცველებმა ნ. მოსიაშვილმა, ნ. სტეფანიშვილმა და მ. ცუგბამ რუს, უკრაინელ, უზბეკ, ტაჯიკ, ყაზახ და თათარ თანამებრძოლებთან ერთად სამუდამოდ აღბეჭდეს სახელები სსრ კავშირის ხალხთა საბრძოლო ძმობის მატიანეში. დ. თავაძის მოიერიშეთა ესკადრილია მტერს მუსრს ავლებდა სტალინგრადთან, დონის როსტოვზე, ხარკოვში, ნოვოროსიისკსა და ტამანში: უმცროსმა ლეიტენანტმა ი. ჯინჭარაძემ, რომელიც გააფთრებით იბრძოდა დონბასში, ბელგოროდში და დიდი სამამულო ომის სხვა უმძიმეს უბნებზე, გმირულად შესწირა თავი სამშობლოს.

ქ. რჟევში ერთ-ერთი პირველი შეიჭრა პოლკოვნიკ მ. ზ. კაზიშვილის 369-ე დივიზია, რომელმაც ჯერ კიდევ მოსკოვის ბრძოლებში ისახელა თავი. შემდგომში ქართველი მეთაური სათავეში ჩაუყენეს მსროლელთა 133-ე დივიზიას, რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქის მინსკის განთავისუფლებაში და მოიპოვა „სმოლენსკის“ სახელობის დივიზიის საპატიო სახელი.

როცა დედაქალაქის თავზე საავდრო ღრუბლები შეიყარნენ და მტერი მოსკოვის კარიბჭეს მოადგა, ჩვენი სამშობლოს გულისაკენ დაიძრნენ მილიონები. მოსკოვს იცავდა მთელი საბჭოეთი. „გრიგალივით მიაპობდა რუსეთის ტრამალებს თბილისური ჯავშნიანი მატარებელი ჩვენი თანამემამულის კაპიტან დ. ჯახიევის მეთაურობით“ — ვკითხულობთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1942 წლის 23 თებერვლის ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდარულ პამფილოველებთან ერთად დედაქალაქისაკენ მტერს გზა გადაუჭრეს ძმებმა თ. და ს. კაკულიებმა, ქვეგანაყოფის მამაცმა მეთაურმა, ამჟამად არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა ირაკლი ჯორჯაძემ და სხვებმა.

ბელორუსიისათვის ბრძოლებში სიკვდილით მოიპოვა უკვდავება უმცროსმა სერჟანტმა შოთა გამცემლიძემ, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: მტრის ტანკის მუხლუხებში ხელყუმბარებით შევარდა და ააფეთქა იგი.

ბელორუსიაში იბრძოდნენ სსრ კავშირის სხვა ქართველი გმირებიც: ვ. კვაჭანტირაძე, ს. ჭილლაძე, შ. ჩილაჩავა...

ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს იცავდნენ საბჭოთა კავშირის გმირები: მეორე გვარდიული არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი პ. ჩანჩიბაძე, 406-ე მძიმე ბომბდამშენთა საავიაციო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბ. ზუმბულიძე, მსროლელთა ბატალიონის კაპიტანი ა. ბიბილიშვილი, საავიაციო ესკადრილიის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ა. გურგენიძე, კომკავშირელი მფრინავი დორეული...

უკრაინისა და მოლდავეთის მიწაზე საქართველოს 42 სახელოვანმა შვილმა დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — სსრ კავშირის გმირის წოდება.

ქალაქ ჩერკასში (უკრაინის ერთ-ერთ საოლქო ცენტრში) პიონერთა სასახლეს ამშვენებს მემორიალური დაფა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1943 წლის დეკემბერში, ჩერკასის განთავისუფლების დღეებში, ამ სახლისათვის ბრძოლაში თავი დადო ქართველმა ჭაბუკმა, სსრ კავშირის გმირმა ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩიქოვანმა.

კიევის ნისლიან ცაზე სისხლით დაიწერა ქართველი შ. ქირიას ესკადრილიის სახელი. ლენინის 2, წითელი დროშის 5 ორდენი, საბრძოლო მედლების რიგი, საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი წოდება. ამათ მიღმა კი სიკვდილ-სიცოცხლის უსასრულო ჭიდილია, 29 პირადად მის მიერ ჩამოგდებული ფაშისტი სვავი. ამავე ბრძოლებში დაირხა სიმღერა სსრ კავშირის გმირ მფრინავ ჭიჭიკო ბენდელიანზეც; დნეპრმა შვა ათასობით სსრ კავშირის გმირი, რომელთაგან 17 საქართველოდანაა. ქართველმა მესანგრე გ. ბერდეშვილმა სახელდახელო ბორნით 7 დღე-ღამეში მშვიდობით გადაიყვანა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე 1500 მეომარი თავისი საჭურველით, შემდეგ კი იგი კიევის გათავისუფლებისათვის იბრძოდა. 1944 წლის 14 იანვარს დაეცა ბრძოლაში, როგორც გმირი. ცნობა ამის შესახებ ნაწილში მოვიდა მისი სიკვდილიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

მაიკოპის რაიონის განთავისუფლებაში უჭკნობი დიდებით შეიმოსნენ გენერალ კ. ლესელიძის მეომრები. „კომანდარ-18“-მა (როგორც ქართველ გენერალს უწოდებდნენ), თავისი მე-18 სადესანტო არმიით, რომლის პოლიტგანყოფილებას განაგებდა ლ. ი. ბრეჟნევი, სახელოვანი ფურცლები ჩაწერა ნოვოროსიისკის, ტამანის ნახევარკუნძულის, მცირე მიწის, ბრუსილოვის, რადომიშლის, კოროსტიშევის, ჟიტომირის, ბერდიჩევისათვის ბრძოლის მატიანეში. ქართველ გენერალთან ერთად სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე გმირულად იცავდა სამშობლოს მისი სამი ძმა.

პრესა ყოველთვის საქმის კურსში იყო სად და როგორ იბრძოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმ. გაზეთები სისტემატურად, ოპერატიულად აშუქებდნენ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტების, საბჭოთა ქალაქების დაცვის გმირულ ეპოპეას. „ზარია ვოსტოკამ“ წერილების მთელი სერია და გაშლილი გვერდები მიუძღვნა ჩვენი სამშობლოს გულის მოსკოვისა და სხვა მშობლიური ქალაქების, მათ შორის კავკასიის დაცვას.

„მოსკოვს თავს დასტრიალებს საფრთხე, დავიცვათ მშობლიური მოსკოვი“ მოუწოდებდა გაზეთი „კომუნისტი“ 1941 წლის 22 ოქტომბერს.

ამ ომში ყოფნა-არყოფნის სასწორზე იდო სსრ კავშირის ხალხთა წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც. ფაშიზმი პირწმინდად აპირებდა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან ჩვენი ქვეყნის წაშლას.

1941 წლის 26 ოქტომბერს „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა საკდესის ფანჯარა № 210, რომელსაც ახლავს ილუსტრაცია — ტყვიით დაგლეჯილი პუშკინის პორტრეტი. აქვეა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა, როგორ დაცხრილეს ტყვიით დიდი რუსი პოეტის სახე გერმანელმა ვანდალებმა.

საბჭოთა ჯარისკაცი — განმათავისუფლებელი იცავდა არა მარტო ჩვენს მიწას, არამედ ჩვენი ხალხის ღირსებას, მსოფლიო კულტურას, ცივილიზაციას. ამ მხრივ ნიშანდობლივია გაზეთ „იზვესტიის“ 1942 წლის 7 ოქტომბრის ნარკვევი „ტიცფანი,“ რომლის ავტორია ვ. კავერინი. ჩრდილოეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე სამხედრო კორესპონდენტმა გაიცნო ჩვენი თანამემამულე კაპიტანი გურამიშვილი და მასთან საუბრის დროს გამოთქვა აზრი, რომ, ალბათ, ხალხს, რომელიც ყოველ წუთს სიკვდილს უყურებს თვალებში, არ შეუძლია, არ რჩება დრო, იფიქროს მომავალზე.

გურამიშვილს უთქვამს, რომ იმისი რაზმი იცავდა ერთ ძველ პატარა ქალაქ პ-ს, რომლის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე გადიოდა ფრონტის ხაზი. აქ მასთან მისულა მოხუცი — აქაური მუზეუმის გამგე პერჩიხინი, მუზეუმში ტიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანია და რომ არ გადავარჩინოთ, ისტორია არ გვაპატიებს. გურამიშვილმა ეს კაცი გაიყოლა და, ესეც ბედისწერაა — გურამიშვილი ტიციანით დაბრუნდა, პერჩიხინს კი გერმანელის ტყვია დასწევია და წაქცეულა. მომკვდარა, როგორც მებრძოლი პატრიოტი, მსოფლიო ცივილიზაციის გუშაგი...

ჯარისკაცები, სანამ ცხენები ჰყავდათ, უნაგირზე აკრავდნენ ამ განძს და ისე მიჰქონდათ. ცეცხლმოკიდებულ ცასა და მიწას შორის გამომწყვდეულებს ცხენები რომ წაქცევიათ, მერე ამ გაუთავებელი სიკვდილის გზაზე ხელით უტარებიათ სურათი.

„გურამიშვილმა და მისმა რაზმმა სურათი მოსკოვში ჩამოიტანეს, როცა მას მუზეუმს აბარებდნენ, თვალში ცრემლმორეულმა განძის მცველმა გურამიშვილს უთხრა: კაპიტანო, თქვენ საშვილთაშვილო საქმე გააკეთეთ". (გაზეთი „კომუნისტი" 1949 წ. 17. X).

ჩვენი ქვეყნის გაზეთებმა დედამიწის ერთ მეექვსედს მოჰფინეს დიდი რუსი მწერლის ალექსეი ტოლსტოის „მოსკოვს მტერი ემუქრება", რომელიც 1941 წლის 23 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტშიც" დაიბეჭდა.

ას დღეზე მეტია მიმდინარეობს არნახული გიგანტური ბრძოლა წერდა — ა. ტოლსტოი, — შავი აჩრდილი ჩამოაწვა ჩვენს ქვეყანას და ახლა მივხვდით მთავარს, რა არის სიცოცხლე, რად გინდა იგი, თუ შენი სამშობლო აღარ არსებობს?... გერმანულად ვილაპარაკოთ, აკანკალებულებმა მუხლი მოვუყაროთ მტერსა და ქედმოხრილები დავდგეთ? გულდამშვიდებით ვუყუროთ, როგორ დასწვავენ პუშკინს კოცონში, ან გალეშილი გერმანელი ოფიცერი შარდს დააქცევს გრანიტის კვარცხლბეკს, საიდანაც მოუგლეჯია და დაუმსხვრევია ბრინჯაოს პეტრე?

არც ერთი ნაბიჯი უკან, უკან მოსკოვია!

ამ საყოველთაო განსაცდელის ჟამს გაზ. „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ვ. ყარა-მურზა მოსკოვიდან შეშფოთებულ ქართველ მკითხველს რწმენით ალავსებდა: „მოსკოველები ალსდგნენ მოსკოვის დასაცავად, მოსკოველები მოქმედებენ, მოსკოველები მტერს უმზადებენ სამარეს დედაქალაქის მისადგომებთან. მინდვრებში, ბოსტნებში, სადაც ამჟამად სახელდახელოდ იღებენ უკანასკნელ კომბოსტოს, თხრიან უკანასკნელ კარტოფილს, იქ სადაც წინათ მშვიდობიანი მოსავლის კვალი გადიოდა, ითხრება სანგრები" (გაზეთი „კომუნისტი" 1941 წ. 29. X).

მშობლიური მოსკოვის დასაცავად ალსდგა მთელი ჩვენი ქვეყანა, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი. აქ იბრძოდა ალექსი ჯახიევის ჯავშნიანი მატარებელი, რომლის შესახებ მკითხველს დაწვრილებით მოუთხრობს 1941 წლის 21 დეკემბერს გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი". ამ ჯავშნოსანზე იყვნენ უმცროსი მეთაური კ. გაბუნია, ქვემეხის მემიზნე — ტ. კუკულიშვილი, ლეიტენანტი — ბალდოევი, ექიმის თანაშემწე — გ. დოლიძე და სხვა ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი, რომლებმაც პატრიოტული წერილი მოსწერეს საქართველოს მშრომელებს, თქვენი გმირული შრომა ზურგს გვიმაგრებს მოსკოვისათვის ბრძოლებშიო. ჩვენმა ჯავშნოსანმა სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოიარა დედაქალაქის მიდამოები და მისი საბრძოლო კილომეტრების შესაბამისად მსოფლიოს გასწვდა თბილისური ჯავშნოსანი მატარებლის სახელი და საბრძოლო დიდებაც.

მოსკოვისათვის ბრძოლებში თავისი სისხლი გაიღო დივიზიონმა, რომლის კომისარი იყო თეოფილე გვენეტაძე. თავდაცვის მარჯვენა ფრთაზე გმირულად, თავგანწირვით იბრძოდნენ პოლპოლკოვნიკ პ. ი. ჩხობაძის მეომრები. გმირობის უჭკნობი შარავანდედით შეიმოსა მეტყვიამფრქვეველთა ოცეულის მეთაური კაკულია. 1941 წლის 6 ნოემბერს, როცა წითელ მოედანზე სიტყვას ამბობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გამუდმებით ქუხდა თენგიზ უზნაძის ნაღმსატყორცნი. 1948 წლის 12 იანვრის გაზეთი „კომუნისტი" სამხედრო სიზუსტით გვაწვდის ასეთ დეტალსაც კი: ამ დაუვიწყარ ჟამს თ. უზნაძემ 15 წუთში 360 ნაღმი გაისროლა. 14 ნოემბერს დედაქალაქის ციდან ჩამოაგდეს 31 სვასტიკიანი თვითმფრინავი, აქედან ორი კიკნაძის საზენიტო ქვეგანაყოფის ანგარიშზეა — იტყობინება ბატალიონის კომისარი ი. მითაიშვილი.

მარტო გაზ. „კომუნისტის პუბლიკაციები: ნ. ილოშვილის „ქართველი ხალხის შვილები მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლებში", ვ. ბუზალაძის წერილი (დედაქალაქის დამცველთა შორის ვ. მეკრავიშვილის სიმამაცეზე), ნ. მშველიძისა გ. მშვენიერაძის შესახებ, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა — „ჩაიშალა გერმანელთა გეგმა მოსკოვის გარემოცვისა და აღებისა", და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სხვა მასალა, ადასტურებს იმ დიდ ინტერესს, გვიჩვენებს იმ სიმტკიცესა და დარაზმულობას, რასაც საქართველოს მშრომელები იჩენდნენ მოსკოვის დაცვის დღეებში.

არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს ლენინგრადის ბლოკადას, ისტორიაში არნახულ 900 დღესა და 900 ღამეს, რომელთაც, ჭეშმარიტად შეძრეს სამყარო. 1943 წლის 12-დან 18 იანვრამდე ლენინგრადისა და ვოლხოვსკის ფრონტების ჯარების გრიგალისებურ შეტევას ვერ გაუმკლავდნენ მესამე რეიხის „ჩრდილოეთის" ჯგუფის რაზმები, რომლებმაც 220-280 კილომეტრზე დაიხიეს უკან და ალსრულდა — გარღვეულ იქნა ლენინგრადის ბლოკადა! შვებით ამოისუნთქა ჩვენმა ქვეყანამ. საქართველოს პრესამ ღირსეულად შეამკო რესპუბლიკის წარგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილთა სახელეში, ვინც თავი გამოიჩინა სამშობლოს შვილთა გამარჯვებაში, ვინც მკერდით გადაეღობა მტერს ლენინგრადის მისადგომებთან და საკუთარი მკერდითვე გაარღვია ალყა, რაზედაც მეტყველებენ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ა. წიკლაურის „სამშობლოს პატრიოტი შვილები“, ვ. ყარა-მურზას „ლენინის ქალაქის მამაცი შვილები“, შ. აბაშიძის „ისინი ლენინგრადს იცავდნენ“ ნ. მურადაშვილის: „ისინი ლენინგრადისთვის იბრძოდნენ“, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოცემულ კრებულში (თბილისი 1942 წ.) მოთავსებულია დ. რუდნევის „ლენინგრადის გმირული დაცვის ფურცლები“, რომელსაც ასეთი ეპიგრაფი აქვს: „ვუძღვნი 1942 წლის 28. IV ლენინგრადის ფრონტზე გმირულად დაცემული მებრძოლი მეგობრის ანა ახკინაძის ხსოვნას“.

ლენინგრადის ფრონტის შტაბის ცნობის მიხედვით გ. ელერდაშვილს ფრონტის ამ უბანზე სამხარ მოქმედებათა, ასე ვთქვათ, საბრძოლო ბალანსი შეუდგენია. იგი 1943 წლის 21 მაისის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ბეჭდავს „ანგარიშს“ ოქტომბრის რევოლუციის სატახტო ქალაქის ქართველ დამცველთა საგმირო საქმეებზე. მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურმა ემელიანე ლოლუამ მოკლა 18 ფაშისტი და მედალი „სიმამაცისათვის“ დაიმსახურა.

გიორგი სადრაძე, — ზემდეგი. ტყვიების წვიმაში, ცეცხლის ხაზზე მიიტანა საჭურველი და პური.

გიორგი რუხაძე — ლეიტენანტი, ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაური. მონაწილეობდა ბლოკადის გარღვევაში. მოსპო მტრის ერთი დაზგისა და ორი ხელის ტყვიამფრქვევი. შეძლო წინ წაწევა 800 მეტრით („წითელი ვარსკვლავის ორდენი“).

შოთა მესხი — ასეულის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. წითელი არმიის ნაწილი ფიჭვნარის რაიონში მომწყვდეული იყო ალყაში. სამ დღე-ღამეს ინარჩუნებდა ზღუდეს. მოიგერია რამდენიმე შეტევა („წითელი ვარსკვლავის ორდენი“).

ალექსი კურტანიძე — ნაღმმტყორცნელთა ასეულის მეთაური. 8-ჯერ დაიჭრა, აქედან ოთხჯერ მძიმედ. ბრძოლის ველი არ დატოვა, საკვდილს გადაარჩინა ამხანაგი („წითელი ვარსკვლავის ორდენი“).

ზაქრო ბაზაძე — სერჟანტი. სიცოცხლის რისკით შეიჭრა სამხარი მასალის ცეცხლმოკიდებულ საწყობში, რომელშიც მტრის ნაღმი ჩავარდა. საწყობი გადარჩა.

დურსუნ ინაშვილი — სნაიპერი. მოკლა 87 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამირან ჩაჩავა — წითელარმიელი, მის ანგარიშზეა 86 მოკლული ფაშისტი.

ლენინგრადში სასოებით წარმოთქვამენ არტილერისტ კოტე ჭუბაბრიასა და რიგითი მებრძოლის შალვა არსენიძის სახელს. არასდროს არ წაიშლება ის სიტყვები, რაც შალვა არსენიძემ ხელჩართულ ბრძოლაში გასვლის წინ ამხანაგებს გასძახა: „ლენინგრადის მისადგომებთან ყველა ფაშისტს ეყოფა საფლავის გასათხრელი მიწა“ (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ 1941 წ. 7. XI).

როსტოვისათვის ხელჩართულ ბრძოლებში კი თავისი სახელი უკვდავყო „პოლიტხელმა ქალმა ალექსანდრა (შურა) ნაზაძემ, რომელიც მკერდით გადაეფარა მტრის საცეცხლე წერტს და ბრძოლის დამთავრების შემდეგ თანამებრძოლებმა გმირი ქალიშვილი საბრძოლო დროშაზე დაასვენეს, მხედრული პატივით დაასაფლავეს“ ვკითხულობთ ტ. ჩინჩილაკაშვილის წიგნის — „დიდებით მოსილნი“ წინასიტყვაობაში. ამ გმირ ქალზე 1969 წელს ჟურნალ „ოგონიოკში (№8) გამოქვეყნდა მ. ანდრიასოვის ნარკვევი — „განთიადივით ლამაზი“.

ალექსანდრე მატროსოვის გმირობა დიდ სამამულო ომში 191 მებრძოლმა გაიმეორა და საკუთარ სახელთან ერთად უკვდავყო მისი სამშობლოს სახელი, მათ შორის არიან ქართველი წითელარმიელები; ადამ ქავთარაძე, ვლადიმერ ფაჩულია, სერჟანტი აპავენ როსტომიანი, უმცროსი ლეიტენანტი ვასილ პეტრიაშვილი და სხვანი.

„ვფიქრობ, რომ მატროსოველთა ზემოთაღნიშნული ციფრი არ უნდა იყოს საბოლოო... ასე მაგალითად, მოძმე უკრაინიდან გამოგზავნილ საჟურნალო სტატიაში 124-ე მსროლელი დივიზიის ყოფილი პოლიტმუშაკი გ. სკორობოგატოვი აღწერს თბილისელი ბეჟან ბესიაშვილის გმირობას, რომელმაც 1941 წლის 24 ივნისს გაცხარებულ ბრძოლაში საკუთარი მკერდით გადაეფარა მტრის საცეცხლე წერტს“ — ფიქსირებულია ტ. ჩინჩილაკაშვილის წიგნში „დიდებით მოსილნი“. ქართველების სახელები სტალინგრადის გმირულ ეპოპეაშიც ხშირად გაისმოდა. ჩვენი რესპუბლიკის ბეჭდვითმა სიტყვამ ქვეყანას გააცნო საქართველოს გმირი შვილები: „ქართველი სტალინგრადელები“ (გაზეთი „კომუნისტი“ 1943 წ. 2. II.) „სტალინგრადის დაცვის მონაწილე გვარდიელთა ჯგუფი“ (გაზეთი „კომუნისტი“ 1943 წ. 28. IV) და სხვა.

„სტალინგრადის გმირობა საუკუნეების მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნძილზე იცოცხლებს“ წერდა 1948 წლის 6 თებერვლის გაზეთი „კომუნისტი“.

საქართველოს მშრომელებმა სტალინგრადის ისტორიული იერიშის დაწყებამდე წინ თანამოძმეებს წერილი გაუგზავნეს. პასუხმაც არ დააყოვნა, მიმოწერა გამოქვეყნდა პრესაში. „წერილი საქართველოს მშრომელებისადმი“ იუწყებოდა:

„...სტალინგრადის დამცველებმა თქვენი ბარათი მიიღეს იმ დღეებში, როცა საბჭოთა მეომრების ფოლადის რკალი სულ უფრო და და უფრო ვიწროვდებოდა ჩვენი ვოლგის ციხე-სიმაგრის რაიონში, ჩამსხდარ წყეულ მხეცთა გარშემო“. სტალინგრადის მებრძოლები აღაფრთოვანა იმ ერთსულოვნებამ, რასაც ზურგის მშრომელები ამჟღავნებდნენ მტერზე გამარჯვებისათვის.

რესპუბლიკის გაზეთებში ყოველდღე იგრძნობოდა სტალინგრადის ცხელი სუნთქვა, „ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული“ ალავსებდა რწმენით მკითხველს გაზეთ „კომუნისტის“ 1942 წლის 24 ნოემბრის ინფორმაცია — სტალინგრადის რაიონში მტრის თავდაცვის ხაზების გარღვევისა და ქალაქ კალაჩის განთავისუფლების შესახებ. სამი დღის შემდეგ კი იგივე გაზეთი აქვეყნებდა პასუხს:

„უდიდესი აღფრთოვანებით შევიტყვეთ გენერალური შეტევის დაწყების ამბავი. თქვენს უკვდავ სახეს საუკუნეები აღბეჭდავენ. ქართველი ხალხი ყველაფერს გააკეთებს გამარჯვებისათვის“ წერდნენ სტალინგრადის გმირ დამცველებს ქართველი მეცნიერები, საბჭოთა კავშირის გმირები, მწერლები, სტახანოველები.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1941 წლის 7 ნოემბრის წერილი „სამშობლოს მამაცი შვილები“ გვინახავს ცნობას, რომ უკრაინელმა პოეტმა პერვომაისკიმ მხურვალე სტრიქონები მიუძღვნა მოსკოვის სახელოვანი დამცველის — კაპიტან ა. ჯახიევის გმირულ ჯავშნოსანს. გორში დაბადებული და გაზრდილის, საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებულის ალექსი ჯახიევის „სახელი სხვა ასებთან და ათასებთან ერთად ოქროს ასოებით ჩაიწერება საბჭოთა ქალაქების გმირული დაცვის ისტორიაში“. ასევე გვასახელა ტანკისტმა პირტახიამ, ვისზედაც პირველად „პრავდიდან“ შევიტყვეთ, როგორ იბრძოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სამშობლოს ერთგული შვილი. მისი დაზიანებული ტანკის კარის ხუფს ცეცხლსა და ტყვიას უშენდა მტერი. ტანკი კი იდგა, მაგრამ წინააღმდეგობას არ წყვეტდა, ცეცხლის თავსხმას ცეცხლითა და ტყვიითვე პასუხობდა, რა აღარ ახსოვს სამამულო ომის ისტორიას!.. უეცრად, დამტვრეულ რუსულ ენაზე ხმის გამაძლიერებელში გაისმა გერმანელთა მოწოდება ტანკის ეკიპაჟისადმი: „გაძლევთ 8000 მანეთს, ან დაგვნებდით, ან შეწყვიტეთ ცეცხლი!“ ქართველი ტანკისტის პასუხი მოკლე იყო: „ჩვენ არ ვვაჭრობთ, ჩვენ ვომობთ“. ამ ლომგული ხალხის შვილს არ სცოდნია შიში მაშინაც კი, როცა სიკვდილს თვალს უსწორებდაო, დაასკვნის წერილის ავტორი გ. გლებოვი.

1943 წლის აპრილში საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს ეწვია სტალინგრადის ბრძოლის მონაწილე გვარდიის გენერალ-მაიორ ნ. თავართქილაძის № შენაერთის გვარდიელთა დელეგაცია, ფრონტის გმირს შეხვდნენ შრომის ფრონტის გმირები. შემდეგ კი წერილით მიმართეს ამიერკავკასიის ხალხს: „პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი შენაერთის საბრძოლო დამსახურებას და დააჯილდოვეს იგი ლენინის ორდენით. აშშ-ს პრეზიდენტმა ჩვენი საყვარელი მეთაური, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, სუვოროვის ორდენის კავალერი, ნიკოლოზ ტარიელის ძე თავართქილაძე დააჯილდოვა ორდენით „ჯვარი საბრძოლო დამსახურებისათვის...“

გენერალმა ნ. თავართქილაძემ მშრომელებთან, თანამემამულეებთან შეხვედრისას მისი დივიზიის ისტორიიდან არა ერთი საყურადღებო ეპიზოდი მოიგონა: ექვსმა კავკასიელმა, მზვერავმა, აზერბაიჯანელებმა ა. ბაბაევმა, ა. გამბიბეღოვმა, სომხებმა: ა. სარქისოვმა, ო. ოვანესიანმა, ქართველებმა: ვ. სამხარაძემ, და შ. კიკალეიშვილმა დონის მარჯვენა ნაპირზე მატროსოვის უკვდავი გმირობა გაიმეორეს — საკუთარი სხეულით გადაეფარნენ მტრის ტყვიამფრქვევებს და მშობლიურ 76-ე მსროლელ დივიზიას მისცეს მდინარის ფორსირების საშუალება.

ათავისუფლებდნენ საბჭოთა ბელორუსიასაც. 1944 წლის 8 ოქტომბერს „ზარია ვოსტოკაში“ ვკითხულობთ: „განთავისუფლებისათვის სხვებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს შვილები. ბევრმა მათგანმა უკვდავი შარავანდედით შემოსა ქართველი ხალხის სახელი“. გაზეთი გვაცნობს ახალ გმირებს წერილებში: „პარტიზანი იოსელიანი“, „მაიორი გოგორიშვილი“, „გმირობა“, „სამშობლოსათვის“. მსოფლიო რეკორდსმენს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, დიმიტრი მელიტონის ძე იოსელიანს ომმა მოსკოვში მოუსწრო, სადაც უაღრესად საპატიო საქმე მიანდეს, მოსკოვის გარნიზონის წითელარმიელთა და მეთაურთა ფიზიკური წვრთნა, მაგრამ შემდგომში გადაჭრით მოითხოვა ფრონტზე გაგზავნა. თავდაუზოგავად იბრძოდა ბელორუსიის დასავლეთ საზღვრებთან. დაიჭრა. ა. ფალავანდიშვილის წერილიდან ვიგებთ, რომ ჭრილობების შეხორცებისთანავე, ტყეში გავიდა პარტიზანად. „ბელორუსმა პარტიზანებმა სიხარულით მიიღეს იოსელიანი თავიანთ ოჯახში... როგორი საპასუხისმგებლო დავალ-

ებაც არ უნდა ჰქონოდა რაზმს — მტრის ეშელონი იყო ასაყირავებელი, თუ ხიდი ასაფეთქებელი, ან გერმანელთა გარნიზონი გასანადგურებელი, იოსელიანი ყოველთვის პირველი იყო. სწორედ ამიტომაც აირჩიეს რაზმელებმა პარტორგანიზაციის მდივნად, ამის დასტურია საპატიო ჯილდოც „დიდი სამამულო ომის პარტიზანის 1 ხარისხის ორდენი".

ბელორუსიისათვის ბრძოლებმა მოუტანა უფროს სერჟანტ მ. გაგნიძეს დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის".

ვარშავასთან დაეწია ტყვია მაიორ შოთა ჯოგორიშვილს. მეგობრებმა ბრძოლის ველიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს და დაკრძალეს ციხე-სიმაგრე ბრესტში, რომლის განთავისუფლებისათვისაც იგი ასე გმირულად იბრძოდა, ხოლო თბილისში გადმოსვენების შემდეგ მისი მებრძოლი მეგობრების მოთხოვნითა და ხელმძღვანელობით, სპეციალური ბრძანებით გოგორიშვილის ტანკი აღმართულია გმირის საფლავზე. ძველი კუკიის სასაფლაოს შესასვლელში.

საბჭოთა ადამიანებს აღელვებდათ განსაცდელში ჩავარდნილი ყველა ქალაქის ბედი. 1941 წლის 31 ოქტომბერს „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ყარა-მურზა მოსკოვიდან გვაცნობებდა, რომ „ხარკოვისათვის ბრძოლებში გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს".

1942 წლის 9 მაისს, როცა გამარჯვების დღეს ზუსტად სამი წელი გვაშორებდა, გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტები ბ. აბულაძე და გ. ყურაშვილი სევასტოპოლიდან იწერებოდნენ, რომ შესრულდა ქალაქის გმირული თავდაცვის 6 თვე. სევასტოპოლისათვის მებრძოლთა შორის საქართველოდან პირველ რიგში ასახელებენ ბატალიონის მეთაურ აკაკი ბერეკაშვილს. მისი მაგალითით აღფრთოვანებული წითელფლოტელები ფაშისტების ზურგში შეიჭრნენ; პირადად მეთაურმა ამ ხელჩართულ ბრძოლაში 7 მეავტომატე გამოასალმა წუთისოფელს. ა. ბერეკაშვილმა ლენინის ორდენით დაიმშვენა მკერდი. სამშობლოს მაღალი ჯილდოებით აღინიშნა კაპიტან არკადი გევეშიძის, ნიკოლოზ შენგელიას, შალვა კოპაძის, სულიკო ნიკოლაიშვილის, ნოე ადამიასა და მრავალი სხვა ჩვენი თანამემამულის თავდადება. ნოე ადამიამ მოსპო 50-ზე მეტი ჰიტლერელი, დავით ხარშილავამ — 32, ილიკო გოგიჩაიშვილმა — 25, ილარიონ ქვარაცხელიამ — 24, დავით ხაცერაშვილმა — 24.

პოლიტხელ მ. გახოკიძეზე გაზეთ „კომუნისტში" 1942 წლის 1 ივლისს ვკითხულობთ ინფორმაციას „სევასტოპოლის გმირი დამცველები". 1942 წლის 26 ივნისს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში", სწორედ ამ სათაურით გამოქვეყნდა კოლდაევის კორესპონდენცია: „სევასტოპოლი ყოველ დღე შობს გმირებს. ისინი ხომ მამაცის სახწავლებს ახდენენ. ერთ-ერთი მათგანია უფროსი პოლიტხელი მიხეილ ბესარიონის ძე გახოკიძე, რომელსაც 1942 წლის 20 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება".

სევასტოპოლს ჰპირისუფლობდნენ არა მარტო დიდები, არამედ ჩვენი ნორჩებიც. 1942 წლის 18 მაისის გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქართველოს პიონერებისა და მოსწავლეების სასკოლო კრებებზე მიღებული მიმართვა „გმირი სევასტოპოლის ბავშვებისადმი" საქართველოს პიონერებმა ათასობით საჭირო ნივთი შეაგროვეს ევაკუირებული ბავშვებისა და განთავისუფლებული რაიონების, ქალაქების თანატოლთა ხელის გასამართავად. მარტო თბილისში თემურელთა 500 რაზმი მოქმედებდა. ისინი ეხმარებოდნენ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ოჯახებს, ემსახურებოდნენ საშეფო ჰოსპიტლებს, აწყობდნენ კონცერტებს, დაჭრილებს უკითხავდნენ გაზეთებს, მიჰქონდათ მათთან საჩუქრები. პიონერული ტანკის „ტანიას" ასაგებად შეგროვდა ათეულ ათასობით მანეთი. მიმართვის დასასრულს ვკითხულობთ: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენს დასაცავად, ჩვენს დასაცავად, ყირიმში და კერძოდ სევასტოპოლში, სახელოვნად იბრძვიან ჩვენი მამები და ძმები".

1944 წლის 9 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ მწერალ ელიზბარ პოლუმორდვინოვის ნარკვევს „ქერჩიდან სევასტოპოლამდე" მთელი მესამე გვერდი უჭირავს. ავტორი მოქმედი არმიიდან აგვიწერს მზვერავთა ოცეულის მეთაურს ორდენოსან შოთა ჰიჭინაძის, მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაურს ლეიტენანტ ი. ჟიჟილაშვილის, მაიორ კაცაძის საბრძოლო პორტრეტებს. როცა ჩვენი თანამემამულე იოსებ გორგიშვილი საპუნგორაზე მუხლში დაიჭრა, მხოლოდ ერთი საყვედური წამოცდა: — „ვაჰმე, სევასტოპოლში ჩემი ფეხით ვერ შევალო".

1944 წლის 28 ივლისის გაზეთ „კომუნისტში" მთელ გვერდზეა დაბეჭდილ ვ. ჟურულის ნარკვევი „გვარდიის გენერალი პორფილე ჩანჩიბაძე".

ძველმა ბერძნებმა ამ ქალაქს თავიანთ ენაზე „დიდების ქალაქი" უწოდეს. ალუპკაში ვორონცოვის ყოფილი სასახლის ერთ-ერთ კედელს არაბულ ენაზე აწერია: „უძლეველი მხოლოდ ღმერთია". გერმანელებს მიუჯღაბნიათ: „...მხოლოდ ღმერთი და გერმანიის არმიაო". გვარდიის გენერალ პორფილე ჩანჩიბაძეს და მის მეომრებს მოუწიათ ამ მონაჩმახის სისხლით წაშლა.

ჩირაღდანივით აინთო და ცეცხლში დაიფერფლა გრიგოლ სხულუხია, ლამაზად იცხოვრა დევი ნჭუარაძემ და ლამაზად მოკვდა... საბჭოთა ხალხს ალაფრთოვანებდა ეს უკვდავი სახელები, ქართველმა მხედრებმა, თანამოძმეებთან ერთად მეორედ შედგეს ფეხი ყირიმის მიწაზე. ქერჩის მიწაზე დაიბადა მეორე გმირიც სხულუხიას სოფლიდან — ვლადიმერ ესებუა.

...გენერალმა ძაბახიძემ დიდი ლაშქრობის შემდეგ ჩანთები გაუსინჯა ზოგიერთ მეომარს — ისე არხეინად მიაბიჯებთ, თითქოს გუშინ მძიმე ტვირთით 60 კილომეტრი კი არა 60 ნაბიჯიც არ გადაგედგათო. ვაზნებით იყო სავსე ჩანთები, და განა მარტო ჩანთები შარვლის ჯიბეები, გულის ჯიბეები.

— საგზალი სადღა გაქვთ? — ჰკითხა გენერალმა ჯარისკაცებს.

უპასუხეს:

— ამხანაგო გენერალო, ხვალამდე უპურობას მოვითმენთ და უტყვიობას ვერა".

საგაზეთო წერილები, ნარკვევები ალტაცებით მოგვითხრობენ სევასტოპოლის ზღვისა და ცეცხლის გრიგალში ნაწრთობი რუსი, ქართველი და სხვა ეროვნების ჭაბუკებისა და ქალიშვილების გმირულ შემართებაზე, ვინც სიცოცხლის ფასად დაიხსნა ტყვეობიდან გმირი ქალაქი. სახელოვანი მეომრული ტრადიციების საზღვაო ციხე-სიმაგრე მტერს არ დანებდა, სულით არ დაეცა და მკვდრეთით აღსდგა.

1944 წლის 1 მაისს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის კ. ნ. ჩარკვიანის სახელზე მიღებულ იქნა დეპეშა: „ყირიმისა და სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილენი გილოცავთ ქართველი ხალხის მამაცი შვილის, ავიაესკადრილიის მეთაურის, სსრ კავშირის გმირის კაპიტან ზაქარია სოლომონის ძე ხიტალიშვილის განსაკუთრებულ წარჩინებასა და გმირობას. ვამაყობთ და ვულოცავთ ქართველ ხალხს ძვირფასი შაქროს ბრწყინვალე წარმატებას.

პ. ტკაჩოვი, ვ. ჯაიანი, ნ. პოლიკარპოვი"

ოდესის გმირ დამცველთაგან გაზეთები გვაცნობენ ქვემეხის მეთაურებს შ. აბაშიძესა და მ. ჭიჭინაძეს, წითელფლოტელებს გ. ლაფერაძესა და დ. ობოლაძეს, საზღვაო მფრინავებს ვ. ბერიშვილს, ალექსანდრე წურწუმიას, რომლის ესკადრილიის დარტყმის ძალა ბევრჯერ იწვნია დუნაიზე, შავ ზღვაზე ჩაძირულმა მტრის გემებმა თუ ბარჟებმა.

ნევინომინსკში გმირულად დაეცა მფრინავი ოთარ კაპანაძე;

ყირიმის, „მცირე მიწის" ამღვრეულ ცაზე მტრის რისხვად გაიელვა თბილისელი ჭაბუკი მფრინავის ოთარ ჩეჩელაშვილის გამანადგურებელმა, მან „ასი საბრძოლო გაფრენა განახორციელა.., ერთ-ერთი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდო სახელგანთქმული ფაშისტი მფრინავი". სსრ კავშირის გმირ ჩეჩელაშვილზე ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა.

სიამაყით იუწყებოდნენ საქართველოს გაზეთები 1943 წლის 7 სექტემბერს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას: „ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალლეიტენანტ კონსტანტინე ლესელიძის ჯარებმა".

საქართველოს წარგზავნილებმა მეომრული დიდების შარავანდედით შემოსეს მშობლიური ხალხის სახელი და უკვდავი ფურცლები ჩაწერეს გმირი ქალაქების მატიანეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ქაჯაია

# „ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი“

1983 წ. დაისტამბა ბასილი კესარიელის „სწავლანი“.

ამ წიგნში პირველად ქვეყნდება დიდი ბიზანტიელი მწერლისა და მოაზროვნის ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ქართული თარგმანი. თხზულებები თარგმნა ათონის ლიტერატურული სკოლის დამაარსებელმა ეფთვიმე ათონელმა თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისშივე, X საუკუნის სამოცდაათიან წლებში. კრებული გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ.

ტექსტი ქვეყნდება სამი უძველესი ხელნაწერის მიხედვით (ათ. 32, იერ 14 და H 2251). პირველი ორი საქართველოს ფარგლებს გარეთაა დაცული, რაც შეეხება მესამე ხელნაწერს, მის არსებობას მეფე დავით კურაპალატს უნდა ვუმადლოდეთ. ბასილის „სწავლათა“ ქართული თარგმანის გადასაწერად და ჩამოსატანად მეფემ ათონზე საგანგებოდ გაგზავნა ბერი იორდანე. ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები გვამცნობენ, რომ იორდანე მაიერინისელს (ოთხმოცდათექვსმეტ დღეში დაუფარავს ხიფათით აღსავსე გზა საქართველოდან შორეული ქალკედონის ნახევარკუნძულამდე, სადაც მას მასპინძლად თვითონ დიდი ეფთვიმე დახვედრია. ამავე მინაწერებიდან ცნობილი ხდება, რომ იორდანე ძალიან ჩქარობდა სამშობლოში დაბრუნებას, რადგან დავით მეფე თურმე „სურვიელ იყო და მოსურნე ხმენად... თქუმულთა მოძღურებისა და მომლოდებელ“. იორდანეს მიერ ჩამოტანილი ხელნაწერი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რამ განაპირობა ამ თხზულებებისადმი ქართველი საზოგადოების ასეთი დიდი ინტერესი? ლიტერატურის ისტორია მოწმობს, რომ ქრისტიანული მჭევრმეტყველების ნიმუშები არასოდეს არ ყოფილა ისეთი დახვეწილი და სრულყოფილი, როგორც IV საუკუნეში. ამაში კი უდიდესი დამსახურება ბიზანტიური ლიტერატურის იმდროინდელ დიდ კორიფეებს იოანე ოქროპირს, გრიგოლ ღმრთისმეტყველს და ბასილი კესარიელს მიუძღვით. ბასილის „სწავლანი“ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ბიზანტიური მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი ზნეობის კოდექსიცაა, დაწერილი ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.

ცნობილია, რომ ბასილის „სწავლანი“ დიდი წარმატებით სარგებლობდა უკვე მის თანამედროვეებში, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა. რიტორიკის ბერძენ კლასიკოსთა ნაწარმოებების მსგავსად მისი თხზულებები წარმოადგენდნენ სხვათა დარწმუნებისა და სხვაზე ზემოქმედების საშუალებას. ეს ზემოქმედება კი იმდენად ძლიერი იყო (რასაც ემატებოდა ავტორის სხვა პირადი ღირსებები), რომ ბასილი, როგორც ქრისტიანული წინამძღოლი, ხანგრძლივად წარმართავდა მისი დროის საზოგადოებრივ აზრს.

ბასილის „სწავლანი“ ძირითადად მორალის თემას ეხება და, როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, „მათში მოცემული დიდაქტიკა ბევრ შემთხვევაში ისეთია, რომ თავის აქტუალობას ყოველი დროისათვის ინარჩუნებს. ჰომილიათა უმეტესობაში გაკიცხულია ისეთი მანკიერი მხარეები, როგორიცაა შური, სიხარბე, უმადურობა, ღორმუცელობა, სიმთვრალე, ანგარება, ლტოლვა სიმდიდრის დაგროვებისადმი და სხვ. მაღალმხატვრული ენით შესრულებული ბასილის „სწავლანი“ გამოირჩევა აზრის ხატოვანი გადმოცემით და დღევანდელ მკით-

ხველშიც ძლიერ ემოციებს იწვევს. სავსებით კანონზომიერია, რომ ეფთვიმემ, ქართველი ხალხის ზნეობრივი სიკეთისა და სიმრთელის დიდმა მოჭირისუფლემ, ბასილი დიდის თხზულებებიდან სათარგმნელად, პირველ რიგში, სწორედ დიდაქტიკური „სწავლანი“ აირჩია“.

წიგნის შესავალში ც. ქურციკიძე ეხება ძეგლთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს, პირველ რიგში კი ათონის სალიტერატურო სკოლის დამაარსებლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ეფთვიმე ათონელის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე. ათონის ქართველთა მონასტერი რომ არა, ქართული კულტურის ისტორიას, კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო.

შედარებით ვრცლად მიმოიხილავს მეცნიერი „სწავლათა“ ავტორის ბიოგრაფიას იმ ისტორიულ ფონზე, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა ბასილი კესარიელს, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, და აღნიშნავს, რომ „ბასილის წარმომავლობამ და ქართული ტრადიციით მისი კულტისათვის საგანგებო როლის მიჩენამ ბოლო დროს ქართულ მეცნიერებაში დაბადა აზრი მისი ქართველ მოღვაწედ გამოცხადებისა, ცთუნება არსებობდა და შედეგმაც არ დაახანა — გაჩნდა ჰიპოტეზა ბასილი დიდის ქართველობისა“.

ბასილი დიდის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ზოგადად და ბასილის თხზულებათა ქართულ თარგმანებს მეცნიერი ვრცლად მიმოიხილავს შესავალშივე. როგორც გამოკვლევამ ცხადყო, ბასილის თხზულებათა ქართული თარგმანები ძველ ქართულ მწერლობაში ე. წ. ათონურ პერიოდამდე საგრძნობლად მცირეა. მისი თხზულებების ინტენსიური თარგმნა იწყება ეფთვიმე ათონელის დროიდან. „თვითონ ეფთვიმე, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი ქართული მწერლობის ამ ხარვეზს დიდი გულმოდგინებით ავსებენ“ დღეისათვის შესწავლილი და გამოქვეყნებულია ბასილის არაერთი თხზულების ქართული თარგმანი (სარეცენზიო წიგნის ჩათვლით). მის შემოქმედებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების კვლევას მიეძღვნა არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ ავტორის სამართლიანი შენიშვნით „...ბასილი დიდის მრავალფეროვანი შემოქმედება ქართულ ენაზე შესწავლასა და გამომზეურებას მომავლისათვის ელოდება“.

როგორც უკვე აღინიშნა, ბასილი დიდის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით ქვეყნდება. ამ ხელნაწერთა შესწავლას მეცნიერმა ცალკე თავი მიუძღვნა. მასში დაწვრილებით არის განხილული „სწავლათა“ კრებულების შედგენილობა, საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება მათზე დართულ ანდერძ-მინაწერებზე, რომელთა საფუძველზე წიგნის ავტორს გაკეთებული აქვს მნიშვნელოვანი დასკვნები.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხელნაწერი H 2251, რომელიც მართალია „თავბოლონაკლულია, მაგრამ კრებულის მთარგმნელისა და გადამწერის შესახებ ცნობების მომწოდებელი ანდერძ-მინაწერებით მაინც საკმაოდ მდიდარია“. ეს საინტერესო ანდერძ-მინაწერები იბეჭდება სრულად და საქმის ცოდნით. სწორედ მათში აისახა როგორც მაშინდელი საზოგადოებისა და მეფე დავით კურაპალატის დიდი დაინტერესება ამ „სწავლანით“, ისე ის კოლეგიალური დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა „ქართლის ქუეყანით“ ჩამოსულ იორდანესა და ეფთვიმეს შორის. ამ უკანასკნელმა საგანგებო ანდერძიც კი დაურთო იორდანეს გადაწერილ ხელნაწერს.

როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, ამ ხელნაწერის მინაწერებს კორექტივი შეაქვთ ქართველ მეფეთა ტიტულატურაში. მათში დავითი ოთხჯერ არის მოხსენიებული როგორც „ქართველთა მეფე“. ეს კი მოწმობს იმას, რომ დავით კურაპალატს გარკვეულ პერიოდში უტარებია „ქართველთა მეფის“ ტიტულიც. „როგორც ნ. შოშიაშვილმა გამოიკვლია, ეს უნდა იყოს 994-1001 წლები, ე, ი. ბაგრატ ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ...“

დავითის მეფობის დათარიღებამ, თავის მხრივ, წიგნის ავტორს საშუალება მისცა უფრო ზუსტად განესაზღვრა ხელნაწერის გადაწერის თარიღი. ამრიგად, იორდანე ხელნაწერის გადასაწერად და ჩამოსატანად ათონზე უნდა გამგზავრებულიყო 994-1001 წლებში.

თავში, სადაც წიგნის ავტორი ეხება ამ სამი ხელნაწერის ურთიერთმიმართების საკითხებს, იგი იზიარებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მათ შორის არ უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი, ე. ი. ისინი ერთმანეთისაგან არ უნდა იყვნენ გადაწერილნი. ითვალისწინებს რა სამივე ხელნაწერის მონაცემებს, ც. ქურციკიძეს მოხმობილი აქვს ვრცელი და საინტერესო მასალა.

საგანგებოდ განიხილავს მეცნიერი „სწავლათა“ შედგენილობასა და მის მიმართებას „ითიკის“ კრებულებთან. „სწავლათა“ შემცველი სამი კრებულის ურთიერთმიმართებას მათი შედგენილობის მიხედვით კარგად ასახავს მის მიერ შედგენილი ტაბულა, რომელსაც წიგნის ავტორი ვრცელ კომენტარებს უკეთებს. ეს თავი ამ წიგნის ერთ-ერთი საინტერესო თავია. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ქართულ ხელნაწერთა კავშირი ბერძნულ კრებულებთან. კერძოდ, რა ტიპის ბერძნული ხელნაწერები უნდა წარმოადგენდნენ ქართული თარგმანის დედანს და რომელი ქართული ხელნაწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას თავისი შედგენილობით სავარაუდო დედანთან ყველაზე ახლოს. ამ შემთხვევაში ც. ქურციკიძე იზიარებს მეცნიერებაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ათ. 32-ისა და ე. წ. A ჯგუფის ათონურ ბერძნულ ხელნაწერთა ნათესაობის შესახებ.

საგანგებოდ არის შესწავლილი ძეგლის ენის საკითხები. ერთის მხრივ ხელნაწერთა ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი, ხოლო მეორეს მხრივ გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი. მიუხედავად იმისა, რომ ათ 32 და H 2251 ხელნაწერები უშუალოდ ეფთვიმეს ავტოგრაფიდან მომდინარეობენ, სხვაობა მათ შორის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თვალსაზრისით მაინც თვალშისაცემია. ამ მხრივ საინტერესო და ხშირად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს მესამე, იერუსალიმური ქართული ხელნაწერი.

ფონეტიკური თავისებურებებიდან წიგნის ავტორი აღნიშნავს და შეისწავლის შემდეგ შემთხვევებს: ბგერათდაკარგვა, ბგერათგანვითარება, ასიმილაცია, რედუქცია, ბგერათგადასმა, ბგერათშენაცვლება.

ძეგლის გრამატიკულ-ლექსიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით მეცნიერი აღნიშნავს: „ეფთვიმე მოჰგვიანო ხანის კლასიკური ქართული ენის ნორმებით წერს, ამიტომაა, რომ ბასილი დიდის „სწავლათა“ მისეულ თარგმანში აშკარად იგრძნობა ახალი გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკის მოძალება“.

IX ს-დან ქართულში შემოდის არაბულ-ახალსპარსული ლექსიკა, რომელიც ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდში უკვე დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში. სპარსული სიტყვა „სუბუქი“ და მისგან ნაწარმოები ფორმები „სწავლათა“ ტექსტში ხშირად გვხვდება, ხოლო მისი ქართული ფორმა „სულმცირე“ კი არც ერთხელ. წიგნის ავტორის მიერ არაერთი ამგვარი შემთხვევაა გამოვლენილი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ორი ჰომილიის „მარხვისათჳს, თავი ა“ და „შესხმაჲ წმიდათა ორმეოცთაჲს“ ძველი და ეფთვიმესეული თარგმანების შედარების შედეგად გამოიკვეთა თავისებურება, რომელიც X საუკ. ქართული ენის ძველიდან ახალზე გარდამავალი ეტაპის ტენდენციების და კანონზომიერების ასახვას წარმოადგენს. ამის შედეგად მეცნიერი დაასკვნის: „ეფთვიმესეულ ქართულ თარგმანში უფრო ფართოდ იხმარება ის გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ერთეულები, რომლებიც იმ დროისათვის გზას იკაფავდნენ ენაში, ხოლო შემცირებულია და შეზღუდული იმ ფორმებისა და ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომლებიც ენაში დროთა განმავლობაში დაიკარგნენ, ანდა დაკარგეს ძველი მნიშვნელობები“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე ეფთვიმეს ენაში იგრძნობა ძველი ქართულიდან ახლისაკენ შემობრუნების ტენდენცია და გიორგი მთაწმინდელი ამ თვალსაზრისით ეფთვიმესეული ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება. წინამდებარე ნაშრომში ეფთვიმეს ენის თავისებურებანი სწორედ ამ სიახლეთა გათვალისწინებით არის განხილული.

გამოკვლევის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ბოლო თავი, რომელშიც თავმოყრილია და გაანალიზებული ისეთი საინტერესო საკითხები: როგორიცაა „ბერძნული ლექსიკა „სწავლათა“ თარგმანში“, „ქართული თარგმანის სინტაქსურ-სტილისტური მიმართებისათვის ბერძნულთან“, „ქართული ტექსტის მხატვრული სახეები და მათი მიმართება ბერძნულთან“ და ე. წ. „შემატებისა და დაკლების“ შესახებ.

როგორც „სწავლათა“ ტექსტის შესწავლამ ცხადყო, ეფთვიმე აქაც, ისე როგორც სხვა თარგმანებში, ერიდება ბერძნული სიტყვების შემოტანას და ცდილობს ყველა ბერძნულ სიტყვას ქართულ თარგმანში შესატყვისი მოუძებნოს. „სწავლათა“ ქართულ ტექსტში დადასტურდა 40-ზე მეტი ბერძნული სიტყვა, რომელთა უმრავლესობა ეფთვიმეზე ადრე იყო დამკვიდრებული ქართულ ენაში. ამას მოწმობს ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც შეინიშნება ქართულში გავრცელებულ ფორმებში ბერძნულისაგან განსხვავებით.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ ეფთვიმეს თვითონ მხოლოდ ხუთი ბერძნული სიტყვა უნდა შემოეტანა უთარგმნელად და არკვევს ბერძნული სიტყვების უთარგმნელად შემოტანის მიზეზებს.

ქართული თარგმანის შედარება ბერძნულ ორიგინალთან სინტაქსურ-სტილისტური თვალსაზრისით მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს. როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანი მოგვიანო ხანის კლასიკური ქართულითაა შესრულებული. „საუკუნეებით შემუშავებული ქართული გრამატიკული ფორმები და სინტაქსური კონსტრუქციები, ფრაზის საკუთრივ ქართულისათვის დამახასიათებელი მიმოხრა, ქართულისათვის ნიშანდობლივი მხატვრული სტილი, საუკუნეების მანძილზე შეძენილი და ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული მდიდარი ლექსიკა ქმნიან ერთობლივად „სწავლათა“ თარგმანის ენობრივ და სტილისტურ სახეს“.

ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ეფთვიმე შეძლებისდაგვარად თავს არიდებს სიტყვასიტყვითი თარგმანის შესრულებას. მის ტექსტში ბერძნულ მიმღეობურ კონსტრუქციებს ცვლის ზმნის პირიანი ფორმები (რაც ქართული სინტაქსის ნორმას წარმოადგენს), ბერძნულ იდი-

ომატურ გამოთქმებს ქართული იდიომები და ა. შ.

ცხადია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანის ენასაც და სტილსაც ამჩნევია ბერძნული დედნის გავლენის კვალი. წიგნის ავტორის მიერ აღნიშნული და გაანალიზებულია ამგვარი შემთხვევებიც.

ქვეთავში „ე. წ. „შემატებისა და დაკლების“ შესახებ“. მეცნიერმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ეფთვიმე ათონელის, როგორც მთარგმნელის თავისებურება. კერძოდ, მისი ორიგინალური მეთოდი „შემატებისა და დაკლებისა“.

ბასილის ორ ჰომილიაში — „სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა“ და „სულისა წმიდისათვის“ ჩართული აღმოჩნდა ტექსტის კარგა მოზრდილი პასაჟები გრიგოლ ღმრთისმეტყველის „თხზულებებიდან“. მსგავსი შემთხვევები, რომელთაც დოგმატური საფუძველი აქვთ, ბერძნულ კრებულებშიც დასტურდება. წიგნში გაანალიზებულია ეფთვიმე ათონელის მიერ ტექსტში ამგვარი ჩარევის მიზეზები.

ევროპაში ბასილის თხზულებათა პირველი ნაბეჭდი გამოცემა ბერძნულ ენაზე XV საუკუნეში განხორციელდა. ეს საქმე დღესაც ინტენსიურად გრძელდება.

საქართველოში, მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანაში, სადაც ბასილის შემოქმედება განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, ობიექტური მიზეზების გამო ამ პროცესმა დიდი ხნით დაიგვიანა (მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ძნელბედობის პირობებში ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი განადგურდა, ბასილის თხზულებათა კრებულები თუ ცალკეულ ნაწარმოებთა შემცველი ქართული ხელნაწერები რიცხობრივად მაინც ჭარბობენ ბერძნულ კრებულებს). ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბასილის „სწავლათა“ ათასწლოვანმა ქართულმა თარგმანმა გამოკვლევითა და ვრცელი ლექსიკონით დღის სინათლე იხილა. ამ საპატიო ამოცანას ჩინებულად გაართვა თავი ც. ქურციკიძემ.

დიდია ლიტერატურული ძეგლის მხატვრული ღირებულება, იგი სამართლიანად ითვლება ბიზანტიური ლიტერატურის მშვენებად. მისი თარგმანი ეკუთვნის უბადლო მწერალსა და მთარგმნელს ეფთვიმე ათონელს. ამ ლიტერატურული ძეგლის კრიტიკული ანალიზი დაგვეხმარება ბასილის სხვა თხზულებების შესწავლასა და გამოვლენაში. და ბოლოს, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, იგი იწვევს ჩვეულებრივ ადამიანურ ინტერესს, როგორი იყო ჩვენი წინაპრების სულიერი სამყარო ათი საუკუნის წინათ, როგორი ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობდნენ ისინი და როგორი იყო მათი ლიტერატურული გემოვნება. ბოლოს და ბოლოს, როგორი იყო ძეგლი, რომლის გამოც თვითონ მეფემ 96 დღის სავალზე მიავლინა გადამწერი და შემდეგ ისეთი მოუთმენლობით ელოდა მის ჩამოსვლას, რომ იორდანე იძულებული იყო ამ თხზულების გადაწერაში დღე და ღამე ესწორებინა, რათა დროულად დაბრუნებულიყო საქართველოში. ჩვენი აზრით, ეს არის ძალზე დროული და საჭირო პუბლიკაცია. სწორედ ამით აიხსნება, რომ ნაშრომი დაჯილდოვდა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიით. წიგნი სამსახურს გაუწევს არა მარტო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს, არამედ საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებასაც.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 11. 03. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 05. 85 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 609. უე 05176 ტირაჟი 62. 000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

27/3.2

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**